649
1964



9

სოფლის ცხოვრება

1964

ცისკარი



ჩაის პლანტაციებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

7740

შინაარსი

პოეზია

ვასტანგ ჯაფარიძე — ლექსები 14

ზაურ გოლეთიანი — ლექსები 26

ირაკლი არაბული — წინაპრებს 48

თენგიზ კაკუშაძე — ლექსი 49

ალექსანდრ კუშეკინი — რუსლანი და ლუდმილა. პოემა. გაგრძელება 50

პროზა

ნოდარ წულეისკირი — ორი უძილო ღამე. მოთხრობა 3

გურამ დოჩანაშვილი — შენ ძმა ხარ ჩემი. მოთხრობა 17

გივი გოგიჩაიშვილი — გაზაფხულიდან გაზაფხულამდე. რომანი. დასასრული 29

ემანუილ ფეიგინი — ვარისაცა. შვილი ვარისაცისა. მოთხრობა 66

თო�as მანი — მძიმე საათი. მოთხრობა 87

9

სექტემბერი

1964

გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

გურამ კანკავა — ლიტერატურული შენიშვნები. წერილი პირველი 93

აკაკი ბაძრაძე — რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო 104

ემზარ კვიტაიშვილი — ბლოკი ქართულად 117

თამაზ ეგანოიძე — მეცნიერი, მოღვაწე, პოეტი 121

რევაზ ოსეფაიშვილი — ახალი ჟურნალი 131

ნარკვევი

კოტე ჯაფარიშვილი — სამთვალა ჩუბინი 124

სპორტი

ვახტანგ ერისთავი—მოჭადრაკის მოგონებანი 134

მეცნიერება და ტექნიკა

დ. ცუკერნიკი — როგორ აღმოაჩინეს ამერიკა 142

სატირა და იუმორი

კუკური გოგიაშვილი — იგავები 154

ყოველი მხრიდან 156

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი კონსტანტინე ლორთქიფანიძე

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო კ ო ლ ე გ ი ა:

გურამ გვერდწითელი, კარლო კალაძე, როინ მეტრეველი, გურამ ფანჯიკიძე (პ/მგ მდივანი), გიორგი ციციშვილი, ვლადიმერ ჭავჭანიძე, ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, თამაზ ჭილაძე, ლაშა ჯანაშია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ წულეისკირი

ოქრო უჭირო ლეკვი

მოთხრობა

გიორგი ქალაქში რწყილივით ჩუმად დადიოდა. გარეუბანში ჰქონდა პატარა „ბუნაგი“ (თავის ოთახს ასე ეძახდა). „ბუნაგში“ ორი მალხაზი ეზრდებოდა. ბიჭებს ხშირ-ხშირად მკლავებს უსინჯავდა და ამბობდა: დევგმირები იზრდებიანო. სახელებიც გმირების შეურჩია: ამირანი და ტარიელი. მუდამ შინ მიიჩქაროდა. ტახტზე წამოკოტრიალდებოდა და ბიჭებს ეთამაშებოდა. გიორგის შინ ყოფნა ერჩია. გარეთ სხვა იყო, გარეთ უჭირდა. სამსახურში ბევრი უფროსი ჰყავდა, შინ კი თვითონ იყო უფროსი. გიორგის შეეძლო უფროსებთან საერთო ენა გამოენახა, უმცროსობას კარგა ხანია შეეგუა. სხვა რამ აწუხებდა, გულს სხვა რამ უკლავდა.

თავის ცხოვრებას ასე წარმოიდგენდა: თითქოს ხელში ეჭირა ბადაგით სავსე დიდი ფიალა, ნელ-ნელა სვამდა, მოდიოდნენ მისი ამხანაგები, ნაცნობები, უცნობები და ფიალაში ნაღველას აწვეთებდნენ.

შეიკრიბებოდნენ და მოჰყვებოდნენ ტრაბახს. ერთი ეტყოდა, რომ წუხელ, დღეობაში, ოცი ჩაის ჭიქა ღვინო დალია. მეორე გაიხსენებდა, როგორ დააწვინა ქორწილში კახელები. მესამე მოყვებოდა, როგორ გალახა ხუთი კაცი. სხვა კიდევ ქალების მუსუსი იყო. ყველას რაღაც ჰქონდა სატრაბახო. ამ დროს გიორგი ჩუმად იყო. სასაუბრო რომ შემოელეოდათ, გაჩუმებულ გიორგის წაიგდებდნენ და დასცინოდნენ და დასცინოდნენ: აი, ძმაო, მსმელი კაციო. ბევრჯერ უფიქრია, მოდი, მეც გავერევი საუბარში, მაგრამ რა ეთქვა, რით ეტრაბახა?..

გიორგის უფრო მაშინ უჭირდა, როცა ამხანაგებთან ერთად ქუჩაში მისეირნობდა. ქალს არ გაუშვებდნენ, არ გაეკორთათ, თავხედურად, გამომწვევად არ შეეხედათ.

— შეხედე, გიორგი, ჰა, რას იტყვი!— ეუბნებოდნენ, აჯანჯღარებდნენ და იცინოდნენ.

— კარგი ქალია...—„რა არის სასაცილო, მეტი საქმე არა აქვთ?“ — ფიქრობდა გუნებაში.

დაცინვის ეშინოდა. თქვი რამეო, ჩააცივდებოდნენ, უნებლიეთ რაღაც წამოცდებოდა და იყო ერთი სიცილ-ხარხარი.

ერთხელ სუფრასთან ფეხბურთზე ისეთი კამათი ატყდა, მთელი კაფე მათ უყურებდა. სასაუბროდ იყვნენ ჩასულნი. იმდენი იყაყანეს და იჩხუბეს, ხეირიანად ვერც კი ისაუბრეს. გიორგი სულ გაჩუმებული იჯდა. იგი მხოლოდ მაშინ შენიშნეს მოკამათეებმა, როცა დაწყნარდნენ.

— რა იყო, გიორგი, რას გაჩუმებულხარ?

გიორგი ამ შეკითხვას მოელოდა და პასუხიც მზად ჰქონდა:

— რა და, აგერ ჩვენს გვერდით კარგი წიგნი იყიდება, ფული აღარა მაქვს.

ეს იმიტომ თქვა, რომ ფეხბურთზე ლაყბობა მობეზრდა.

— გიყვარს არა წიგნები, გიორგი? — ჰკითხა ერთმა.

გიორგი გაშრა. ბიჭებმა ამჯერად აღარც კი გაიცინეს, ამისთვისაც კი არ ეცალათ. კამათი განაგრძეს. გიორგი სუფრასთან ბაიყუშივით იჯდა. უაზროდ შესცქეროდა დარბაზში აყაყანებულ ხალხს და თავისი ამირანი აგონდებოდა. ამიკო მამას წამოწოლილს რომ დაინახავდა, მაშინვე მკერდზე დაახტებოდა. ზღაპარი მომიყვიო, — საშველს არ მისცემდა. გიორგიც დაიწყებდა.

„მამა, მაშინ მე სად ვიყავი?“ — წარამარა ეკითხებოდა ბავშვი.

„— ეს, შვილო, დიდი ხნის წინანდელი ამბავია“.

„მე სად ვიყავი, სად?“ — გაკვირვებოდა ამიკო.

„შენ, შვილო, მაშინ ქვეყანაზე გაჩენილიც არ იყავი“.

„აბა, სად ვიყავი?“ — ჩაფიქრდებოდა ბავშვი.

„არსად არ იყავი“.

„არსად?.. აბა, რა ვიყავი?“

„არაფერი არ იყავი“.

ამიკოს თანდათან გადაუვლიდა ფიქრი და გაბარაზდებოდა. პატარა ხელისგულებს მამას შიშველ მკერდზე დასცხებდა.

„რატომ ვიყავი არაფერი, რატომ ვიყავი!“

ატირდებოდა და დედასთან გარბოდა. გიორგი იცინოდა. ძველი ამბის მოყოლა ყოველთვის ასე მთავრდებოდა.

აქედან იწყებოდა გიორგის ფიქრთა მთელი ჯაჭვი. ბევრი რამის გარკვევა უძნელდებოდა. „რატომ ვიყავი არაფერი?“, ეკითხებოდა თავისთავს, აგონდებოდა გაბრაზებული ბავშვი და ეღიმებოდა. შემდეგ „ვიყავიის“ სხვადასხვა დროში გადაიყვანდა და აკვირდებოდა. ერთი რამ ცხადი იყო, რაღაც უნდა მოემოქმედა, მაგრამ როგორ? რა გზით? რატომ თვლიდნენ არაფრად? იქნებ იმიტომ, რომ სუსტი იყო, ან იქნებ ზედმეტად წესიერად ცხოვრობდა?

ერთხელ, როცა გამფლანგველებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, გიორგის უცნაური აზრი აეკვიატა. ბიჭები პაპაროსს ეწეოდნენ და საოცარ ამბებს ჰყვებოდნენ. ახსენეს ვიღაც აფთიაქარი, ტაქსის შოფერი, საკონდიტრო წარმოების უფროსი. ერთი მათ თავგამოდებით იცავდა.

— ვენაცვალე სულში, ვაქაცია...

საუბარი თანდათან გართულდა. „რა არის მთავარი“, „რა გინდა“, „რა უნდა აკეთო“, — გაისმა აქეთ-იქიდან.

გიორგის თვალები გაუბრწყინდა. შეეცადა საუბარში ჩარეულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. ბევრი იწვალა, ვერა და ვერ ჩაერთო კამათში. მხოლოდღა ის მოახერხა, ერთი მათგანისათვის მხარი დაეჭირა. უეცრად ყველა გაჩუმდა. გიორგის მიაჩერდნენ.

— ქართველი ხარ, ბიჭო!.. — შესძახა ყველაზე ღონიერმა ბიჭმა, მაღალოთარმა და ისე მაგრა დაჰკრა მხარზე ხელი, გიორგი კინაღამ ჩაიკეცა. ატყდა სიცილ-ხარხარი. გიორგი გაწითლდა და ჩუმად გაიპარა, ეგონა მხარი მოეგრა. უფრო იმის შერცხვა, რომ ეტკინა. თითქოს გაშლილი ხელი კი არა, მხარზე

რკინის მძიმე ნაჭერი დაჰკრესო. სამუშაო ოთახში ჩაიკეტა, პერანგი გადაიხსნა, მხარი მოისინჯა. მერე მაგიდას მიუჯდა, თავი ნიდაყვებში ჩარგო და ზღარბივით შემჭრა ფიქრებში.

„მე თუ დამემსგავსა, ტარიელას დაუძახებენ...

ნეტავ ბაბუას დაემსგავსებოდეს... ჰგავს კიდეც ბაბუას...

ისეთი ბოხი ხმა აქვს, გეგონებათ, თხუთმეტი წლის ბიჭია... ასე პატარას ასეთი ბოხი ხმა!..

საღამოს, როცა ეზოში ბავშვები გამოეფინებიან, მარტო მისი ხმა ისმის, დანარჩენები ჭაჭყანებენ, ჭყიპინებენ...

სამსახურიდან დაბრუნებული ვალიკო იძინებს. თუ ტარიელი ეზოში თამაშობს, აბა რა დაადინებს! გადმოდგება მეხუთე სართულიდან და გაანჩხლებული ყვირის:

— ტარიელ, ბიჭო, წადი, იქით ითამაშე!.. რა ხმა აქვს ამ ვირთხას!“

გიორგი ზის თავის ოთახში, პაპიროსს აბოლებს და ჩუმად იცინის, ზედა სართულისკენ იყურება.

პატარა შემთხვევა რომ არა, იქნებ გიორგის ცხოვრება სხვაგვარად წარმართულიყო.

ერთ მზიან დღეს ოფლში გაღვრილი გიორგი ბაზრიდან სანოვაგით დატვირთული გამოვიდა. ტაქსის რიგში ჩადგა. კარტოფილითა და კომბოსტოთი გატენილ ბადეში წითელი ბოლოკის ერთი კონა არ ეტეოდა, როგორც კი შეირხეოდა ბადე, ბოლოკი ვარდებოდა. გიორგიმ დიდი საზამთრო იქნე ბეტონის მოაჯირზე ფრთხილად შემოდო, ხელი გაინთავისუფლა, აიღო ბოლოკის კონა და ბადეში ჩატენა. საზამთრო ისევ ამოიიღლავა და დადგა.

როცა მოაჯირზე ერთი ხუთჯერ შემოდო საზამთრო და განერვიულებულმა, გაჯავრებულმა, ბოლოკი მთელი ძალით ჩატენა ბადეში, ტაქსიც მოვიდა. შოფრის გვერდით მოიკალათა, ოფლი მოიწმინდა და ისე მშვიდად ამოისუნთქა, გეგონებოდათ, სამოთხეში მიემგზავრებაო.

სად იყო და სად არა, გიორგის ტაქსს მოადგა ლამაზი ქალი. ქალი ისეთი ლამაზი იყო, გიორგიმ თვალი ვერ გაუსწორა.

— საბურთალოსკენ ხომ არ მიბრძანდებით? — იკითხა ქალმა.

— დიახ.

— თუ შეიძლება, მეც წამოვალ.

— წამობრძანდით.

ქალიც ბაზრიდან მოდიოდა, მასაც საზამთრო და კარტოფილით გატენილი ბადე ეჭირა ხელში. გიორგი უკან გადაიხარა და კარი გაუღო. როცა ქალი ჩაჯდა, გიორგიმ თვალი მოკრა მაღალ მუხლებს.

შოფერმა მანქანა დაძრა. ჩუმად ისხდნენ. გიორგის ერთი სული ჰქონდა, თუნდაც ერთხელ შეეხედა ქალისათვის. შოფერი ქალს სარკეში უყურებდა. გიორგი პროსპექტს გასცქეროდა... „რა უზრდელები არიან შოფრები“,—გაიფიქრა მან, თუმცა თვითონაც უნდოდა სარკეში ჩაეხედა.

— იცით რა? — სთქვა ქალმა,—მე აქ ჩამოგალ, ვეძისში მიგდივარ.

შოფერმა დაამუხრუჭა. მანქანა ჭრიალით გაჩერდა.

— ნუ ჩამოხვალთ, მიგიყვანთ, — სთქვა გიორგიმ და ქალს შეხედა.

გიორგიმ დაინახა ცისფერი თვალები და მაღალი ყელი.

— შეგაწუხებთ, გზას გაგიმრუდებთ, — განაგებ დაიმორცხვა ქალმა.

— არა უშავს...

შოფერმა მანქანა მოატრიალა და უკმაყოფილოდ შეათვალიერა გიორგი, „ვინ ეხვეწება კავალრობას“...

გიორგი კვლავ მიაშტერდა შარას.

— აი, აქ გამიჩერეთ, — სთქვა ქალმა.

გიორგი ქალს მიეშველა.

— თუ ნებას მომცემთ...

— ნუ შეწუხდებით, მსუბუქია.

ქალმა შოფრისთვის ფულის მიცემა მოინდომა. გიორგიმ „როგორ გეკადრებათო“, ისე სთქვა, ქალმა მხოლოდღა კეკლუცად გაუღიმა.

შოფერმა გულში ორივეს შეაგინა და

ნოდარ წულეისკირი
ორი უძილო ღამე

გაბრაზებულმა მანქანა აამუშავა. გიორგი მანქანაში ჩაჯდა. ვიდრე მანქანა დაიძრებოდა, ქალმა ერთხელ კიდევ გაუღიმა კეკლუცად გიორგის და სადარბაზოში მიიმალა. გიორგის დაავიწყდა ბაზარში წანწალიც, ტაქსის რიგში წვალებაც, ჭირვეული ბოლოკიც, ვიწრო ფეხსაცმელებიც და შინ გახარებული დაბრუნდა.

ეს იყო და ეს. მას შემდეგ, როგორც იტყვიან ხოლმე, ბეერმა წყალმა ჩაიარა. გიორგის ცხოვრებაში არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, არც არაფერს მოელოდა. აბა, რას იფიქრებდა, თუ იმ ქალს კვლავ შეხვდებოდა!

სამუშაო დღე დამთავრდა. ჩვეულებრივად რუსთაველის პროსპექტზე ერთად გამოვიდნენ გიორგი და მისი თანამშრომლები. მოსეირნობდნენ. და ქვეყნის ამბებს ჰყვებოდნენ.

— ერთი ამბავი ვიცი, დაწვებით, — სთქვა ერთმა.

— რა ამბავი?

ბიჭი გაჩუმდა.

— სთქვი, ჰა!

ბიჭმა გიორგის შეხედა.

— შენზე მაქვს საიდუმლო ცნობები. სთქვი, რამდენს კისრულობ, თორემ ვიტყვი.

— ვკისრულობ არა, სთქვი!

— კუკიის სასაფლაოზე რომ დაჩალიჩობდი, ჰა, შე ძველო! მიხვდი? ეთქვა?..

გიორგი შეიშმუშნა და გვერდით გაიხედა. მიხვდა, რისი თქმაც უნდოდა ბიჭს; სტუდენტობისას ეპიტაფიებს წერდა. „ნეტავ საიდან გაიგო?“ — გაიფიქრა გიორგიმ და პაპიროსი ამოიღო.

— ნუ გადაგვაყოლე, გვითხარი, რა იცი! — უთხრა ბიჭს მაღალ-ოთარმა.

— გიორგი პოეტი ყოფილა!

— არ გადამრიო!

— კუკიის სასაფლაოზე რაც წარწერებია, სულ მაგისია!

— ვახ, შენ გენაცვალე!..

— გიორგი, გვითხარი ლექსი!

— რას მერჩით, ბიჭო, რა გინდათ, ოქვენი ხნის შვილი მყავს... — თავი მოისაწყალა გიორგიმ, თუმცა ერთი-ორი წლით თუ იქნებოდა მათზე უფროსი.

— რას ეხვეწებით, მე აგერ არა ვარ, ... მთელი მისი შემოქმედება შევისწავლე.

— სთქვი, აბა!

ბიჭმა დაიწყო:

— „ტოკმა დამარტყა თავში და გამოვაკლდი ხალხში“.

ყველამ გაიცინა.

— დენს მოუკლავს! ვახა, ხა, ხა! — ახსნა ერთმა.

— მაცალეთ, უკეთესი გითხრათ! „მუხლში გამიჩნდა სარკომა, ვეღარ მოვესწარ ადგომას“.

კვლავ გადაიხარხარეს. გიორგიც იცინოდა. ხვდებოდა, რომ ახლა ერთადერთი გამოსავალი სიცილი იყო. მოდიოდნენ და იგუდებოდნენ. მაღალ-ოთარი იხვეწებოდა, გაჩუმდით, მეტი აღარ შემიძლიაო.

როცა ოპერის თეატრს გაუსწორდნენ, პროსპექტზე ერთი ლამაზი ქალი გამოჩნდა.

— შეხედეთ, მოდი და გული ნუ გაგისკდება, — ამოიოხრა ერთმა.

— ეჰე, დაიწყეს, — გაიფიქრა გიორგიმ.

— ჩჩჩ, მსახიობია, იქნებ გვიცნობს,— გააფრთხილა მეორემ.

— Vera incessu patuit dea,—სთქვა მელოტმა. მან ერთადერთი ლათინური ფრაზა იცოდა და ყველა ქალს წარამარა ეუბნებოდა.

— ქალღმერთი მიხრა-მოხრით გამოიცნეს, — თარგმნა თვიითონვე, თუმცა არავის უთხოვია. ბიჭებს ბევრჯერ მოუსმენიათ ეს ფრაზა და ზეპირად იცოდნენ. მელოტს ყველაფერი უნდა აეხსნა.

— მართლაც რომ ქალღმერთია!

— ქმარს გაშორებულია.

ეიერად გიორგი შეკრთა. ქალი მათ მიუახლოვდა. გიორგიმ იცნო: „ის არის“... გადაწყვიტა, თვალს მოვარიდებ, უხერხულიაო. ქალმა გაუღიმა და საკმაოდ შინაურულად მიესალმა. გიორგის თავბრუ დაესხა: ამხანაგები ადგილზე გაქვავდნენ, ჯერ ქალს გააყოლეს თვალი, მერე გიორგის შეხედეს. პირდა-

ღებულები ერთმანეთს მიაჩერდნენ და... ჩაბჟირდნენ.

წუთია კაცის ცხოვრებაო, — ალბათ ასეთ დროს სთქვა ეიღაცამ. ცხოვრებაში ყველა ადამიანს აქვს სანუკვარი ერთი წუთი, ჯადოსნური წუთი, თვალის მომჭრელად რომ მოგანათებს და გზას გიჩვენებს.

გიორგის გონებაში ერთ წამს მთელი ქვეყნიერება გადატრიალდა და გადმოტრიალდა, მოასწრო ყველა საიდუმლო ხერელში ჩაეხედა, ყველა საიდუმლო კუნძულისთვის თვალი შეევლო. როცა ქვეყნიერება დალაგდა, ფულიანად გაეცინა. უცნაური რამ გადაწყვეტა. ბიჭებს შეხედა, გაოცებულნი რომ მისჩერებოდნენ. თითქოს აქ არაფერიაო, გზა გაგრძელო.

— საიდან იცნობ ამ ქალს? — გამოედევნა მაღალ-ოთარი.

— ვიცნობ, რა ვიცი...

გიორგიმ ვითომ ეშმაკურად გაიცინა.

— გაფიცებ ყველაფერს, მითხარი!

— ვერ გეტყვი...

ახლა გიორგი ყოველ სიტყვას აკვირდებოდა, უნებლიეთ ამბობდა ტყუილს და უჭირდა.

— გვაინტერესებს, გვითხარი, ქალი ვის არ ყოლია. — განაწყენდა მელოტი.

გიორგიმ მაშინვე იგრძნო, როგორ გამოეცალათ ამხანაგებს კილო. ახლა ისე ელაპარაკებოდნენ, როგორც ტოლს. „ჯერ არ ვიტყვი, უფრო დავაინტერესებ“... გაიფიქრა გიორგიმ. ბიჭები იდგნენ და ეხვეწებოდნენ, გვითხარი, საიდან იცნობო.

— უხერხულია ამაზე ლაპარაკი, — სთქვა ბოლოს გიორგიმ.

— კარგი ერთი, ნუ გააჭირე საქმე!

— ხომ ხედავთ, ქალებში არ დავდივარ, — დაიწყო გიორგიმ, — ძლივს ერთმა ქალმა ყურადღება მომაქცია, რა სალაპარაკოა!

გიორგიმ ეშმაკურად გაიცინა, — ბიჭებს აგრძნობინა, რომ თუ დაეძალებოდნენ, მოყვებოდა.

— სად გაიცანი?

— რა კარგი ქალია, ყოჩაღ, ძმაო!

— ო, რა ჩუმჩუმაა, ხედავ? — უთხრა ერთმა მეორეს.

— სად გაიცანი? — ჩაეცინა მაღალს.

როცა სხვებიც ჩაეცინენ, გიორგიმ მთლად მოისაწყლა თავი და აკანკალებულმა თხოვა ბიჭებს, არ დამღუთოთ, არ გამთქვათო. მერე მშვიდად მოყვა, როგორ წაიყვანა ტაქსით, როგორ მიაცილა, უამბო ის, რაც მართლაც შეემთხვა. მხოლოდ ამ შემთხვევას დაუმატა მცირეოდენი ტყუილი: როგორ დაუნიშნა ქალმა პაემანი და ღამის პირველ საათზე შინ როგორ წაიყვანა. მერე სიცილით უთხრა ამხანაგებს: თქვენ რომ არაფრად არ მთვლით, მართლა ისე კი არაა საქმეო.

მეორე დღეს სამსახურში კარგ გუნებაზე მივიდა. გიორგის ამბავი ბიჭებმა ყველას გააგებინეს. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა, „ჩვენი გიორგი თურმე ულამაზეს ქალებთან დადისო“. მესამე დღეს კიდევ უკეთეს გუნებაზე დადგა გიორგი.

გაიგეს თუ არა ქალებმა ეს ამბავი, ერთ ოთახში მოიყარეს თავი. დიდი ბჭობა გაიმართა.

— ელიკო ისეთი ლამაზია, ისეთი თაყვანისმცემლები ჰყავს, რა ვიცი, როგორ დავიჯერო, — სთქვა ყვითელთმიანმა და ყვითელკაბიანმა.

— არ დაიჯერო, იმიტომაც გადაგვნაფსკვა ბედი, — გაეხუმრა ყავისფერთმიანი.

— ნუთუ მართლა ლამაზია? — გულუბრყვილოდ დაინტერესდა ყველაზე ახალგაზრდა — თვალებში მართლა აქვს რაღაც არამიწიერი.

ისინი მოდას აყოლილი, უმკუთ ქალები იყვნენ. ჩვეულებრივად ტრაბახობდნენ იმით, რომ ბევრი თაყვანისმცემლები ჰყავდათ. თავი განათლებულ ადამიანებად მოჰქონდათ და დასცინოდნენ მეცნიერ ქალებს, ზედა სართულზე რომ მუშაობდნენ. მათ „ჩამორჩენილებს“, „მეშჩანებს“ ეძახდნენ.

ამ დიდ შენობაში სხვადასხვა სართულზე სხვადასხვა დაწესებულება იყო. ფართო და კრძელ აივნებზე ათასი ჯურისა და პროფესიის ადამიანი ირეოდა. შეხვდებოდით ინჟინრებს, ენათმეცნიერებს, გეოლოგებს, ჟურნალისტებს. ქერა ჟურნალისტ „არისტოკრატებს“ ყველა იცნობდა. განსაკუთრებით მათი „ლიდერი“, ყვითელთმიანი და ყვითელკაბიანი, თვითონაც ლიმონივით ყვითელი, მაღალი, გამხდარი ქალი, ლულუ იქცევდა ყველას ყურადღებას.

ამაყად, გამომწვევად დადიოდა. მუდამ ჭირაფვითი ჭრელი, ისე ღირსეულად იქცეოდა, თითქოს კანონიერად სამჯერ ნაქმარივი არ ყოფილიყოს... მეოთხედ არ თხოვდებოდა იმიტომ, რომ მისი აზრით კულტურული კაცი საქართველოში ცოტა დადიოდა. ბევრს მოგზაურობდა და ახალი მოდა პირდაპირ იმ ქვეყნიდან მოჰქონდა, სადაც ეს მოდა წარმოიშვა. თანამშრომლები, უფრო გამოუდელი და ახალგაზრდა გოგოები გადრია. ერთს უთხრა, ჯაჭვი ქამარი გიხდებაო. გოგონამ თეთრი ჯაჭვი წელზეც შემოიკრა, ყელზეც შემოიხვია და მაჯებზეც. საცოდავი რამ იყო ის გოგონა, ჯაჭვმა ყელი გაუხეხა და სიმწრით დაატარებდა.

აბა, ასეთი ქალები გიორგის კაცად ჩათვლიდნენ?

და აი, დადგა დღე, როცა ყვითელთმიანმა, ჯაჭვებიანმა გოგოებმა გიორგის შეხედეს. უტიფრად ჩასცქეროდნენ თვალებში, აკვირდებოდნენ, მართლა ლამაზი მამაკაცი იყო გიორგი თუ არა.

გიორგის რედაქციაში უამრავი საქმე ჰქონდა, ქალებს მხოლოდ გაუღიმებდა და ქაღალდებში ჩარგავდა თავს. როცა პაპიროსის მოსაწევად ან დასასვენებლად აივანზე გამოჩნდებოდა, მაშინ კი ყველას გულთბილად ესაუბრებოდა. ამხანაგები გიორგის აკვირდებოდნენ. როცა ქალს დაელაპარაკებოდა, დაინტერესებულნი ეკითხებოდნენ:

— რაო, რა უნდოდა გიორგის?

გიორგი ატყობდა, ახლა რაც არ უნდა ეთქვა, ყველაფრის დაუჯერებდნენ, და დაიწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პაემანი დავუნიშნე.

— ვის, მზიას?

— პო, რა მოხდა? ქალი ყველა ქალია.

მელოტი ცდილობდა აეხსნა ეს ფაქტი და წრიალებდა. ცნობილი ფსიქოლოგების აზრებს იშველიებდა, კაცი ვერ გაიგებდა, რას ამტკიცებდა, რა უნდოდა. რამდენიმეჯერ უცხო სიტყვა „ლიბიდო“ წამოისროლა, — იქვე ახსნა, რა იყო ეს „ლიბიდო“, და როცა საკუთარი თავი დაარწმუნა, რაღაც დავამტკიცეო, დამშვიდდა.

მაღალ-ოთარს ფაქტის პრაქტიკული მხარე აინტერესებდა. მეორე დღეს გიორგის ჰკითხა:

— რა ჰქენი?

— არაფერი, კინოში ვიყავით.

— გასაგებია.

გიორგის უხაროდა, ბიჭები უკვე უსიტყვოდ რომ „უგებდნენ“: ტყუილის თქმა მაინც ეძნელებოდა. რაკი „საქმე აეწყო“, გიორგი აღარ შეჩერდა. როგორც კი ბიჭები ტრაბახს მოჰყვებოდნენ, გიორგი სხვათაშორის იტყოდა:

— წუხელ მერისთან ვიყავი...

ყოველთვის ისეთ ქალს შეარჩევდა, ბიჭები შორიდან რომ იცნობდნენ, ლამაზიც რომ იყო და პატიოსანიც, ან ცოტათი „სხვანაირი“. ეს იყო და ეს, მეტს არაფერს ამბობდა. „ზოგი დადგება და ყველაფერს წვრილად მოყვება, გიორგი აბა, ამას როგორ იკადრებს“, — ფიქრობდნენ ბიჭები.

— რომ იცოდეთ, რა კარგი ქალია ლია, — თანამშრომელზეც შეაპარა ერთხელ გიორგიმ. აინტერესებდა, რა მოხდებოდა. აი, რა მოხდა: ყვითელთმიანთა, წითელთმიანთა, ჯაჭვიანთა საკრებულოში ხმა გავარდა, გიორგის ჩვენი ლია მოსწონებიაო. მათ გაეგოთ, გიორგი თბილისში სილამაზით განთქმულ ქალებთან: ელიკოსთან, მზიასთან, მერისთან დადისო. დაიწყო მტკიცება, ლია მათ არ ჩამოუვარდებაო. ლიამ კი მოსვენება დაკარგა. ყოველდღე ელოდებოდა, აი, ახლა მოვა გიორგი ჩემთან და აი, ახლაო. ხალხს რა გამოეპარება, — ხედავდნენ, რომ ლია დღისით, მზისით ეკურკურებოდა გიორ-

გის. გიორგი კი ყურადღებას არ აქცევდა. შეიქნა მითქმა-მოთქმა, გიორგის გარშემო წრიალი, ტრიალი და აი, აღმოჩნდა, რომ გიორგი ლამაზი კაცი ყოფილა. აღმოჩენა ლულუს ეკუთვნოდა. მან შეადგინა სია, დაწესებულებებიდან სამ-სამი ლამაზი მამაკაცის სახელი და გვარი ჩამოწერა და გოვოებს დაურიგა. ქულები უნდა დაეწერათ ორი ნიშნის მიხედვით: „ვინ არის ყველაზე ლამაზი“, „ვინ გაღელვებს“.

გიორგიმ ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა.

იმ დღეს სამსახურში ისეთი ამბავი ატყდა, განყოფილების გამგეებმა რედაქტორთან იჩივლეს, — ლიტმუშაკები და კორექტორები გაგიჟდნენო, რედაქტორი აიძულეს სასწრაფოდ თვითბრი მოეწვია და წესრიგი დამყარებინა.

როგორც იქნა, დაშოშმინდნენ, დაწყნარდნენ.

გიორგი არ ელოდა. საწადელს მიაღწია და რაღა მნიშვნელობა ჰქონდა, ქალები რას ილაპარაკებდნენ. ამხანაგებში წელგამართული დადიოდა. ქალებზე სიტყვას რომ ჩამოაგდებდა, ყველა გაჩუმდებოდა. ერთხელ, როცა მაღალ-ოთარმა ჩვეულებრივად დაიწყო ტრაბახი, გუშინ ერთი ქალი შემხვდაო, გიორგიმ საუბარი შეაწყვეტინა, ლოყაზე ხელი მოუთათუნა და თვითონ დაიწყო მოყოლა. მაღალ-ოთარმა არაფერი არ სთქვა. ამის შემდეგ ვინ გაბედავდა გიორგისთან ქალზე ლაპარაკს!

გიორგი გაიტაცეს, გიორგი აიტაცეს, ყველა ოთახში, ყველა სართულზე ახსენებდნენ. და აი, ერთ მშვენიერ დღეს ლულუმ გიორგი შინ დაპატიჟა. ეს ძალიან დიდი პატივი იყო. ლულუსთან, როგორც თვითონ ამბობდა, „იკონებენდა თბილისის ყველაზე ლამაზი, ყველაზე განათლებული, ყველაზე კულტურული ახალგაზრდობა“.

თანამშრომელი ლულუს არასდროს დაუპატიჟნია. გიორგი იყო პირველი კაცი, ვისაც ეს დიდი პატივი არგუნა.

იმ საღამოს ყვიოელთმიანები, წითელთმიანები და ჯაჭვიანები მოუთმენლად მოელოდნენ გიორგის. უკრავდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და კარებისკენ იყურებოდნენ. ამაოდ მოეღოინაცთ კისერი. გიორგი არ მოვიდა.

მათ გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. გიორგი არ იყო სუფრის კაცი. დღეობებში, წვეულებებსა და ქორწილებში არ დადიოდა. ღვინის სმა არ შეეძლო, არც უყვარდა. ცეკვა არ იცოდა და სიმღერა. ვერც მჭევრმეტყველებით დაიკვეხნიდა. მაშ, რისთვის მჯდარიყო სუფრასთან? ადრე გიორგის არავინ პატიჟებდა. ახლა პატიჟებდნენ, მაგრამ გიორგი არ მიდიოდა. უბრალო ჭეშმარიტება იცოდა, — „კოჟლი საცეკვაოდ არ უნდა წავიდეს“.

გიორგის საიდუმლოდ უნდა შეენახა თავისი პიროვნება. ადრე, როცა არაფრად თვლიდნენ, არც კი იცოდნენ, გიორგი ვინ იყო, საიდან მოვიდა, რა იცოდა, როგორ ოჯახში აღიზარდა. ახლა დაინტერესდნენ, მაგრამ გიორგიმ მათ ყველა მისასვლელი ჩაუკეტა. ახლოს არავინ მიუშვა. მხოლოდ შორიდან უტრიალებდნენ. ისიც ყველას თავაზიანად უღიმოდა და ოდნავ მოწკურული თვალებით შესცქეროდა, თითქოს ადამიანში რაღაცას ეძებსო.

გიორგის უკვე გადაავიწყდა თავისი ძველი „შეყვარებულები“ თუ „საყვარლები“. ახლები „გაიჩინა“. ყველბოდა და ყველბოდა სასიყვარულო თავგადასავლებს. ისე დაოსტატდა, ბიჭები ეხვეწებოდნენ, არა ეს მოგვიყევი და არა ესო.

გავიდა ხანი. კაცმა არ იცის, ვინ სთქვა პირველად, ვის ეკუთვნოდა ახალი აღმოჩენა. თითქოს მთელმა სამსახურმა, ყველა თანამშრომელმა კოლექტიურად აღმოაჩინა, — გიორგი ნიჭიერი კაცი ყოფილა.

ურიგო მუშაკი არ იყო. თავისი საქმე კარგად იცოდა. არ ჭირდებოდა შენიშვნა, გაფრთხილება. ასე იცნობდნენ გიორგის რედაქტორი, მოადგილე, მდივანი, განყოფილების გამგე. ერთ სარედაქტორო თათბირზე რეცენზენტმა გი-

---

ნოდარ წულეისკირი
ორი უძილო ღამე

ორგის პატარა წერილი შეაქო. „ნიჭიერულად დაწერილი“, „ღრმა შინაარსიანი“, „საინტერესო“ უწოდა. რეცენზენტს ლიტმუშაკი აჰყვა, შემდეგ მეორე წამოდგა, მესამე. „ასეთ წერილებს გიორგი ადრეც წერდა, ალბათ ყურადღებას არ აქცევდნენ“, — გაიფიქრა რედაქტორმა. „რადგან ხალხს მოსწონს, ალბათ საინტერესოა“, — გაიფიქრა რედაქტორის მოადგილემ.

„გიორგი პატიოსანი და ჩუმი მუშაკია, კოლექტივი მხარს უჭერს, მეც უნდა დავუჭირო მხარი, რა მოხდა, თუ წერილს ზედმეტად აქებენ, გიორგი შექების ღირსია“, — დაასკვნა რედაქტორმა და თათბირი შეაჯამა.

ამ დღიდან გიორგის ტიტულს „ჟურნალისტ გიორგის“ მიემატა ერთი ძალზე ტკბილი სიტყვა „ნიჭიერი“. ამიერიდან გიორგის ეწოდებოდა: „ნიჭიერი ჟურნალისტი გიორგი“.

გიორგი ამ ახალ აღმოჩენასაც მშვიდად შეხვდა. ჩვეულებრივად დადიოდა სამსახურში. ყველას ერთნაირად, თავაზიანად ექცეოდა. მხოლოდ ერთ უმნიშვნელო ცვლილებას კი შენიშნავდა გამოცდილი კაცის თვალი; გიორგის უფრო ხშირად ნახავდით განყოფილების გამგესთან, რედაქტორის მოადგილესთან, მდივანთან. სამსახურიდან მათთან ერთად გამოდიოდა. მაღალ-ოთახთან, მელოტთან და სხვა ბიჭებთან იშვიათად საუბრობდა. მელტი ცდილობდა ფაქტი აეხსნა, თეორიულად დაესაბუთებინა.

სულ მალე გიორგიმ თავისი ტიტული სხვაგანაც გაიგონა. კინოსურათის დამთავრების შემდეგ უამრავ ხალხთან ერთად დაფიქრებული გამოდიოდა დარბაზიდან. ერთმა კაცმა მეორეს გადაულაპარაკა: „ნიჭიერი ჟურნალისტი გიორგი“.

თითქოს არ გაუგონიაო, ჩუმად გამოვიდა დარბაზიდან და გახარებულმა მოუსვა შინისაკენ. სიხარულს სიხარული დაემატა: ერთხელ გიორგი თავისი სამუშაო ოთახის კარებთან რედაქტორის მოადგილემ შეაჩერა და ყურში უჩურჩულა: „ხვალ საღამოს რედაქტორთან ვართ დაპატიჟებული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკვე მეტისმეტი იყო. შეიძლებოდა გიორგის გული გასკდომოდა. რედაქციიდან ხუთი კაცი იყო დაპატიჟებული და მათ შორის გიორგიც. მთელი ღამე არ ეძინა.

სიბნელეში თვალგახელილი იწვა და საღდეგრძელოებს ამბობდა. ვერა და ვერ შეთხზა რედაქტორის საღდეგრძელო. ღამის ორ საათზე გადაწყვიტა, არ წასულიყო. „კოჭლი საეცეკვოდ არ უნდა წავიდეს“,—უთხრა ერთმა გულმა. მეორე გული შეედავა: „კი მაგრამ, რედაქტორი რას იფიქრებს?“.. ვერაფრით ვერ მოისაზრა, რას იფიქრებდა რედაქტორი. იტრიალა, იტრიალა და ღამის სამ საათზე დაასკვნა: „უნდა წავიდე“. „მაშინ რედაქტორის საღდეგრძელო მოიფიქრე“.

გიორგიმ დაიწყო: „ბატონებო“... საბნის ქვეშ სამარისებურ სიჩუმეში „ბატონებო“ ისე უტიფრად გაისმა, გიორგიმ გაიფიქრა: „არ ვარგა, მეტიჩრული სიტყვაა“... „პატივცემულო სუფრის წევრებო“, — უჩურჩულა საბანს. „ვის მივმართავ? სუფრასთან ვინ იქნება?“ — ჰკითხა თავს, წარმოიდგინა ვინც იქნებოდა, გვარებიც კი დაასახელა, და შერცხვა: სახელგანთქმული მწერლები, მეცნიერები, სახალხო არტისტები... ამ ხალხისთვის უნდა მიემართა გიორგის: „სუფრის წევრებოო“. რედაქტორი უსათუოდ გაიფიქრებდა, „ვინ არის, ბიჭო, შენი სუფრის წევრები“...

ღამის ოთხ საათზე გადაწყვიტა არ წასულიყო.

— გიორგი, არ გძინავს? — ჰკითხა ხმამაღლა ცოლმა. გიორგიმ საბნიდან თავი გამოჰყო. ახლა პირველად გაიგონა, რა არხეინად ფშვინავდნენ ამიკო და ტარიელი.

— არ მძინავს.

— უსათუოდ უნდა წახვიდე.

— დაიძინე, ქალო, წვალ აბა რას ვიზამ! — ვითომ უდარდელად სთქვა გიორგიმ და კვლავ საბნისქვეშ შეძვრა.

ღამის ხუთ საათზე გადაწყვიტა წასუ-

ლიყო. აღარ ახსოვს, ძილი როდის მოეპარა.

მთელი დღე თავი ტკიოდა და გული ერეოდა. ტანჯვა-წვალებით გაიარა დღემ. ტანჯვა-წვალებით დაღამდა. გიორგიმ დაიბანა, დაიგარცხნა, გამოეწყო, დიდხანს იტრიალა სარკის წინ, ლასლასით გამოვიდა სახლიდან და გზას გაუდგა.

შევიდა თუ არა რედაქტორის ფართო და ნათელ დარბაზში, მაშინვე იგრძნო, რომ სულ სხვა გარემოში მოხვდა. სრულიად ზედმეტი იყო ნერვიულობა, გაუკვირდა, ყველა ისე თავისუფლად და შინაურულად იქცეოდა. დარბაზი ხალხით იყო სავსე, მართლაც გამოჩენილი მწერლები, მეცნიერები, მსახიობები და საზოგადო მოღვაწენი შეკრებილიყვნენ.

ჩვეულებრივად თამაშობდნენ ნარდს, კარტს, ჩვეულებრივად ჭამდნენ, სეამდნენ, ერთმანეთს ეხუმრებოდნენ, დასცინოდნენ კიდეც. როცა ერთმა სახალხო არტისტმა იხუმრა და ხალხი სიცილით დაწყდა, გიორგიმ გაიფიქრა, „მე არ მომიხდებოდა ასეთი ხუმრობა“.

რედაქტორმა ისე გულთბილად მიიწვია სუფრასთან, ისეთი კარგი ადგილი შეურჩია, კინაღამ იტირა.

დაიწყეს სადღეგრძელოები, ლაპარაკობდნენ მოურიდებლად, თავისუფლად. რედაქტორმაც კი სთქვა ერთი-ორი მხიარული ანეგდოტი. ნამდვილი ლხინი გაიმართა. გიორგიმ ყურები ცქვიტა, კი არ ლაზღანდარობდნენ, დამაფიქრებელ ამბებზე საუბრობდნენ. ყოველ ხუმრობას ჰქონდა აზრი და დანიშნულება. მერე სიმღერა წამოიწყეს. ერთმა მსახიობმა მშვენიერი ლექსი წაიკითხა. გიორგის ვერ წარმოედგინა, დღეს სუფრაზე ვინმე ლექსს წაკითხავს თუ გაბედავდა. არავის დაუცინია, ტაში დაუკრეს. გიორგიმაც დაუკრა ტაში. გახარებული იჯდა. მხოლოდ ეგ იყო, ღვინო ადრე მოეკიდა. არ უნდოდა დათრობა, მაგრამ ღვინო აღარ ინდობდა. იფიქრა, მეტს აღარ დავლეკო. თამადამ მაშინვე შენიშნა, გიორგის შერცხვა და სულ-მოუთქმელად გადაკრა ღვინო. იჯდა ჩუმად, სვამდა, ხან ერთს შესცქეროდა და ხან მეორეს. დათვრა. მოლოდ ხმა ურიღა ესმოდა. ერთმა მეცნიერ-მეუღლემ შეამჩნია გიორგი ეგიან შენიშნა და გვერდით მჯდომ ამხანაგს გადაულაპარაკა:

— შეხედე, ეს კაცი სულ ჩუმად ზის. ორში ერთია, ან ჩვენზე მეტი იცის, ან ვიღაცასთან დანიძლავებულია.

გადაიხარხარეს. გიორგის არაფერი გაუგია. რაცა შესვენება გამოცხადდა, გიორგი გაიპარა. კი არ გაიპარა, დაადო თავი და წავიდა.

— თავი დაანებეთ, მთვრალია, წავიდეს, — სთქვა რედაქტორმა.

რედაქტორის ვაჟმა ჩააცილა, მანქანა გაუჩერა და ჩასვა.

— ვეძისში, — უთხრა შოფერს, მაშინვე თავი ჩაკიდა და ჩათვლიმა. შოფერი შეშინდა, ვაი თუ ჩაეძინოს და ვერ გავაღვიძოო. გიორგი ყოველ ორ წუთში თავს მაღლა ასწევდა და ფანჯარაში იცქირებოდა. როცა გაარკვევდა სად იყო, კვლავ ჩაკიდებდა თავს და თვლემდა... მერე კარგა ხანს არ აუწევია თავი. შოფერმა იფიქრა, ახლა კი ნამდვილად ჩაეძინაო, მაგრამ გიორგიმ დამფრთხალმა გაახილა თვალი, — აქ გააჩერეო, — შესძახა და ჩამოვიდა. სადარბაზო აღარც კი შეუთვალიერებია, ისე შევიდა, თითქოს აქ ყოველდღე დადიოდა. ეს იყო საოცარი მოგზაურობა. ღამის ორ საათზე გიორგი მიდიოდა ქალთან — ელიკოსთან. სადარბაზო კარგად იყო განათებული. ხუთიოდე საფეხური უნდა აეევლო და იქვე, პირველ სართულზე, მარჯვენივ უნდა დაეკაკუნებინა. თვალდახუჭული, თავჩაკიდული იდგა კიბესთან და არ ინძრეოდა. თავს ძალა დაატანა, თვალი გაახილა, კიბე შეათვალიერა, თითქოს ხუთი საფეხურის ავლა ეძნელება და ვერ გადაუწყვეტია როგორ მოიქცესო. როდისროდის შეირხა, კედელს მიეყრდნო, გეგონებოდათ კედელმა უბიძგაო, ცალი ფეხი შედგა საფეხურზე, შეჩერდა, კვლავ

უბიძგა კედელმა და მეორე ფეხიც შედგა. უცებ მოწყდა და მოაჯირს გადაეკიდა. მოწშინდა მოაჯირი და კედელიც და, როგორც იქნა, მარჯვნივ დააკაკუნა.

ელიკომ გგიან გაუღო კარი.

— გეძინა? — ჩაილუღლუღა გიორგიმ და ოთახში ჯიქურ შევიდა. ქალი გაოცდა, აირია, შეშინდა კიდეც, მთვრალ კაცს მოერიდა და კარს ამოეფარა. გიორგიმ ვიწრო გასასვლელი ბარბაცით გაიარა, კოსტუში გაიხადა, იქვე სკამზე დაადგდო, საკინძე შეიხსნა, სახეზე ხელი მოისვა, სარკეში ჩაიხედა, მერე სავარძელში ჩაეშვა და თავი ჩაკიდა. დაბნეული ელიკო მეორე ოთახში შევარდა, იქნებ მოვიფიქროო, როგორ მოვიქცეო.

— სადა ხარ, არ მოდიხარ? — დაიძახა უცებ გიორგიმ. ისე იქცეოდა, თითქოს მართლა საყვარელთან ყოფილიყო. ელიკო გვიან შემოვიდა. გიორგის წინ დაბალ ტახტზე დაჯდა და მაღალ მუხლებზე ორივე ხელი შემოიჭდო. ქალი შინ უფრო ლამაზი ჩანდა. ხალათი ღამის პერანგზე გადაეცვა და თეთრი მკერდი მოუჩანდა. გიორგი თავჩაქინდრული იჯდა, ეძინა თუ ფიქრობდა, კაცი ვერ გაიგებდა. „რა მაგარი მთვრალია“, გაიფიქრა ქალმა. ელიკო გიორგის იცნობდა, გაეგონა, რომ ქალების მადევარი კაცია. სულ არ ახსოვდა, ამ ხუთიოდე წლის წინათ ტაქსში რომ შეხვდა. გიორგი ელიკოსთვის მხოლოდ „ნაცნობი სახე“ იყო. „ნაცნობ სახეს“ ესალმებოდა. შემდეგ ქალაქში გაჩნდა ვიღაც გიორგი. ძალზე საინტერესო პიროვნება, ვისთვისაც ლამაზი ქალები ჭიუას კარგავდნენ. ელიკომ მიიკითხ-მოიკითხა და დაადგინა, რომ „ნაცნობი სახე“ გიორგი იყო. ეს იყო და ეს. რას იფიქრებდა, შუაღამისას კარზე თუ მოადგებოდა... რა ექნა?.. მეზობლებისთვის დაეძახნა?.. დაერეკა?..

უეცრად გიორგი წამოდგა. კართან მილასლასდა და... გასაღები გადაატრიალა. ელიკოს მოეჩვენა, რომ ოთახში მეხი გავარდა. „როგორმე უნდა შევინარჩუნო სიმშვიდე“, — გაიფიქრა ქალმა. გიორგიმ ფარდაკე ფეხი წამოსდო და ოთახში ისე შემოვარდა, თითქოს კინწი ჰკრესო. ტახტს მიუახლოვდა და ელიკოს თავზე დაადგა. ქალმა მშვიდად ახედა და მაშინვე შენიშნა, რომ მის წინ იდგა სულ სხვა კაცი, გაწამებული, გატანჯული, სუსტი მხრებით და გრძელი გამხდარი მკლავებით. „ეს არ არის საშიში კაცი, — გაიფიქრა ქალმა. — რასაც აკეთებს, ყველაფერი მოგონილია“.

— რა მოგივიდათ, გიორგი, ასე მაგრად სად დათვერით, დაჯექით, დაისვენეთ, — ელიკომ ფრთხილად მოკიდა ხელი და საგარძელში ჩასვა, — თქვენზე ამბობენ, პატიოსანი, წესიერი კაციაო, — იცრუა ქალმა.—ამ შუაღამისას შინ რომ არა ხართ, ვინ იცის, იქნებ თქვენს მეუღლეს არ ძინავს, არ გეცოდებათ?

გიორგის ეგონა, რომ ცივი წყალი გადაასხეს, თითქოს ბნელ საკანში იჯდა და უეცრად გააღეს კარები, თითქოს ვიდაცამ თავისი ნამდვილი სახელი დაუძახა, სულის სიღრმეში ერთ სიმს ჩამოჰკრა... გიორგიმ თვალი გაახილა, თავგბრუ დაესხა თუ გამოფხიზლდა. სახეზე ხელი მოისვა, თვალები მოისრისა, წამოდგა. სიზმარია თუ ცხადია, — ტახტს დაეჩერდა, დარეტიანებული ჯორიკივით დადგა. მხოლოდ ახლა შენიშნა, რომ ოთახი თვალისმომჭრელად იყო განათებული. სინათლემ საკუთარი თავი აღმოაჩენინა; მიხვდა, იდგა შუა ოთახში და მის წინ, ტახტზე უცხო ქალი იჯდა. მხოლოდ ერთი კითხვა გაუჩნდა. „ნეტავ სადა ვარ?.. საბოლოოდ გამოფხიზლდა, ვერაფრით ვერ იაზრა, ოთახიდან საიდან უნდა გასულიყო. გაურკვეველი, შეუცნობი შიში დაეუფლა და ციებიანივით აკანკალა. უნებლიეთ მოტრიალდა, დაავლო ხელი თავის კოსტუმს, მოწყდა ადგილიდან და სადარბაზოში გულგახეთქილი გამოვარდა.

ელიკომ კეთილად გაიღიმა, გაუხარდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

დილით გიორგის თავის ოთახში გამოეღვიძა. მაშინვე საბანი თავზე გადა-

იხურა, თავი მოიმძინარა. ამიკო და ტარიელი მაგიდასთან ისხდნენ, — დედა ასაუზმებდა. გიორგი იწვა და ფიქრობდა, იხსენებდა წუხანდელ ღამეს: როგორ წამოვიდა რედაქტორის სახლიდან? სად იყო? — არაფერი არ ახსოვდა. მის გონებაში, როგორც ცუდი ფილმის კარგი ეპიზოდი, დარჩენილიყო მხოლოდ ქალი, ისიც ნამდვილი იყო თუ არა, არ იცოდა. ეჩვენებოდა, რომ რაღაც დაკარგა, მაგრამ რა? მთელი დღე იწვალა, იფიქრა, იფიქრა, იფიქრა, ვერას გახდა. სამსახურში არ წავიდა. ცოლი ეჩხუბა, ეკაკლდანა, — არაფრით არ ადგა. ასე ეგონა, თუ საბანს გადაიხდიდა, მოკვდებოდა ან დამშლა დაეცემოდა. მთელი დღე იწვა საბნის ქვეშ საცოდავად მოკუნტული. მხოლოდ მეორე დილით ადგა. ძალიან გაუკვირდა, როცა არც დამშლა დაეცა და არც მოკვდა. ოთახში გაიარ-გამოიარა, გარეთ გაიხედა. გაბედა და, ... ჩაში გამოვიდა. სუფთა ჰაერზე დიდხანს ისეირნა. ვერა და ვერ მოისვენა. სამსახურში დააგვიანა. თავის ოთახში ქურდივით შეიპარა. მაშინვე მაგიდას მიუჯდა და წერას შეუდგა. მთელი დღე თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან, მაგრამ არაფერი არ დაუწერია, აბოლოებდა და ფიქრობდა.

საღამოს შინ ცოლს გამოუცხადა,— გადაღლილი ვარ და უნდა დავისვენო, ქალაქიდან უნდა გავიდეო. ცოლის უთავბოლო შეკითხვებს არ უპასუხა, მუნჯად გამოიწყო ჩემოდანი და ღამის მატარებელს გაჰყვა.

ნოდარ წულეისკირი

ორი უძილო ღამე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

ადამიანებს იზიდავს მიწა,
ადამიანებს ეძახის ზეცა, —
ბევრჯერ ზეიმის მიზეზი მისცა
და სასწაულებს ჰპირდება დღესაც.
ადრე შეუკრა ცხოვრებამ წარბი,
მაგრამ უმზეო დღეების მიღმაც
ადამიანი არ იყო ხარბი,
ადამიანი ელოდა დიდხანს.
მზეს გაუსწორა ამაყი მზერა
და თვალი ცისკენ გაურბის მუდამ,
ბევრი რამ მოსწონს,
ბევრი რამ სჯერა,
როდესაც ფეხი მიწაზე უდგას.
აღარ უჯერებს ყოველთვის თვალებს,
თვალებს დახუჭავს
და მაინც ღვიძავს,
არც ისე შორი ყოფილა მთვარე,
არც ისე მძიმე ყოფილა მიწა.

☆ ———————

თოვლი მოვიდა — თბილი და წყნარი
და კიდევ უფრო თეთრი და წმინდა,
მაგრამ არავინ გაუღო კარი
და მთელი ღამე ქუჩაში იდგა.
გარეთ ეძინა ლოდინით დაღლილს,
თავი მიანდო ლითონის ბოძებს,
ძალიან ადრე ამდგარი ხალხის
ნაფეხურები ეყარა თოვლზე,
და მავთულები გარკვევით ჩანდნენ,
უსმენდნენ თოვლის უცნაურ შრიალს,
ზოგისთვის თოვლი მოვიდა ადრე,
ზოგისთვის თოვლი მოვიდა გვიან;

და ხანძარივით მოედო ირგვლივ,
ცას უბრუნებდა სინათლეს უხვად;
მათთვის ყველაფერს ამბობდა იგი,
რომელთაც დიდი დუმილი უყვართ;
იყო იმათი ერთგული მოძმე
და თავის სიტყვის მორჩილი მონა;
ზოგისთვის თოვლი მოვიდა დროზე,
ზოგისთვის თოვლი არასდროს მოვა...
სახლები ფანჯრებს აღებდნენ
თრთოლვით,
დიდი ქალაქი სუნთქავდა უკეთ
და უხარდათ პატარებს თოვლი,
რომელიც დიდებს მოსწყინდათ უკვე.

☆ ————————

არ დაკარგულან ძვირფასი ხმები,
კვლავ გვეძახიან,
როგორც გვეძახდნენ,
ძვირფასი ხმების ძალით და ნებით
კვლავ ამაღლდება სული ზეცამდე;
დავწვავთ გულებში ჩარჩენილ ეკალს,
დავწვავთ თვალებში ჩამდგარ უკუნეთს
და გავიგონებთ ზარების რეკვას,
რომელსაც ზეცა მიწას უბრუნებს;
მზეს დავინახავთ,
ხოლო დანარჩენ
დღეებს დღეები დაგვავიწყებენ,
შეგვაყვარებენ ღამის დარაჯებს
და მეცნიერე ვარსკვლავთმრიცხველებს.
არ დაკარგულან ძვირფასი ხმები,
კვლავ გვეძახიან,
როგორც გვეძახდნენ,
ძვირფასი ხმების ძალით და ნებით
ისევ მაღლდება სული ზეცამდე,
და იფანტება ძველი მირაჟი
და თვალს ახალი სივრცე იტაცებს...
მხოლოდ სხეული ჩადის მიწაში,
ძვირფასი ხმები რჩება მიწაზე.

☆ ————————

მე ჯერ არ ვიცი ასაკის ფასი,
რადგან ასაკი თვითონ მამართლებს
და უჩვეულო სინათლით ავსებს
ჩემი ცხოვრების დღეებს სანატრელს.

ფიქრი გამირბის, როგორც თოლია,
დრო კი უსიტყვოდ გადის ყოველთვის,
ჩემი მზე ზუსტად ჩემი ტოლია:
წელს შესრულდება ოცდათორმეტის.
წლები განვლილი შევკარ კონებად
და ვეფერები, როგორც ნარგავებს,
თუმცა პირველი უმანკოება
დაკარგეს, ანდა უკვე კარგავენ.
მე მაინც დავრჩი ერთგული დღემდე
და ისევ ვღელავ, როგორც ვღელავდი,
ხოლო ფერადი წვიმების შემდეგ
ისევ ჩრდილები მიყვარს ფერადი.
ისევ არ ვიცი ასაკის ფასი,
რადგან ასაკი თვითონ მამართლებს
და უჩვეულო სინათლით ავსებს
ჩემი ცხოვრების დღეებს სანატრელს.

☆

ქალაქს არა აქვს ზღვა და... ზღვასავით
ეალერსება ქალაქს მდინარე,
რომელსაც ერთადერთი ვარსკვლავი
ხან აჩენს და ხან აუჩინარებს.
შუაღამისას ფიქრი ანაზდად
აედევნება მაღალ ჩინარებს,
მდინარესავით სტოვებს ქალაქს და
ზღვას უერთდება, როგორც მდინარე.
და მე გავდივარ ოკეანეში,
კარებს მიღებენ დიდი პორტები,
და მენატრება დედის ალერსი,
მიწას რაც უფრო მეტად ვშორდები.
მესალმებიან უცხო ტომები,
შემომძახიან უცნობ სტრიქონებს,
და მე ნელ-ნელა ვეპატრონები
ქვეყნებს, რომლებსაც თვითონ ვიგონებ.
ვეებერთელა ტერასებიან
ოკეანეებს თავზე ვევლები...
მაგრამ თანდათან ემსგავსებიან
ქაღალდის ნავებს ჩემი გემები.
აფრთხობს ოდნავი ხელის შეხებაც
ჩემი ოცნების ჩამქრალ ვულკანებს...
და როცა დილა ფანჯრებს შეღებავს,
მე ვუბრუნდები ქალაქს უკანვე.
ისევ შფოთავენ სულში ქარები,
ისევ ეძახის გული ჩინარებს,
და თვალი ისევ ზღვისკენ გამირბის,
როცა ქალაქში ვხედავ მდინარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ლოჩანაშვილი



მოთხრობა

მანქანამ მარდად ამოიარა აღმართი და ფილიპეს სახლთან შეჩერდა. მანქანის კარი სკოლის დირექტორმა გამოაღო და მოხუცებულ კაცს გაუწოდა ხელი. მოხუცმა ჯიუტად გაუყარა თვალი თვალში იმ კაცს, დახმარებას რომ სთავაზობდა. დიდხანს უყურებდა წარბშეუმუხვნილი; ხელგაშვერილმა კაცმა, უხერხულობა რომ დაეფარა, ხალხს მოაკლო თვალი.

მთელი სოფელი შეგროვილიყო ფილიპეს ჭიშკართან. ისინი ხვდებოდნენ ფილიპეს ძმას, დიდ მეცნიერს. ხანშიშესულებს კარგად ახსოვდათ იგი, თუმცა ოცი წლის მანძილზე აღარ ჩამოსულა მეცნიერი იმ სახლში, სადაც დაიბადა. ახალგაზრდები შორიახლო იდგნენ და მოწიწებით შესცქეროდნენ კაცს, ვისი სახელიც ხშირად იხსენიებოდა სოფელში.

სკოლის დირექტორი ისევ ხელგაშვერილი იდგა. მერე სახეზე მორიდება და სიხარული გამოეხატა — მოხუცმა გადმოსვლა დააპირა და მის ხელს დაეყრდნო. ყველა ხედავდა, როგორ გადმოვიდა მანქანიდან იგი, როგორ გაიმართა წელში და ტუჩების შეტოკებაზე შეეტყო, რაღაც რომ ეტკინა. იგი იდგა ხალხის შუაგულში, გამართული, პატარა, თეთრთმიანი კაცი. ყველა მას შეჰყურებდა და ვერავინ შეამჩნია, როგორ გადმოვიდა მანქანიდან მისი ცოლი, ხანშიშესული, ჯერ კიდევ ლამაზი ქალი. მეცნიერი იდგა და ათვალიერებდა ცნობისმოყვარე, ოდნავ შეშინებულ სახეებს. იგი უყურებდა თანასოფლელებს და, წარბშეუმუხვნილს, არც ეტყობოდა, რომ ეამაყებოდა ასეთი მორიდებული ხალხის დანახვა.

— გაგიმარჯოთ.

— გაუმარჯოს... ბატონ ვარლამს გა-

უმარჯოს... სიცოცხლე და გამარჯვება!

— ქუდი დაიხურე, ვარლამ, მზეა, — უთხრა ცოლმა. ის კი, თითქოს არაფერი გაეგოს, ისევ ისე იდგა, მერე ქუდი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენა თავის ძმას ფილიპეს გაუწოდა.

— როგორა ხარ, ფილიპე?

— არა გგიშავს... შენ როგორა ხარ?

ვარლამი უყურებდა ძმას და არ მოსწონდა მისი საოცრად მშვიდი და მორჩილი გამომეტყველება. მერე მეზობლებს ჩამოართვა ხელი. ფილიპეს ცოლი სახელოებაკაპაიწებული ქალი სახლიდან გამოვიდა. ჯერ ვარლამს გადაეხვია, მერე მის ცოლს — მობრძანდით, ბატონო... მობრძანდით, ქალბატონო მარიკა...

ვარლამმა ახლა ჭიშკარს შეხედა — „ჰო, გამოუცვლიათ"... მგზავრობისაგან დაღლილს ესიამოვნა რბილ ბალახზე გავლა. ნელა აიარა კიბე, აივანზე შეისვენა, მოაჯირს დაეყრდნო და ხალხს გადახედა. ყველანი აღტაკებით შესცქეროდნენ მათს სოფელში დაბადებულ დიდ მეცნიერს.

— პატარა ჰურ-მარილი მოვამზადეთ, — მორიდებით სთქვა ფილიპეს ცოლმა, — ახლა ინებებთ თუ...

— ძალიან დაიღალა, — შეშფოთდა მარიკა, — ცოტას თუ დაისვენებს, კარგი იქნება.

— მერე აჯობებს, — სთქვა ვარლამმა, — ცოტათი დავიღალე გზაში.

— კი, ბატონო, როგორც გენებოთ, — შეწუხდა ქალი, — აქ შებრძანდით, ეს ოთახი თქვენთვის გავამზადე.

ვარლამი ტახტზე იწვა და მარიკას დაძინებას ელოდა. ღიმილით შეაფთალიერა კედელზე გაკრული ძველი ხალიჩა. ხალიჩაზე ხეები და მდინარე იყო ამოქარგული, ირმები წყალს სვამდნენ. იქვე, მდელოზე, თვალდაჭყეტილი მახინჯი ქალი წამოგორებულიყო.

მარიკა იწვა და ისეთი კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ქმრის ამბებს ჰყვებაო. მას ჩვეულებად გადაექცა ვარლამის ქება, თუმცა კარგად იცოდა, რომ ყველა აფასებდა მის ქმარს. სხვადასხვა ნაცნობთან სხვადასხვანაირად ახასიათებდა ვარლამს. ზოგს ეუბნებოდა, ჩემი მეუღლე ამჟამად ძნელად გადასაჭრელ პრობლემებზე მუშაობსო, ზოგს კი უბრალოდ ეტყოდა, ვარლამის მოსაზრება ყოველთვის მართლდებაო.

ახლაც იწვა და ისეთი კმაყოფილი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ქმრის ამბებს ჰყვებაო. ვარლამი კი მოუთმენლად ელოდა მარიკას დაძინებას. მას ეჩქარებოდა აივანზე გასვლა, უნდოდა ყოველგვარი მოწმის გარეშე დაეთვალიერებინა ნაცნობი მიდამო. ხუთიოდე წუთის შემდეგ, როცა ცოლის თანაბარი ფშვნეცა შემოესმა, ვარლამი ფრთხილად წამოდგა, აივანზე გავიდა და მოაჯირს ხელისგულებით დაეყრდნო.

იგი უყურებდა ძალიან ნაცნობ მიდამოს და ნელა, მძიმედ აქნევდა თავს — „ჰო, ეს არის, — ფიქრობდა იგი.—ჰო, ეს ის სოფელია, სადაც დავიბადე".

მზე ანათებდა ნაცნობ ბორცვებს და თვალებს სტკენდა ამ ბორცვების ხასხასა სიმწვანე.

ეზოში ჭა იდგა, კოხტად ამოშენებული. გემრიელი წყალი იცოდა ამ ჭამ. ვაშლის ხეების ჩრდილი ეფინა ბალახზე. აქა-იქ ეყარა თივა. „ჰო", თავს აქნევდა მეცნიერი, „სწორედ ის ეზოა".

მერე ვარლამმა სხვენს აახედა, თვალი მოავლო იატაკს, ფანჯარას. ჰო, ეს სწორედ ის სახლი იყო, სადაც დაიბადა და გაიზარდა. ასეთი სახლი ბევრი იყო სოფელში. ამ სახლებს აწვიმდა, აცხუნებდა მზე, სახურავებზე ხტოდა სეტყვა და ხვავრიელად ათოვდა სახურავებს. კედლებზე ჩნდებოდა ბზარი, ტყდებოდა კრამიტი, საძირკველში ჩადიოდა წყალი და წასაქცევად გამზადებულ სახლს ხალხი შეაკეთებდა ხოლმე, უფრო ხშირად კი ახალს აგებდა. ბევრი ახალი სახლი იდგა სოფელში, მაგრამ ვარლამი არ უყურებდა მათ. იგი თვალმოჭუტული შესცქეროდა ძველ, მაგრამ მაინც ხასხასა ბორცვებს და ნელა, მძიმედ აქნევდა თავს — „ჰო... ეს არის... ის სოფელია".

ახლა, როცა იგი სრულიად მარტო იდგა აივანზე, სოფელში ჩამოსვლის მიზეზი გაიხსენა. ორიოდე დღის წინ, როცა ჩვეულებისამებრ თავის საყვარელ სავარძელში იჯდა და მუშაობდა, მუცელში საშინელი ჩხვლეტა იგრძნო. ტკივილმა ორად მოჰხარა და მუშაობა შეაწყვეტინა. ვარლამი ძლივს მივიდა ტახტთან და წამოწვა. შეეცადა, რაიმეთი გაერთო თავი და ოთახი მოათვალიერა. მატოვებული წიგნის დანახვა არ ესიამოვნა. თვალი აარიდა და უცებ ქოთანში ჩარგულ რომელიღაც უხეირო მცენარეს წააწყდა. ათვალწუნებით შესცქეროდა იმ უღიმღამო მცენარეს. გაახსენდა მზით გაბრწყინებული მწვანე ბორცვები და ტოტები, უხვად რომ ისხამდნენ ნაყოფს. გაახსენდა უნაყოფო ხეებიც, დიდი ჩრდილი და ძალიან მყუდრო თავშესაფარი რომ ჰქონდათ. მერე აშკარად დაინახა კოხტად ნაგები სახლები, სუფთა ეზოები და დაკალკინილი მდინარე. შუაზე რომ ჰყოფდა ისედაც პატარა სოფელს. გაახსენდა ყოველივე ეს, სოფელში გამგზავრების სურვილმა ააფორიაქა და მეორე დღეს უკვე მატარებელში იჯდა, გაკვირვებული ცოლის პირისპირ. თვლემამორეული უგდებდა ყურს ბორბლების დგრიალს და ძალიან ეჩქარებოდა იმ მიდამოს დანახვა, სადაც ახლა ოცნებით იყო.

საღამო ხანს სუფრასთან მიიწვიეს. მაგიდები ეზოში იყო გაშლილი, ორმოცდაათიოდე კაცი მოუთმენლად ელოდა ვარლამს. იგი სარკის წინ იდგა და გამეჩხერებულ თმას ივარცხნიდა. ყურადღებით შეათვალიერა თავი და თეთრი ულვაშები შეისწორა. მერე მარიკასთან ერთად აივანზე გამოვიდა, მძიმედ ჩაიარა კიბე. სუფრასთან მივიდა და სანამ დაჯდებოდა, ფეხზე წამომდგარ ხალხს თვალი მოავლო.

პირველად მისი სადღეგრძელო დალიეს. იგი ყურადღებით უსმენდა აღტაცებულ თანასოფლელებს, ღიმილით ათვალიერებდა ნაცნობებს და უცნობებს. ისინი სადღეგრძელოს დამთავრების შემდეგ ბოლომდე სცლიდნენ ჭიქებს და ფრთხილად ჯდებოდნენ სკამზე. ვარლამი ყურს უგდებდა მათ, იღიმებოდა და ჰგავდა იმ კაცს, „ვისი მოსაზრებაც ყოველთვის მართლდებოდა“. სახეზე აღარ ეტყობოდა ის მკაცრი გამომეტყველება, რაც მას შრომამ და გამოცდილებამ შესძინა.

მარიკა გამხიარულდა. მშვენიერ ხასიათზე დადგა და ძალიან ეგემრიელა საჭმელი.

ყველამ შესვა ვარლამის სადღეგრძელო. სუფრაზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ეუხერხულებოდა ლაპარაკი. მერე მოხუცებმა ძველი სიმღერა სთქვეს. ისინი მღეროდნენ სუსტი, მთრთოლვარე ხმით, მრავალხმიანი სიმღერა კი თანდათან მაღლა მიიწევდა და მომღერლებს ძარღვები დაებერათ. ვარლამი უსმენდა მოხუცებს, ყანაში და ვენახში რომ ჰქონდათ გატარებული ნახევარი სიცოცხლე. ახლა ისინი მღეროდნენ თავიანთი სოფლელის, დიდი მეცნიერის პატივსაცემად. ფილიპე ბანს ეუბნებოდა და სიმღერის დროსაც კი ინარჩუნებდა მშვიდ გამომეტყველებას. სიმღერა კი ისევ ადიოდა მაღლა, მოხუცებმა სული მოითქვეს, ძალა მოიკრიბეს და სიმღერა ზნოიანად დაასრულეს.

აღტაცებული ვარლამი ფეხზე წამოდგა და მადლობა გადაუხადა მოხუცებს. ყველა გამხიარულდა, გახარებული უკრავდნენ ტაშს. უცებ გაისმა ,დოლის ბრახული და ტაში ცეკვის რიტმს აჰყვა. ჩოხებში გამოწყობილი ექვსი ახალგაზრდა ცეკვავდა „შეჯიბრს“. ახალგაზრდებმა ნელი, გამოზომილი მოძრაობით დაიწყეს ცეკვა. აშკარად ეტყობოდათ, როგორ იზოგავდნენ მოზღვავებულ ენერგიას. ისიც ეტყობოდათ, ვარლამის პატივსაცემად რომ ცეკვავდნენ. მერე მოცეკვავენი ეშზნი შევიდნენ. უფრო გაბედულად აგუგუნდა დოლი, ახალგაზრდები ცეკვავდნენ თითისწვერებზე, ხტოდნენ ძალიან მაღლა და მუხლებზე ეცემოდნენ. ახალგაზრდებს გადაავიწყ-

დათ ვარლამი და საერთოდ ყველაფერი, სწრაფად ტრიალებდნენ და მათი ქამრები ძლივს უძლებდა ხანჯლების სიმძიმეს. ვარლამი მოიხიბლა ცეკვით, თვითონაც იგრძნო ენერგიის მოზდვავება.

ცეკვა დამთავრდა. ვარლამს უეცრად კუთხეები მოუდუნდა, სეფდა მოაწვა. აღელვებული ხალხი დაწყნარდა, მერე მარიკას სადღეგრძელო შესვეს. ვარლამი უნებურად მოგონებებში ჩაეფლო და გაიხსენა გზა, ამ ეზოდან რომ დაიწყო.

ბავშვობიდანვე გრძნობდა სწორედ იმ ენერგიის მოზდვავებას, ასეთი თავდავიწყებით რომ ეცეკვებდა ამ ახალგაზრდებს და ღრმად მოხუცებულებს ამღერებდა. ვარლამი არ ჰგავდა ამას, — ფილიპე თავიდანვე მშვიდი და მორჩილი იყო. ენერგია დაჭინებით ითხოვდა ასპარეზს, ვარლამი ყველაფერში სცდიდა მას და გრძნობდა, რომ ყველაზე მეტად საზრდო გონებას სჭირდებოდა. ყველაფერს დაკვირვება და შესწავლა ესაჭიროებოდა. ყოველ დღეს მოჰქონდა პასუხი მანამდე გამოუცნობ კითხვებზე და მაინც აწვალებდა ვარლამს ეჭვი — „იქნებ ის, რაც სწორი გგონია, არ არის სწორი“. ამ ეჭვით შეპყრობილმა გულმოდგინედ შეისწავლა სკოლის მარტივი სახელმძღვანელოები, წარმატებით დაამთავრა საშუალო სკოლა, სწავლის გასაგრძელებლად ქალაქში წავიდა და ამოიჩჩია ყველაზე ზუსტი მეცნიერება — მათემატიკა. სოფელში კი დატოვა მოხუცი დედ-მამა და ძმა — მშვიდი, მორჩილი გამომეტყველების მქონე კაცი. პირველ ხანებში ხშირად ჩამოდიოდა სოფელში. ყოველთვის, როცა რაიმე წარმატებას მიაღწევდა, სოფლისკენ მოუწევდა გული. იქ ყველა ხვდებოდა მისი სიხარულის მიზეზს და გულღიად უცინოდნენ ახალგაზრდა მეცნიერს. ვარლამი ღიმილით ესალმებოდა ნაცნობებს, მდინარეზე მიდიოდა და თევზაობდა, ყურს უგდებდა წისქვილის ხმაურს და საკენკს უყრიდა ქათმებს. მერე, დაღლილი და დაფიქრებული, იმედით შესცქეროდა ხასხასა ბორცვებს და ისევ ქალაქისკენ მიუწევდა გული. სოფელში დამშეული გონება დაჭინებით თხოულობდა საზრდოს, ვარლამი ბევრს კითხულობდა და წერდა. ხანდახან [illegible] ბრებული იჯდა თავის საყვარელ სავარძელში და ჩაჰკირკიტებდა რომელიმე გადაუჭრელ პრობლემ.ს, რაზედაც მის საყვარელ მეცნიერებას — მათემატიკას ჯერ კიდევ ვერ გაეცა პასუხი. მათემატიკას იგი უწოდებდა კაცობრიობის გონებას. სწორედ ამიტომ შეეძლო მთელი დღე და ღამე ეფიქრა და თავის საყვარელ სავარძელში მჯდარიყო. ერთხელ, როცა მოულოდნელად ნათურა გადაიწვა და მუშაობა ვეღარ განაგრძო, ვარლამი ძალიან გულნატკენი დარჩა; მომდევნო დღეებში კი ღიმილით შეჰყურებდა გაკაშკაშებულ ნათურას და მოხერხებულად იჯდა თავის სავარძელში. ღამე შეუმჩნეველად გადიოდა. პატარა ნათურის ქოლგიდან სინათლე ეცემოდა ძნელად გასარჩევ ასოებსა და ციფრებს. სიჩუმეს მხოლოდ კალმის სუსტი ფხაჭუნი ან ფურცლის შრიალი არღვევდა. ვარლამი კითხულობდა კოლეგების შრომებს. ისინი ბევრნი იყვნენ და სხვადასხვანაირები — ზოგიერთის მიმართ პატივისცემით იმსჭვალებოდა ვარლამი, სხვები გულწყრფელ ღიმილს ჰგვრიდნენ, ზოგზე ძალიან ბრაზდებოდა. იყვნენ ისეთებიც, ვისიც ვარლამს შურდა. სავარძლიდან აღელვებული დგებოდა და ოთახში ბოლთას სცემდა. მერე მიდიოდა ფანჯარასთან, შესცქეროდა ნათურებით გაჩახჩახებულ ღამეს, უყურებდა მოპირდაპირე სახლის ჩაბნელებულ ფანჯრებს, უყურადღებოდ ათვალიერებდა ცას და თანდათან ეუფლებოდა მუშაობის წყურვილი. მაგიდას უბრუნდებოდა და ნაფიქრი ქაღალდზე გადაჰქონდა. ამ საქმეს ანდომებდა იგი გრძელ ღამეებს, კითხულობდა და წერდა, ძნელადგასარჩევ ნაწერს ეჭვით დასცქეროდა, მერე ხაზს გადაუსვამდა ხოლმე დაწუნებულ სტრიქონებს. მაგიდას ნიდაყვებით დაეყრდნობოდა ვარლამი, წელში გასწორდებოდა და ისევ ებღაუჭებოდა აზრებს. ხანდახან რომელიმე ძნელ პრობლემასთან ჭიდილის შემდეგ ციფრებითა და ასოებით აჭრელებულ ფურცელზე შუბლს დადებდა და

ასე ისვენებდა. „აზრი, — ფიქრობდა ამ დროს ვარლამი — ვეება ფრინველივით დაგტრიალებს თავს, მისი ფრთების შხული გესმის და არ შეგიძლია, რომ არ შეიაყრო, არ მოათვინიერო. გინდაც ცოტა ხნით წაუყრუო, მაინც არ მოგეშვება, უნდა დაიმორჩილო, სხვა გზა არ არის. გაიგე?“

ზოგი აზრი ადვილად ნებდებოდა მეცნიერს, პირველი შეტაკებისთანავე მორჩილად გადადიოდა ქაღალდის ფურცელზე, ზოგი კი, დიდი, ღონიერი და უკარება მოწინააღმდეგე, საოცრად უძალიანდებოდა, მაგრამ უკიდურესად დაძაბული წუთების დროსაც კი გრძნობდა მეცნიერი, რომ აუცილებლად დაიმორჩილებდა მას. და როცა დაღლილი და გახარებული ვარლამი ხან შუაღამით, ხან გათენებისას პირქვე დაწვებოდა საწოლზე, და სიხარულისაგან ვეღარ ახერხებდა დაძინებას, ფიქრობდა, რომ აზრი ჰგავდა დიდ, გარეულ ფრინველს, გააფთრებულ შეხლაში რომ დაიმორჩილა. ბოლოს დაღლილი მეცნიერი იძინებდა.

ნაშუადღევს იღვიძებდა ვარლამი, ქუჩებში უკვე დუღდა ცხოვრება, ხმაურიანი ქუჩები ხალხით იყო სავსე. ჯერ კიდევ ბურანში ესმოდა ეს ჟრიამული მეცნიერს და ყურს უგდებდა, მერე ხალისით იცვამდა ტანსაცმელს და, როგორც ყოველი ახლადგაღვიძებული, იმედით შესცქეროდა ყველაფერს, სარკესაც კი. საჩქაროდ წაიხემსებდა და ქუჩაში გავიდოდა. კიბეზე ჩასვლისას უსტვენდა, ან ღიღინებდა ხოლმე. ქუჩა ხალხით იყო სავსე, ვარლამი ინტერესით ათვალიერებდა ყველას, შედიოდა მაღაზიებში, სადაც განსაკუთრებით ბევრი ხალხი ტრიალებდა, ადიოდა მეზავრებით გაჭედილ ტროლეიბუსში. ხალხში უზარმაზარი ძალა იგრძნობოდა, თვითეულ ადამიანში იგრძნობოდა ძალა. ვარლამი ათვალიერებდა გამვლელებს და ცდილობდა გამოეცნო, თუ რანაირები იყვნენ ისინი. მას სიამოვნებდა ბაზრის ორომტრიალში ყოფნაც და ხალხის ერთად დანახვის სურვილი ხშირად სტადიონზედაც კი მიიყვანდა. სურდა ენახა, როგორ გაეხარდებოდა გოლის გატანა ამდენ ათას ადამიანს ერთად. მას უფროდა ხალხის სახეზე დაენახა სიხარული, ადამიანებში ეს უბრალო თამაშში რომ იწვევდა. ყველა დაძაბული უყურებდა თამაშს, ვარლამი კი გულშემტკივრებს ადევნებდა თვალს. ისინი ვერც ამჩნევდნენ მის მზერას. უცებ ის კაცი, ვისაც ვარლამი აკვირდებოდა, საოცრად იცვლებოდა. აღელვებული ვარლამი სხვებსაც უყურებდა, — ყველა ღრიალებდა, ჰაერში ისროდნენ ქუდებს, ხტოდნენ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ და გაუგებრად გაჰყვიროდნენ რაღაცას. მოგებული თამაშის შემდეგ, როცა ხალხი შინ ნასიამოვნები ბრუნდებოდა, გაოცებული ვარლამი ისეთი დიდი სიხარულის მიზეზს უშედეგოდ ეძებდა იმ თამაშში, სანახევროდ რომ უყურებდა.

დაძაბულ მუშაობაში გადიოდა დღეები. ვარლამი თავის საყვარელ საგარძელში იჯდა და მუშაობდა. ნათურის ქოლგიდან სინათლე ეცემოდა ძნელადგასარჩევ ნაწერებს, სიჩუმეს მხოლოდ კალმისტრის სუსტი ფხაჭუნი არღვევდა. ვარლამი ხელისგულებით ისრესდა დაწითლებულ თვალებს და ნათურას მაინც ღიმილით შესცქეროდა. წელში იმართებოდა და გადაღლილ ხერხებამლს ასვენებდა. შუაღამით ან გათენებისას სამუშაოს ძლივს შეელეოდა ხოლმე და თითქმის ყოველი დაძინების წინ ფიქრობდა, რომ აზრი ჰგავდა დიდ, გარეულ, უკარება ფრინველს. ასეთ დაძაბულ მუშაობაში გადიოდა დრო, სანამ რაიმე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწევდა. მერე ორიოდე დღით ისვენებდა ვარლამი, ძალიან უნდოდა მუშაობის გაგრძელება, მაგრამ თეატრში მიდიოდა. სავარძელში გადაწოლილი სცენას შესცქეროდა, მაგრამ ფიქრობდა მაგიდის უჯრაში შენახულ ქაღალდის ფურცლებზე, ერთგულად რომ ინახავდნენ მის ჯერ კიდევ დაუმტკიცებელ მოსაზრებებს. შინ დაფიქრებული ბრუნდებოდა. კიბეზე დინჯად ადიოდა, კარის წინ შეჩერდებოდა ხოლმე და დიდხანს ეძებ-

---

და ჯიბეში გასაღებს. უგულოდ შეექცეოდა ვახშამს, ტახტზე წვებოდა და გაზეთს ათვალიერებდა. მერე გადაშლიდა რომელიმე სათავგადასავლო წიგნს. ნაძალადევი ყურადღებით გადაათვალიერებდა ათიოდე გვერდს, მაგრამ ვეღარ კითხულობდა. ფიქრობდა თავის საქმეზე, ახსენდებოდა გადაუჭრელი პრობლემები და სათავგადასავლო რომანი იატაკზე ეცემოდა. ვარლამი დგებოდა და დაძაბული, მაგრამ გაბედული ნაბიჯით მიდიოდა მაგიდისაკენ (ასე უახლოვდებოდნენ მის სოფელში გასახდენ ცხენებს) და თავის საყვარელ სავარძელში ჯდებოდა.

ასე გადიოდა დრო. მოხუცი მეცნიერის ყოველი მიღწევა კანონზომიერი იყო. იგი გადაეჩვია გრძელი წინადადებებით ლაპარაკსაც. ვარლამის თითოოროლა სიტყვაც კი საკმარისი იყო თანამოსაუბრისათვის, მისი ნათქვამის სისწორეში რომ დარწმუნებულიყო. იშვიათად გამოდიოდა დისპუტებზეც, მხოლოდ ხანდახან ადიოდა კათედრაზე, და თუ ავიდოდა, ხალხმა იცოდა: ეს თეორიმეინი კაცი სიმართლეს იტყოდა, სიმართლეს, რაც მათთვის ზოგჯერ ძნელი გასაგები იყო.

ყველაზე საპატიო სადღეგრძელო ბოლოსთვის შემოინახეს. თამადამ ბევრი ილაპარაკა, შემდეგ ფიზზე წამოდგა ვარლამი, ადღეგრძელა მშობლიური კუთხე და ცოლის შეშფოთების მიუხედავად, ბოლომდე დასცალა დიდი ჭიქა.

მეორე დილით, ნასაუზმევს, ისტორიის მასწავლებელმა ბავშვები მოიყვანა. მათ ფრთხილად ამოიარეს კიბე. ვარლამი აივანზე გამოვიდა. მოსწავლეებმა ყვავილები და პიპლების კოლექცია მიართვეს. მეცნიერმა რამდენიმე მათგანს თავზე ხელი გადაუსვა და გვარები ჰკითხა. ბიჭებს მოკლე შარვლები ეცვათ და ვარლამი ღიმილით ათვალიერებდა მათ დაკაწრულ ფეხებს. ერთი პატარა ბიჭი ძალიან მოეწონა და ცოლს გადახედა. მარიკამ ბავშვებს გაუღიმა, ოთახში შებრუნდა, ტკბილეული გამოიტანა. მოსწავლეებმა დაირცხვინეს და მარიკამ თვითონ ჩამოარიგა ტკბილეული. მას წავლებელს არ შესთავაზა, რადგან შეყვებთან იმხელა კაცის გატოლებას მოერიდა. ბავშვებს უხერხულად ეჭირათ ხელში ნამცხვრები.

— ჩვენ საყვარელ ძია ვარლამს, — უცებ ძალიან ხმამაღლა თქვა ერთმა გოგონამ. მარიკამ გაკვირვებით გადახედა ქმარს. ვარლამსაც გაკვირვება დაეტყო. ბავშვები კი დაინტერესდნენ, მათ იცოდნენ, რომ იმ გოგონას საკუთარი ლექსი უნდა წაეკითხა. როცა გოგონამ ხმამაღლა ორიოდე სტრიქონი წარმოსთქვა, ყველაფერი ნათელი გახდა და მარიკამ შვებით გაიღიმა. ვარლამიც იღიმებოდა და ცდილობდა ყურადღებით მოესმინა

გოგონამ დაამთავრა ლექსის კითხვა. მარიკამ ტაში დაუკრა, ბავშვებმაც დაუკრეს ტაში, ვარლამმა გოგონა მოიხმო, ხელი ჩამოართვა და შუბლზე აკოცა. ბავშვი სიამოვნებისაგან წამოწითლდა.

— რომელ კლასში ხარ?

— მეშვიდეში გადავედი.

— ძალიან კარგი, — სთქვა მეცნიერმა, — ყოჩაღ, რომელი საგანი გიყვარს?

გოგონამ მხრები აიჩეჩა.

— არ იცი?

— ფიზიკა.

— ო! — გაიკვირვა მეცნიერმა,—კარგია, ძალიან კარგი, ყოჩაღ. შენ?

— ფიზიკა, — მაშინვე უპასუხა ბიჭმა.

— შენც? — ისევ გაიკვირვა მეცნიერმა, — ყოჩაღ. შენ?

— ფიზიკა.

ვარლამმა გაიღიმა — კი მაგრამ, ნუთუ ფიზიკის გარდა სხვა საგანი არ გიყვართ?

ბავშვები ჩუმად იყვნენ და ვარლამი ცოლს მიუტრიალდა — ალბათ კარგი პედაგოგი ჰყავთ.

— უთუოდ, — უპასუხა მარიკამ.

ისტორიის მასწავლებელმა უხერხულობა იგრძნო. მან იცოდა, რომ ბავშვების უმრავლესობას სხვა საგანი, მათ შორის ისტორიაც უყვარდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეცნიერმა ფიზიკის მოყვარული მოსწავლე შეაქო, ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოერიდნენ სხვა საგნის ხსენებას. მასწავლებელმა კარგად იცოდა ეს ამბავი, აფორიაქდა და ყველაფრის თქმა მოუნდა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა.

— რომელი სწავლობს თქვენში ყველაზე კარგად?

ბავშვები ჩუმად იყვნენ.

— ესენი ფრიადოსნები არიან, — უთხრა ვარლამს მასწავლებელმა, — თქვენთან მხოლოდ ფრიადოსნები წამოიყვანენ.

— ჰო? — მეცნიერს გაეხარდა ამდენი ფრიადოსნის ერთად დანახვა, — აბა, თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, ბავშვებო.

მარიკამ ისევ ჩამოურიგა მოსწავლეებს ტკბილეული და საათს დახედა. ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა და მასწავლებელმაც დახედა საათს, — თქვენ ალბათ მოსვენება გჭირდებათ, წავალთ ჩვენ...

— რა გეჩქარებათ, — შეეპატიჟა მარიკა,—დარჩენილიყავით, რა იქნებოდა.

— კიდევ გამოვივლით. თუ არ შეგაწუხებთ, აუცილებლად გამოვივლით.

— აუცილებლად გამოიარეთ, — სთქვა ვარლამმა, — აბა, თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, ბავშვებო.

ერთი საათი რჩებოდა დაღამებამდე. ბუნდოვნად უკვე იგრძნობოდა ის ჩუმი სევდა, საღამოს რომ მოჰყვება ხოლმე. ვარლამი აივანზე იდგა და ბორცვებს შესცქეროდა. მზე ჩქარა ჩავიდოდა მთის გადაღმა. მზეს უკვე დაკარკეული ჰქონდა ძალა და ბორცვები აღარ ბზინავდნენ თვალისმომჭერელად.

ყველაფერს სიმშვიდის იერი დაჰკრავდა. ვარლამი ათვალიერებდა გატრუნულ ხეებს და მიწაში კისრამდე ჩაფლულ ჭას. საკუჭნაოს მილიდან ცისკენ მიიზლაზნებოდა კვამლი, მალე ხეებზე აძვრებოდნენ თვლემამორეული ქათმები. ჩიტების მისუსტებული ჟრიამულიც კი ხაზს უსვამდა სიჩუმეს და ყველაფერს განსაკუთრებული სიმშვიდის იერი დაჰკრავდა.

ეზოში ფილიპე შემოვიდა. მხარზე თოხი ჰქონდა გადებული. მის დანახვაზე ვარლამმა უფრო იგრძნო სიმშვიდე. ფილიპე ძალიან დაღლილი ჩანდა. შორს კედელზე მიაყოდა და საკუჭნაოსკენ ისე გაემართა, აივანზე გამოსული ძმა არც კი შეუმჩნევია.

ნიავი რომ ნიავია, ისიც კი არ ჰქროდა. ვარლამს ძალიან მოუნდა, როგორმე დაერღვია მისთვის აუტანელი სიმშვიდე და, დაფიქრებულმა, აუჩქარებლად ჩაიარა კიბე. ჯერ კიდევ არ იცოდა, სად მიდიოდა. მერე, როცა ეზო გაიარა, ჭიშკარი გამოაღო და შარაგზაზე აღმოჩნდა, მიხვდა, რომ მისთვის აუცილებელი იყო გასეირნება.

მიდიოდა და ყურს უგდებდა კენჭების ხრაჭუნს. გასცდა მეზობლების სახლებს, გზაზე გამომდგარ ხეებს და უხაროდა, რომ აღარ გრძნობდა სიმშვიდეს. აღმართიანი გზა იყო, დაიღალა და მაინც სიამოვნებდა სიარული. სოფლის განაპირას ტყე იწყებოდა, გამუქებულ მიწას აღარ ანნდა ხეების ჩრდილი. ვარლამი ჯირკზე ჩამოჯდა და გამოვლილ გზას გადახედა.

საღმოვდებოდა. ბინდში ჯერ კიდევ მოჩანდა კოხტად ნაშენი სახლები და ამტარა მდინარე. მოჩანდა მაღალი სიმინდის ყანებიც და შეწამლული ვენახები. ირგვლივ ბორცვები იყო, ვარლამის საყვარელი ბორცვები. სწორედ იქიდან ნელა, მაგრამ ჯიუტად წამოვიდა ბინდი, მოეფინა ყველაფერს, სამაგიეროდ სახლები წაივიდნენ გაშავებული ბორცვებისაკენ და მათ ადგილზე მხოლოდ განათებული ფანჯრები დარჩა. სიინქლით გულმოცემული ჭრიჭინები ახმაურდნენ. ქარმა ჩამოუარა ხეებს, ოდნავ შეარხია და თითქოს მბეჭუტავ ვარსკვლავებსაც შეეხო — ისინი უფრო აციმციმდნენ ცაზე.

აცივდა. მობუზული ვარლამი ჯირკზე იჯდა და განათებულ ფანჯრებს შესცქეროდა. სოფელი თითქოს ძალიან შორს იყო. ვარლამი იჯდა და არაფერზე არ ფიქრობდა.

გურამ დოჩანაშვილი
შენ ძმა ხარ ჩემი

ქარმა ისევ ახმაურა ფოთლები, ტოტებშუა გაძვრა და ცოტა ხნით ისევ გადაიკარგა. ვარლამი წამოდგა, ღრმად შეისუნთქა ჰაერი და უცებ შიმშილი იგრძნო. სოფლისაკენ გაემართა, სიბნელეში ფრთხილად მიაბიჯებდა და გზაში ყურს აღარ უგდებდა კენჭების ხმაურს, რადგან ძალიან შიოდა.

შეშფოთებული მარიკა ჭიშკართან შეეგება.

— სად იყავი, ვარლამ? კინაღამ გავგიჟდი... ასე როგორ შეიძლება, სად დაიკარგე?

— არსად, ცოტა გავიარე.

— წამოდი, ვივახშმოთ.

— ვივახშმოთ, — ჩაილაპარაკა ვარლამმა.

საკუჭნაოში ფილიპეს ცოლი სუფრას აწყობდა. ვარლამს გაუღიმა და ჰკითხა — ჩემი კაცი ხომ არ შეგხვედრიათ, ბატონო?

— არა, — გაიკვირვა ვარლამმა. — სად უნდა შემხვედროდა?

— თქვენს საძებნელად წამოვიდა, ალბათ აგცდათ გზაში.

ვარლამმა ცოლს გადახედა.

— მობრძანდით, აგერ, ხელებს თუ დაიბანთ, პირსახოცი...

მარიკა დამშვიდდა და სუფრა შეათვალიერა. ვარლამმა საჩქაროდ შეიმშრალა ხელები და სკამზე ჩამოჯდა.

— ა, ბატონო, ახლა ამოვყარე თონიდან.

ვარლამმა ცხელი შოთი გატეხა. ტუჩებზე და ღაწვებზე სასიამოვნო ოხშივარი იგრძნო, გემრიელად ჩაკბიჩა პური.

კარი გაიღო და ფილიპე შემოვიდა. ძალიან გაეხარდა ძმის დანახვა.

— ოჰ, — ჩაილაპარაკა ვარლამმა, — რა ქენი, ვერ მიპოვე?

— ვერა.

— მერე, შინ რაღას ბრუნდებოდი?

ეს აშკარა ხუმრობა იყო და მარიკას ძალიან ესიამოვნა.

— ალბათ სათვალის პოვნა უნდოდა, — სთქვა ფილიპეს ცოლმა, — თქვენი ამბავი გაზეთებში წერია ხოლმე.

ვარლამმა გულიანად გაიცინა — ძალიან მოეწონა რძლის გახუმრება. მარიკა აღტაცებით შესცქეროდა სამეგობროს.

— გემრიელი პური, — სთქვა ვარლამმა — ხომ ასეა, ფილიპე?

— რა უჭირს.

— რამე მიატანე, ვარლამ, — შეახსენა მარიკამ.

ვარლამი პურს ღეჭავდა და დაკვირვებით უყურებდა ფილიპეს.

— შენ მოიყვანე?

— რა?

— ეს პური.

— კი, მე მოვიყვანე.

— ძალიან გემრიელია.

ფილიპე ამაყად დააცქერდა სუფრას.

— ერთი ჭიქა გასინჯე, ჩემი დაწურული ღვინოა.

— ჰა? — ვერ გაიგო ვარლამმა. ეტყობოდა, სხვა რაღაცას ფიქრობდა.

ორიოდე დღის შემდეგ მარიკას მოსწყინდა სოფელში ყოფნა. ვარლამი კი არ აპირებდა აგარაკზე წასვლას და ყურს აღარ უგდებდა ცოლის მორიდებულ საყვედურებს. იგი ფიქრობდა ძმაზე, უთვალთვალებდა ამ საოცრად მშვიდი და მორჩილი გამომეტყველების ადამიანს და ცდილობდა წარმოედგინა, როგორ ცხოვრობდა ფილიპე, რას აკეთებდა იგი იმ დროს, როდესაც თვითონ საყვარელ სავარძელში იჯდა და მუშაობდა, ან ქუჩებში დადიოდა. ერთხელ იგი ყანაში წაჰყვა ფილიპეს და მოხერხებულად მოკალათდა დიდი ხის ჩრდილში.

ჰო, სწორედ ეს მშვიდი და მორჩილი გამომეტყველების კაცი იღვიძებდა გარიჟრაჟზე, ხალისით იბანდა პირს, საკუჭნაოდან გამოჰქონდა ბარი, თოხი და დიდხანს ულესავდა პირს. მერე იარაღებს მხარზე გაიდებდა, საუზმეს იღლიაში ამოიჩრიდა და მიდიოდა ვენახში ან ყანაში. გზაში შემხვედრ თანასოფლელებს დინჯად ესალმებოდა, ვენახში შედიოდა და საუზმეს ჩრდილში ხეზე ჩამოკიდებდა, თოხს მკერდზე მიიყუდებდა ხოლმე, აიკაპიწებდა სახელოებს და მშვიდად ათვალიერებდა ცას, უყურებდა უწყინარ და საავდრო ღრუბლებს,

მერე თოხს მოიმარჯვებდა და აუჩქარებლად იწყებდა მუშაობას. თოხი მორჩილად და დინჯად აფხვიერებდა ბელტებს. სარეველა ბალახი ჭკნებოდა და ნეშომპალად იქცეოდა. ხანდახან, როცა თოხის მკვეთრი ფხაჭუნი ისმოდა, ფილიპე უკმაყოფილოდ დასცქეროდა მიწაში ჩაფლულ მოზრდილ ქვას, იხრებოდა და თითებით ებღაუჭებოდა, მერე მძლავრად იქნევდა ხელებს და ქვა ყრუ ხმაურით ეცემოდა ვენახის განაპირას. თოხი ისევ აფხვიერებდა მიწას, დრო გადიოდა, მზე შემოჯდებოდა მთაზე, ცვარი შრებოდა, შრებოდა ნესტით გაჟღენთილი ბელტებიც და მოთოხნილი მიწის სუნს ღრმად ისუნთქავდა ფილიპე. ძალიან ნაცნობი და მძაფრი, სასიამოვნო სუნი ჰქონდა მიწას. ფილიპე ხანდახან შეჩერდებოდა, წელში იმართებოდა და დაღლილ ხერხემალს ასვენებდა, თითებით იწმენდდა ოფლს და ისუნთქავდა მკვეთრი, სასიამოვნო სურნელითან გაჟღენთილ ჰაერს. მზე ცის შუაგულისაკენ მიიწევდა, წელში მოხრილი კაცი ისევ მუშაობდა, შიშველი ფეხებით გაფხვიერებული მიწის სიგრილეს გრძნობდა, კეფაზე კი დაუნდობლად აცხუნებდა მზე. იგი თავზე ცხვირსახოცს წაიკრავდა ხოლმე და მუშაობდა, სანამ სიცხე აუტანელი გახდებოდა. მერე ისვენებდა დიდი ხის ჩრდილში, სადაც ახლა ვარლამი იჯდა, და ძმაზე ფიქრობდა... საუზმეს ქაღალდზე გაშლიდა და მადიანად ილუკმპოდა, შემდეგ, საოცრად მოწყურებული, თუნგს პირზე მოიყუდებდა და მთელი სხეული გრძნობდა სასიამოვნო სიგრილეს. ხელის ზურგით იწმენდდა დასველებულ ნიკაპს და ხის ჩრდილში წვებოდა. ერთ საათს გულაღმა იწვა, მუშაობით, საუზმით და ფართოფოთლება ხის ჩრდილით დამძიმებული, თვალმოჭუტული იწვა და მშვიდად ელოდა დახარჯული ძალღონის აღდგენას. იგი ისვენებდა და თან ფიქრობდა ცოლზე, ბოლო ხანებში თავის ტკივილი რომ აწუხებდა, ფიქრობდა შვილზე და შვილიშვილებზე. ახსენდებოდა ყურძნის ჯერ კიდევ მკვეთხე, მწვანე მარცვლები და ფიქრობდა მზეზე, სიტკბოთი რომ აავსებდა ამ მარცვლებს, თვალწინ ედგა გვალვისაგან დანაოჭებული მიწა და ფიქრობდა წვიმაზე, მალამოსავით რომ წამოვიდოდა ციდან. მალე ისევ მუშაობა. მოუნდებოდა დასვენებულ სხეულს, თოხი ისევ გულმოდგინედ აფხვიერებდა შუადღის სიცხისაგან გამაგრებულ ბელტებს. ნათოხარში ჭიაყელები იკლაკნებოდნენ და მათ დანახვაზე ფილიპეს არ მოსდიოდა უსიამოვნო ფიქრები. ის მუშაობდა დინჯად, აუჩქარებლად, და მისი დანახვისას თითქოს უფრო ნათლად გრძნობდით შემოდგომას, — წითელი და ყვითელი ფერებით სავსე წელიწადის დროს, როდესაც ყველაფერი მწიფდება, ყველაფერი ბერდება თუ იბადება, ვერც გაიგებ.

ვარლამი უყურებდა ძმას და ფიქრობდა მწიფე, დამძიმებულ ნაყოფზე. მან იგრძნო გვერდებშეწოლილებული ვაშლების გემო, ქარვისფერი ყურძნის სიტკბო და ახლადგამომცხვარი პურის სურნელება. მერე მას გაახსენდა ზამთარი, გაახსენდა გაშშვლებული ვენახი, ხეები და ახლა ეს მწიფე ნაყოფი სასწაულს ჰგავდა.

ვარლამი წამოდგა და საჩქაროდ გაემართა ძმისაკენ. საოცრად აღელვებული, ფილიპეს წინ შეჩერდა, გაუღიმა...

ახლა იგი აღარ ჰგავდა იმ კაცს, ურთულეს პრობლემებზე რომ მუშაობდა. ახლა იგი ჰგავდა უბრალო ადამიანს, თაყვანისმცემელს იმ შემოქმედისა, ვისაც შეეძლო ერთგული შრომით მოეხდინა ჩვეულებრივი და მაინც უაღრესად საჭირო სასწაული.

ვარლამი იდგა და თოხზე მკერდით დაყრდნობილ კაცს აღტაცებით შესცქეროდა, ის კი გაოცებული შეჰყურებდა ძმას.

გურამ დოჩანაშვილი

შენ ძმა ხარ ჩემი



ზაურ ბოღქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკრიე ლორკა ჯონლოტეგი

...თუნდაც სხვა მხარე. ხედავთ პოეტს როგორ სდევნიან, შეხედეთ, მზეცი რამდენს ახრჩობს, აწვალებს, ბორკავს, თუმცა ამგვარად შებორკილი ხალხს ურჩევნია მაინც თავისი ფედერიკო გარსია ლორკა.

გალაკტიონ ტაბიძე

ესპანეთს

რად დაიყენე ურჩხული მცველად,
რატომ მიენდე საშიშარ ვულკანს,
რატომ აჩნიხარ მწუხარე ცრემლად
და სისხლის ლაქად მსოფლიოს რუკას?

თავისუფლება რად დაინისლე,
მგელს რად მიუგდე ობოლი შველი,
რატომ დაღვარე შვილების სისხლი,
რატომ განდევნე შენ ღმერთი შენი?

რატომ არ გესმის, მონობას ნაძრახს
სახელოვანი რომ სჯობს ბრძოლები,
რამ დაგამუნჯა, რამ დაგიძაძა
უძლიერესი შუქი გონების?

ძლევა იცოდი, დღეს ხარ ძლეული,
აღსდექ, სიკვდილი ან გამარჯვება!
აღსდექ, სამშობლოვ, ჩემი რვეულიც
ბრძოლის ცეცხლოვან დროშად
დაგრჩება!

☆ ——————

მუხის ფესვები, ჩემს საფლავში შემოჭრილები,
ამ შემოდგომის ეულდასაწყვეტ ფოთოლცვენაში
გაუმეღვანებენ მუხის ტოტებს, ეტყვიან მუხას,
რომ ჩემგან მარტო ჩონჩხი დარჩა, ეტყვიან მუხას.

როს ფეხშიშველა გაზაფხულის გრილი წვიმები
ჩამომიტანენ ამბავს შენი კარგადყოფნისა,
დამიბრუნდება მე სხეული, სული და სუნთქვა,
შევისხამ ხორცს და შეფოთლილი მუხის შრიალი
გაგახარებს და ჩემს სიცოცხლეს გაგახსენებს შენ.

☆ ——————

შემაძლებინე გამომტვრევა კუბოს ფიცრების,
როცა უშენოდ მე მიწაშიც კი ვეღარ გავძლებ,
ჩვილი ბალახის ფესვებად და სუნთქვად ვიქცევი
და ყვავილებად შემოგხვდები, ძვირფასო, გზაზე,
გზაზე, შენსკენ რომ მოაქანებს ბედნიერებას.

იმ ყვავილების სურნელებად შემოვალ შენში
და აგიჩქარებ მწუხრი გულის ნაღვლიან ფეთქვას,
მერე ვიტირებ განშორების იდუმალ შიშით
და ცხელ ცრემლებად გადმოვსკდები თვალთაგან შენთა,
იმ ცხელ ცრემლებად, სიხარულში რომ დაგეღვრება.

☆ ——————

გრენადა

მოსყიდული ტყვიით ვკვდები,
ზეიშობენ ჩემი მტრები..
და ისევ შენ მენატრები
უკანასკნელ მონატრებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენზე ვფიქრობ გატაცებით,
შენ გელი და შენ გეძახი,
შენი გზები და ტაძრები
თუ ხედავენ ჩემს სისხლს, დაღვრილს?

ყვითლდებიან მანდ ფოთლები
უცნაური გაყვითლებით;
ნუთუ აღარ გაგონდები,
ნუთუ ჩემთვის არ ინთები?

ახლა მწუხრი გეფინება,
ბნელში ქრება გალავანი
და გატკბობენ შენ ფრინველთა
მშვენიერი გალობანი.

იკარგება დღის ნათელი,
მეც ვქრები და ვიკარგები
და ჩამავალ მზის კანდელის
ელვარებით ვიქარგები.

შენ არა და არ გამოჩნდი,
მომიგზავნე სიმარტოვე
და სისხლიან საღამოში
სამუდამოდ მიმატოვე.

მოსყიდული ტყვიით ვკვდები,
ზეიმობენ ჩემი მტრები....
უკვე აღარ მენატრები,
მოკვდა წუთი მონატრების.

☆ ————————

თქვენ როგორც გინდათ, ისე ჩათვალეთ.
ისე იფიქრეთ, ისე გამოთქვით...
სიკვდილის შიშით მე არ ვკანკალებ,
მჯერა ზეიმის და მზის ამოსვლის.

მარადიულის მჯერა სიცოცხლის,
მწამს უკვდავება ლექსის სტრიქონის;
მშობელ მიწისთვის იქაც ვილოცებ,
იქაც ვიფიქრებ, როგორც ვფიქრობდი.

როგორც გინდოდეთ, ისე დაწერეთ,
როგორც გინდოდეთ, ისე დახატეთ.
მე თქვენ გარწმუნებთ, მე თქვენ გაჯერებთ, —
რომ გათენდება, განა დაღამდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბივი გოგიჩაიშვილი

ოცნებიერი ოცნებიერი

თავი მეთხუთმეტე

მწუხარეგისა და გედნიერეგის ღამე

ოალიმ თვალი გაახილა. კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მზის მკრთალი სხივები ელიცლიცება. სურათიდან ვიღაც ჭაღარათმიანი ქალი დასცქერის. გაოცებულმა თვალები მოიფშვნიტა, ვერ გაარკვია სად იყო, ან აქ როგორ გაჩნდა. უცბად გულზე რაღაც მოაწვა, სუნთქვა შეეკრა. რომ არ წამომჯდარიყო, დაიხრჩობოდა. წამოჯდომისას საბანი ჩამოუცურდა, გამოფხიზლდა. გვერდით ვიღაცის ფშვინვა შემოესმა. მიიხედა, მეორე საწოლზე ოთარს ეძინა.

ხელი მკერდზე მიიკრა, აკანკალდა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ოთართან იყო. ჯერ ადგომა და წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ სად წაესვლებოდა? ცრემლი მოაწვა, თავი ბალიშში ჩარგო და მწარედ აქვითინდა. დიდხანს ტიროდა ასე, შემდეგ თანდათანობით დამშვიდდა. სუნთქვაშეკრული, გაუნძრევლად იწვა და ფიქრობდა. ყველაზე მეტად ამ დილით ოთართან შეხვედრისა ეშინოდა. წუხანდელი ღამის ბევრი არაფერი ახსოვს. მხოლოდ ის ახსოვს, თუ როგორ შეხვდა ოთარს რუსთაველის ძეგლთან, როგორ ჩასვა მან მანქანაში და აქ მოიყვანა. შემდეგ ყველაფერი თავისთავად მოხდა, გულწრფელად მინებდა ლალი ვაკის ალერსს, მაგრამ ამ დილით წუხანდელ სირცხვილს როგორ დაუხვდეს? როგორ უნდა შეხედოს ოთარს, რა უნდა უთხრას მას?

გვერდით საწოლი შეინძრა. ეტყობოდა, ოთარსაც გაღვიძებოდა.

დასასრული. იხ. „ცისკარი“, № 7, 8.

— ჩემო გულჩიორა! — ალერსიანად უთხრა მან ლალის და თავზე ხელი გადაუსვა. ლალიმ თვალი მილულა. გული გამლეკნილი უცემდა. ოთარი გადმოიწია, შუბლი და თვალები დაუკოცნა, შემდეგ წამოდგა და პირის დასაბანად სააბაზანო ოთახში გავიდა.

— შენც ადექი! — უთხრა წასვლისას ლალის.

როგორღაც ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. ნამდვილად მისი ბედია ოთარი, უსიტყვოდ ესმის მას ლალის გულისნადები. ლალიმ სასწრაფოდ ჩაიცვა, საწოლები გაასწორა.

— მე წავალ, რამეს მოვიტან. შინ ყურძნისა და პურის მეტი არაფერი გვაქვს.

— რა საჭიროა, გვეყოფა, — როგორც იქნა, ხმა ამოიღო ლალიმ.

სუფრა ოთარმა გააწყო.

— დღეს მე ვიდიასახლისებ, — ხუმრობით უთხრა მან ლალის, — ხვალიდან კი ინებე და ოჯახს მიხედე.

ლალის გაეღიმა.

— აი, ასე, — გაეხარდა ოთარს, — თორემ ვიფიქრე, ჩემს პატარა ცოლს სიცილი დაავიწყდა-მეთქი. მართლა, თქვენებს წუხელვე დავურეკე, რომ არ შეშინებოდათ.

ლალიმ თავი დაუქნია, კარგი გიქნიაო.

— ახლა კი სუფრასთან მობრძანდი, ჩემო გულჩიორა!

ლალის მოშიებოდა, ოთარიც მადიანად ილუკმებოდა. აქებდა თავის ნახელავს, საქეები კი არა ჰქონდა რა. ასე მადიანად ლალის არასოდეს უსაუზმია. რა გემრიელი იყო ყურძენი და პური, მათი პირველი საქორწინო საუზმე. შემდეგ ოთახის დალაგებას შეუდგნენ. ოთარმა ცოცხს ხელი მოჰკიდა, ლალიმ არ დანება. თუ აქამდე მორცხვობდა, ახლა გაუთამამდა.

ერთი ოთახი აქვს ოთარს, დიდი და მზიანი. სახელოსნოც ისაა, საწოლიც და სასადილოც. ოთახი სავსეა თიხის ქანდაკებებით; უმთავრესად ქალების ქანდაკებები სჭარბობს. არ მოეწონა ეს ქალები ლალის.

ოთარის სამუშაო დაზგაზე ტილოგ დაფარებული დიდი საგანი დგას. ლალიმ დაზგასთან შეჩერდა, ოთარს გადაუდ ოთარმა ტილო მოაშორა — ეს საგანი ლამაზი ქვა აღმოჩნდა. ჩანდა, ოთარს მასზე ემუშავა, კონტურები უკვე გამოეკვეთა.

— ეს ჩემი გულჩიორა იქნება, — სთქვა ოთარმა და ქვას ხელი გადაუსვა.

ვიდაცამ კარზე დააკაკუნა.

ოთარი კარის გასაღებად გაეშურა. ლალი შეკრთა, ვინ უნდა იყოს, რას იტყვიან, მარტო რომ ნახონ ოთართან? გაეღიმა, განა ახლა სულ ერთი არაა, რაც არ უნდა სთქვანან?!

— ლალი, — მხიარულად დაიძახა ოთარმა, — ნახე, ვინ გვესტუმრა! მობრძანდით, მობრძანდით!

კართან არანჩა, ნუნუ და კეკელია იდგნენ. ლალის მტკრის საწმენდი ჩვარი ხელიდან გაუვარდა.

— ამბის გასაგებად მოვედით, — აფუსფუსდა ნუნუ, — ამ დილით გვითხრეს, არ დავიჯერეთ.

ქალები შეშფოთებულნი შემოვიდნენ, მაგრამ ოთახში მყუდროება და სიწყნარე რომ დახვდათ, უცბად დამშვიდდნენ.

— მე ახლავე გიახლებით. ლალი, სტუმრები არ მომიწყინო, — ოთარმა ჩანთას ხელი დაავლო და კიბეზე დაეშვა.

— მიხვდა, რომ შენთან მარტო დარჩენა გვინდოდა, — სთქვა ნუნუმ.

— აბა, გულახდილად გვითხარი ყველაფერი, — უთხრა კეკელიამ.

— რა უნდა გითხრათ? — ალუღლუღდა ლალი.

არანჩამ გულში ჩაიკრა ლალი. ერთ ხანს დუმდნენ.

— ჩემი ბედი ეს ყოფილა! — ძლივს ამოოღო ხმა ლალიმ.

— მხიარულად შეგვეგება სიძე-ბატონი, არც ლალი ჩანს დიდად დამწუხრებული, — გაეცინა ნუნუს.

— ასე ჩუმად რატომ გამოიპარე? — შეეკითხა არანჩა.

ლალიმ თავი ჩაღუნა.

— ჰო, ჰო, ჰო, რა ამბავი აქვთ თქვენებს? ო, მაგათი სინსლა გაწყდეს!

ქალებმა ბინა დაათვალიერეს, ყველგან შეიხედეს. შემდეგ გადაწყვიტეს, ავეჯისთვის ადგილი შეეცვალათ, უფრო მოხერხებულად დაედგათ. დიდხანს იკამათეს, მაგრამ დალაგებას რომ მორჩნენ, ოთახი უფრო დიდი და ნათელი გამოჩნდა. ქალების ქანდაკებები არც მათ მოეწონათ, მაგრამ ხელი მაინც არ ახლეს. ლალის ურჩიეს, თანდათან, შეუმჩნეველად მოეშორებინა აქაურობისათვის.

ოთარიც მოვიდა. სანოვაგე და ღვინო მოიტანა. ყველანი სახელდახელოდ გაშლილ სუფრას მიუსხდნენ. პირველად ახალგაზრდების სადღეგრძელო შესვეს. ყველაზე მეტი კეკლეიან ილაპარაკა, ქართული ოჯახის ტრადიციები გაიხსენა.

არანჩამ ოთარს მიმართა:

— შვილო, ეს გოგო მარტოა ამქვეყნად, არ აწყენინო, შენს იქით გზა არ აქვს. ახლა შენ ამისთვის ყველაფერი ხარ!

ლალის ხმა ვერ ამოაღებინეს. დარცვენილი იჯდა, მაგრამ გულში სიხარული ჩადგომოდა. ახლა უკვე ოჯახის დიასახლისი იყო. უფროსი ქალები თანტოლებივით ექცეოდნენ. წუხანდელი ღამე თითქოს ბურუსში დაინთქა, სიხარულმა ფრთები შეასხა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს დიდი ხანია აქ ყოფილიყოს, ამ გარემოს შეჩვეული და შეგუებული.

ქალები დიდხანს არ დარჩენილან. ხელცარიელნი მოვიდნენ, ამიტომ მოლოცვაც შემდეგისათვის გადადეს. წასვლისას ორივენი გადაჰკოცნეს, ბედნიერება და სიამტკბილობა უსურვეს.

თავი მეთექვსმეტე

გზები

თითქმის თვეა, რაც ლალი ოთარის ცოლია, შეეჩვია ახალ ცხოვრებას და ეს თვეც სიზმარივით გაქრა. ლალი დიასახლისობს, ოთარი მუშაობს, ბევრს მუშაობს, ლალის აქანდაკებს. ქანდაკებისათვის სახელიც შერჩეული აქვს — გულჩიორა.

ლალი შინიდან იშვიათად გამოდის. ბაზარში თუ წავა სანოვაგისათვის, ესაა და ეს. კერძების კეთებას დეიდასთან შეეჩვია, არ უჭირს, მაგრამ ყველაზე გემრიელი საჭმელი მისთვის მაინც ყურძენი და პურია. რაც არ უნდა მაძღრები იყვნენ, ყურძნის მტე

— აბა რა, — არ ეშვება ლალი. — რაღა მე შემომბიჩნდი?

ოთარი ლალისთან მიდის, მის თავს მკერდზე იკრავს და ეალერსება:

— იმიტომ რომ, კარგი გოგო ხარ, საყვარელი! შენ ახალი ძალა შემმატე, რწმენა ჩამინერგე.

— განა ამის შესახებ ასე ხმამაღლა ლაპარაკობენ? — ჩურჩულით ეკითხება ლალი.

ოთარი იატაკზე, მის ფერხთით ეწყობა და თავს მუხლებზე უდებს.

— ვინმე გვისმენს, თუ?

— არა, — აღელვებით ამბობს ლალი და ვაჟის შავ თმას თითებით ეალერსება, — მე ჩვენი ბედნიერებისა მეშინია. რატომ მემართება ასე?.. გავიღვიძებ, ჯერ კაოგნებული ვარ, შემდეგ კი, გამოვერკვევი და საშინელი შიში მიპყრობს.

— ასე იცის დიდმა სიყვარულმა, — იცინის ოთარი.

ლალი იბუტება:

— ნუ დამცინე!

— მართალს არ ვამბობ, თუ? — არ ეშვება ოთარი, — აბა, ის ვინ იყო, გამთენიისას რუსთაველის ძეგლთან რომ გამომეცხადა!

— იმ დღეს ნუ მიხსენებ, — წყრომით ეუბნება ლალი, — ჩემს ჭკუაზე აღარ ვიყავი, არც ვიცოდი, რას ვაკეთებდი.

— შეგაცდინე, არა? — ღიმილს ვერ იკავებს ოთარი.

— ნუ ხუმრობ! — უწყრება ლალი და მკაცრად მიმართავს, — ასეთ ლაპარაკს თავი დაანებე, თუ მუშაობ, იმუშავე! თუ არა, დამეხსენი!

ოთარი კვლავ საქმეს შეუდგა. ერთ ხანს სიჩუმე იდგა, ოთახში მხოლოდ საკრეთელის ხმა ისმოდა.

ლალი თავის ფიქრებს მიჰყვა:

— რამდენი ხანია, სულხანი არ შემხვედრია, — სთქვა მან.

ოთარმა ალმაცერად გადახედა ცოლს.

— კიდევ უყვარხარ?

ლალი გაცხარდა:

— სულხანზე ასე ნუ ლაპარაკობ. შენ არ იცი, რა ვაჟია!

— ამასწინათ აკადემიაში შეეფეთ, თვალი ამარიდა.

— ნეტავი როგორ სწავლობს?

— ჯერ არაფერი ითქმის, აი, რომ დაამთავრებს, მაშინ ვნახოთ, გამოვა მისგან ნამდვილი მოქანდაკე, თუ არა.

— გამოვა, სულხანი ნიჭიერი ვაჟია!

— ბავშობაში ყველანი ნიჭიერები ვართ, — სთქვა ოთარმა, — დამოუკიდებლად რომ დაიწყებ მუშაობას, მაშინ არის საქმე.

ოთარი ერთ ხანს შეჩერდა, ნამუშევარი თვალით გაზომა, შემდეგ განაგრძო:

— აი, მე მოქანდაკე ვარ. ღიდი ხანია დამოუკიდებლად ვმუშაობ, მაგრამ გულახდილად ვეტყვი, ჯერ არც ერთი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები არ შემიქმნია.

— ასე ძნელია საკუთარი გზის გამონახვა?

ოთარი დიდხანს იყო ჩუმად, შემდეგ, თითქოს თავის თავს ესაუბრებაო, დაიწყო:

— გზები მრავალგვარია, ჩემო გულჩიორა. ზოგი გზა იოლია, ფულის მოსახვეჭელი, ზოგი კი ძნელად სავალი. გგონია, პირველად მე გაკკვალეო და გულდამშვიდებული რომ მიდიხარ, უცბად დაინახავ, თურმე სხვის ნავალზე გივლია. ზოგი გზა ხევში გადადჩეხავს, ზოგი—უფსკრულში, სიიდანაც ვერასოდეს ამოხვალ. მწვერვალებისაკენ მიმავალი გზა კი ერთადერთია და სწორედ მას სჭირდება ძიება.

ოთარმა მუშაობას თავი მიანება, როდესაც „მარადიული გაზაფხულის“ ასლი აიღო და ცივ მარმარილოს ხელი საფუთად გადაუსვა.

— აი, ესაა ჭეშმარიტი გზა!

— დაიცადეთ, ბატონო მოქანდაკევ, — მხიარულად შემოჰკრა ტაში ლალიმ, — აი, დაამთავრებთ თქვენს ახალ ქანდაკებას. რა ერქმევა, გამახსენეთ!

— გულჩიორა.

— გულჩიორა, არა უშავს რა, — კვლავ მხიარულად განაგრძო ლალიმ, — აი, დაამთავრებთ ახალ ქანდაკებას და სახელმოხვეჭილი მოქანდაკე გახდებით.

— გეყოფა, ლალიკო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრები

ლალის ბევრი დრო რჩება, აღარც იცის, რით შეავსოს დღე. ოთარმა მუშაობა მიატოვა, აღარ აქანდაკებს „გულჩიორას“. წინათ ამოსუნთქვის საშუალებასაც არ აძლევდა ლალის, ახლა კი ხელი ჩაიქნია, არაფერი გამომდისო. სადღაც არტელში დაიწყო მუშაობა, არც ამბობს სად. შინ გვიან მოდის, უფრო ხშირად ნასვამია. წუხელ სულ არ მოსულა. ამ დილით დარეკა, სამსახურში ვარო. ხმა ჩახლეჩილი აქვს, ალბათ მთელი ღამე სვამდა.

ლალი ოთახში ვერ გაჩერდა და ნელი ნაბიჯით გაჰყვა ქუჩას. რა მოუვიდა, ნეტავი, ოთარს? რამ გამოცვალა ასე? არა სჯერა, ოთარს მუშაობა არ შეეძლოს. მაშ, რად მიანება ყველაფერს თავი, რად გაურბის, რად არ მუშაობს? ნუთუ ლალის აქვს უმტყუნა ბედმა! როგორ მოიქცეს, რა მოიმოქმედოს? ფიქრებმა მოჰქანცა. ვაკის პარკში შევიდა. დიდი შადრევნის ახლოს ჩამოჯდა. ტყვიასავით მძიმე ღრუბლები დასწოლია ქალაქს. ქარი არა ქრის, მაგრამ შიშველი, ფოთლებშემოძარცული ხეები ოდნავ მაინც ირხევიან.

რა ბედნიერი იყო ლალი, ფრთებშემართული ლაღად დაფრინავდა. უდარდელი ბავშვობა იქ, ოჩამჩირეში დარჩა. ახლა კი ცხოვრებამ თავის ზვირთებში ჩაითრია, ვინ იცის, წინ კიდევ რა ელის!

უცბად ვიღაცამ გაუბედავად მოხვია ხელი. ლალი შემობრუნდა და მოულოდნელობისაგან შეჰკივირა:

— ნათელა!

ერთმანეთს გადაეხვიენენ. ერთ ხანს ასე იდგნენ და ტირიოდნენ.

— შენთან მოვედი, — სლუკუნით უთხრა ნათელამ, — დაგინახე, აქეთ რომ წამოხვედი და გამოგყევი. აქ მარტოკა რისთვის მოსულხარ?

— ისე, სუფთა ჰაერზე გამოვედი.

— მიჯავრდები?!

— აღარც კი მახსოვს. მომენატრეთ, მოსცლა მინდოდა, ვერ გავბედე.

— განა მამამ არაფერი გითხრა?

— უნდოდა ჩემი წამოყვანა, მაგრამ რატომღაც აქამდე ვერ მოვედი.

— დედას ძალიან ენატრები.

— მართლა? — გაეხარდა ლალის, — აღარ მიწყრება?

— არა, ერთ ხანს მართლაც გაბრაზებული იყო, შენი სახელის ხსენებაც არ უნდოდა, ახლა კი გული მოუბრუნდა. ხომ იცი, ცხოვრებისაგან გატანჯული ქალია. მამა ძალზე კეთილია, მაგრამ ვერ შეუქმნა ისეთი პირობები, დედა რომ ოცნებობდა. არც მე გამოვადექი. ოთხი წელია, უმაღლეს სასწავლებელში ვაბარებ გამოცდებს და ოთხჯერვე ჩავიჭერი. ახლა რა, ჩემი ტოლები ექიმები, მასწავლებლები და ინჟინრები არიან, მე კი...

— ნათელა, — აცრემლდა ლალი, — ჩემო ნათელა! ამქვეყნად თქვენს გარდა ვინ მყავს?

— როგორა ხარ, ლალი, კმაყოფილი ხარ შენი ბედით? — ფრთხილად შეეპარა ნათელამ.

ლალიმ არაფერი უპასუხა.

— იცი, ლალი, უნდა მოხვიდე, დედა ძალიან სწყუხს.

— მოვალ, — ჩურჩულით მიუგო ლალიმ, — აუცილებლად მოვალ; აქამდეც უნდა მოვსულიყავი, მხოლოდ ცოტა ხანს მაცალეთ.

ნათელას გაეხარდა, თვალები აუციმციმდა.

— კარგი გოგო ხარ, ლალი. არ მინდა, რომ ჩვენზე გულში წყენა შეინახო!

— ახლა შენი ამბებიც მითხარი, ნათელა.

— რა გითხრა? ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა, ისევ მდივნად ვმუშაობ. ხან გულსუნდას წავეჩხუბები, ხან დაროს, მაგრამ მაინც ერთად ვართ.

— პირადი ამბები?

— ეჰ, სადაა, — თვალი დაენისლა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელას, — ჩემი ხნის გოგოები დიდი ხანია ოჯახს მოეკიდნენ, შვილებს ზრდიან. რომ წამოვიჩიჩტეთ, ისეთი ვიყავი, ამბობდნენ, ნათელა ყველაზე ადრე გათხოვდებაო. ჩემი ამხანაგები ყველანი გათხოვდნენ, მე კი გულსუნდასა და დაროს შევაბერდი.

— თავს ნუ ისაწყლებ, რა დროს შენი სიბერეა!

— გულს მიმშვიდებ, არა? სიყვარულით ალბათ ვეღარავის შევიყვარებ. ისე გათხოვება კი არ მინდა.

— დაიცადე, გამოჩნდება შენი ბედიც.

— ეჰ, ლალიკო, ცხოვრებისაგან აღარაფერს მოველი.

ასე გულსადილად არასოდეს ულაპარაკია ნათელას. გარეგნულად მხიარული გოგო, გულში თურმე რამდენ ნაღველს ატარებს!

ერთ ხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია.

— მე მალაპარაკებ, შენ კი გაჩუმებული ხარ, — სთქვა ბოლოს ნათელამ. სთქვი რამე!

— რა გითხრა, — გულსადილად უპასუხა ლალიმ, — ვცხოვრობ, ჯერ მეც ვერ გავრკვეულვარ. ცუდია ყველაფერი ეს, თუ კარგი.

— ცუდს შენთან რა ხელი აქვს, ლალი!

უეცრად ძლიერმა ქარმა დაუბერა და მოსაუბრეთ სახეში ხის ხმელი ფოთლები შეაყარა.

— აცივდა, შინ წავიდეთ, — უთხრა ლალიმ ნათელას.

— არა, მეჩქარება.

— აკი შენთან მოვდიოდიო?

— ხომ გნახე, შემდეგ შემოვივლი. მკერავთან მიმეჩქარება. იცი, რა კაბას ვიკერავ!

ხელგადახვეულები გამოვიდნენ პარკიდან. ნათელა ტროლეიბუსში ჩაჯდა. წასელისას ხელი დაუქნია ლალის, კოცნა გაუგზავნა.

თავი მეთვრამეტე

დაუმთავრებელი ქანდაკება

ლალი შეიშმუშნა. თვალი გაახილა. საათს დახედა, ათი შესრულებულა. ოთარი ტახვაუხდელი დივანზე იწვა. ღვინისა და უძილობის გამო სახე დაღმეკუოდა. წუხელაც უზომოდ მთვრალი მოვიდა, ვერაფრით ვერ გაიხადა ტანსაცმელი. დივანზე მიეგდო, მთელი ღამე შფოთავდა და ბორგავდა. გაუპარსავი იყო. წინათ კოხტაობა უყვარდა, ახლა ყველაფერს თავი მიანება. აშლილი თმები შუბლზე ჩამოყროდა, მძიმედ სუნთქავდა.

ლალიმ ხალათი გადაიცვა და ოთართან მივიდა.

— ოთარ, ოთარ! — ფრთხილად შეანჯღრია, მაგრამ ვერ გააღვიძა.

— ოთარ, სამსახურში გაგვიანდება.

როგორც იქნა, ოთარმა თვალი გაახილა, მაგრამ უმალვე დახუჭა.

— ოთარ, გაიღვიძე! — არ ეშვებოდა ლალი.

— რა იყო? — წაიბურტყუნა ოთარმა და უაზროდ შეაჩერდა ლალის.

— ოთარ, ადექი!

— რატომ?

— ათი საათია.

— რას ლაპარაკობ?! — შეჰყვირა ოთარმა, ძლივს ასწია თავი, წამოდგა და ოთახიდან ბარბაცით გავიდა.

— წუხელ ისეთი მთვრალი მოხვედი, ვერაფრით ლოგინში ვერ დაგაწვინე, — საყვედური დაადევნა ლალიმ.

ოთარმა არაფერი უპასუხა, პირის ბანას რომ მორჩა, ოთახში შემობრუნდა, შუბლზე ჩამოყრილი თმა გადაივარცხნა.

— სად იყავი? — შეეკითხა ლალი.

— მეგობრები შემხვდნენ, — ჩახლეჩილი ხმით მიუგო ოთარმა.

— მერე?

— რესტორანში შევედით, ჩემი დამარცხებისა და უნიჭობისა დავლიეთ.

— გაწყენს ამდენი ღვინო! ესეც არ იყოს, სამსახურში არაფერს გეტყვიან, ყოველდღე რომ აგვიანებ?

— ჩემს საქმეს ის მოხუცი გააკეთებს. მოასწრებს...

— რა იქნებოდა, ის მოხუცი მოგეყვანა?

— რა საჭიროა! — ხელი ჩაიქნია ოთარმა.

— გავიცნობდი.

— არ მინდა! — ყრუდ სთქვა ოთარმა და ხალათზე დაიხედა, — ხედავ, ღილი ამწყვეტია.

— დაიცადე, ახლავე დაგიკერებ.

ლალიმ ნემსი და ძაფი აიღო. პატარა კოლოფში ღილი მოძებნა.

— ყოველდღე მთვრალი მოდიხარ.

— ჰო, კარგი, კარგი.

— ეჰ, ოთარ, — ამოიკვნესა ლალიმ.

ოთარმა თავზე ხელი გადაუსვა.

— შენ ძალიან კარგი გოგო ხარ, ლალი. მე კი აბა რა ვარ? — დაუმთავრებელ ქანდაკებასთან მივიდა, დიდხანს უყურა. — ხედავ, ვერ შევძელი მისი დამთავრება, ასეთი ბედის ვყოფილვარ.

— მაგას რატომ ამბობ? — შეწუხდა ლალი. — კიდევ სცადე, უფრო მეტი იმუშავე. რა გიშლის ხელს, რომ არ მუშაობ.

— მე შენ ძალიან მიყვარხარ, ლალი, — კითხვა აიცილა ოთარმა.

— გიყვარდი, — ცრემლნარევი ხმით მიუგო ლალიმ.

— შენი სახით მკურნალს ვეძებდი, მაგრამ...

— მაგრამ რა? სთქვი, რისი თქმაც გინდა.

— არა, — ხელი ჩაიქნია ოთარმა და კარისაკენ წავიდა, — ვერასოდეს ვერ დავამთავრებ ამ ქანდაკებას.

— ერთხელ კიდევ სცადე, ოთარ, სცადე, იმუშავე.

— მეჩქარება, — დაფაცურდა ოთარი, — დამაგვიანდა.

— ოთარ, — წინ გადაუდგა ლალი, — გული ცუდს მეუბნება. თუ რაიმე სათქმელი გაქვს, მითხარი, ნუღარ მტანჯავ; ხომ იცი, ამქვეყნად შენს მეტი არაფინა მყავს.

ვიღაცამ ზარი დარეკა. ოთარმა კარი გააღო. ოთაბში გიორგი შემოვიდა.

— აქა მშვიდობა! — მხიარულად შესძახა მან.

— ძია გიორგი! — სიყვარულით შეეგება ლალი.

— გამარჯობა, ძია გიორგი! — გაიღიმა ოთარმაც, — ბოდიშს ვიხდი, სამარაოვანი ბიბლიოთეკა სახურში მაგვიანდება. ლალიკო, აბა, შენ იცი, როგორ დახვდები ჩვენს საყვარელ ძია გიორგის.

ლალი დაფაცურდა.

— იცით, როგორ გამახარეთ, ძია გიორგი! წინათ უფრო ხშირად მოდიოდით, ახლა რად დამივიწყეთ?

— ეჰ, ლალიკო, ცუდი ყოფილა სიბერე, ხან დეიდაშენია ავად, ხან კიდევ მე.

— დეიდა ავადაა?

— ჰო, ცოტა შეუძლოდაა. შენ როგორღა ცხოვრობ?

— რა მიჭირს...

— თვალები ჩაშავებული გაქვს. რაშია საქმე?

— მე თვითონ არ ვიცი, რა ამბავია ჩემს თავს, ძია გიორგი, — ჩურჩულით სთქვა ლალიმ.

— რას ამბობ, ოთარი ცუდად გექცევა?

— აბა, როგორ გითხრათ, როგორ აგიხსნათ!

— უნდა მოხვიდე, ლალი, ნახო დეიდაშენი, ქალი ქალს უფრო გაუგებს, დაგარიგებს.

— ნათელას შევჰირდი, მინდოდა მოსვლა, მოვალ კიდეც, მაგრამ ახლა ეს ძნელია ჩემთვის! — სთქვა ლალიმ და სამზარეულოს მიაშურა.

კერძი გააცხელა, სუფრა გააწყო. ღვინო გამოიტანა.

— მობრძანდით, — მოიპატიჟა სტუმარი.

გიორგის შეპატიჟება არც უნდოდა, გემრიელად შეექცეოდა საჭმელს. ლალისაც მადა გაეხსნა: კერძი გადმოიღო, ღვინოც დააყოლა.

— კარგი გოგო ხარ, ლალი, ნეტავი ჩემი შვილი იყო!

— რად გინდივართ, — ხელი ჩაიქნია ლალიმ, — მე ყველგან უბედურება მიმაქვს, ალბათ ასეთია ჩემი ბედი!..

— მეორედ არა სთქვა ეს, — დატუქსა

გიორგიმ, ჭიქა ღვინით აავსო, — შენ გაგიმარჯოს, ლალი.

უცბად ზარმა დაიწკრიალა, ვიღაც გაბმით, ნერვიულად რეკავდა.

— ნახე, თუ ოთარი არ იყოს! — სთქვა გიორგიმ და ჭიქა გამოცალა.

ლალიმ კარი გააღო.

დერეფანში ოცდაათიოდე წლის უცნობი ქალი იდგა. ოდნავ კეხიანი ცხვირი და საოცრად შავი თვალები ჰქონდა. ტუჩები მაგრად მოეკუმა, სახეგამეხებული იდგა და ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდა დიასახლისს. ლალიმ მის მზერას ვერ გაუძლო და თავი დახარა.

— შეიძლება? — ხმამაღლა იკითხა უცნობმა.

— მობრძანდით! — ჩურჩულით მიუგო ლალიმ და ოთახში შეუძღვა.

გიორგი წამოდგა. ახალმოსული შეკრთა, უნებლიეთ კართან შეჩერდა.

— უკაცრავად! — ბოდიში მოიხადა მან.

— დაბრძანდით, ქალბატონო, და გვეწვიეთ! — მიმართა მას გიორგიმ.

— გმადლობთ! — მიუგო ქალმა.

გიორგიმ ლალის თვალით ანიშნა, ვინ არისო. ლალიმ მხრები აიჩეჩა.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილი ლალიმ დაარღვია.

— ვინ ბნებავთ?

— მე თქვენთან მოვედი, ლალი! — სთქვა უცნობმა.

ლალი გაოცდა.

— თქვენ განა მიცნობთ?

უცნობი კვლავ დაჟინებით დააცქერდა ლალის. თავით ფეხებამდე შეათვალიერა. ლალი შეკრთა.

— დიახ, — მიუგო ქალმა და გიორგის გადახედა, — მაგრამ...

— მე წავალ, — სთქვა გიორგიმ.

— რატომ? — ჩურჩულით ჩაილაპარაკა ლალიმ, — ეს ჩემი ბიძაა.

— გიორგი გარდაფხაძე! — წარუდგა ქალს გიორგი და ხელი გაუწოდა.

უცნობი შეყოყმანდა, მაგრამ მაინც ჩამოართვა გიორგის ხელი.

— ბრძანდებოდეთ, — მიმართა მან გიორგის, — სხვა დროს შემოვივლი.

გიორგი მიხვდა, რომ ამ ქალს ლალისთან მარტო დარჩენა სურდა.

— არა, ქალბატონო, მე მაინც ერთი წუთით შემოვერბინე. ნახვამდის, ჩემო ოქრო, — დაემშვიდობა გიორგი ლალის. — გამაგრდი, გინახულებ. ბოდიშს ვიხდი, ბატონო!

გიორგი გავიდა. გასვლისას ლალის თვალით რაღაც ანიშნა. ლალი ვერ მიუხვდა სათქმელს.

ქალმა ოთახში გაიარ-გამოიარა, შემდეგ მაგიდასთან მივიდა, საფერფლე აიღო.

— ახალი საფერფლე შეგიძენიათ.

ლალი შედგა, ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

— თქვენ... თქვენ ვინ ბრძანდებით? — ძლივს წაილუღლუღა მან.

ქალი ლალის ყურადღებას არ აქცევდა, ოთახს ათვალიერებდა. ახლა კარადაზე შემოდგმულ ფინჯანს მოჰკრა თვალი.

— ესეც ახალია, საწოლებისთვისაც ადგილი შეგიცვლიათ, — დაუმთავრებელ ქანდაკებასთან დიდხანს იდგა. — მაშ, ეს არის „გულჩიორა“? ამის გამო იყო, რომ... — იქვე დაჯდა, ცალი ხელი ქანდაკებას დაადო და კვლავ ლალის დააცქერდა, — დაჯექი!

ლალი ერთ ადგილზე გაშეშებულიყო და დუმდა.

— რა ლამაზი სახე გაქვს! ეს რომ გამოექანდაკებინა...

— საიდან, საიდან იცით? — კი არ სთქვა, ამოიხრიალა ლალიმ.

— ნუ ღელავ, უნდა მძულდე, ნამდვილად კი მეცოდები!

— ვინა ხართ? — იკითხა ათრთოლებულმა ლალიმ.

— კარგი, მიგდე ყური, — ხმა შეეცვალა ქალს, ხელჩანთა გახსნა, სურათი ამოიღო და ლალის გაუწოდა.

— აბა, ამ სურათს დახედე!

ლალიმ მისდაუნებურად გამოართვა სურათი, მაგრამ თვალთ დაუბნელდა და ვერაფერი გაარჩია.

— კარგად დააცქერდი! — განაგრძო უცნობმა, — ნუთუ ამ ბიჭუნას სახე, თვალება, აი, ეს შავი, სქელი წარბები,

პატარა ხალი არავის გაგონებს? იცი, რა კარგი ბიჭუნაა, როგორ უყვარს მამამისი? ეს ერთი ხანია, ავადმყოფობს, ახლა ექიმები ყველაფერს უკრძალავენ. — ქალს ცრემლი მოერია.

ლალის გულმა უთხრა, რომ მის თავს რაღაც უბედურება იყო. გაოგნებული შესცქეროდა უცნობ სტუმარს.

„ასე სმამაღალა რად ლაპარაკობს, ან ჩემგან რა უნდა?“ — ფიქრობდა იგი.

— ავადმყოფი ბიჭუნა მამას ელოდება. ვიცით, უმტკივნეულოდ არ მოხდება ეს, მაგრამ ბავშვის სიცოცხლე ამ მსხვერპლს მოითხოვს. ჩემთვის არა გთხოვ, — უცბად მოტყდა ქალი, — ბავშვს, ბავშვს დაუბრუნე მამა!

ლალი წაბარბაცდა:

— მამა! — ცივად შეპკივლა, ფეხები მოეკეცა და გონმიხდილი იქვე, იატაკზე დაეცა.

ქალი დაიბნა.

— ოთარ, შენ გქონდეს ჩვენი ცოდვა! — წამოიძახა მან.

დაიხარა, ლალის წამოყენება სცადა, ვერ შეძლო. მაგიდაზე ჭიქას დაწვდა, გონმიხდილ ქალს წყლით საფეთქლები დაუზილა, შემდეგ ტელეფონთან მივარდა და ნომერი აკრიფა.

— სასწრაფო დახმარებაა?

ამ დროს ვიღაცამ ზარი დარეკა:

— დაიცადეთ! — ჩასძახა ყურმილში, მილაკი მაგიდაზე მიაგდო და კარი გააღო.

ოთახში გიორგი, სოფიო და არანჩა შემოვიდნენ.

— მომეშველეთ!

— რა მოუვიდა? — იკივლა სოფიომ. სამივენი იატაკზე გაშოტილ ლალის მიცვივდნენ.

— ალო! ალო! — ისმოდა ყურმილში.

— გული წაუვიდა, ვერ მოვაბრუნე, — სთქვა უცნობმა ქალმა.

„რა აყვირებს ამ ქალს?“ — გაიფიქრა გიორგიმ.

— გიგი, მომეშველე! — დაუძახა სოფიომ.

ლალი ასწიეს, საწოლზე დააწვინეს. უცნობი ქალი გასასვლელისკენ გაემართა.

— ძია გიორგი, — უთხრა არანჩამ, — ეს ქალი არსად გაუშვა!

გიორგი მერის წინ გადაუდგა.

— გამიშვით — ხმადაბლა სთქვა მერიმ.

— ქალბატონო, — მრისხანედ ხელი ასწია გიორგიმ, — ჯერჯერობით აქედან ვერსად წასვალთ!

— ლალი, ლალიკო, შვილო! — ჩასძახოდა ლალის თვალცრემლიანი სოფიო, შუბლსა და ლოყებს უსრესდა, წყალს აპკურებდა.

— გონს მოდის, — დაიძახა არანჩამ.

ლალიმ ნელ-ნელა გაახილა თვალი. თანდათან გონს მოეგო, უცებ სოფიო დაინახა, წამოხტა და ქვითინით გულში ჩაეკონა.

— დეიდა, მიშველე!

— დამშვიდდი, ლალი, რა მოგვიდა, მოგიკვდეს დეიდაშენი!

— რა მოხდა? — შეეკითხა არანჩა.

ლალიმ მხოლოდ ახლა დაინახა არანჩა. მასაც გადაეხვია.

— ვინ არის ეს ქალი?

ლალიმ თავი ასწია, დიდხანს უყურა უცნობ ქალს. ქალმა თვალი ვერ გაუსწორა, წეღან თამამად შემოვიდა, ახლა კი წელში მოხრილი იდგა.

— არ გაეუშვით, რა ვიცი, ვინ არის...

ლალიმ გიორგის ხელით ანიშნა, ნუ შეაჩერებო.

გიორგიმ გზა მისცა, ქალი სწრაფად გავიდა.

— ვინ იყო? — კვლავ შეეკითხა არანჩა.

ლალიმ თავზე ხელი მოისვა და ძლივს ამოილუღლუღა:

— ოთარის ცოლია, შვილიც ჰყოლიათ, გულით ავადმყოფი ბავშვიაო.

ყველანი გაშეშდნენ. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

— ო, მაგათ სინსლა გაწყდეს! — წამოიძახა არანჩამ.

— რა მეშველება, დეიდა, — აქვითინდა ლალი, — რა მეშველება?!

— მოგიკვდეს დეიდა! — ტირიდა სოფიო.

არანჩამ თაგზე ხელი გადაუსვა.

— გამაგრდი, ლალი. მე, უპატრონო, უცხო არ დავიკარგე ჩვენთან და შენ რისა გეშინიან, — დაამშვიდა არანჩამ.

სოფიო გონს მოეგო და წამოდგა.

— ახლავე შენ ბარგს თავი მოუყარე, — და ჩემთან წამოდი, — მტკიცედ უთხრა ლალის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეცხრამეტე

ნატო მოვიდა

ლალის მარტოკა არ ტოვებენ. რიგ-რიგობით მოდიან მასთან. სამწუხარო შემთხვევამ მეზობლებიც შეარიგა, ერთმანეთს დაუახლოვა. დეიდა სოფიო სულ კამოიცვალა. თვალებში შესცქერის ლალის, ყოველ მის სერვილს უსიტყვოდ იგებს. თავს ეელება, ბავშვივით უვლის, ანებივრებს. რამდენადაც წინათ მკაცრი და კაპასი იყო, იმდენად ახლა დამყოლი და ალერსიანია.

თითქოს პირი ჰქონდეთ შეკრული, ოთარს არავინ ახსენებს. მხოლოდ ერთხელ მიიღეს მისგან წერილი. მაპატიეო, თხოვდა ლალის. ლალიმ წერილზე არ უპასუხა.

დღეს არანჩაა მასთან. დეიდა, გიორგი და ნათელა სოფელში, გიორგის ნათესავის დაკრძალვაზე არიან წასულნი.

არანჩა ესპანეთის ამბებს უყვება. თუ დაიწყო ესპანეთზე ლაპარაკი, ისედაც ფართო თვალები უფრო გაუფართოვდება, სახეზე ალმური მოედება და ვეღარაფრით გააჩერებ.

ვიღაცამ ზარი დარეკა. ლალი შეკრთა. არანჩა წამოდგა, კარი გააღო. ოთახში წაალისფერომიანი ქალიშვილი შემოვიდა, ლალისთან მივიდა, გადაეხვია.

— ლალი, ძვირფასო!

— ნატო!

— ჩემი ბრალია, — ცრემლი მოერია ნატოს, — მე ხომ ახლა კომკავშირის რაიკომში ვმუშაობ. აქამდე უნდა მოსულიყავი, უნდა მენახე. ხუთი თვეა, კრებას არ დასწრებიხარ, მაშასადამე, უნდა გაგვერკვია, რაში იყო საქმე. იმ მეღვინეებსაც შავი დღე დავაყარე, — ისე გულდაჯერებით ლაპარაკობდა, თითქოს მართლაც შეეძლო ლალის ცხოვრებაში რაიმეს შეცვლა.

— ნატო, გაიცანი, ეს დეიდა არანჩაა.

ნატომ არანჩას ხელი ჩამოართვა და შემდეგ კვლავ ლალის მიუბრუნდა:

— ჩემს რაიონში ყოფილხარ აღრიცხვაზე. ამასწინათ შემთხვევით შენს პირად ბარათს წავაწყდი.

— მაშ, ბარათმა გაპოვნინა ჩემი თავი? — გაეღიმა ლალის.

— სად მიმაგრებულხარ, — უსაყვედურა ნატომ, — ღვინის ქარხანაში რა გინდოდა?

— ასე მითხრეს, ბინასთან ახლოს არისო. ამასწინათ მოვიდნენ მეღვინეები, მისაყვედურეს, კრებებს რატომ არ ესწრებიო.

— მითხრეს, მითხრეს! დარცხვენილები იყვნენ. ბინა გამოგიცვლია, დიდხანს გეძებეს თურმე. მეზობლისაგან შეუტყვიათ შენი ამბავი. ადრე ვერ იკითხეს? ამბობენ, ნატო ავიაო. მოდი და ნუ იქნები ავი! აქ ადამიანს თავისი დარდი ახრჩობს, ისინი კი საყვედურობენ, კრებებს რად არ ესწრებიო, მაგრამ მერწმუნე, კარგი ახალგაზრდები არიან. სულ თავში იცემდნენ ხელს, ეს რა მოგვვიდეაო. მოდი, გულახდილად ვილაპარაკოთ, ცოტა შენი ბრალიცაა.

უცბად ნატო არანჩას თვალებს წააწყდა და შეჩერდა. მიხედა, იმას არ ამბობდა, რასაც გული უკარნახებდა. არანჩას თვალებიც ამას საყვედურობდნენ, რა დროს ეგეებიაო. ნირწამხდარი წამოდგა, ლალის გვერდით მიუჯდა, ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა.

— მოკლედ, გამაგრდი! აქ არა ვართ?! — შემდეგ თითქოს რაღაც მოაგონდაო, ისევ არანჩას შეხედა.

— როგორ სთქვი, ამ დეიდას რა ჰქვიაო?

— არანჩა, — გაეღიმა ლალის, — ესპანელია.

— რას ლაპარაკობ! — წამოხტა ნატო, — მერე ქართული საიდან იცის?

— ჩვენი რძალია, ქმარი ქართველი ჰყავს, — უპასუხა ლალიმ.

არანჩამ სუფრა გააწყო და გოგონები მიიწვია.

— ჰო, სულ დამავიწყდა, — სთქვა ნატომ, — ნამცხვარი მოვიტანე, ჩემი ნახელავია. აბა, გასინჯეთ, მე მგონია, ვერ დამიწუნებთ.

ერთ ხანს უხმოდ სვამდნენ ჩაის. ნატოს ნამცხვარი მოეწონათ.

— იცით, რა მოვიფიქრე? — უცბად წამოხტა ნატო, — ბედი გქონია, დეიდა არანჩა რომ აქ დამხვდა. მე მგონია, უარს ვერ ეტყვის.

— ვინ ვერ ეტყვის უარს, ადამიანურად გაგვაგებინე! — უთხრა ლალიმ.

— ყური მიგდე, — ხელები მოიფშვნიტა ნატომ, — საქმე შემდეგშია: ლალი უნდა სამსახურში მოვაწყო, ადგილს, რასაკვირველია, გამოვნახავთ, მაგრამ მე სულ სხვა რამ მინდა. პროფესორი თუხარელი ხომ გაგიგონიათ?

არანჩას გაეღიმა.

— თუხარელი ვის არ გაუგონია!

— მის საავადმყოფოში მოხვედრა ძალზე ძნელია. არადა, ლალისათვის ამაზე უკეთესს ვერაფერს მოვიფიქრებთ. ის საავადმყოფო ჩემს რაიონშია. მათი კომკავშირის კომიტეტის მდივანს ვუთხარი — ორივე ხელი გაასაცსავა, პროფესორი ახალბედა ექთანს არავითარ შემთხვევაში არ მიიღებსო. დეიდა არანჩა, თქვენ რომ მისულიყავით, იქნებ უარი არ ეთქვა.

— ჩემი თხოვნით თუ საქმე გაკეთდება, მივალ, — მყისვე დაეთანხმა არანჩა.

— ეშველება, ეშველება, — დაბეჯითებით სთქვა ნატომ, — ესპანელ ქალს უარს როგორ ეტყვის, სალამოს შვიდიდან ცხრა საათამდე აქვს მიღება.

— ძალიან კარგი, ხვალვე წავალ.

ნატომ ლალის ხელი მოხვია, დაატრიალა.

— ოჰ, ნეტავი კარგად დამთავრდეს ეს საქმე!

— მე ისეთი ბედი მაქვს... — ჩაილუღლუღა ლალიმ.

— გამხიარულდი, თავი მაღლა ასწიე, რას ჰქვია ბედი! ბედი ჩვენს ხელთაა, — დატუქსა იგი ნატომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მეოცე

პროფესორი და ბასკი ქალი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ივანე თუხარელის მისაღები ოთახი მუდამ ხალხითაა სავსე. საიდან არ მოდიან ავადმყოფები ამ სახელგანთქმულ დასტაქართან. თუხარელს დღეში ორი საათი აქვს მათთვის დათმობილი. ამ ხნის განმავლობაში ათი ავადმყოფის მიღებას ასწრებს. ეს იციან მომსულელებმა, ამიტომ თავიდანვე ათი კაცი ჩაეწერება, თუხარელს თანაშემწე არ ჰყავს, ამიტომ წესრიგს თვით ავადმყოფები იცავენ. პროფესორი თუხარელი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია. ერთ დღეს თავის ამომრჩეველებს უთმობს, იმ დღეს ავადმყოფებს არ ღებულობს. ამასაც შეეჩვივნენ მომსულელები. პროფესორი დღისით თავის საავადმყოფოშია. თუ საოპერაციო დღე აქვს, სამ საათამდე იქ არის. არადა, თორმეტ საათამდე ამთავრებს პალატების შემოვლას. წუთით არა აქვს მოცლა: ესწრება კოლეგიის სხდომებს, ლექციებს, სესიებს. მსოფლიოს ქირურგთა არც ერთი კონგრესი მისი მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა.

მაგრამ წლებსაც თავისი გააქვს. დღეს განსაკუთრებით გადაიღალა თუხარელი. მძიმე ოპერაცია გააკეთა, ძლივს გამოსტაცა ავადმყოფი სიკვდილს. ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა. ეს-ესაა დაუ-

რეკეს, ავადმყოფი თავს კარგად გრძნობსო.

დღეს სპორტის სასახლეში ქართველ კალათბურთელებს გადამწყვეტი შეხვედრა აქვთ. მედიცინის შემდეგ ყველაზე მეტად სპორტი იტაცებს თუხარელს. არა, ამადამ ვერ წავა, მაგრამ ტელევიზორით მაინც ნახავს. ნეტავ რა ანგარიშია, ჩვენები იგებენ თუ აგებენ? პაპაროსი ამოიღო. ერთადერთ რამ, რასაც ვერ შეელია, ეს თამბაქოა. იცის, მასზე უკეთ ვინ იცის, რომ თამბაქო ჯანმრთელობისათვის ძალზე მავნებელია. თუხარელმა კაბინეტის კარი გამოაღო და მოსაცდელ ოთახში გამოვიდა. მის შემოსვლაზე კუთხეში მჯდომი ქალი წამოდგა. პროფესორი გაოცებული შედგა. არ ახსოვს, მიღების საათების დამთავრების შემდეგ ამ ოთახში ვინმე დახვედროდეს.

— ბოდიში, პროფესორო, — რაღაც უცნაური აქცენტით სთქვა ქალმა, — თქვენს განრიგს არ დავარღვევდი, აუცილებელი და სასწრაფო საქმე რომ არ მქონდეს.

თუხარელმა დაკვირვებით შეათვალიერა უცნობი. ვერ მისვდა, რა ეროვნებისა უნდა ყოფილიყო. ცნობისმოყვარეობამ სძლია.

— დაბრძანდით! — უთხრა მან ქალს.

ქალი დაჯდა.

— არ ვიცი, როგორ დავიწყო, — ენის ბორძიკით სთქვა მან, — თქვენთან ერთი ობოლი ქალიშვილის ბედმა მომიყვანა.

თუხარელი გულდასმით უსმენდა. ნეტავ რა ეროვნებისაა ეს შავგვრემანი ქალი, ქართველი არ არის, არც რუსსა ჰგავს, არც სომეხს. მაშ ვის უნდა იყოს?

— ესპანელი გახლავართ, — სთქვა არანჩამ.

პროფესორი ახალგაზრდობაში ესპანურით იყო გატაცებული. გაჭირვებით შეეძლო ლაპარაკი. ახლაც არ დააყოვნა და ესპანურად შეეკითხა:

— მერედა, ესპანელი ქალი აქ საიდან მოხვედი?

არანჩა მოულოდნელობისაგან დაიბნა. ყველაფერს მოელოდა, მაგრამ პროფესორი თუ ესპანურად დაუწყებდა ლაპარაკს, ეს აღარ ეგონა. გაბედულად დაუბრუნა ესპანურადვე მიუგო:

— დიდი ხნის ამბავია, ბავშვები ჩამოგვიყვანეს, ფაშისტებს გამოვექეცით.

— რომელი კუთხიდან ხარ?

— ბასკი ვარ! — მიუგო არანჩამ.

— ბასკი? — თუხარელი ბასკებისა და ქართველების ნათესაობაზე ელაპარაკა არანჩას. მერე რატომღაც ჰემინგუეი გაიხსენა, ნიკო მარის შრომებიც არ დაივიწყა.

— ბასკური თუ იცი?

— გადამავიწყდა, — უპასუხა არანჩამ, — მოსკოვის საბავშვო სახლში რომ ვიყავით, დოლორეს იბარური და ხოსე დიასი მოდიოდნენ ხშირად ჩვენთან. დოლორესიც ხომ ბასკია. ბასკებს ერთად შეგვყრიდა და გვესაუბრებოდა.

— სამი წლის წინათ ბილბაოში ვიყავი, ქირურგების საერთაშორისო კონგრესზე მიმიწვიეს, — თქვა თუხარელმა.

— რას ლაპარაკობ? — აღტაცება ვერ დაფარა არანჩამ, — მეც ხომ ბილბაოდან ვარ!

— შესანიშნავი ქალაქია, — განაგრძო თუხარელმა, — ყველაზე მეტად ამ ქალაქის თავზე წამოყუდებულმა მთის სახელწოდებამ გამაოცა.

— არჩანდა! — წამოიძახა არანჩამ, — არჩანდა!

— დიახ, დიახ, არჩანდა! ქალაქში რომ ჩავედით ღრუბლიანი დღე იყო და მთა ჯანელიან იყო დაფარული. არჩანდა! ნუთუ ამ სიტყვას რაიმე საერთო აქვს ქართულთან?

— მე ბაკიოში ვიზრდებოდი, ბიძასთან, ეს სოფელი ბილბაოსა და სანტანდერს შუაა, — არანჩა უცბად დადუმდა. პროფესორთან ასეთი გულახდილი ლაპარაკისა შერცხვა. განა ამისათვის მოვიდა? რამდენი ხანია აქ ზის და ჯერ ლალის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავს.

თუხარელმა ცერად შეხედა კედლის საათს.

არანჩამ მოსვლის მიზეზი აუხსნა. განსაკუთრებულმა მდგომარეობამ გააბედვინა მისი შეწუხება. ობოლი ქალიშვილია, წელს სამედიცინო ინსტიტუტ-

ში აბარებდა მისაღებ გამოცდებს. ერთი ქუდა დაკլდა. შემდეგ მოულოდნელად გათხოვდა. ქმარს სხვა ცოლ-შვილი აღმოაჩნდა, იცის პროფესორმა ახალგაზრდობის შეცდომები. ახლა ისეთ დღეშია გოგო, მისი ცოდვით ხეც ატირდება. მისთვის ერთადერთი გამისავალი სამსახურია. იქნებ მიიღოს პროფესორმა საავადმყოფოში. რა თქმა უნდა, ეს ძნელია, მაგრამ იმედი აქვს, უარს არ ეტყვის.

თუხარელი შეყოყმანდა.

— მერედა, რა ადგილი უნდა გამოვუნახო იმ ქალიშვილს?

— სამედიცინო ტექნიკუში აქვს დამთავრებული.

— უმუშავნია სადმე?

— არა...

— რა ვქნა,—წამოდგა თუხარელი, — ჩემს საავადმყოფოში გამოუცდელ ადამიანებს არ ვამუშავებ, მაგრამ რადგან ბასკი ქალი გაისარჯა, ვფიქრობ, რამეს მოვახერხებ.

არანჩა გახარებული წამოხტა:

— რა ვქნა, მადლობა რითი გადაგიხადოთ?

— ხვალ დილით ათის ნახევარზე საავადმყოფოში მოდით და ის გოგონაც მოიყვანეთ.

— გმადლობთ, პროფესორო, — დაემშვიდობა არანჩა და თვალზე მომდგარი სიხარულის ცრემლი რომ დაეფარა, ოთახიდან სასწრაფოდ გავიდა.

„ვერც ამაღამ დავწერ ჟურნალისთვის წერილს", — გაიფიქრა თუხარელმა, მაგრამ სინანული არ უგრძვნია. ამ ბასკ ქალთან საუბარი მეტად საინტერესო იყო.

თავი ოცდამეერთე

თუხარელის საავადმყოფო

არანჩა და ლალი დილის ცხრა საათზე მოვიდნენ საავადმყოფოში. პროფესორი ჯერ არ ჩანდა. ზუსტად ათის ნახევარზე საკუთარი ავტომანქანით მოვიდა. მანქანას თვითონ მართავდა. ეზოში დააყენა, ცოტა ხნის შემდეგ არანჩასთან დარაჯი მივიდა, პროფესორი გთხოვთო, უთხრა.

არანჩამ ლალი შეათვალიერა, თმა შეუსწორა, აბა, შენ იცით, უთხრა.

გულის კანკალით შეაღო ლალიმ პროფესორის კაბინეტის კარი.

— ო, ბასკის ქალო, გამარჯობა, — გულღიად მიესალმა არანჩას თუხარელი, — აბა, გამაცანი შენი პროტეჟე.

თუხარელმა თავით ფეხებამდე შეათვალიერა ლალი. ეტყობოდა, ძალიან მოეწონა, თვალები აუციმციმდა.

— ვერავინ შემაცდენდა, — ღიმილით სთქვა მან, — ამ ბასკმა ქალმა კი მაიძულა ჩემი პრინციპებისათვის მელალატნა. შენი გვარი?

— ავალიშვილი, — ძლივს ამოიღო ხმა ლალიმ.

— დაიცა, გეთაყვა, — შუბლი მოისრისა თუხარელმა, — ერთი მოწაფე მყავდა, ავალიშვილი... ჰო, გამახსენდა, ლუარსაბ ავალიშვილი.

— მამაჩემი იყო, — გაეხარდა ლალის.

— კარგი ექიმი იყო, — ხელები მოიფშვნიტა თუხარელმა.—მახსოვს, წინადადება მივეცი, ჩემთან დაეწყო მუშაობა, მეუღლის გამო არ ისურვა, თბილისის ჰავა წყენსო. დედაშენის გარდაცვალების შემდეგ განვაახლეთ მიწერ-მოწერა, მაგრამ არ დასცალდა საბრალოს. რა მოუვიდა?

ლალის თვალზე ცრემლი მოადგა.

— გული ჰქონდა დაავადებული, — ჩაილუღღუღა მან.

— გული! გული! — გაიმეორა თუხარელმა, — ვერ იქნა, ვერ დავძღიეთ. დრო კია, თუმცა მე მაინც ვიმედოვნებ, ავალიშვილის ქალო, მე და შენ გაერთიანებული ძალით ავდგვით პირისაგან მიწისა გულის ავადმყოფობას. ასეა, ხომ? — მიუბრუნდა იგი არანჩას.

— თუ თქვენ მოინდომებთ, — ღიმილით მიუგო არანჩამ.

— უნდა მოვინდომოთ. სად დაამთავრე ტექნიკუმი

— ოჩამჩირეში. მამას ძალიან უნდოდა ექიმი ვყოფილიყავი.

— იქნები კიდეც ექიმი! რადგან ჩემთან მოხვდი, ნუ გეფიქრება, ნემსის გაკეთება მაინც თუ იცი?

— დიახ, — დაიბნა ლალი.

— არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი მადლობა, — დაიწყო არანჩამ, მაგრამ თუხარელს მისთვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ნახვამდის, ბასკის ქალო! — პროფესორმა ქალები წინ გაუშვა, არანჩას აჩვენა საით წასულიყო. ლალის ხელი მოჰკიდა, გარდერობთან მიიყვანა, თეთრი ხალათი აარჩია, ჩააცვა და დარბაზისაკენ გაუძღვა.

ყოველ დილით, სანამ შემოვლას დაიწყებდეს, თუხარელს თხუთმეტწუთიანი თათბირი აქვს ხოლმე. ამ თათბირზე ყველაფერს ასწრებს, ყველას დავალებას აძლევს, გუშინდელ შენიშვნებსაც არ ივიწყებს, ამოწმებს.

თუხარელის საავადმყოფოში მოხვედრა დიდი პატივია ყველასათვის. უუყარს, როცა ძველი თანამშრომელი მიდის, არც ახლებს ღებულობს ხალისით, მაგრამ თუ მიიღო, საკუთარ თავზე მეტად ენდობა. ერთი კია, თუ გული აიყარა, მორჩა, ღვიძლი ძმაც რომ იყოს, -ღარ შეურიგდება.

თათბირზე ლალის გამოჩენამ ყველა გააკვირვა. თათბირის შემდეგ თუხარელმა ლალი კანცელარიაში მიიყვანა.

— დომენტი, — უთხრა თავის მოადგილეს, — ეს ქალიშვილი დღესვე გააფორმე, ექთანია.—შემდეგ ლალის მიუბრუნდა, — მესამე პალატაში იმუშავებ. მეორე სართულზეა, ჩემი სახელით მიდი ილია ვაშაძესთან, უთხარი ავადმყოფები ჩაგაბაროს.

ლალი ილია ვაშაძესთან მივიდა. ილიას კარგა ხანს ეჭირა ლალის ხელი ხელში. ხელი ოფლიანი ჰქონდა. შემდეგ წინ წაუძღვა და ახალი ექთანი მესამე პალატაში შეიყვანა.

— ესეც თქვენი პალატა!

თავი ოცდამეორე

მძიმე ავადმყოფი

ლალი დღეს საღამოსაა მორიგე. ორი დღე ისვენებდა. მოვიდა თუ არა, მაშინვე მიხვდა, რომ საავადმყოფოში მძიმე ავადმყოფი იყო. ერთი თვეა, რაც მუშაობა დაიწყო და მეორე შემთხვევაა ასეთი. თუხარელიც აქვეა, დერეფანში ბოლთას სცემს და ნერვიულად ეწევა პაპიროსს.

წინათ აუცილებლად შეამჩნევდა ლალის, გაებუმრებოდა, ახლა ყურადღებაც არ მიუქცევია მისთვის. თანამშრომლებიც ფეხაკრეფით დადიან.

ლალიმ სასწრაფოდ ჩაიცვა თეთრი ხალათი და მესამე პალატას მიაშურა. ხუთი წუთიც არ გასულა, თუხარელმა კარი შეაღო და ცივად უთხრა:

— გამომყევი!

თუხარელი ფართო ნაბიჯით მიდიოდა, ლალი სირბილით მიჰყვებოდა უკან. თან ფიქრობდა, ხომ არაფერი დავაშავე, ასე მწყრალად რომ შემხვედა პროფესორიო. პროფესორი თუხარელი მეცამეტე პალატასთან შეჩერდა. ეს პალატა მძიმე ავადმყოფებისთვის იყო განკუთვნილი. როგორც წესი, იქ მხოლოდ ერთი ავადმყოფი იწვა.

თუხარელმა კარი გააღო.

— შემოდი! — უბრძანა მან ლალის და ჩურჩულით განაგრძო: გულის ოპერაცია გავუკეთეთ. ახლახან მოვიდა გონს, არავის იკარებს. სამი ექთანი გაავგდო. არადა, ახლა ნერვიულობა მისთვის დამღუპველია.

საწოლზე ათიოდე წლის ბიჭუნა იწვა. თავთან ექთანი ედგა. თუხარელმა ექთანს თვალით ანიშნა, გადიო და თვი-

თონ მიუჯდა ავადმყოფს. ბიჭუნა გაუნძრევლად იწვა, სახე საოცრად გაფითრებოდა, სუნთქვა უჭირდა. მან თვალი გაახილა და მოსულებს დააცქერდა.

— აჩიკო, — ტკბილად უთხრა თუხარელმა, — აი, შენი ახალი მომვლელი. ნახე რა კარგი დეიდაა!

— „დეიდა!“ — ეუცხოვა ლალის, მისთვის ასე ჯერ არავის მიუმართავს.

ბიჭუნა კოპებშეკრული უყურებდა ლალის. შემდეგ წარი გახსნა, ბაგეზე სუსტმა ღიმილმა გადაურბინა, მაგრამ მაშინვე თვალი დახუჭა და გაფითრდა.

— კოფენი! — ბრძანა თუხარელმა.

გამოხარშული ნემსი თავდახურულ კოლოფში იდო. თუხარელმა ბიჭუნას ხელი დაუჭირა. ლალიმ ნემსი გაუკეთა, ბავშვს ტკივილი არც უგრძვნია. სამიოდე წუთი უხმოდ იყვნენ, ბიჭუნა თანდათანობით გამოცოცხლდა, თვალი გაახილა, ლალის შეხედა და კვლავ ოდნავ გაიღიმა.

— გემოვნება გქონია, — გაეხუმრა თუხარელი, — სამი ექთანი დამიწუნე, დეიდა ლალის კი ვერ დამიწუნებ.

— გული, — ამოიხრიალა ბიჭუნამ.

— ეგ ჩემზე იყოს, — ანუგეშა თუხარელმა, — შენ მხოლოდ ლალი დეიდას დაუჯერე, მალე ჩიტივით წამოგახტუნებ!

— დედა!

— ჯერ დამაცადე, რომ მომჯობინდები, დედასაც ნახავ.

ბავშვმა კვლავ ლალის შეხედა.

— მოდი, მოეფერე! — ხმადაბლა უთხრა თუხარელმა ლალის.

ლალი საწოლზე ჩამოჯდა, ბიჭუნას უსიცოცხლო ხელი ხელში აიღო.

— მეძინება!—სთქვა ბავშვმა და თვალი მილულა.

თუხარელმა ლალის ანიშნა, გავიდეთო. დერეფანში დადგნენ. კარი ღიად დატოვეს, თუხარელმა პაპიროსი ამოიღო.

— ეგებ დაგიძახოს, — უთხრა პროფესორმა, ასანთი აანთო და გააბოლა, — ძალიან მძიმე ავადმყოფია. ოპერაცია დამაკმაყოფილებლად გადაიტანა. ბავშვია, დედას ვერ დავაყენებ თავზე, ხომ იცი ჩვენი წესი. თანაც დედა მოსაცალი გაგვიხდება. საწოლი აქვე გააშლეთ ვინმე. დღე და ღამ აქ ყოფნა მოგიწევთ. ვეტყვი რა უნდა გააკეთო. ღამის სამი საათიც რომ იყოს, თუ დაგჭირდეს, დამირეკე. — თავზე ხელი გადაუსვა და ჩუმად უთხრა. — თუ ეს ბიჭუნა ვერ გადავარჩინეთ, მე და შენ მედიცინაზე ხელი უნდა ავიღოთ. ნუ გეშინია, მორიგე ექიმი გვერდით გეყოლება, მთელი საავადმყოფო გაფრთხილებულია, მარტო არ დაგტოვებთ. ნემსი მუდამ მზად გქონდეს. თუ გაგიჭირდეს, დარეკე და ექიმი შენთან გაჩნდება. ჯერჯერობით ნემსს უიმისოდ ნუ გაუკეთებ, შემდეგ შეეჩვევი და თვითონ მიხვდები ყველაფერს. აბა, შენ იცი, მარტოკას ნუ დატოვებ.

ლალი პალატისაკენ გაემართა.

— ჰო, მართლა, — შეაჩერა თუხარელმა, — დედამისი მოგაკითხავს, ალბათ ახლაც აქაა, მოსაცდელში. არ შეშოუშვა, ეს გაართულებს ბავშვის მდგომარეობას. ტკბილად ელაპარაკე იმ ქალს! წასვლისას მეც ვნახავ, ვანუგეშებ, ვეტყვი, რომ ბავშვი შეეგეჩვია. შენ კი დამირეკე, ნუ მოგერიდება!

ლალი პალატაში შევიდა, საწოლთან ჩამოჯდა. ბიჭუნას ეძინა, მაგრამ ძილიც მოუსვენარი ჰქონდა, შფოთავდა, დროდადრო თითქოს სუნთქვაც ეკვროდა.

— დედა! — ოდნავ გასაგონად დაიჩურჩულა ბავშვმა.

ლალიმ თავზე ხელი გადაუსვა. ბიჭუნამ თვალი გაახილა, იცნო ლალი, გაიღიმა, პალატაში მორიგე ექიმი ილია ვაშაძე შემოვიდა. არ უყვარს ეს კაცი ლალის. ისეთი მსუნაგი თვალებით უცქერის, ისე თამამად ხვევს ხელს, რომ ლალი ერიდება მასთან მარტო დარჩენას.

ილიამ ბავშვს მაჯა გაუსინჯა.

— არა უშავს რა! — ჩურჩულით ჩაეკაპარაკა მან, შემდეგ ლალის გადახედა და თვალი ჩაუკრა.

პალატაში ფეხაკრეფით შემოვიდა სანიტარი და ილიას მიმართა:

— გთხოვენ.

— ვინ არის?—უკმეხად იკითხა ექიმმა.

— ამ ბიჭის დედაა.

— გაანწყალა გული!

— მე ვნახავ, — წამოდგა ლალი.

— როგორც გსურთ. აქ მე დავრჩები. ის ქალი ტირილს დაიწყებს, ყურადღებას ნუ მიაქცევთ. შვილის ნახვას მოგთხოვთ, კატეგორიულად უარი უთხარით. თუმცა განა რამეს შეასმენ, ერთი და იგივე ათასჯერ უნდა გიმეოროს კაცმა.

„ტკბილად ელაპარაკე, — გაახსენდა ლალის თუხარელის სიტყვები, — დედაა, გულდათუთქული დედა“.

მოსაცდელი ოთახის კუთხეში ვიღაც ქალი იჯდა. ლალი მიუახლოვდა, შეხედა და იქვე გაქვავდა.

— თქვენ! — ძლივს ამოიხრიალა ქალმა.

ლალის წინ ოთარის ცოლი, მერი, იდგა.

— ვაიმე, შვილო! — ამოიგმინა მერიმ, ქვითინნი წასკდა და მოცელილივით სკამზე დაეცა.

ლალი ხმას არ იღებდა, ვერც წასვლა გადაეწყვიტა, ვერც დარჩენა. გული მძაფრად უცემდა. ცოტა ხანს რომ ასე გაგრძელებულიყო, კოფეინის ნემსი თვით მას დასჭირდებოდა.

პირველად მერი მოვიდა გონს, ქვითინი შეიკავა, წამოდგა.

— თქვენ ხართ ის ექთანი, პროფესორი რომ მელაპარაკა?

— დიახ.

— არა! არა! არა! — წამოიყვირა ქალმა, მაგრამ თავს სძლია და დაჩუმდა.

მხოლოდ ახლა შეამჩნია ლალიმ, ეს ქალი იქ, მასთან რომ იყო, ზედმეტად ხმამაღლა ლაპარაკობდა, ახლა კი დარდსა და ვარამს ხმაც წაერთმია მისთვის.

— რა ენებავთ? — მტკიცედ უთხრა მან, — ავადმყოფი ბავშვი მელოდება.

— ჰო, ჰო, — დაიბნა მერი, — როგორ არის?

— სძინავს.

— მოუკვდეს დედა! — ამოიკვნესა ბერიმ, — მაჩვენეთ.

— პროფესორმა ხომ გითხრათ?..

— შემიბრალეთ, დედა ვარ.

— ნუ გეშინიათ, პროფესორი მკურნალობს, წუთითაც არ სცილდება.

— რა ქქნა, როგორ მოვიქცე?

ლალიმ წარბი შეიკრა. არაფერი უთხრა.

უცბად კარი გაიღო და ვიღაცა შემოვიდა. მერი შეკრთა, ლალის იქით არ გაუხედია, მაგრამ მიხვდა, რომ ეს ოთარი იყო. აღარაფერი უთქვამს, ოთახიდან გავიდა და კარი მიიხურა. ზურგს უკან მერის ქვითინი მოესმა.

ბიჭუნას ისევ ეძინა. ილიამ გაკვირვებით შეხედა ლალის.

— რა მოგივიდათ, ადამიანის ფერი არ გადევთ? მაჩვენეთ თქვენი მაჯა. — თითქოს მაჯას უსინჯავსო, ოფლიანი ხელი მოუჭირა. შემდეგ მკლავზედაც ააყოლა კოტიტა თითები. ლალიმ ხელი გამოგლიჯა.

— ახლავე აქედან მიბრძანდით, — მკაცრად უთხრა მან და საკუთარი ხმა ვეღარც კი იცნო, — ახლავე, თორემ პროფესორს დავურეკავ!

— ჰო, კარგი, კარგი. — დაფაცურდა ილია, — ხუმრობაც არ იცით, — და სასწრაფოდ გავიდა.

ლალიმ ქვითინი ვერ შეიკავა. მხრები უთრთოდა, დიდხანს ტიროდა. შემდეგ თანდათან დამშვიდდა, საწოლთან მივიდა და ბიჭუნას დააცქერდა.

ბიჭუნა ბორგავდა, ხან თვალს გაახელდა, ხან ისევ დახუჭავდა. დიდხანს დაჰყურებდა მას ლალი. ბავშვი საოცრად ჰგავდა მამას. ბიჭუნა შეიშმუშნა, ტკივილისაგან სახე დაეღმიჭა. ლალი გამოერკვა, ღილაკს ხელი დაუჭირა. ცოტა ხნის შემდეგ პალატაში ილია ვაშაძე შემოვიდა, ავადმყოფს დახედა.

— ჩქარა კოფეინი, — დაიჩურჩულა მან.

წამალმა დაამშვიდა ბავშვი, თვალი გაახილა, ჯერ ლალის შეხედა, შემდეგ ილიას დააცქერდა:

— ეს ძია არ მინდა!

— წავა! — დაამშვიდა ლალიმ და ილიას თვალით ანიშნა, გადითო, — მე კი შენთან დავრჩები, სულ აქ ვიქნები.

— დედა! — დაიკვნესა ბიჭუნამ. — დედა!

ლალი შუბლზე ეამბორა ბავშვს.

— ნუ გეშინია, მალე ნახავ დედას, — ჩურჩულით უთხრა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი ოცდამესამე

ახალი გულჩიორა

საღამო ხანია. ლალი დივანზე ზის, მწარე ფიქრებს მისცემია.

დღეს ლალის დაბადების დღეა და მამის გარდაცვალების წლისთავი. რამდენი რამ შეიცვალა ამ ერთ წელიწადში. ბავშვი იყო, ქალი გახდა, უზრუნველად ცხოვრობდა და ახლა თავად დაადგა დიდი ცხოვრების გზას.

დღეს გამოწერეს საავადმყოფოდან ოთარის შვილი. ბავშვს ჯერ ათი წელიც არ შესრულებია და უკვე რამდენჯერმე პირისპირ ებრძოდა სიკვდილს. მოიქანცა ლალი, დღისით ავადმყოფს ართობდა, ღამეები არ ეძინა. ბიჭუნა, როგორც კი ოდნავ მოიკეთა და ლაპარაკი შეძლო, სულ მამაზე ესაუბრებოდა ლალის. უამბობდა, როგორ უყვარს მამა, როგორ მოსტაცა იგი ამასწინათ ერთმა ალქაჯმა, როგორ ტიროდნენ ის და დედა, და როდესაც ცუდად გახდა, მხოლოდ მაშინ მოვიდა მასთან მამიკო.

ბავშვის წასაყვანად დედა მოვიდა, ოთარი არ გამოჩენილა. ვერ შეელია პატარა ბიჭი დიდი ლალის. დაუსრულებლად კოცნიდა, მაგრამ გარეთ ხომ დედიკო ელოდებოდა. შინ კიდევ მამა დახვდებოდა. იმ პირობით წავა, დედა ლალი თუ ინახულებს. თუ არადა, თვითონ მოძებნის მას, დიდი უკვე, თბილისში არ დაიკარგება.

ლალი პალატიდან არ გამოსულა. საქმე მოიმიზეზა, ფანჯრიდან უყურებდა, როგორ გადაჭრა დედა-შვილმა ქუჩა. ბიჭუნას კისერი მოეღრიცა მაღლა ყურებით.

ახლა ფანჯარასთან იჯდა ლალი. არავის გახსენებია მისი დაბადების დღე, ძალიან კარგი, არცა აქვს ამის თავი. უცბად ზარი დარეკეს. ლალიმ შუქი აანთო, კარი გამოაღო. კართან თუხარელი იდგა. ხელში რაღაც შეკვრა ეჭირა.

— შეიძლება?

ლალი გონს მოეგო.

— მობრძანდით, ბატონო პროფესორო, მობრძანდით! — სთქვა მან, თან ცალი თვალი ოთახს მოავლო, ხომ ყველაფერი რიგზეაო.

— მე მეგონა, აქ ზეიმი იყო, მარტოკა კი ხარ. განა დღეს შენი დაბადების დღე არ არის? — და ლალის გაოცებული მზერა რომ შეამჩნია, ღიმილით დაუმატა, — შენი ანკეტის მიხედვით, ამ ცხრამეტი წლის წინათ უნდა იყო დაბადებული.

ლალის თვალზე ცრემლი მოადგა.

— დიახ, — ჩაილაპარაკა მან და პროფესორს პალტო ჩამოართვა.

თუხარელი სკამზე დაჯდა, შეკვრა იქვე, მაგიდაზე დადო.

— ვიფიქრე, მივულოცავ დაბადების დღეს, ცოტა ხანს ვიმხიარულებ ახალგაზრდებთან-მეთქი. შენ კი მხიარულების ნაცვლად მოგიწყენია.

— დღეს, ბატონო პროფესორო, მამაჩემის გარდაცვალების წლისთავია.

— ჰოო, აი თურმე რაში ყოფილა საქმე. რა ვქნათ, შვილო, მშობლები უნდა დაიხოცონ. სამწუხარო ის არის, ახალგაზრდა კაცი რომ მოკვდება, თორემ მე ერთ ათ წელიწადში მიქელგაბრიელმა რომ მომიკითხოს, გული არავის დაწყდება.

— რას ბრძანებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუხარელმა მაგიდაზე გადაშლილ წიგნს დახედა.

— გამოცდებისთვის ემზადები?

— დიახ, თუ რამე გამომიგიდა.

— სექტემბერში გაგანთავისუფლებ,— ხუმრობით უთხრა მან, — შენი მუშაობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ მაინც გაგანთავისუფლებ. ასე რომ, ავალიშვილის ქალო, შენთვის ერთადერთი გამოსავალი უმაღლესში შესვლაა. არადა, წასულია შენი საქმე! მართლა, გეთაყვა, მითხარი, იმ ბასკმა ქალმა რა ქნა, მიიღო ბინა?

— გუშინწინ გადავიდა. საბურთალოში მისცეს ოროთახიანი ბინა. თქვენი ნახვა უნდოდა.

— ჩემი? რისთვის?

— მადლობა უნდა გუთხრაო.

— კარგი ქალია! — თავისთვის ჩაილაპარაკა თუხარელმა, — გადაეცი, ასე იოლად ვერ წამიგა, ბასკური კერძები და ესპანური სიმღერები მასზეა ვალად.

ლალი დფაცურდა, ტკბილეული გამოიტანა, სადღაც კონიაკიც ჰქონდა დეიდას გადანახული.

— შენი სადღეგრძელო იყოს, — ჭიქა აავსო თუხარელმა, — იდღეგრძელე, იბედნიერე! ნეტავი ახლა ცხრამეტისა გამხადა!

— რად გინდათ! — გულუბრყვილოდ წამოსცდა ლალის.

თუხარელმა გადაიხარხარა.

— აი, ჩემსავით სამოცდახუთის რომ გადააცილებ, მაშინ მიხვდები! გულახდილად გეტყვი, მომწონს შენი თავდაჭერილობა, საქმისადმი სიყვარული. ჩადუნელის ბიჭუნა თუ გადავარჩინეთ, ამაში შენც დიდი ამაგი მიგიძღვის.

— რას ბრძანებთ, — გაწითლდა ლალი.

— არა, არა, ეს ასეა. ასე პატარას ამდენი გამძლეობა საიდან გაქვს?

— ბატონო პროფესორო, — ფრთხილად შეეკითხა ლალი, — იმ ბიჭუნას საშიში აღარაფერი ელის?

— ამასწინათ ჩემთან მისი მშობლები იყვნენ. გავაფრთხილე, არაფერი აწყენინონ, უბრალოდ გაწყრომასაც უნდა ერიდონ. ყოველ შემთხვევაში, პირველ ხანებში მაინც. გული ისეთი რამ არის... აი, მე ჩემი ცხოვრების თითქმის ორმესამედი გულის შესწავლას შევალიე და, უნდა გითხრა, ჯერ კიდევ ვერ რამ გაურკვეველია ჩემთვის.

თუხარელმა საათს დახედა.

— ახლა კი წავალ.

— გმადლობთ ყურადღებისათვის, ბატონო პროფესორო.

თუხარელი წამოდგა.

— ამ ნობათმა არ გაგაკვირვოს, — შეკვრაზე მიუთითა, — ყურძენია. ჩემი ხელით დაკრეფილი და შენახული. აგერ, გაზაფხულამდე მოაღწია. თუ გინდა, მისი შენახვის საიდუმლოებასაც გასწავლი. ეს უფრო იოლია, ვიდრე გულის მკურნალობა. ესეც ჩემი წიგნია, მოგიტანე, თუ დაგაინტერესოს, წაიკითხე. აბა, კარგად იყავი!

თუხარელი გავიდა.

გულში სითბო ჩაუდგა ლალის. რა გულისხმიერია ეს ადამიანი, მუდამ მოუცლელმა კაცმა დრო გამონახა, რომ თანამშრომელთან მისულიყო, დაბადების დღე მიელოცა.

თუხარელის ნობათი გახსნა. დამარცვლული ყურძენი გადმოცვივდა, ჰურის ყუთ მოტეხა, ყურძენი დააყოლა. ვერ შეჭამა, ემწარა.

ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

ლალიმ კარი გააღო.

— სულო! — სიხარულით შეჰყვირა მან.

სულხანს ქალაქური იერი დასტყობოდა. ვიწრო შარვალი და წვეტიანი შავი ფეხსაცმელი ეცვა, თმაც წესიერად ჰქონდა გადავარცხნილი. მანაც ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი მოიტანა, მაგიდაზე დაღო.

— გამარჯობა, ლალი! — ძლივს ამოიღო ხმა სულხანმა.

— ასე უნდა? სულ დამივიწყე.

— რა ვქნა!

— კაცმა არ უნდა შემოგიშვას, მაგრამ როგორ გაგაგდო.

სულხანმა გაწყობილ სუფრას დაადგა თვალი.

— აქ ვინმე იყო?

— ჩემი პროფესორი.

— ვინ პროფესორი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ არც კი იცი, რომ მე თუხარელთან ვმუშაობ.

— ვიცი, ლალი, ყველაფერი ვიცი.

— იცი და მაინც არ მოხვედი!

სულხანი დუმდა.

— როგორ მიდის შენი საქმე?

— რა უჭირს, ვსწავლობ.

— შენი პირადი საქმე?

— პირადი? — შეყოყმანდა სულხანი, — არა მაქვს პირადი ცხოვრება, ლალი. არც ვეძებ, თორემ აქამდე მოვნახავდი ვინმეს.

— მაშინ მე უნდა ჩავერიო, თორემ დარჩები ასე, მარტოხელა.

— ნეტავი შენ ეგ არ გეთქვა...

ლალი მიუხვდა, აილეწა.

— არა გრცხვენია? — საყვედურით უთხრა მან.

— მაპატიე, ლალი, არ მინდოდა...

— არც უნდა მითხრა, შენ ხომ ჩემი ძმა ხარ.

— ძმა! — ამოიოხრა სულხანმა.

— ჰო, სულო, ძმა ხარ, ერთგული ძმა. ეს გული კი... — სათქმელი ვეღარ დაამთავრა, სახე ხელებში ჩარგო, აქვითინდა.

— ლალი, — ხელი მოჰკიდა სულხანმა, — ჩემო ლალი!

სულხანს ხელი უკანკალებდა, ცრემლი ახრჩობდა, საცაა ისიც ატირდებოდა. ლალიმ მისი ხელი არ მოიშორა. თანდათან დამშვიდდა.

— ეს ხელი ჩემი მეგობრის ხელია, ხომ შემიძლია ვენდო მას? ასე სჯობია— გული კი მკვდარია, სულო, არ გაცოცხლდება.

— გაცოცხლდება, ლალი.

— ეს რა მოგიტანია? — შეკვრაზე მიუთითა ლალიმ.

— ნახე!

სულხანმა ქაღალდი მოაშორა. ლალიმ გაოცებისაგან პირი დააღო. მის წინ პატარა ქანდაკება იყო, სწორედ ისეთი, ოთარმა რომ დაიწყო და ვერ დამთავრა.

— გულჩიორა! — წამოიძახა მან.

— რა სთქვი?

— არაფერი.

— ლალი დავარქვი.

— არა, სულო, მოდი ამას გულჩიორა ერქვას.

— როგორც გინდოდეს, ლალი. იგი შენია, დაარქვი, რაც გსურს.

ვიღაცამ შემოსასვლელი კარის ზარი ნერვიულად დარეკა.

— ვინ უნდა იყოს?

ლალიმ კარი გააღო.

ოთახში ოთარი შემოვიდა. სამივენი შეკრთნენ.

— მე წავალ, — სთქვა სულხანმა.

— არა, დარჩი! — თითქმის უბრძანა ლალიმ.

ოთარი კართან იდგა, მძიმედ სუნთქავდა.

— ლალი! — გაბზარული ხმით დაიწყო მან, — მადლობის სათქმელად მოვედი, — უცბად ქანდაკებას მოჰკრა თვალი და აღელვებისაგან ხმა ჩაუწყდა, — გულჩიორა!

მივიდა. დიდხანს უყურა. მძიმე სიჩუმე დადგა.

— წადი, ოთარ! — ჩურჩულით უთხრა ლალიმ. — სადაცაა, ჩვენები მოვლენ.

— ჰო, ჰო, უნდა წავიდე. ან რად მოვედი! — ძლივს ჩაისუნთქა ჰაერი, — მე წლების განმავლობაში ვერაფერი შევქმენი, ამან კი ასე იოლად... უნდა წავიდე.

— ჰო, წადი და ნუღარ მოხვალ.

— მშვიდობით! — სთქვა ოთარმა და ოთახიდან თავჩაქინდრული გავიდა. სულხანიც წასასვლელად მოემზადა.

— შენ დარჩი, სულო, — ძლივს ამოიღო ხმა ლალიმ. — მარტო ნუ დამტოვებ.

გივი გოგიჩაიშვილი

გაზაფხულიდან გაზაფხულამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი არაბული

ფინაპრებს

ისევ წამოვალ თქვენდა საძებრად,
ისევ არაგვის გზებს დავუყვები,
ნისლებში, როგორც ჯიხვის ყანწები,
ისე აჩენენ წვერს ჭიუხები.

ისევ წამოვალ გზებით ვიწროთი,
წინ გაიშლება ჭალა მურყანთა;
ცხენს მოვახტები, როგორც ვიცოდი,
როგორც წინაპარს ჩემსას უყვარდა.

ისევ წამოვალ თქვენს ნაკვალევზე
ჩემი ულაყის ნალთა წკრიალით.
სისხლის წვიმებმა ვერ გადარეცხეს
აქ ჩემი კვალი ათასწლიანი.

ისევ წამოვალ თქვენად მოხილვად,
გულს რომ გაყრიათ მიწა აყალო.
წამოიხედეთ, მთანიც მოხრილან,
წინაპრის აჩრდილს რომ ეთაყვანონ.

წამოვალ მთაში, წამოვალ, რად არ
მოვძებნო თქვენი ნატერფალები
და მიწას, რომლის ტრფიალიც
გწვავდათ,
მეც ჩემი მკერდით დავეფარები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ კაკუშაძე

ღამის ბნელი სივრცე ხეებს ატივტივებს,
ო, რარიგად ბნელა, ვნატრობ მთვარის
სხივებს...

ჭადრის ბებერ ხესთან ხმას არ იღებს წყალი,
ახლა შარაგზაა ჩემს წინ მკრთალზე
მკრთალი.

ხმა გამეცი მაინც, ბნელში მდგარო ოდავ,
თორემ მარტო ვარ და გული შემიღონდა.

ან შენ მითხარ რამე, ხეო თმაგაშლილო,
ან შენ, ყორის ხავსო, ქალის თმაზე თბილო.

ო, უნაღვლო შიშო, როგორ მომინდები
მკრთალი ჭიშკრებით და სველი კოპიტებით,

მთვარის ლოდინით და გულის ხშირი ცემით,
ვარსკვლავების შუქით განათებულ გზებით.

ალექსანდრ პუშკინი
ეროვნული
ბიბლიოთეკა



პოემა

მეორე სიმღერა

მოტრფიალენო შუღლის და ომის,
ვეღარასოდეს ვერ მორიგდებით.
მტრობით მთვრალები ერთმანეთს ზომავთ
და მხრებს იმძიმებთ მკაცრი დიდებით.
და თუ ქვეყანას ისევ აშეშებს
თქვენი ზეიმის ხმა შემზარავი,
მაინც არა გყავთ ხელისშემშლელი,
გულიც არ წყდება თქვენზე არავის.
თქვენ კი, პარნასის მთების არწივნო,
რომლებმაც კალმით შეცვალეთ შუბი,
ეცადეთ ხალხი არ გააცინოთ
გაუთავებელ შფოთით და ჩხუბით.
თქვენ კი, მიჯნურნო, კარგად გახსოვდეთ,
რომ ბრაზი დიდი ცოდვაა თქვენთვის.
იცხოვრეთ მშვიდად და არასოდეს
არ მოუღეროთ ერთმანეთს კეტი.
და ვისაც ბედი არგუნებს ბოლოს
ტურფა ასულის გულს და სინაზეს, —
ის მშვენიერი იქნება მხოლოდ,
ყველაფრისა და ყველას ჯინაზე.

ბრმა წინათგრძნობით გაოგნებული
როგდაი ნელა მისდევდა ბილიკს.

გაგრძელება. იხ. „ცისკარი", № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყეში დუმილი იდგა მეფური,
ხეებს ეძინათ ხანგრძლივი ძილით.
ის კი ღრმა ფიქრებს მისდევდა ისევ,
კვლავ მრისხანება ეხატა პირზე.
უსისინებდა ბოროტი სული
და აყოლილი უცნაურ სურვილს
მიბუტბუტებდა თავისთვის ასე:
„მოგკლავ!... ყველაფერს დავამხობ გზაზე...
რუსლან!.. ჩემს ძალას გაიგებ მალე...
ცრემლით დაითხრის ლამაზი თვალებს...“
და რაკი აჰყვა ზრახვას საშინელს,
შემოაბრუნა ცხენიც მაშინვე.

ამასობაში ჩვენს მამაც ფარლაფს
ერთი პირობა ეძინა უკვე
და ახლა გზისთვის იკრებდა ძალას,
ზედიზედ ნთქავდა ვეება ლუკმებს.
წყაროსთან იჯდა და წყლის ხმაურზე
შეექცეოდა მშვიდად საუზმეს.
უცებ, რას ხედავს: ვილაცა მისკენ
ცხენს მოაგელვებს. და ფარლაფს მყისვე
თავზარი დასცა უცხო მხედარმა.
დასთმო აბჯარიც და პურ-მარილიც,
ცხენი გააკრა მიწას ქარივით,
გაკურცხლა უკანმოუხედავად.
მაგრამ ფეხდაფეხ მოყვება ისიც
და მოღრიალებს, როგორც ნასვამი:
„თუ გავხდი შენთან შეხვედრის ღირსი,
წაგაგდებინებ თავს გოგრასავით.“
უცნობი ფარლაფს მოსძახის ასე
და მან როგდაი შეიცნო ხმაზე.
და მთლად გაფუჭდა, საბრალო, მაშინ,
სიკვდილის სუსხი გაუჯდა ტანში.
ასე კურდღელი გაურბის მწევარს,
თავის ყველაზე საშინელ მდევარს.
ზურგზე დაიწყობს, საწყალი, ყურებს
და მწევარს ტყეში ნაკვალევს ურევს.
მზე იყო უკვე საკმაოდ ცხელი
და სადაც თოვლი იდო აქამდე,
იქ გამდნარ თოვლის მღვრიე ნაკადებს
გადაესერათ ხრამებით ველი.
ქურანაც ხრამთან შეჩერდა წუთით,
ქარს მოუქნია თამამი კუდი,
ერთხელ გაღეჭა რკინის აღვირი
და გადაფრინდა ხრამზე, დაღლილი.
ხოლო მშიშარა მხედარი ხრამში
თავქვე ჩაეშვა ჩაშლილ ხიდივით
და საბოლოოდ დარწმუნდა მაშინ,
რომ გარდუვალი იყო სიკვდილი.

ხრამთან მოაგდო როგდაიმ ცხენი,
მახვილიანი აღმართა ხელი,
„მოკვდი, ლაჩარო!“ — შესძახა მჭახედ
და რა იხილა ფარლაფის სახე,
ჩამოუვარდა ხელი თავისით,
უცებ წაუხდა ბრძოლის ხალისი
და ამ საოცარ სურათის მნახველს
მთლად დაეღრიჯა სიბრაზით სახე.
გაოცებული და რისხვით სავსე
კვლავ გაიტყუა იგი მინდორმა,
გულზე სკდებოდა, მაგრამ თვითონაც
ეცინებოდა საკუთარ თავზე.
მერე ის მთასთან დედაბერს შეხვდა,
ნაომარს ყველა ქართან და მეხთან.
გზა მოეჭამა მას თავის წილი
და ახლა სული ეჭირა კბილით.
სიბერის კუზით მიწამდე მოხრილს
ხელში ეკავა ცახცახა ჯოხი, —
ჩრდილოეთისკენ მიმართა იგი
და სთქვა ჩიფჩიფით: „ეძიე იქით“.
ხოლო როგდაი აღელდა ისევ
და ხიფათისკენ გავარდა მყისვე.

ისევ ხრამშია ფარლაფი ამ დროს,
არ ელის საშველს და ვეღარც ნატრობს.
ტალახში წევს და ფიქრობს თავისთვის:
„რა მემართება, სად ვარ, არ ვიცი...
ნუთუ კვლავ მხრებზე მაბია თავი?
სად გაქრა ჩემი მეტოქე, ავი?“
და ამ ფიქრებით დაღლილს და სავსეს
უცებ ვიღაცა წაადგა თავზე.
„ადექ, ჭაბუკო, — სთქვა დედაბერმა, —
უკვე მშვიდობის ქარმა დაბერა.
ჰა, ჩამომართვი შენი მერანი,
ხელს ვეღარ გახლებს ახლა ვერავინ.“

ხოხვით ამოძვრა ფარლაფი მაღლა,
მაგრამ საკმაოდ ფრთხილობდა ახლაც.
ტალახზე მუცლის დატოვა კვალი,
გარემოს მორცხვად მოავლო თვალი,
კვლავ დაუბრუნდა ახალგაზრდობა
და გაუზაგნა უფალს მადლობა.
„მერწმუნე, — ისევ სთქვა დედაბერმა, —
ჭკვიანურია ლუდმილას ძებნა,
მაგრამ მე და შენ არა გვაქვს ნება,
ვერც შევძლებთ ასე მაღლა აფრენას.
სახიფათოა გზებზე წანწალიც,
საკუთარ თავზეც ხომ გაქვს ნასწავლი,
ამიტომ კარგად დამიგდე ყური,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

☆ ალექსანდრ კუმბინი ☆ რუსლანი და ლუდმილა

გადაივიწყე დროებით წყლული
და შინისაკენ გაბრუნდი უმალ,
შენს ტკბილ მამულში მოყუჩი ჩუმად,
სხვა ნურაფერი ნუ გეფიქრება,
ლუდმილაც მალე ჩვენი იქნება.“

სთქვა და მაშინვე უკვალოდ გაქრა.
ჩვენი ფარლაფი გაოცდა, მაგრამ
წინდახედულად მოიქცა ისევ:
შეეშვა თავის მგზავრობის მიზეზს,
დასთმო ცხოვრება ხიფათით სავსე
და სანატრელი თავადის ქალიც
გადაივიწყა გულწრფელად, წამსვე
და ოცნებაში შეავლო თვალი
თავის მამულის დიდებულ მუხნარს,
ჩიტებით სავსეს, მშვიდსა და უღრანს.

ამასობაში რუსლანი ისევ
შეუსვენებლად თავის გზას მისდევს
და შეჩვეული ფიქრებით ელტვის
ამ შორი გზების ერთადერთ წერტილს.
თან ამბობს: „ნუთუ წყლულს ვერ შევუხვევ
ჩემი დაღლილი სულის მეუღლეს?
ნუთუ ვერ ვიგრძნობ შენს ნათელ მზერას,
ნუთუ ვერასდროს დამიტკბობ სმენას?
იქნებ გრძნეულის მუდმივი ტყვე ხარ
და ვეღარ განახავ, ვეღარ და ვეღარ.
იქნებ იქ დაჭკნეს შენი ქალობა,
იქნებ იქ შეწყდეს შენი გალობა,
იქნებ მეტოქემ მომასწროს მოსვლა,
ძვირფასო, იქნებ ყველაზე შორს ვარ?
არა და არა!... ჯერ მიჭრის თვალი
და ხელთ მიპყრია ერთგული ხმალი.“

ერთხელ ჩვენს რაინდს, საღამო ჟამზე,
მდინარის პირას მიჰყავდა ცხენი.
დუმდა მიდამო ჩრდილებით სავსე,
ცაც ძველებურად ვერ იყო ვრცელი.
გაიზუზუნა ისარმა უცებ,
გამოაცალა სიჩუმეს ფუძე.
და საომარი აბჯრის ზრიალით
ვიღაც მხედარი გამოჩნდა ველზე.
ხელში ეჭირა შუბი ფრთიანი
და ცხენს ფერდებში აჭერდა დეზებს.
„შესდექო!“ — რუსლანს შესძახა მჭახედ.
ვერ გაარჩია რუსლანმა სახე.
ხმალზე დაიდო ძლიერი ხელი
და მოაბრუნა სტუმრისკენ ცხენი.
ის კი ყვიროდა: „ხომ დაგეწიე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სად არ ვიყავი, სად არ გეძიე.
ბევრი მწუხარე წუთები ვთვალე
და ბევრი დღე და ღამე ვასწორე.
ახლა კი მიწას გაგაკრავ მალე
და იქ ეძებე შენი საცოლეც.“
რუსლანი უცებ ათრთოლდა ბრაზით:
მაშინვე იცნო მომხდური ხმაზე.

ჩემო მკითხველო, ის რაინდები
ცოტა ხანს მარტო დავტოვოთ ასე.
შენც დაგეღალა კითხვისგან თვალი
და საათებიც სწრაფად მიქრიან,
მაგრამ საბრალო თავადის ქალზე
დიდი ხანია არ გვიფიქრია.

მე მოგიყევი, თუ იმ ბნელ ღამით,
როდესაც ერთი წამით ინათა,
ნაზი ლუდმილა, ვით ფოთლის ჩქამი,
წყვდიადში როგორ გაუჩინარდა.
როცა გრძნეულმა საბრალო ქალი
წმინდა სარეცელს მოწყვიტა ძალით
და გახვეულმა ნისლში და კვამლში
თავის საზარელ მთებს მიაშურა,
ლუდმილამ გრძნობა დაკარგა მაშინ,
გრძნეულს მიადო თავი ბავშვურად
და წამის მერე ნაზი ასული,
ათრთოლებული და ფერწასული
და მოწყვეტილი ქმარსა და მიწას,
უკვე გრძნეულის ციხეში იწვა.

ვიდრე ამ ამბავს ლექსად დავწერდი,
ერთხელ სურათი ვნახე ასეთი:
მხდალი საქათმის მამამთავარი
და სულთანივით ამპარტავანი,
დედალს დასდევდა ჩემი მამალი.
თავის სანატრელს დასდევდა მზეში,
მოიგდო კიდეც ვნებიან ფრთებში
და სწორედ ამ დროს გამოჩნდა ქორი,
თურმე ჩვენს ეზოს ზვერავდა შორით.
და ქათმის ძვლებზე კლანჭის მლესავი
დაიცხრა საწყალ მსხვერპლს ელვასავით.
მერე კი ისევ შეკრა კამარა
და საკუთარი ბედის ამარა
ცაში აღმოჩნდა უცებ დედალი.
და ამ საზარელ დღის შემხედვარი
სულ უშედეგოდ სწუხდა მამალიც,
უმწეო მოდგმის შთამომავალი.
და სიმწრის ოფლით მთლად გალუმპული
ქარმა წაიღო ჭრელი ბუმბულიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგრძნობლად იწვა თავადის ქალი,
ვერ გაახილა ვერაფრით თვალი,
ვერ მოიბრუნა ვერაფრით გონი,
ჩაბნელებული წყვდიადის ბოლით.
დილამდე იწვა საბრალო ასე,
დილით კი გონზე მოეგო ისევ
და გაურკვეველ წუხილით სავსეს
გადაუარა სინათლემ პირზე.
და სიზმრებიდან გამოქცეული,
ქმრისკენ მიიწევს ნაზი სხეულით.
სულს სასურველი წყურვილი უვსებს,
„სად ხარ?“ — ჩურჩულებს და გული უცემს,
მაგრამ შიშისგან ქვავდება უცებ:
ვერ ცნობს დარბაზის ჭერსა და ფუძეს,
სხვაა საწოლიც და სასთუმალიც...
და ამ უცნაურ სახლის სტუმარი
თვალებს აეცეცებს გაოცებული.
ირგვლივ სიმდიდრე ბრწყინავს მეფური:
საწოლზე ყრია ყურთბალიშები,
მოხატულები უცხო ნიშნებით
და იაგუნდით მოჭედილ კართან
კიდია ნაზი ბუმბულის ფარდა.
და სასაკმევლე თასების წყება
საკუთარ ბოლში ჩნდება და ქრება...
მაგრამ, მკითხველო, თუ მომცემ ნებას,
ამ მდიდრულ სურათს დავუსვამ წერტილს.
ან რა ფასი აქვს სიმდიდრეს ჩვენთვის,
თუ მეგობარი აღარ გვყავს გვერდით.

ხოლო ლამაზი ქალწული ჩვენი,
იდუმალ ტყეთა შემკრთალი შველი,
ყველა სახოტბო სიმღერის ღირსი
და ყველა სულის ორთოლვა და რხევა, —
ჩაცმული იყო იმ ღამეს ისე,
ვით ჩვენი დედი ბებია ევა.
თვალმშვენიერი და საამური,
ჩაცმული იყო, როგორც ამური,
ჩაცმული იყო, როგორც ბუნება
და აჭარბებდა ყველა ცდუნებას.
ასე იცვამდა ხალხი ოდითგან
და ნუ გამიგებს ვინმე ხუმრობად,
თუკი მე მართლა მწყინს, რომ მოდიდან
მთლად გამოდევნეს ეს ჩაცმულობა.
უცებ თავადის ქალის წინაშე,
როგორც ჯადოსნურ სარკის მინაზე,
გამოჩნდა სამი ნაზი ასული,
პირმშვენიერი და თმადაწნული.
სამივე ჯობდა სიტურფით ყვავილს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამივემ მდაბლად დაუკრა თავი.
მერე კი ერთმა, ნიავზე ჩუმად,
უცხო ქვეყნიდან მოფრენილ სტუმარს,
ოქროს დალალი დაუწნა უმალ
და მიწიერი სინათლით სავსეს
ლალის გვირგვინი დაადგა თავზე.
მერე ეახლა მეორე ქალი,
ვერ გაუსწორა იმანაც თვალი,
ლაჟვარდისფერი მიართვა კაბა
და მიეტმასნა ქსოვილი ხარბად
სიმშვენიერეს ცათა შესაფერს.
თხელი მანდილი მოაქვს მესამეს,
აუტანია მანდილიც ვნებას
და შემკრთალ მკერდზე ცახცახით წვება.
ხოლო ქოშები, მონების მსგავსად,
ყველაზე უფრო დიდ საოცრებას,
ყველაზე უფრო მტანჯველ იცნებას, —
ლუდმილას ფეხებს კოცნიან ნაზად.
და სანამ რთავენ ლუდმილას ასე,
ვიღაცა მღერის მხიარულ ხმაზე,
მაგრამ ვერაფრით ვერ აღწევს მიზანს,
რადგან ლუდმილას არც კაბა უნდა,
არც იაგუნდის თუ მარჯნის გუნდა
და არც მძივები ძვირფასი ქვისა.
მაცდური სარკეც ამაოდ ხატავს
მის სილამაზეს და მორთულობას,
მაინც არ ჰყვება იგი ცდუნებას,
არავინ არ სურს სიკეთილის გარდა.
ვინც ამ საქმეში ჩახედულია,
დამეთანხმება, ალბათ, სრულიად,
რომ მართლა ცუდად ყოფილა საქმე,
თუკი ასეთმა ლამაზმა ქალმა,
თუნდაც ამხელა წუხილით მთვრალმა,
ასე გულცივად გადადო სარკე.

აი, ლუდმილა კვლავ მარტო დარჩა.
არ იცის რა ქნას, საშველი არ ჩანს.
სად არის, ნეტავ, ან რას მოელის,
დუმილს მოუცავს ირგვლივ ყოველი.
სარკმლიდან თეთრი მინდორი ჩანდა,
ქვეყანა თოვლში ჩაძირულს ჰგავდა
და მოსაწყენად ერთფეროვანი
წყვდიადში თვლემდნენ მთები კლდოვანი.
არ ცახცახებდა კერიის კვამლი,
არ ეტყობოდა თოვლს კაცის კვალი,
არც მონადირის თამამი ბუკი
არ ღრიალებდა ბარინდულ მთებში.
მხოლოდ ხანდახან, დაღლილი ქარი,
სიჩუმითა და სიცივით მთვრალი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაირბენდა მინდორზე ხვნეშით.
აეშლებოდა თოვლს თეთრი ბეწვი,
აღმოხდებოდა ოხვრა ხეობას
და გაძარცული ტყე ირხეოდა
დასალიერთან ჭაღარა ზეცის.

კვლავ აიფარა ხელები თვალზე
შეშინებულმა ლუდმილამ წამსვე
და მიაშურა გარინდულ კარებს,
დე, ყველაფერი დამთავრდეს ბარემ!
კარი სიმღერით გაიღო უმალ
და დიდებული წალკოტი სტუმარს
შემოეხვია მწვანე რტოებით,
სავსე სინათლით და მყუდროებით.
უფრო მდიდრული და უფრო ვრცელი,
ვიდრე არმიდას ბაღები ძველი,
უფრო ლამაზი, სავსე და ლაღი,
ვიდრე თავრიდის თავადის ბაღი.
ხასხასებს მოლი ჯერ ხელუხლები
და შრიალებენ მშვიდი მუხები,
მზეზე ბრჭყვიალებს პალმა და დაფნა,
ბორგავს ჭადარი და როგორც აფრა,
მიუშვერია ქარისთვის ტოტი
და ფორთოხალი, ვით ოქროს ზოდი,
მწვანე ფოთლებში მაცდურად ელავს
და გაზაფხულის სილაღით ღელავს
ვრცელი ჭალაკიც, ბორცვიც და მოლიც
და ყვავილების ფერადი ბოლი
მშვიდად ირხევა მაისის ქარში.
სივრცეს ედება ფოთლების ტაში.
ხმას უკანკალებს გრძნობა დიადი
და ათრთოლებულ რტოთა წყვდიადში
თავის სიყვარულს გალობს ბულბული.
და შადრევნები მშვიდი დუდუნით
ებჯინებიან ღრუბლებს კისრებით
და ბრჭყვიალებენ მარად ფხიზლები.
განბანილები გრილი ზხეფებით,
შადრევნის ირგვლივ დგანან კერპები.
თვით ფიდიუსიც, ვისი სახელიც
ბრწყინავს ყველაზე მყარი დიდებით,
გაოცდებოდა მათი მნახველი
და ჩაქინდრავდა თავს მორიდებით.
მარმარილოზე ბორგავს ჩანჩქერი
და თვალჩაუწვდომ უფსკრულს ჩასცქერის
და მარგალიტის ნათელი ზხეფით
იტვირთებიან მდუმარე ქვები.
ჩრდილში ფეთქავენ, როგორც გულები,
რულმორეული ნაკადულები
და ყოველ მხარეს გაფანტულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამვლელს უხმობენ ფანჩატურები
და მოცურავენ მწვანე აფრებით
სიგრილის მყუდრო თავშესაფრები.
დაქრის ნიავი ნაზი და თბილი,
ირგვლივ დუმილი მეფობს უჩვეი
და აწყდებიან ვარდის ბუჩქები
ალმასის სილით მოფენილ ბილიკს.
მაგრამ ზღაპრულად მდიდარი ბაღი
უფერულდება ლუდმილას თვალში
და ყვავილებით დატვირთულ ქარში
მიყვება სულის იდუმალ ძახილს.
ამაზრზენია სიმდიდრე მისთვის,
ვერ შეუხედავს საბრალოს მზისთვის,
არც ფოთლის ესმის და აღარც ჩიტის
და მიდის ასე, მიდის და მიდის.
სახეზე დასდის ცრემლები მწარე.
საით წავიდეს ან რომელ მხარეს
და მწუხარებით მოღრუბლულ თვალებს
უგულო ცისკენ აღაპყრობს ხოლმე.
უცებ მიადგა ბობოქარ მორევს.
მორევზე იდო მაღალი ხიდი.
ლუდმილამ ტუჩზე მიიდო თითი,
თითქოს განზრახვა გაუჩნდა უცებ.
აჩქარდა. გულიც ხმამაღლა უცემს.
ხიდის ქვეშ ქვებზე იმსხვრევა წყალი.
წყალს გადაჰყურებს საბრალო ქალიც,
თავის დახრჩობას აპირებს ალბათ,
თავბრუ ეხვევა და სუნთქავს ხარბად
და გულზე მჯიღებს ქვითინით იცემს.
ბოლოს კი... გზაზე გამოდის ისევ.

გამოელია ლუდმილას ძალა,
დიდხანს ირბინა საბრალომ მზეზე.
მოთენთა სიცხემ და აღარც მალავს,
„დროაო!“ — ამბობს და ჩეროს ეძებს.
ჩამოჯდა კიდეც. არ ჩანს არავინ.
და უცებ ჩრდილი დაეცა თავზე
და აღმართა დიდი კარავი
შრიალითა და სიგრილით სავსე.
წინ გაეშალა სუფრა მდიდრული,
მზეზე გაბრწყინდა ბროლის ფიალა
და უჩინარმა ქნარმა მიდამო
ათასნაირად ააწკრიალა.
გაოცდა ჩვენი თავადის ქალი,
მდიდრულმა სუფრამ მოსტაცა თვალი,
მაგრამ ცდუნება დასძლია უმალ
და გაიფიქრა თავისთვის ჩუმად:
„თუკი სასურველს ვერაფერს ვხედავ,
თავი რიღასთვის ვიცოცხლო ნეტავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყეული იყოს გრძნეულის ვნება,
რამაც ჩამაგდო ამ მტანჯველ ცეცხლში.
ლუდმილას მხოლოდ სიკვდილი შეცვლის,
მტკიცეა მისი გულიც და ნებაც.
რაში მჭირდება მე ეს კარავი,
ან ეს სიმღერა გულის მზარავი.
დე, ეს სადილიც ქცეულა შხამად.“
გაიფიქრა და... შეუდგა ჭამას.

ადგა თუ არა თავადის ქალი,
კარავიც, სუფრაც და ტკბილი ქნარიც
მაშინვე გაქრა... და ძველებურად
ისევ დადუმდა ბაღი მეფურად.
ლუდმილა ბაღში მარტოა ისევ,
ჩიტების ბოლო სიმღერას ისმენს,
ნაზი ჭალების ცქერით ერთობა,
დავიწყებია კარგიც და ავიც.
და აი, მთვარეც! ღამის დედოფალს
ღრუბლიდან ფრთხილად გამოყავს ნავი.
გამოარღვია წყვდიადი მთვარემ
და ბორცვზე მიდო ბრჭყვიალა თავი.
უკვე ლუდმილაც ძლივს ახელს თვალებს,
გამოლევია ძალ-ღონე ყვავილს.
და უცებ იგი ვიღაცის ხელმა
მაღლა ასწია, ნელა და ნელა,
და მართლა დაღლილ ყვავილის მსგავსად
სასახლისაკენ წაიღო ნაზად.
და აი, უკვე სასახლეც ბრწყინავს
და ის საწოლზე ეშვება ფრთხილად,
ხოლო საწოლი ცრემლის და დარდის
მოფენილია საღამოს ვარდით.
ისევ გამოჩნდა სამი ასულიც,
თვალმშვენიერი და თმადაწნული,
და ამ ჯადოსნურ სასახლის სტუმარს
ძვირფასი კაბა გახადეს უმალ.
ოღონდ ამ ენაწართმეულ ქალებს,
სევდით.. დაღლილებს და ბედზე მწყრალებს,
უჩირაღდნებდა თვალს სიბრალული
და თანაგრძნობის სხივი მალული.
ლუდმილა ღამის პერანგში დარჩა
და მიეხუტა ბალიშის ფარჩას.
ქალებმაც თავი დაუკრეს უმალ
და გაიკეტეს კარები ჩუმად.
მაგრამ ლუდმილას დაუფრთხა ძილი,
კვლავ წამოადგა წუხილის ჩრდილი.
მთლად გაეყინა შიშით ხელები,
მართლაც არავინ არ ჰყავს მშველელი.
უფრო დაძაბა თვალიც და სმენაც,
იკაეებს სუნთქვას და გულის ცემას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოლოდინით დაბნეულ თვალებს
ველარ აშორებს საზარელ კარებს.
და აი, მართლაც გაიღო კარი,
გამოჩნდა მეცარი ზანგების ჯარი,
მოაბიჯებენ და როგორც ძღვენი
ბალიშით მოაქვთ ჭაღარა წვერი.
კუზით მოხრილი და ერთი მუჭა,
ბალიშს ამაყად მოყვება ჯუჯა.
მშვენიერ ტყვისკენ მოდის და ჩქარობს
გონჯი და ჩია და კრუხის პალო.
მასვე ეკუთვნის ეს დიდი წვერი.
ტყვესთან საამურ შეხვედრას ელის
და განსაცდელი სიამით სავსეს
წოწოლა ქუდი ახურავს თავზე.
აი, სარეცელს მიაპყრო თვალი,
მაგრამ წამოხტა თავადის ქალი
და დაიკივლა ისეთი ძალით,
რომ მსახურების ზვიადი ჯარი
დამფრთხალ ჯოგივით არივ-დარია.
და თვით გრძნეულიც, ქალიპარია,
უკვე გაქცევას ცდილობს და ხვნეშის,
მაგრამ გაება საკუთარ წვერში
და დაახეთქა იატაკს კეფა,
ხოლო ზანგების წყება და წყება
მრისხანე ბატონს ფეხებით თელავს,
გაოგნებულა შიშისგან ყველა.
დარბიან, კედლებს ეხეთქებიან,
ძირს ეცემიან და ძლივს დგებიან.
ბოლოს შიშისგან მთლად დალეული,
ჯუჯა ბატონის უშნო სხეული
შავ იღლიებში ამოიჩარეს,
გადააჭარბეს ქარის სიჩქარეს,
მიაწყდნენ ვერცხლით მოჭედილ კარებს
და გამოცვივდნენ ღრიალით გარეთ.
შიშმა ყველანი გააუნდილა,
ქუდი კი ხელში შერჩა ლუდმილას.

ჩვენ კი რაინდებს მივხედოთ ახლა,
ხომ გახსოვთ, როგორ შეხვდნენ ისინი?
უკვე ბნელოდა და სადღაც ახლოს
ისმოდა მხოლოდ ტალღის სიცილი.
არლოვსკი, ფანქარს მოკიდე ხელი
და ხელჩართული ბრძოლა დახატე.
ცხენების ფეხქვეშ ბობოქრობს ველი,
გაგრძელებულა ბრძოლა აქამდე.
გადაუყრიათ უკვე შუბები,
დაკოჟრებიათ ბრაზით შუბლები.
აბჯრებზე ელავს ოფლი და სისხლი
და ეწურებათ გულები რისხვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

☆ ალექსანდრ კუბანი ☆ რუსლანი და ლუდმილა

გადამსხვრეულან ხმლებიც ვადაში
და ამ მრისხანე ბრძოლის ღადარში
მთლად დაბზარულან მძიმე ფარები.
და ერთმანეთზე გადახვეულნი
ახლა ერთმანეთს ჭამენ თვალებით.
შეერთებია სხეულს სხეული,
გადაშდობია ხელებს ხელები.
მტვერში ცქმუტავენ ფიცხი ცხენები,
დაჭიმულია ძარღვი და კუნთი.
წელიწადივით გრძელდება წუთი.
მეტოქის მკერდზე ცახცახებს მკერდი.
დღეს გადაწყდება ორივეს ბედი.
ერთ-ერთმა, მისი კეთილმყოფელი,
აქ უნდა დასთმოს წუთისოფელი.
და აი, ჩვენმა რაინდმა მაშინ
მეტოქეს ხელი ჩაჭიდა მხარში
და ააგლიჯა უნაგირს ძალით
და გალახული ხორცი და ძვალი
გადაისროლა ღრიალა ხრამში.
„მოკვდიო!“ — თანაც ჩასძახა ასე
მისდამი შურით და ღვარძლით სავსეს.

ჩემო მკითხველო, შენც მიხვდი ალბათ,
ვინ იყო ჩემი რუსლანის მსხვერპლი,
ვინ შეუერთდა წყვდიადს და ზღაპარს,
ვინ დაიფარა მტვრითა და ფერფლით.
როგდაი იყო, მკითხველო, იგი,
შეუპოვარი და შლეგი ჯიქი.
ხიფათისა და სისხლის მძებნელი,
ნამდვილ მეომარს როგორც შეჰფერის.
კიეველების დიდი ნუგეში
ასე დამთავრდა სიჭაბუკეში.
მან დიდხანს ძებნა რუსლანის კვალი,
გზადაგზა დიდხანს აცეცა თვალი,
მაგრამ ჭიდილი შურის და რისხვის
საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის.
ხრამში ბორგავდა მდინარის წყალი,
ხოლო იმ წყალში ცხოვრობდა ალი
და მან მიიღო როგდაის გვამი,
კოცნით მოწმინდა შუბლიდან შლამი,
გამოაფხიზლა წყალთა სიცივით
და ჩაითრია ფსკერზე სიცილით.
და ამის მერეც, ძალიან ხშირად,
ხალხი შიზისგან ვერ ჭამდა სადილს,
თუ გაივლიდა მდინარის პირას
უზარმაზარი რაინდის ლანდი.

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

გაგრძელება იქნება



ეროვნული ბიბლიოთეკა

ემანუილ ფეიგინი

ჭაბისკაცი, ჟვირი ჯაბისკაცისა

ათ წელზე მეტია, რაც საქართველოში ცხოვრობს და ძოღაწერობს ცნობილი რუსი მწერალი ემანუილ ფეიგინი. იგი ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის პერიოდში მონაწილეობდა ამიერკავკასიის დაცვაში. 1942 წელს ე. ფეიგინმა კონტუზია მიიღო და სავალე ლაზარეთიდან თბილისის სამხედრო ჰოსპიტალში გადმოიყვანეს. განკურნების შემდეგ ე. ფეიგინი მუშაობდა ამიერკავკასიის საფრონტო გაზეთ „ბოიც რკკა"-ს რედაქციაში.

ომის დამთავრების შემდეგ ე. ფეიგინი მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში. 1953 წლიდან, დემობილიზაციის შემდეგ, ე. ფეიგინი თბილისში დასახლდა. თავდაპირველად იგი ქართველი მეცხვარეების ცხოვრებამ გაიტაცა და რამდენიმე მოთხრობა და ნარკვევი უძღვნა მათ. მალე გამოაქვეყნა მოთხრობა „მზეონა", რომელიც ერთი ქართველი ოჯახის ცხოვრებას გვიხატავს. ე. ფეიგინმა თბილისში დაწერა ყველა თავისი ომისშემდგომი ნაწარმოები: მოთხრობების წიგნი „ერთგულებაზ", რომანი „სრულწლოვანება"; მოთხრობები: „კეთილი მგზავრობა", „თანამემამულენი", „ჯარისკაცი, შეილი ჯარისკაცისა" და სხვ.

ე. ფეიგინმა მრავალი ქართველი მწერლის ნაწარმოები თარგმნა რუსულ ენაზე, მათ შორის უნდა აღინიშნოს ა. ბელიაშვილის, ვ. დარასელის, ფ. ხალვაშის, ა. ლომაძის და კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებები. ბ. გასთან ერთად თარგმნა გ. აბაშიძის მოთხრობები, რ. ჯაფარიძის „მარუხის თეთრი ღამეები" და მრავალი სხვა.

ე. ფეიგინს აგრეთვე დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსულ ენაზე თარგმნილ ქართული ლიტერატურის ნიმუშების რედაქტირების საქმეში.

ე. ფეიგინი საქართველოს მწერალთა კავშირის კამგეობის წევრი და რუსული სექციის თავმჯდომარეა.

ე. ფეიგინის მოთხრობა „ჯარისკაცი, შენი ჯარისკაცისა“ პირველად გამოქვეყნდა ჟურნალ „ოლოლაია გვარდიაში“. შემდეგ ცალკე წიგნად გამოსცა „ვოენიზდატმა“ (მოსკოვი). წიგნმა მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა. იგი ითარგმნა და გამოიცა სახალხო კომისარიატის ოფიციალურ ტიტულ ქვეყნებში. ვფიქრობთ, ქართველი მკითხველი ინტერესით წაიკითხავს ე. ფეიგინის ამ ნაწარმოებს.

Простим угрюмство — разве это
Сокрытый двигатель его?
Он весь — дитя добра и света,
Он весь — свободы торжество!

Александр Блок

თავი პირველი

1

ვაინც რა მრავალფეროვანია შემოდგომა! მას ყველგან თავისი ზნო და ლაზათი აქვს. ჩვენებურ, სამხრეთულ შემოდგომას ხომ ვერაფერი ვერ შეედრება. მთებში მას თავისი განუმეორებელი ფერები ახლავს.

შემოდგომამ ტყეები მეწამული ცეცხლის ენებით დადაგა, საცალფეხო ბილიკები თოვლით ამოქოლა, ზაფხულში ხახაგამშრალი მდინარეები გამოაცოცხლა, მთისპირა ბაღებში ჩამოყრილ ფოთლებს ბზრიალ-ტრიალი აუყენა, სუსხიანმა ქარმაც დაუბერა და ცარგვალი ტყვიისფერმა ღრუბლებმა დაფარა.

ხანდახან ამინდიც ჭირვეულობდა და ავდგებოდა, მაგრამ მაინც მშვენიერი იყო ამ მთებში ჩამომდგარი მიზეზიანი და თავგუნება შემოდგომა, განსაკუთრებით კი ამ დილით, ორი დღის გადაუღებელი წვიმის შემდეგ. ერთბაშად როდი გამოდარა. ჯერ იყო და სიტყვა წამოუშინა, ზედ თოვლჭყაპი მოაყოლა, მერე, თითქოს ვიღაცამ უბრძანაო, ძლიერმა ქარმა დაუბერა, თითქოს ჩამოქუფრულ ცას სუსტი ნაკერი უბოვაო, ღრუბელი ნაკუწ-ნაკუწ დახლიჩა, მერე ერთი მწყემსივით შემოუძახა და დაქსაქსული ღრუბლების ფარა სტვენა-სტვენით საზღვარზე გადარეკა. საზღვარი კი აქედან სულ ახლოს იყო. რაღაც ოცდაათი-ორმოცი კილომეტრი გვაშორებდა არც თუ ისე მეგობრულ სახელმწიფოს. ღრუბლებმა საზღვარზე ჯიქურ გადაინავარდეს. მათ არც სერპანტინის გზები დასჭირვებია და არც დახლართული ბილიკები.

კაცი თუ ამ სურათს პირველად ხედავდა, შეიძლება მოსჩვენებოდა, რომ უცებ გაშიშვლდა რომელიღაც წინაისტორიული ოკეანის ფსკერი და ამღვრეული ქაფდან ნელ-ნელა ამოიწვერა ახალშობილი ხმელეთი. პირველად სუფთა, ნათელი ცისკენ გოლიათი მთის თეთრად მოვარაყებული მწვერვალი აღიმართა. კაცს გაგიკვირდებოდა, ახალშობილმა მთამ როდის მოასწრო გაჭაღარავებაო! მერე მზის თვალისმომჭრელ შუქზე გალუმპული კლდეები და ბუჩქები ამოტკივტივდა. ხეები ჯერ თითოთითოდ გამოჩნდა, მერე ქაფიდან ტყემაც ამოყვინთა, ხანგრძლივი ბანაობის შემდეგ ტანი შეიბერტყა და წვიმის ციმციმა წვეთები მიწაზე მოაფრქვია.

ქარმა თავისი ვალი მოიხადა და ჩადგა. ირგვლივ ყველაფერი გალამაზდა და გაცისკროვნდა. ისეთი სიმშვიდე გამეფდა, თითქოს ქარიშხალს ჯერაც არ ენავარდოს, თითქოს ელვასაც არ გაეკრას, თითქოს მთიდან მოწყვეტილი ზვავის გრუხუნს არემარე ერთხელაც არ გაეყრუებინოს, თითქოს აქ დასაბამიდან ასეთი იდუმალი სიჩუმე სუფევდა.

ამ დიდებულ სურათს მაინც აკლდა რაღაც, სულ პატარა, სულ უმნიშვნელო

რამ. ცოდვა იქნებოდა დაუმთავრებელი დარჩენილიყო ეს მშვენიერი სურათი.

და აი, კვამლის ვიწრო ჭავლმა ცისკენ გზა გაიკვლია. სწორედ ეს აკლდა აქაურობას. ნაცრისფერი კვამლის მრთთოლვარე სვეტი ზედგამოჭრილი იყო ამ სურათისათვის. თითქოს ვიღაცის უჩინარმა კეთილმა ხელმა ცისკიდურს მიახატა ასევე კეთილი, წყნარი და მშვიდობიანი კვამლი, თუმცა იგი სამხედრო საველე სამზარეულოს მილიდან ამოდიოდა.

პატარა სამზარეულო ხშირ ბუჩქნარში მიემალათ, როგორც ეს სამხედრო სალაშქრო სამზარეულოს შეფერის. გვერდით ნაკადული მორაკრაკებდა. სამზარეულოს მილიდან სურნელოვანი კვამლი ამოდიოდა. ღუმელში ცეცხლი მხიარულად გიზგიზებდა და ქვაბებში მდუღარე წყალს ჩუხჩუხი გაჰქონდა.

2

მზარეულ შაქირ მურთაზოვს გათლილი კარტოფილის გორა დაეყენებინა და ახლა კომბოსტოს კეპავდა. უზარმაზარი კომბოსტოს თავიდან დარჩენილი გული შაქირმა დანით გასხიპა და ზემდეგს — ივანოვიჩს მიაწოდა.

— ამხანაგო ზემდეგო, ნახეთ რა გემრიელია!

— გემრიელია, — რატომღაც გაიმეორა ივანოვიჩმა და ჩუმად ამოიოხრა, — კი, გემრიელი იქნება... კარგი საშმელია კომბოსტოს ხიკვი. იცოცხლე, ერთ დროს მიყვარდა, მაგრამ ახლა სადღა მაქვს მაგის კბილები.

შაქირმა ზემდეგს ზრდილობის გულისთვის თანაუგრძნო და სახე შეიმუხნა. ასეთი თვალთმაქცობა როდი უჭირდა, იგი ცოტას წაიარტისტებდა. მაგრამ, აბა, თუ ბიჭი ხარ, სინჯე და მზარეული გაანაწყენე, ნურას უკაცრავად, არაფერი არ გამოგიგია! ისე, კაცმა რომ სთქვას, რა აქვს ცხვირის ჩამოსაშვები. ერთი შეხედეთ ოცი წლის ჭაბუკის ღაჟღაკა ლოყებს! ყველაფერში ბედი სწყალობს. მარჯვე ბიჭიცაა, რა არ გამოუვა ხელიდან. მისი გაკეთებული ბორშჩი რომ გაგასინჯათ, თითებს ჩაიკვნეტდთ. არმიაში გაწვევამდე თავისთვის ჩაი ჭამდა. ალბათ, ისიც კი არ აუდუღებია. შაქირი მეურნეობაში ტრაქტორისად მუშაობდა და ყველაფერი მზამზარეულად მოსდიოდა.

შაქირი ცოტა ვირეშმაკაც იყო, მაგრამ თავაზიანობა და გულკეთილობა ბუნებისაგან უხვად ჰქონდა მომადლებული. ჰოდა, იფიქრა, ლეიტენანტ გრომოვსაც გავუმასპინძლდები ხიკვითო. მართალია, გრომოვი ზემდეგი როდია, დიდი მიუკარებელი ყმაწვილია, მაგრამ ხიკვზე უარს ხომ არ იტყოდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო, თქვენც ხომ არ მიირთმეგთ? ისეთი გემრიელია, რომ...

მაგრამ ლეიტენანტმა უარი თქვა. იმიტომ კი არა, რომ ზემდეგივით კბილები აღარ უჭრიდა. ოცდაორი წლის გენადის არც პირველი ყინვებით ოდნავ მომზრალი კომბოსტოს ხიკვის გემო დაუწყენია. სრულებითაც არა, მაგრამ განა შეიძლება ოფიცერი ყველას თვალწინ კომბოსტოს ახრამუნებდეს? მერედა რას იტყვიან?

გენადი კი ძალზე ზრუნავდა, რომ ხალხს მასზე მხოლოდ კარგი ეფიქრა და ელაპარაკა. სიმართლე უნდა ითქვას, თვითონ ეს ხალხი გრომოვს ნაკლებად აინტერესებდა. მას ეგონა, ამ ხალხზე ყველაფერი ვიცი, რა საჭიროაო. ის არც ფსიქოლოგია და არც მწერალი. მეთაურია, მორჩა და გათავდა!

„ადამიანი ადამიანია, ნეტა რა არის აქ ს.ალაქლაქო და შესალამაზებელი? “— არწმუნებდა გრომოვი თავის თავს და გარშემო მყოფთ ისე უყურებდა, როგორც სარკეში იყურებიან ხოლმე... და, რა თქმა უნდა, მათ კი არ ხედავდა, — ამ ადამიანების თვალებში, ღიმილში, უსიტყვო მოწონებასა და აღტაცებაში საკუთარ ანარეკლს ეკეკლუცებოდა.

გენადის რატომღაც ეშვი არ ეპარებოდა, რომ მის ირგვლივ მყოფნი და პირველი შემხვედრნიც კი მასზე ლაპ-

---

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოგებით ასე ფიქრობდნენ: „აი, მესმის ოფიცერი! მართლაც რომ დიდებული ვაჟკაცია, ოფიცერიც ასეთი უნდა“.

გენადი ბიჭად ბიჭი მართლაც კარგი იყო. გამოკვეთილი და კუშტი სახე ჰქონდა. არწივივით მოხაზული კეხიანი ცხვირი მკაცრ იერს უძლიერებდა.

„გენა, ნამდვილი რომაელი მეომრის პროფილი გაქვს, ხომ იცი“, — უთხრა ერთხელ დედის მეგობარმა ქალმა, თეატრალურმა მხატვარმა ელენე სტუკალსკაიამ. გენადისაც ეს უნდოდა.

მაგრამ თვალები! როგორ უნდოდა ცივი, გამსჭვალავი, ფოლადისფერი თვალები ჰქონოდა. მაგრამ მის ცისფერ და დიდ, ნათელ თვალებს ხშირი, აპრეხილი წამწამებები ამშვენებდა. თვალები გენადის მკაცრ სახეს ხშირად რბილ, მეოცნებე და მიბნედილ გამომეტყველებასაც კი აძლევდა. გენადის ეს აღარ მოსწონდა. „რომაული პროფილი და ასეთი თვალები?“ — ხშირად ჯავრობდა ლეიტენანტი. სამაგიეროდ გენადი შესანშნავი ტანადი იყო. გაშლილი მხრები, ვიწრო, კრაზანასავით გამოყვანილი წელი, ამობურცული, ფართო მკერდი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ სამხედრო ტანსაცმელი ძალზე შვენოდა, ყველაფერი კოხტად ჰქონდა მორგებული. გენადი სუფთა და ფაქიზი იყო. იმ დილითაც კი, როცა ღამის „ბრძოლა“ ის-ის იყო დამთავრდა, გრომოვი ნაკადულისაკენ გაეშურა, წვერი გაიპარსა, ჩექმები გაირეცხა, გიმნასტერას გაქათქათებული საყელო მოაკერა, ტანსაცმელი გაიწმინდა. ვერავინ იტყოდა, რომ ამ კაცს ორი ღამეა თვალი არ მოუხუჭავს, აყალო მიწას ზელავდა, გაჟღენთილ მიწაზე დახოხავდა, კლდეებზე მიცოცავდა. არავითარი კვალი აღარ დარჩა წუხანდელი შფოთიანი ღამისა. მხოლოდ ნაკადულის ყინულივით ცივმა წყალმა ხელები გაუწითლა.

„მრეცხავ დედაკაცს დავიმგვანე“, — უსიამოვნოდ გაიფიქრა გრომოვმა და ხელები ცეცხლს მიაფიცხა.

შაქირს სრულებითაც არ წუწუნებდა. რომ ლეიტენანტმა კომბოსტოზე თავაბატიკი გაიდო. მზარეულმა კომბოსტოს ხიკვი თვითონ ჩაახრამუნა და მეორე თავის კეპვას შეუდგა. გრძელ, ბასრ დანას მარჯვედ ხმარობდა და თან ბავშვობაში გაგონილ სიმღერას ღიღინებდა. სიმღერის ტექსტი დაახლოებით ასე ჟღერდა: „გადიპენტა ალუბალი, თეთრად ჰყვავის ვაშლი, გულცივია ქალი-შვილი, სევდით ოხრავს ვაკი“.

ეს სიმღერა, კაცი თუ სწორად იმღერებდა, ნაღვლიანი უნდა გამოსულიყო, შაქირი კი მხიარულად მღეროდა, რადგან საბრალო მიჯნური ფეხებზე ეკიდა. თუ ვინმეს არ უყვარხარ, ახია შენზე. თუ ვაკაცი ვქენი, ქალიშვილს თავი უნდა შეაყვარო. პირველად შაქირსაც არ გაუღიმა ბედმა, მაგრამ არც ცხვირი ჩამოუშვია და არც წუწუნი დაუწყია. არც უკვნესია და არც ვაი-ვაში გაუმართავს. იმდენი ქნა, რომ ქალიშვილს თავი შეაყვარა. მორჩა და გათავდა. ერთი სიტყვით, ამ სიმღერას მზარეულთან არავითარი სულიერი კავშირი არა ჰქონდა, რა სიმღერაც მოაგონდა, ის ჩაიღიღინა. ჰოდა, მეტი არაფერი.

ლეიტენანტ გრომოვს ძალზე მოეწონა შაქირ მურთაზოვის სიმღერა, თუმცა თათრულის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა. გრომოვს იმ დღეს ყველაფერი მოსწონდა, მთები, ცარგვალს რომ ძლიერი მხრებით შესდგომოდნენ, ათასწლოვანი ტყეები, პიტალო კლდეები. ეს სიმღერაც იმიტომ მოეწონა.

„რა სილამაზეა! ზოგი ასეთ რამეს სიზმარშიც ვერ ნახავს. მართლაც რა დიდებულია კავკასია“.

მაგრამ ამ დილით ლეიტენანტ გრომოვს ყველაფერზე უფრო მაინც ლეიტენანტი გრომოვი მოსწონდა.

„რა ყოჩაღი გამოდგა ლეიტენანტი! ალბათ ბევრი ფიქრობდა, ნენრლის ბიჭი ლაყე და განებივრებული იქნებაო. რაც გინდათ ის იფიქრეთ. აბა, თქვენ თუ გაბედავდით ასეთ სახიფათო შეტევაზე გადმოსვლას. ვერ მოგართვეს! ამის

ძალა რომ შეგწევდეს, ფანტაზია უნდა გქონდეს. სანაძლეოს დადებ, უმრავლესობა მაღლობს ქვემოდან შეუტევდა. არა, მთლად ჯიქურ კი არა, მიხვეულ-მოხვეულად. ჯერ მარჯვნიდან შეუტევდნენ, მერე მარცხნიდან... მოკლედ, ორ-ჯერ ორი რომ თოხია, ამის მეტს ვერაფერს მოიფიქრებდნენ. ლეიტენანტი გრომოვი კი არ შეშინებია სიტყვეებს — „გაბატონებული მაღლობი". დიდი რამეცაა. თუ გაბატონებული ხარ, შენზეც ბატონობენ. თუ მაღლობზე ხარ, არის უფრო მაღალი მაღლობებიც. რასაკვირველია, კოკა ყოველთვის წყალს არ მოიტანს, მაგრამ ახლა ნამდვილად ასეთი შეტევა იყო საჭირო და გრომოვმაც არ დაახანა, ზევიდან დაარტყა. მოწინააღმდეგე „მტერს" ქვემოდან და ფლანგებიდან ელოდა, გრომოვის ოცეული კი მოვარდნილ ლავასავით დაატდა თავს პარაშუტისტებს. გამაგრება რას მიქვია, გონს მოსვლა არ აცალეს. ერთი იგრიალეს „ვაშა" და ყველაფერი დამთავრდა. ასე, ან დაახლოებით ასე ფიქრობდა ახლა გენადი გრომოვი, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობია, ამ წუთებში თავის თავს უდიდეს მხედართმთავრად როდი თვლიდა. ფუჭი ოცნება არ უყვარდა. ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ მას მხოლოდ ოცი კაცი ებარა და მეტი არაფერი. თუმცა ლეიტენანტიც არის და ლეიტენანტიც. გენადიმ ზუსტად არ იცოდა, მაგრამ „ხმა გავარდა, რომ მესამე ოცეულის მეთაური, თქვენი სანაქებო სვირიდოვი ერთ ქეციან მაღლობს მთელი ღამე უტევდა. ბოლოს კი დაჯაბნა მოწინააღმდეგე, მაგრამ ასეთ გამარჯვებას აბა რა ფასი აქვს? ყველა საქმეში უნდა ჩანდეს სილამაზე, სიმარჯვე და, რაც მთავარია, ცოტა ჭკუა უნდა გიჭირდეს".

გრომოვმა სიამოვნებით წარმოიდგინა, როგორმა შეაქებდნენ მის გამჭრიახობას. საცოდავ სვირიდოვს კი პოლკოვნიკი ერთს გემოზე შეახურებს და ახიც იქნება. კაი დონდღლოა ეგ შენი სვირიდოვი. გრომოვს კი მადლობას გადაუხდის. ექნება კიდეც საამისო მიზეზი, — ლეიტენანტის თაოსნობა, სისწრაფე და დამოუკიდებელი მოქმედების უნარი. პოლკოვნიკი ეეჭველად იტყვის, გრომოვ, მოვმა თანამედროვე ბრძოლას ალღო აუღოო... რა თქმა უნდა, პოლკოვნიკს ვალში არც სხვები დარჩებიან და ახალგაზრდა მეთაურის გამბედაობას შეაქებენ.

„გადაწყვეტილება მოწინააღმდეგის განადგურებისა უნდა იყოს მტკიცე და ურყევი, — იტყვის პოლკოვნიკი, — გადაწყვეტილებას კი შესრულება სჭირდება. სწორედ ასე მოიქცა ლეიტენანტი გრომოვი".

პოლკოვნიკს კიდევ ბევრი დაშაქრული სიტყვა წამოსცდება, მაგრამ გრომოვს ჯერ არწივს მაინც არ უწოდებს. რას იზამ. პოლკოვნიკი ცოტა სიტყვაძუნწი კაცია.

ძნელი წარმოსადგენი როდია, რა სახე ექნება ამ დროს სვირიდოვს! „ისე, ამხანაგურად რომ მივუდგეთ, ცოდვა კია, მაგრამ ვინაა მერე დამნაშავე? თვითონ. თუ ნიჭი და მისწრაფება არ გაგაჩნია, რა გინდა არმიაში, წადი ბუღალტრად. სამხედრო სამსახურში ყურით არავის მოუთრევიხარ. იქნებ სთქვა კომკაეშირული საგზური მქონდაო, ვერაფერი შვილი პასუხია. კომკაეშირის გადაწყვეტილებით ნიჭი ვერ მოგემატება. ნიჭიერი უნდა დაიბადო. აბა, ასეა, ჩემო ძამიკო სვირიდოვ!"

4

ლეიტენანტს, როგორც იქნა, გაუთბა გაყინული ხელები. ცეცხლს მაინც ვერ მოშორდა. წუხელ კარგა მაგრა გაითოშა და დასველდა. მაგრამ ეს არაფერი, ქორწილამდე დაავიწყდება. „მაინც რა დალოცვილია საველე სამზარეულოს ღუმელი. თითქოს სულსაც გითბობს. არმიაში ყველაფერი იცვლება: იარაღი ყოველ წელს ახალია. ტექნიკას ხომ ნეღარ იკითხავთ, — ზღაპრულია, საველე სამზარეულო კი ისეთივე დარჩა, როგორიც პაპაჩემის დროს იყო. პაპა-

---

ემანუელ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ჩემი, — მიხეილ გრომოვი მარჯვე მზვერავი გახლდათ და მანჯურიაში გიორგის ჯვარიც გაირტყა. გავიდა დრო და პაპაჩჩაში უკვე ბუდიონელთა ესკადრონს მეთაურობდა. საველე სამზარეულო კი მაინც არ შეცვლილა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. არმიაში ბევრი რამ შეიცვალა. საველე სამზარეულო კი ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. მასზე არ მოქმედებს არც დრო, არც მოვლენები, არც ახალი საომარი საშუალებანი. უცნაურია, მაგრამ ასეა. მაშ, ჩვენს სამხედრო ცხოვრებაშიც ყოფილა რაღაც უცვლელი და მარადიული. რაღა შორს წავიდეთ, განა მე თვითონ არა ვგრძნობ საეკუნეების განმავლობაში მეომრის უცვლელ ხასიათს? გამძლეობა და სიმამაცე მამა-პაპათაგან გამომყვა. მათგან მომდევს ლაშქრობისა და სახიფათო შეტევების სიყვარული, ეს თვისებები თან დამყვა და სისხლში მაქვს გამჯდარი. ამას რაც გინდა დაარქვით: მოწოდება, ნიჭი. მე კი ეს ყველაფერი უხვად მაქვს მომადლებული".

მოკლედ, ამ დილას ძალზე კმაყოფილი იყო ლეიტენანტი გრომოვი. ერთი რამ კი მაინც ულრღნდა გულს და ხასიათს უშხამავდა. ორი დღის წინ, ტაქტიკურ მეცადინეობაზე გასვლამდე, პოლკში მიტინგი შედგა. სიტყვებით გამოვიდნენ პოლკის მეთაური, პოლიტხელი. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ოფიცრები და ჯარისკაცები.

გენადი გამოსვლას არ აპირებდა. სიტყვა სასწავლებელშიც კი არასოდეს არ უთქვამს. მით უმეტეს ზედმეტად მიაჩნდა გამოსვლა პოლკში, სადაც მას არავინ იცნობდა.

გენადიმ თვითონაც არ იცის, სიტყვა როგორ მოითხოვა. როცა პოლიტხელის მოადგილემ პოდპოლკოვნიკმა ანიკიმმა იკითხა, კიდევ ვის სურს სიტყვით გამოსვლაო, გენადიმ თავისდაუნებურად უპასუხა, ნება მომეცითო.

ტრიბუნაზე ისე ავიდა, წარმოდგენაც არა ჰქონდა, რაზე უნდა ელაპარაკა. გენადიმ ღრმად ჩაისუნთქა და ხმამაღლა წარმოსთქვა, — „ამხანაგებო!" ამის შემდეგ პატარა პაუზას კიდევ არა უშავდა რა, ეს ორატორების ცნობილი ხერხია. გენადიმ ელვისებურად გადაწყვიტა, სულ რამდენიმე სიტყვას ვიტყვიო: „მე, ამა და ამ ოცეულის მეთაური, ვალდებულებას ვიღებ ტაქტიკურ მეცადინეობაზე გავაკეთო ესა და ეს". თავისი აზრის ჩამოყალიბებას სამხედრო ყაიდაზე აპირებდა, — ნათლად და მოკლედ, მაგრამ არ გამოუვიდა. საკმაოდ გრძელი და მაღალფარდოვანი სიტყვა წარმოსთქვა.

გრომოვი ზედმეტად ნერვიულობდა. მთლად ურიგო სიტყვა როდი გამოუვიდა. ყველაფერი გულწრფელად ილაპარაკა. გენადი განა სტყუოდა, როცა ამბობდა, — მზად ვარ სამხედრო მოვალეობის შესრულებისას მოვკვდეო! მას ხომ ფიცი ჰქონდა დადებული და თუ ეს საჭირო იქნება, ისე ვაქაცუნად მოკვდება, როგორც ოფიცერს შეფერის.

დიახ, სიკვდილიც ლამაზად უნდა შეგეძლოს. ეს გრომოვს მეომრის სავალდებულო თვისებად მიაჩნდა. გენადის არასოდეს არ უნახავს, როგორ კვდებიან ადამიანები. ამიტომაც არაფერი არ შეუძლია ილაპარაკოს სიკვდილის სილამაზეზე. მაგრამ ეპატიება. იგი ისეთ ასაკშია, როცა ადამიანი სიკვდილზე ნაკლებად ფიქრობს. ანდა თუ ფიქრობს, სიკვდილი რაღაც შორეული და არასავალდებულო მოვლენა ჰგონია.

სიკვდილი ჯერ შორსაა. ახლა სიცოცხლეზე უნდა იფიქრო, რომ ნაკლებად გადადგა დაუფიქრებელი ნაბიჯი, იშვიათად დაუშვა შეცდომა. მოედანზე სიტყვით გამოსვლა გენადის მაინც შეცდომად მიაჩნდა. თითქოს ეშმაკი უშვჯდაო, რაღაცამ აიტაცა და თავს ვერ მოერია. „მაინც რა ენა მექავებოდა, ჩემს კანში ვერ დავეტევი? სჯობია ჩემი საქმეებით იმსჯელონ. კიდევ კარგი, რომ ამ სიტყვას საქმეც ზედ მოვაყოლე, თორემ ხალხი ყბედსა და მტეჩჩარას შემარქმევდა. ეს კარგი გაკვეთილი იქნება. რა ჩემი საქმეა აგიტაცია, მოწოდება და სიტყვების რახარუხი. ამას სხვებიც მოახერხებენ. სჯობია, ოცეულს მივხე-

დო და უფროსებს დავემორჩილო. აბა როგორ! კარგად შეუშვი ეს გოგრაში, გენადი პავლოვიჩ!“

5

— ამხანაგო ლეიტენანტო, ნება მომეცით, მოგმართოთ.

გრომოვმა მაშინვე დააპირა ეთქვა, ნებას გაძლევთო, მაგრამ როცა შემობრუნდა და ჯარისკაცი შეათვალიერა, აღშფოთდა. „ნეტავ სად იბადებიან ასეთი ფეთხუმები? გაუპარსავი, ტალახში ამოსვრილი ჩექმები, ჭუჭყიანი საყელო... თანაც როგორ დგას... რა გამოლენჩებული სიფათი აქვს. ისე იკრიჭება, თითქოს სიდედრის დღეობაზე იყოს მოსული. არა, ძამია, მე შენი სიდედრი არ გეგონო“.

— არ გაძლევთ ნებას!

ლეიტენანტს საკუთარი ხმა არ მოეწონა. ცოტა არ იყოს, გადაამლაშა. მაგრამ ეშმაკმა იცის მაგის თავი, ვის არ გამოიყვანს მოთმინებიდან. გრომოვს განსაკუთრებით ჯარისკაცის თვალები არ მოეწონა, — დიდი, ცისფერი და მეოცნებე. თანაც წამწამებიც რომ ქალიშვილიანთ ნაზი და აპრეხილი აქვს!

თვითონ გენადისაც რომ ასეთი თვალები აქვს? არა, ლეიტენანტს თავისი თავისთვისაც ვერ უპატიებია მეორჩისათვის ასეთი შეუფერებელი თვალები, და აბა, სხვას რას აპატიებდა!

— ნებას არ გაძლევ! — უფრო უხეშად და უფრო ნმამაღლა სთქვა ლეიტენანტმა. „აი, ახლა კი გავცოფდი“...

— ამხანაგო ლეიტენანტო...

— ახლავე შენს თავს მიხედე. ერთი შეგახედა, რას ჰგავხარ. დაბმულ ეშმაკს აწყვეტინებ. საფრთხოზელა ხარ თუ მეომარი?

ჯარისკაცს სახე ჩაუქრა, თვალები აღარ უცინცინებდა, ღიმილი ბაგეზე შეახმა, ბავშვივით შესიებული ტუჩები სიმწრით აუტოკდა.

— ამხანაგო ლეიტენანტო...

— კრინტი! ზურგისა-კენ!

ჯარისკაცი უხერხულად შეტრიალდა. ფეხები შეებორკა, თითქოს ყველა სამწყობრო წესი დაავიწყდაო.

ლეიტენანტი უხერხულად შეიშმუშნა. „ვაი, სირცხვილო! ჩემს ოცეულში ასეთი ჯარისკაცი? უნდა დავაბრუნო. ათჯერკი არა, თუნდაც ასჯერ მომიხდეს ბრძანება „ზურგისაკენ!“ ამაზე ყურის წაყრუება როგორ შეიძლება. თუმცა წავიდეს. მერე შევჯორავ გემოზე. თუ ბიჭი ვარ, მაგისგან კარგ ჯარისკაცს გამოვიყვან“.

ლეიტენანტი ისევ ღუმელს მიუბრუნდა და ხელები ცეცხლს მიუშვირა. ახლაღა შენიშნა, ხელები უკანკალებდა: „ვაი შენ ჩემო თავო, მგონი ნერვები გღალატობს, გენადი პავლოვიჩ!“

ხასიათი კიდევ უფრო გაუუუჭდა. „მე მგონი სავსებით სწორად მოვიქეცი. ზარმაცი თუ ნებაზე მიუშვი, სად წავა. განა ჯარისკაცს ეს შეფერის? მაინც... აბა, გაიხსენე, ლეიტენანტო გრომოვო, მისი სახე?! რაღაც სასიხარულო უნდა ეთქვა, შენ კი გულში ჩაუკალი სიხარული. გენადი პავლოვიჩ, როგორც გატყობ, მართლა არ გივარგა ნერვები, ნამდვილად არ გივარგა!“

ლეიტენანტ გრომოვს საბოლოოდ წაუხდა გუნება.

6

გუნება შაქირსაც მოეშალა. ღიღინი შეწყვიტა და ლეიტენანტს შეხედა. „არ გინდა, კიდევ გაგიმასპინძლდები. ვერ მოგართვეს, მორჩა!“ — სთქვა გულში მზარეულმა. რატომღაც შაქირმა იმ წუთში გაიფიქრა, სამხედრო ბეგარას რომ მოვიხდი, საბავშვო ბაღში მზარეულად დავდგებიო. რატომ მაინცადამაინც საბავშვო ბაღში, ამას შაქირი საკუთარ თავსაც ვერ აუხსნიდა. უბრალოდ ასეთი აზრი დაებადა. მაინც რას არ გაიფიქრებ კაცი, როცა სხვისი განაწყენება ასე მოგხვდება გულზე.

ეს ამბავი არც ზემდეგს ესიამოვნა. არა, წესდების თანახმად ლეიტენანტი სწორად მოიქცა, თვითონ ზემდეგიც არავის აპატიებს უწესობას, მაგრამ რა

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

საჭირო იყო ყვირილი? ასე ფონს ვერ გახვალ. სიყვარულით და დაყვავებით უფრო გამოასწორებ კაცს. ესეც არ იყოს, ჯერ კიდევ გუშინ ეს ჯარისკაცი დედის კალთას იყო ამოფარებული და საშენკას ეძახდნენ. აქ კი, — ალექსანდრე საფონოვს, — ერთბაშად დაატყდა თავს მკაცრი ჯარისკაცული ცხოვრება. დედის მზრუნველი ხელი მოაკლდა, თავს თვითონ უნდა უპატრონოს. სიმართლე რომ ვთქვათ, საფონოვი ჯერ სულ მთლად ბავშვია, — ასაკითაც, ჭკუითაც და ხასიათითაც. არც ლეიტენანტი მყავს დიდი მოწიფული ვაჟკაცი. ყვინჩილასავით რომ იბღინძება! ახლაა საჭირო კომუნისტ ოფიცერებთან მოლაპარაკება და ერთი ამხანაგური შეფუფხუნება,—თორემ მერე გვიან იქნება.

„მეც კარგად მომცხებენ. შენ სადღა იყავი, ამხანაგო კომუნისტოო“, ამ ფიქრებში გართულმა ზემდეგმა მზარეულს რაღაც მითითება მისცა და მოლიპული ბილიკით შეღმართს აუყვა, სადაც წუხანდელი „ბრძოლის“ შემდეგ ასეული ისვენებდა.

„საფონოვს მე თვითონ მოვუვლი, — გადაწყვეტა ზემდეგმა, — სერჟანტსაც ვიტყვი, ყურადღება არ მოაკლოს. კარგა უნდა გამოვაწრთო, თორემ, ეტყობა, საწყობში მუშაობისას ძალზე გაუნებივრებიათ. მაინც რა უნდა ესწავლა იქ? საწყობი რა ჯარისკაცის საქმეა?“

ზემდეგი ბილიკს ნელა მიჰყვებოდა. ახალგაზრდებისათვის ეს შეღმართი ეგ ბედენაა, მაგრამ ივანოვიჩს საფეხურებზე ჭაღარა შეეპარა. გულიც ხშირად აწუხებს. ასეთ დროს სჯობია დინჯი ნაბიჯით იარო. მადლობა ღმერთს, არავინ გაჩჩქარებს..

„საფონოვი, ეტყობა, რაღაცა კარგის თქმასა აპირებდა. ამის შეტყობას რა დიდი საქმე უნდოდა. ე, ჩემო ლიოშკა. კარი არ გქონდა გაღებული, რომ უკვე ვიცოდი, შინ რა ხასიათზე ბრუნდებოდი. პატიოსან ხალხს ყოველთვის შუბლზე აწერია, თუ რას ფიქრობს, რა უხარია, რა სწყინს.

ამ საშა საფონოვსაც, ჩემი ლიოშასი არ იყოს, სანდომიანი და პატიოსანი სახე აქვს.

ეს, ლიოშა, ჩემო პატარა შევარდენო, ნეტავ იცოდე, როგორ მოენატრე შენს მოხუც მამას.“

ზემდეგი შეჩერდა და ამოიხვნეშა. ლიოშკას ფასი ვინ ჰყავდა. წელიწადნახევარია, შვილი არ უნახავს. ახლოს მაინც იყოს. ცხრა მთას იქით გაუფრინდა ყაზახეთში, ყამირზე. იმ დღიდან მოყოლებული გრიგორი ივანოვიჩი ახალგაზრდებს აკვირდება და მათ ყმაწვილურ სახეებში ლიოშას მსგავსებას ეძებს. „ეს წამოჩიტული ვაჟკაცები ყველანი ერთმანეთს ჰგვანან. ისინი ლიოშას ჰგვანან, ლიოშა კი მათ“.

თავი მეორე

1

გრომოვის ოცეული კოცონთან ისვენებდა. მზე უკვე ამოწვერილიყო, მაგრამ არ ათბობდა. ჯარისკაცები კი ისევ გალუმპულები იყენენ.

— ყური მიგდე, საყვარელო არტემოვ, ცოტა ჩაიჩოჩე, თორემ დიდი ვერაფერი შვილი მწვადი გამოვა შენგან, — სთქვა გეეორქ კაზანჯიანმა. იგი, როგორც ჯარისკაცები ხუმრობდნენ, ამ კოცონის „ავტორი“ გახლდათ. მართლა საოცარი იყო, როგორ მოახერხა გეეორქმა სველი ფიზხისაგან ასეთი კოცონის აგზგიზება. ამის საიდუმლოება მარტო გეეორქმა იცოდა. გეეორქი ჩობანის შვილია. იგი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლობდა, როცა მამას საძოვრებზე დაჰყვებოდა მთებში. კარგ ჩობანს კი, მოგეხსენებათ, ცეცხლის გაჩაღება ყველგან შეუძლია. აბა, კაცს მთაში უცეცხლოდ რა გააძლებინებს.

— რუსებს ერთი ანდაზა აქვთ, — განაგრძო გეეორქმა, — კვამლი უცეცხლოდ არ არსებობსო. ჩემს ცეცხლს რომ კვამლი არა აქვს, როგორ მოგწონთ?

— ძალიან მოგვწონს, ჩემო ძმაო, — ღიმილით სთქვა სერგეი ბრაჟნიკოვმა. იგი სხვებივით მადლიერი იყო ამ კოცონისათვის, — მაგრამ თუ კარგი საქმე ყველას ყელში ამოუყვანე, რა გამოვიდა, უკეთესებიც გვინახავს, — მერე თითქოს ვიღაცას ბაძავსო, სხაპასხეპით მიაყარა:—ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს აღვძრათ შუამდგომლობა, რომ ამ ჩვენს ატომურ საუკუნეში, არნახული ტექნიკური პროგრესის საუკუნეში, რიგით ჯარისკაც გეეორქ კაზნჯიანს უკვამლო ცეცხლის გამოგონებისათვის მისცენ პატენტი...

ჯარისკაცებმა გადაიხარხარეს. ბრაჟნიკოვი იმ ადამიანს ბაძავდა, კრებაზე რომ ასეთ სიტყვებს არახუნებდა: „ჩვენი ატომური საუკუნე“, „ტექნიკური პროგრესი“... საქმე საქმეზე რომ მიდგა, ყალთაბანდი აღმოჩნდა და მეტი არაფერი. ახლა ეს ადამიანი გარნიზონის ჰაუპტგახტში ბრძანდება. ჰაუპტგახტი კი, მოგეხსენებათ, ატომის საუკუნეშიც ჰაუპტგახტია.

გეეორქსაც წასკდა სიცილი. მან ხელი ჩაიქნია და სთქვა:

— რა გაეწყობა. ჩემი დიდება მთელი კოლექტივისათვის გამიყვია.

კაცს რომ შორიდან შეგეხედა, გეგონებოდა, ეს უზრუნველად მოხარხარე ბიჭები აგერ ახლა დაბრუნებულან სეირნობიდანო. მაგრამ ნურას უკაცრავად. აქაური მთები სასეირნო ადგილები როდი გახლავთ. ასეთ ამინდში ღამის „ბრძოლა“ კი ვის არ მოუგრეხს კისერს. ჯერ კიდევ ერთი საათის წინ ფიქრობდნენ, ნეტა ახლა შეგვასვენა და მეტი არაფერი გვინდაო. ამ გლუმპულ მიწაზე ისე სიამოვნებით გაიშხლართებოდნენ და ჩაიძინებდნენ, ცა რომ ჭიქაქუხილით ჩამონგრეულიყო, მაინც არ გაეღვიძებოდათ.

აღმოჩნდა, რომ თურმე სულაც არ ეძინებათ. ორი დღე და ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, მაგრამ რული არ ეკარებათ. ალბათ გულში ჯერ კიდევ არ განლეგნათ წუხანდელი შეტევის ცეცხლი და აღტყინება. მაინც რა საქმე ქნეს, ბრწყინვალე! ახლა კი იტყვიან: აი, გვესმის ჯარისკაცები! აი, გვესმის ბიჭებინო!

მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, ხმამაღლა როდი ლაპარაკობენ. რატომ? ეს გამარჯვება მათი კუთვნილებაა, მათი მოპოვებულია და მათსავე გულებში დარჩება!

ჯარისკაცებს კიდევ ერთი რამ ეამყნებათ და ესახელებათ, — ახალი ოცმეთაური, ლეიტენანტი გრომოვი მართლაც რომ შესანიშნავი მეთაური გამოდგა. ასეთ ჭკვიან ვაჟკაცს ალბათ მთელს პოლკში ვერ შეხვდებით. პოლკი რას მიქვია, დივიზიაშიც კი!..

ჯარისკაცებიც როდი ვყავართ ურიგო. ხმამაღლა არც ამაზე ლაპარაკობენ. როგორც ჩანს, ახლა მათ არც ხმამაღლა ლაპარაკის თავი აქვთ და არც რაიმე სერიოზული ფიქრის უნარი შესწევთ. ვითომც და წუხელ არც კი ყოფილა ღამის შეტევა. თითქოს მათ სიკვდილი არც კი უდარაჯებდა, როცა უკუნეთ სიბნელეში ზედ უფსკრულის პირას მიაბიჯებდნენ, როცა მოლიპულ ციცაბოზე დაეშვნენ და „მოწინააღმდეგს“ ეკვეთნენ. თითქოს ყველაფერი გეერდზე დარჩა. ახლა ისინი მხოლოდ სასაცილო და თავშესაქცევ ამბებს ყვებოდნენ. ვიღაცამ კოფნი დაკარგა. ვიღაცამ გუბეში ზღარბთანი გაადინა და „ვაი დედა“ წამოიყვირა. ერთმა იერიში ბუჩქზე მიიტანა, „მოწინააღმდეგის“ ჯარისკაცი ეგონა. შეტევის დროს, როცა ოცეულმა „ვაშა“ დასძახა, ვიღაცამ ხრინწიან ყვინჩილასავით წამოიყვირა...

ახლა ყველას ერთი სული ჰქონდა გაეგო, ვინ გახლდათ ამ „ვაჟკაცური“ შეძახილის ავტორი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არავინ არ ტყდებოდა.

ჯარისკაცები ერთმანეთს გულკეთილად დასცინოდნენ, თუმცა ყველას თავისი თავიც და თავისი მეგობრებიც გმირებად მიაჩნდა.

სერგეი ბრაჟნიკოვსაც კაი გვარიანი სიცილი დააყარეს. თუმცა ყველამ იცის, რომ მეტყვიამფრქვევე ბრაჟნიკოვი წუ-

---

ემანუელ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ხანდელი „ბრძოლის“ სული და გული იყო. თანაც ბრაჟნიკოვი ოცეულის კომორები გახლავთ. იგი ყოჩაღი ბიჭია და კომორგადაც უსიტყვოდ აირჩიეს. მერე რა, განა ნამდვილი ავტორიტეტი მეგობრული ხუმრობით შეილახება?

თითო წკიპერტი ყველას მოხვდა. ვასია კატანჩიკის მწარე ენას კი ვერავინ გადაურჩა. სერგეი ხანდახან ვასიას კალთაში ქაჩავდა, მაგრამ ჯერ ვასიასგან განაწყენებული კაცი არავის უნახავს, ალბათ იმიტომ, რომ თვითონაც არ სჩვეოდა განაწყენება.

თუ კარგად დაუკვირდები, ვასია სულაც არ არის ისეთი მამიტი და გულარხეინი, როგორც ხალხს თავს აჩვენებს. მაშ, კატანჩიესაც ჰქონია რაღაც გულში ჩამარხული, გარეშე თვალისგან შეუმჩნეველი. მაინც რა? ეჰ, განა ასე ადვილია კაცის გულისნადების გაგება? ადამიანთან ერთი ფუთი მარილი მაინც უნდა შეჭამო, რომ მის სულსა და გულს ჩაწვდე.

2

კატანჩიკი გულღია და მხიარული ბიჭია. სასიამოვნო შესახედაგიცაა. როცა ვასია იცინის, სახეზე ბავშვური იერი აქვს. მაგრამ როცა დადეგრდება, მოიღუშება და ვაბრაზდება, თვალებთან და ტუჩებთან ნაოჭები უჩნდება. აკი თვითონაც ამბობს, გამოჯეკილი ბიჭი ვარო.

ვასია ცამეტი წლისა იყო, სახლიდან რომ გაიქცა. ოჯახში რაღაც მოხდა, — მამამ მიატოვა ცოლი, თუ დედა გაექცა ქმარს. ან იქნებ ფათერაკიანი თავგადასავლებისა და შორეული მოგზაურობის ცდუნება ეშმაკივით შეუჯდა ბიჭს გულში... სახლიდან გაქცევის მიზეზებზე ლაპარაკი ვასიას დიდად არ ეპიტნავება. სამაგიეროდ თავისი მოგზაურობის ამბებს ისე საინტერესოდ ჰყვება, რომ ყურს ვერ მოწყვეტ. მაინც სად არ ყოფილა, შორეულ აღმოსავლეთში თუ ბალტიისპირეთში, შუა აზიაში თუ ყირიმში. ზოგან მშენებლობაზე მუშაობდა, ზოგან რაღაც კურსებზე სწავლობდა, რომელიღაც სამდინარო გემზე მეზღვაურად გააფორმეს, ერთ ზაფხულს სტეპებში ცხენის რემას მწყემსავდა, იმავე ზამთარში ციმბირის რომელიღაც მივარდნილ სოფელში ბიბლიოთეკარადაც მოწყვიდილა. ბიჭებმა ეს ოოლად დაიჯერეს, რადგან კატანჩიკი გვარიანი ნაკითხი ყმაწვილი გახლდათ, მაგრამ როცა ვასიამ სთქვა, ისტორიულ ფილმში თითქმის მთავარ როლში მიღებდნენო, ამხანაგებს, ცოტა არ იყოს, ეეჭვი შეეპარათ.

ვასილ კატანჩიკი, — კინომსახიობი? ამის მსაგავი არაფერი გაუგონიათ. ვასიამ მგონი ძალიან ღრმად შესტოპა. გადაწყვეტეს შეემოწმებინათ. კლუბის უფროსს სთხოვეს, ვასიას მიერ დასახლებული კინოფილმი გაეშვა. ნახეს და, რად უნდა ლაპარაკი, ფილმში კატანჩიკის კვალიც კი არსად ჩანდა.

— დაახეთქე ხომ, კაი ცრუპენტელა ყოფილხარ! — მიუკიბ-მოუკიბავად მიახალა ანდრეი მიკშინმა.

— რაო?! — წარბი შეიკრა კატანჩიკმა, — თქვენ კინოსი რა გაგეგებათ. კინო არღანი კი არაა, სულ ერთ მხარეს რომ ატრიალონ. ჩვენს სურათსაც ასე დაემართა. რეჟისორი დიდი შტერი ვინმე გამოდგა, სურათი ორჯერ მტი გადაიღო და რაც ზედმეტი იყო, ამოჭრეს.

— შენ რაღა გიყვეს? აკი სთქვი, მთავარ როლს ვასრულებდიო? — სერიოზულად ჰკითხა ბრაჟნიკოვმა.

— მე სწორედ ამოჭრილ ნაწილში ვასრულებდი მთავარ როლს, — დაუფიქრებლად უპასუხა კატანჩიკმა.

— მეორე სერიაც უნდა გამოეშვათ, — ჩაურთო საფონოვმა.

კატანჩიკმა მას მხარზე ხელი მოუთათუნა.

— დიდი გულუბრყვილო კაცი ხარ, საშა. როგორ ვეტყობა, რომ ცხოვრებისა არაფერი გაგეგება. გინახავს ცოცხალი ბიუროკრატი? არა? აბა, რა უნდა გელაპარაკო.

— კარგი, გეყოფა! — შეაწყვეტინა მიკეშინმა, — ყველამ იცის, რა ცრუპენტელაც ბრძანდები და თანაც უტეხი. აწი ვინღა დაგიჯერებს რამეს?

კატანჩიკი გაფითრდა.

„გაება“, — კმაყოფილებით გაიფიქრა

ბრაჟნიკოვმა. მაგრამ კატანჩიკი არ დაბნეულა.

— კარგით ერთი, ბიჭებო, — ისე უდარდელად და მიამტატად გაიცინა კატანჩიკმა, ვითომ ბუზიც არ აფრენია,— ხუმრობას ვედარ იგებთ, თუ როგორაა თქვენი საქმე? ცოტა წვაიტრაბახე. ისე, რომ იცოდეთ, ჩემს ტრაბახში სიმართლეც ურევია. ღმერთმანი, მართლა მიმიწვიეს სათამაშოდ. რეჟისორმა გემზე შემამჩნია და მოვეწონე. შენ, ჩემო ძმაო, დამახასიათებელი გარეგნობა გაქვს, შენთვის სპეციალურად უნდა დავწერო როლიო. რა ვიცი, კიდევ რა არა სთქვა. ჰოდა, მეც ვიფიქრე, ერთიც ვნახოთ, რეჟისორი არ ხუმრობს და ვასილ კატანჩიკი კინოვარსკვლავი გახდა. მაგრამ ისე დამემართა, ერთ სიმღერაში რომაა:

Почтальон принес письмо,
Ох, какая радость!
Распечатали его,
Фу, какая гадость!

ბევრი მაწვალეს, გამსინჯეს, გადამიღეს, მაგრამ მეტი არ იქნა შენი მტერი, ნიჭის ნატამალი ვერ მიპოვეს. თქვენ გგონიათ, მაშინვე გამომაპაპაღურეს? არა, კინოს ხალხი მასეთი არ გეგონოთ. მასაში ჩამაყენეს. სურათში ბრბო ხომ გახსოვთ? მეორე რიგში ზედ შუაგულში ვდგავარ. ვერ მიცანით ხომ? რას მიცნობდით, თქვენ კი არა, დედაჩემიც ვერ შემამჩნევდა. აბა, გრიმი რისი მაქნისია? ამას მიხვედრა უნდა, ბიძია, ხუმრობა არ გეგონოთ: კინო ჯადოსნური რამაა, ინდური სასწაულის მსგავსი.

კატანჩიკი კიდევ დიდხანს იგონებდა თავის თავგადასავალს. ტყუილებსაც ნაკლებად ურევდა. ჯარისკაცებს სულ უფრო და უფრო მოსწონდათ მისი ნაამბობი. ბრაჟნიკოვისა კი რა მოგახსენოთ. მას კატანჩიკი გულზე არ ეხატებოდა. სერგეის ცხოვრებაში ბევრჯერ შეხვედრია კატანჩიკისთანა კაცი და მათზე მტკიცე აზრი ჰქონდა შემუშავებული: ასეთები გუდაფშუტები არიან და მეტი არაფერიო.

ვასია კატანჩიკს ჰქონდა რაღაც ისეთი, რის გამოც ბრაჟნიკოვი მაინც სცემდა პატივს. მან თავიდანვე შეამჩნია, რომ ეს კუდაბზიკა ყმაწვილი ცოტა ღონეზე ვერ იყო მაგრად. შეიძლება ვასიამ თავისი ჯანმრთელობა უთავბოლო ცხოვრებით გაფლანგა. ფიზიკური შრომითაც ალბათ ყოველთვის როდი იტკივებდა თავს. ან სად ეცალა. მაგას რომ ყური უგდო, მოგზაურობის მეტი არაფერი გაუკეთებია. მატარებელში კი ყანას ვერ გათოხნინდა. სამხედრო სამსახური საღლაბუცო როდია. ეს მძიმე ტვირთიცაა და გაჭირვებაც. სამხედრო სამსახური რკინის დისციპლინას მოითხოვს. თავქარიანებს კი ასეთი რამ დიდად როდი ეპიტნავებათ. სულ ყალთაბანდობაზე უჭირავთ თვალი.

მაგრამ ბრაჟნიკოვი სამართლიანი კაცია, — რაც მართალია, მართალია, კატანჩიკი სამსახურს გულმოდგინედ ეკიდება. ხანდახან გაგიკვირდება კიდეც მისი მონდომება.

„ეს როგორღა უნდა გავიგოთ?“—ხშირად უფიქრია ბრაჟნიკოვს. მხოლოდ წუხელ შეამჩნია კატანჩიკის ხასიათში ისეთი რამ, რაც მანამდე არ შეემჩნია: შეტევაზე ვასია ბრაჟნიკოვის მხარდამხარ მირბოდა. კატანჩიკს ფეხი დაუცურდა და დაეცა. ბრაჟნიკოვმა ხელი გაუწოდა.

— მოდი, ვასია, გიშველი.

— მომწყდი! — უყვირა გამწარებულმა კატანჩიკმა, — მომწყდი, შენ გეუბნებიან!

აი, თურმე რა ყოფილა.

სერგეის ასეთი უზომოდ თავმოყვარე ხალხიც შეხვედრია ცხოვრებაში.

ასეთი კაცი მოკვდება და ამხანაგს არ ჩამორჩება, პატარა სისუსტე რომ შეამჩნიონ, სირცხვილით დაიწვება.

„რა ვუყოთ, — მზრუნველად გაიფიქრა მაშინ ბრაჟნიკოვმა, — თავმოყვარეობაც ძალაა“.

სერგეიმ ყურადღებით შეხედა კატანჩიკს. ყმაწვილს სახე მოეღრუბლა, თვალები ამოუღიამდა. „ეტყობა, ძალიან

ემანუილ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

დაიღალა, საწყალი, მაინც რომ არ ტყდება, ყოჩაღი ბიჭია!“

3

ბრაჟნიკოვმა გემრიელად დაამთქნარა და ისე გაიზმორა, რომ ძვლებმა ჭახაჭუნი დაიწყეს.

— ენა ხომ მოიფხანეთ, ახლა გეყოფათ. პირადად მე ძილს ვაპირებ. ორი საათი თუ მაინც წავიძინე, კარგი იქნება. თქვენც ამასვე გირჩევთ.

— მეც ასე ვფიქრობ! — კომორგს არტემოვმაც დაუჭირა მხარი, — ლეიტენანტი თუ მოვიდა, გაბრაზდება. დაისვენეთო, გვიბრძანა, ჩვენ კი...

— ესეც სწორია, — დაეთანხმა ბრაჟნიკოვი, — მეცადინეობა ჯერ არ დამთავრებულა. ვინ იცის, კიდევ რამდენი უნდა ვიჯაგლაგოთ. აბა, დავიძინოთ, ბიჭებო!

ჯარისკაცები დაფაცურდნენ და მილაგ-მოლაგდნენ. კატანჩიკი მაინც ვერ ისვენებდა. უცებ მან ისე გადაიხარხარა, თითქოს ძალზე სასაცილო რაღაც დაინახაო.

— რა დაგემართა? — გაბრაზდა არტემოვი.

— ვაი, ბიჭებო, მეტი აღარ შემიძლია. ჰიპნოზიორ კომორგს პირველად ვხედავ ჩემს ცხოვრებაში. ერთი მაგიური სიტყვა წამოსცდა — „ძილიო“, და ჩვენი პატივცემული ანდრეი მიკეშინი უკვე უფალმა მიიღო.

ყველამ მიკეშინს შეხედა. ჯარისკაცი თვლემდა და თავს აკანტურებდა. თავისი სახელი რომ ჩაესმა, შეკრთა, თავი წამოსწია და თვალები გაახილა.

— ისევ შენა ყბედობ, კატანჩიკ, — საყვედურით სთქვა მან, — აღარ მომეშვები?

— მოასვენე კაცი, — გამოესარჩლა მიკეშინს ვეკორჩქი.

— მე ბატონ ანდრეის დიდი პატივისცემა მაქვს, — უპასუხა კატანჩიკმა და თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, — ის ღირსეული და დარბაისელი კაცია, მაგრამ ერთი ნაკლი მაინც აქვს. თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ძილი სიარულისა და სირბილის დროსაც შეუძლია. ამ დილით ერთი კაი საქმე დაემართა: აბა, თქვენ რას შენიშნავდით. ჩემს თვალებს კი არაფერი გამოეპარება. მოულოდნელად მიაბიჯებს ჩვენი ანდრეი და თან გემრიელად თვლემს. უცებ თვალი გაახილა და გაოცდა: თურმე მიწაზე კი აღარ მიაბიჯებს, ღრუბლებზე მისრიალებს. ზუსტად ისეთ ფუმფულა ღრუბლებზე, ხატებზე რომ გინახავთ. თვითონ ჯარისკაცი კი აღარ იყო, უცოდველ ანგელოზსა ჰგავდა. ესაა, რომ ფრთები აკლდა.

რად უნდა ლაპარაკი, ანდრეი მატვეიჩს ანგელოზობა ჭკუაში არ დაუჯდა, გიყვარდეს, იმავე წუთში ცოდვილი მიწისაკენ მოცოცხა. რაც არ უნდა იყოს, მიწაზე უფრო მხიარული ცხოვრებაა. ჯარისკაცული საჭმელ-სასმელიც გვარიანი გემრიელია. ანგელოზები კი, მოკეხსენებათ, ჰაერით იკვებებიან.

— დიდი ტყუილების გუდა ხარ, — შეუღრინა მიკეშინმა, — ეგ სიზმარი ალბათ შენ თვითონ ნახე.

— არა, ძმაო, — არ შეაწია კატანჩიკმა, — მე მასეთი რამ არ დამესიზმრება. ჯერ კიდევ მესამე კლასში მეცნიერულად ვიცოდი, თუ რა არის ღრუბელი. მახსოვს, ერთხელ ამხანაგმა გაბრიყვება დამიპირა, ღრუბელი ნაღების ნაყინისაგან კეთდებაო, მაგრამ ვერ მიართვეს, მაგის ჩიტი ვიყავი?

— ისე, ყოველ შემთხვევისათვის გაგესინჯა მაინც, — ურჩია ვეკორჩქმა, — მადლობა ღმერთს, ღრუბელი აქვეა, შორს წასვლა არ დაგჭირდება. ხელი მაღლა ასწიე და მეტი არაფერი გინდა.

— უკვე გავსინჯე, — „გამოტყდა“ კატანჩიკი, — მაგრამ სიტკბოსი რა მოგახსენოთ.

მიკეშინმაც ვერ შეიკავა თავი და სხვებთან ერთად გულიანად გაიცინა. ანდრეიმ კარგად იცოდა, რომ მას არ დასცინოდნენ. ამხანაგები პატივს სცემდნენ მიკეშინს.

4

რიგითი ჯარისკაცი მიკეშინი ერთადერთი დაოჯახებული კაცი იყო მთელს ოცეულში. ამიტომაც განსხვავდებოდა

თანატოლებისაგან. არმიაში გაწვევამდე მიკეშინი ტრაქტორისტად მუშაობდა ჩრდილოეთ ყირიმის ერთ მეურნეობაში. იქ საკუთარი ხელით ნაგები პატარა სახლი და გარაჟი აქვს. ეზოს ყვავილნარი ამშვენებს. გარაჟში კი ახალთახალი, ხელუხლებელი ზღვისფერი „მოსკვიჩი“ უდგას.

იქ, იმ პატარა სახლში ორი მშვენიერი არსება ცხოვრობს, — ცოლი შუროჩკა და ექვსი თვის გოგონა საშენკა. რა თქმა უნდა, შუროჩკა და საშენკა შინაურული სახელებია. შუროჩკა, — ალექსანდრა ნიკოლაევნაა, საშენკა კი—ალექსანდრა ანდრეევნა.

მიკეშინი მეგობრებს ხშირად აჩვენებდა ცოლისა და ქალიშვილის სურათებს. ალექსანდრა ნიკოლაევნა სურათში გაუცინარ მეფის ასულსა ჰგავს. ტუჩები მკაცრად მოუკუმავს, ნაწნავები თავზე შემოუგრაგნია, თვალები სანახევროდ მოუხუჭავს, ერთი სიტყვით, ნამდვილი დარბაისელი მანდილოსანია, თუმცა იგი სულ თვრამეტი წლისაა. სამაგიეროდ ქალიშვილი ისეთი ბუნჩხულა გოგონაა, ნამდვილი თოჯინა გეგონება.

ჯარისკაცები ყოველთვის რაღაც შეუცნობელი ინტერესით თვალიერებდნენ მიკეშინის ცოლ-შვილის სურათებს. კატანჩიკი რომ კატანჩიკია, ამ დროს ისიც კი არ ოხუნჯობდა. მხოლოდ ერთხელ მოულოდნელად და სერიოზულად სთქვა: „აი, გაიზრდება შენი გოგონა და მაჯანკლებს გამოუგზავნი. მე მოთმინება შემიძლია, დაველოდები. ღმერთმა ბედნიერად გაგიზარდოს“.

მიკეშინმა ასეთივე სერიოზულობით მიუგო: „შენისთანა სიძე მე არ გამომადგება. ჭკვიანი კაცი შენთვის ქალიშვილს როგორ გაიმეტებს“.

— შენ ასე გგონია? — მშვიდად შეეპასუხა კატანჩიკი, — ტყუილად გიფიქრია. სანამ შენი ქალიშვილი გასათხოვარი გახდება, მე უკვე გენერალი ვიქნები: აგერ ნახავ თუ არა. გენერალ-მაიორი კატანჩიკი, დარბაისელი, ჯერ კიდევ ჭარმაგი მამაკაცი“.

მიკეშინმა ხელი ჩაიქნია: „აღდგომა და ხვალაო, ჯერ ვინ იცის რა გახდები. ახლა თავქარიანი და შარახვეტია ბრძანდები. მე კი დარბაისელი კაცი ვარ“.

დარბაისელი კაცი.

ეს აზრი რომ ჰქონდა თავში გამჯდარი, ამიტომაც იყო, რომ მიკეშინს თავისი ასაკისთვის შეუფერებელი სიდინჯით ეჭირა თავი. მიკეშინი პირველი დღიდანვე გამოირჩეოდა მონდომებითა და კეთილსინდისიერებით. სხვანაირად როგორ შეიძლება, განა ოჯახის პატრონს შეფერის ყალთაბანდი და სხვის კუდში მოჩანჩალე იყოს?

კატანჩიკს მგონი ისე არაფერი აღიზიანებდა, როგორც მიკეშინის გულმოდგინება. რატომ? — თვითონაც ვერ აგიხსნიდათ. იქნება დაბეჩავებული კაცის შური სჭამდა და სხვისი მყუდროება ეხარბებოდა? იქნებ ქვეყნიდან ქვეყანაში მოხეტიალე კაცს სხვისი სახლი, ფარდაჩამოფარებული ფანჯრები და ოჯახური მყუდროება ეზიზღებოდა? იქნებ ერთიც იყო და მეორეც? ეშმაკმა იცის მაგისი თავი. ერთი კია, კატანჩიკს ყოველთვის ცუდ გუნებაზე აყენებდა მიკეშინის გულმოდგინეობა.

როცა კატანჩიკი მიკეშინზე ხუმრობდა, ცდილობდა წრეს არ გადასულიყო. ეშინოდა, ჩემი განწყობილება არ გამოვამეჯანგო. ვინ იცის რა მოხდება, რამდენი ხანი მოუწევს ამ კაცის გვერდით ცხოვრება. და ახლა, ამ კოცონთან იგრძნო, — უკეთესი იქნებოდა, თუ მიკეშინს შეეშვებოდა.

„არ ღირს მიკეშინთან კინკლაობა. სახიფათოა. ერთი შეხედვით მიკეშინი ცხვარივით უწყინარია. მაგრამ აბა სინჯე და დაუშავე რამე! ისეთ დღეს დაგაყრის, თავბედს გაწყვეტლინებს.

აი, საშა საფონოვი კი მხოლოდ მორცხვად გაიღიმებს. ცოტა წყინტელი-გენტო ყმაწვილია ჩვენი საშა, დედიკოს ბიჭია“.

5

— ჯერ სადა ხართ, ძმებო, — დაიწყო ისევ კატანჩიკმა და ქარისაგან და-

ხეთქილი ტუჩები ისე მსუნაგად ჩაილოკა, თითქოს ცხელ ბორშს მოელისო, — მე დღეს სხვა უფრო მნიშვნელოვანი რამ აღმოვაჩინე... ჩვენს პატივცემულ ანდრეის ნორმალური კაცივით მაინც სძინავს. თვალებს ხუჭავს, ხანდახან წაიხვრენს კიდეც. აი, საშა საფონოვი კი, ღმერთმანი, წმინდა წყლის მთვარეულია. შვეხედე დღეს და შემეშინდა: გუგები გაფართოებოდა და თავადაც ამქვეყნიურს აღარ ჰგავდა. მოწყდა მიწას და სადღაც გაფრინდა.

— საფონოვს თავი გაანებე, კატანჩიკ, — მშვიდად, მაგრამ მტკიცედ უთხრა ბრაჟნიკოვმა, — ერთხელ უკვე გაგაფრთხილე.

— რა, არ შეიძლება?

— არ შეიძლება.

— ვითომ რატომაო, შენი ძმაკაცი?

— ძმაკაცობა რა შუაშია. მართლა, ამ გახსენებაზე, სად დაიკარგა საშა? კი ხანაა მისთვის თვალი არ მომიკრავს.

— ამ ნახევარი საათის წინ სამზარეულოსკენ მიმავალი დავინახე, — გაიხსენა არტემოვმა.

— დამიხედეთ მთვარეულს, — ჩაილაპარაკა კატანჩიკმა,—რას ერჩი, თურმე კარგი ადგილისკენ მიუწევს გული.

— კარგი ერთი, ტყუილა ნუ ილუსტრენას, — გაიცინა ბრაჟნიკოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატანჩიკმა ტუჩზე იკბინა. მართლაც და რას ირჯება ტყუილად. საშას მაინც არ ესმის. სერგეის გადაკიდება კი არ ღირს, კომორეს სხვასავით ადვილად როდი წამოკრავ ხელს.

ბრაჟნიკოვმა ქამარი მარდად, შეისწორა. გიმნასტურაც ჩაიბერტყა და სამზარეულოსკენ გასწია. ფეხებს ძლივს მიათრევდა. ასე ეგონა, ზურგზე უზარმაზარი ლოდი აჰკიდესო. ლოდი მიწისკენ ექაჩებოდა. ეგონა, დავეცემიო.

„ფუი ეშმაკს, როგორ დაეიღალე! ახლა ერთი გამოძინება რად მოღირს. მაგრამ ჯერ საშა უნდა ვიპოვო. ამ კრეჭია კატანჩიკს ყველაფერი სახუმაროდ მიაჩნია, მაგრამ საშას ფარსაგი არაფერი სჭირდეს. ღამით თავი მამაცურად ეჭირა. დილით კი რაღაცამ დააფიქრა. ეტყვი რამეს და ყურს როდი გიგდებს, სულ ილიმება. ხანდახან ცოტა უცნაურიც კია საშა საფონოვი. თითქოს შენს გვერდით არის და არცაა შენს გვერდით. კაცს შეგეშინდება, — ადამიანი გშორდება, შენ კი ვერაფერს შველი! ვიღაც გადამთიელი მაინც იყოს, შენი მეგობარია და შენი გულის მესაიდუმლე“.

თავი მესამე

1

ბრაჟნიკოვი საშა საფონოვს ჯერ კიდევ წარსულ შემოდგომაზე დაუმეგობრდა ეშელონში. ერთი შეხედვით საშა თითქოს არაფრით არ განსხვავდებოდა სხვა თავგადახოტრილი წვევამდელებისაგან, — სამხედრო დისციპლინას მაუჩვეველი, დაუდეგარი, ერთბაშად ცხოვრების შეცვლით აფორიაქებული ჭაბუკებისაგან. შეიძლება საშა დანარჩენებზე ცოტათი უფრო წყნარი იყო და ამასთან მეტისმეტად მინდობიც. ერთმა გაქუცულმა ყმაწვილმა საშას საათების გაცვლა შესთავაზა და მანაც დაუფიქრებლად მისცა ახალთახალი „პობედა“ რაღაც ადამის ხნის საზღვარგარეთულ კოლოფში.

სერგეი აღშფოთდა და საქმეში ჩარევა გადაწყვიტა.

— მე მაგ თაღლითს ვუჩვენებ სეირს. შენს საათს ახლავე მომირბენინებს უკან.

საფონოვი შეიშეხნა.

— ძალიან გთხოვ, არაფერი უთხრა, მაგას ხომ ძალა არ დაუტანებია, მე თვითონ არ მივეცი?!

— ვერაფერი გამგია, — გაუკვირდა სერგეის, — შენ, ჩემო ძმაო, კი შტერი ყოფილხარ.

— მე შტერი არა ვარ, — მშვიდად მიუგო საფონოვმა, — მაგრამ საათი და

ამის მსგავსი ხარახურა ჩემთვის სრულებითაც არ არის მთავარი.

— აბა რა არის მთავარი? — დაინტერესდა სერგეი.

— მართლა გაინტერესებს? — შეუტრიალა კითხვა საფონოვმა და სერგეის თვალებში ჩახედა.

სერგეი შეკრთა: „რა მემართება? ჯერ იყო და არამკითხე მოამბესავით გამოვესარჩლე, ახლა კიდევ სულში ხელებს ვუფათურებ. იმის თქმაც შემიძლია, — არ მაინტერესებს-თქო, მაგრამ სწორი რომ არ იქნება? მე საერთოდ ყველა ადამიანი მაინტერესებს. საშა საფონოვი კი თავიდანვე მომეწონა. კაი ბიჭი უნდა იყოს. ცოტა განაწყენებული ჩანს. ალბათ დახმარება სჭირდება. ოღონდ დათვურად კი არა, ფრთხილად უნდა მიუდგე. ასეთ ადამიანზე ერთნაირად მოქმედებს გულგრილობაც და მომაბეზრებელი მზრუნველობაც“, და სერგეიმ უპასუხა:

— მაინტერესებს! მაგრამ თუ არ გინდა, ნურაფერს მეტყვი.

საშა საფონოვს თვითონვე უნდოდა გული გაეხსნა ამ მოსული, ღონიერი ჭაბუკისათვის. რატომღაც სჯეროდა, რომ ასეთი თბილი და ყურადღებიანი თვალების პატრონი კაცი ყველაფერს გაუგებდა. და საშამ მაინც ერთბაშად როდი უპასუხა სერგეის კითხვას. გზა გრძელი ჰქონდათ. დროდადრო ეშელონი კარგა ხნით ჩერდებოდა ამბარა სადგურებზე. ისინი ბევრს საუბრობდნენ და თანდათან სერგეის წინ გადაეშალა საშა საფონოვი, — შეიგრძნო მისი ნაღველი და ხელისმოცარვა, მისი აზრები და მისწრაფებები.

2

საშა საფონოვმა ათწლედი რომ დაამთავრა, სახლში გადაწყვეტილი ჰქონდათ სწავლა უნივერსიტეტში გაეგრძელებინა, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. საშამ მისაღები გამოცდებისათვის მზადება დაიწყო. მაგრამ ერთი თვის შემდეგ წიგნები გვერდზე მიყარა და სპორტს მიეძალა. სახლიდან ადრიანი დილით გადიოდა. ხან წყალჯომარდობის სადგურზე ამოჰყოფდა თავს, ხან საათობით ფრენბურთს თამაშობდა, ხან სირბილში ვარჯიშობდა.

— გამოცდების ჩაბარება რატომ არ გინდოდა, — ჰკითხა სერგეიმ, — ხომ არ შეგეშინდა?

— ამას მერე გაიგებ, — მიკიბულ-მოკიბულად მიუგო საშამ და ოჯახური ამბების მოყოლა დაიწყო.

საშას დედა უკვე ხანშიშესული ქალია, საბავშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობს. ისეთი კეთილი და ალერსიანია, ბავშვები სულში იძვრენენ.

მამა დიდ უნივერმაღში მუშაობს ბუღალტრად. მთავარი კი არა, ჩვეულებრივი ბუღალტერია, თუმცა ერთი ორჯერ შესთავაზეს მთავარი ბუღალტრის ადგილი, მამამ უარი თქვა. ისეთი მორცხვი, გაუბედავი და ჩუმი კაცია, მგონი ქვეყნად ყველაფერზე უფრო პასუხისმგებლობისა ეშინია.

საშას კიდევ უმცროსი და ჰყავს, — ალითნა. იგი ჯერ თორმეტი წლისაა, სახელი კი მთელს რესპუბლიკაში გაითქვა. მისი სურათი ალბათ სერგეისაც უნახავს ჟურნალ-გაზეთებში. ერთხელ ალითნა კინო-ქრონიკაშიც კი აჩვენეს. ხუმრობა ხომ არ არის, — ქალი ჩემპიონია ფიგურულ სრიალში. ხუთი წლიდან ციგურებით დასრიალებს.

— მე კი... ჩემისთანებზე იტყვიან, არა შეჯდა მწყერი ხესაო, — ნაღვლიანად ჩაიცინა საფონოვმა, — ასე მომდის ყველაფერში, გესმის? არაფერი არ გამოდის ჩემი ხელიდან.

— სცადე კი?

— ვცადე. ბევრჯერ ვცადე. მუსიკასაც ვსწავლობდი, მივაბოგვე. არაფერი არ გამომივიდა. ხატვა დავიწყე და აქაც ჩავფლავდი. მერე ლიტერატურამ გამიტაცა. არც დაიჯერეს რომ გითხრა, რამდენი წიგნი წავიკითხე. დღე და ღამე ვკითხულობდი, სანამ მიეხვდებოდი, რომ წიგნი კაცს კი გასწავლის ცხოვრებას, მაგრამ ნამდვილი ცხოვრების საუკეთესო სკოლა თვითონ ცხოვრებაა. სწორი ვარ?

ემანუელ ფეიგინი
ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

— სწორი ხარ, საშა, მაგრამ ერთი ეს მითხარი, ვინმემ ხელი შეგიშალა ცხოვრების შესწავლაში? შორს წასვლა ხომ არ დაგეჭირებოდა. შენს ირგვლივ ყველგან ცხოვრება დუღს.

— შენ გგონია დაბრკოლებას არ წაანწყდები? — შეეკამათა საფონოვი. — სცდები. აი, მე სიყვარულმა შემიშალა ხელი. გგერა?

— მჯერა, მაგრამ არ მესმის, — გამოუტყდა სერგეი და ფრთხილად დაუმატა, — ალბათ ისეთი გოგო არ შეგხვდა, როგორიც გინდოდა. ხდება ხოლმე.

— გოგოები აქ არაფერ შუაში არიან. თუმცა ერთი კი მომწონდა. მაგრამ ისე, სერიოზული არაფერი ყოფილა; მე მშობლების სიყვარულზე ვეუბნები. ამ სიყვარულმა კინაღამ გზა-კვალი ამირია.

— დიდი უცნაური კი ხარ, საშა! შეიძლება ასე ლაპარაკი? ნეტავ მშობლები ცოცხლები მყავდნენ, თორემ ხელისგულზე ვატარებდი.

— შენ გგონია, ჩემთვის ძვირფასები არ არიან? გამახსენდებიან, გული შემეკუმშება. აქეთ რომ მოვდიოდი, მხოლოდ ვაგზალზე შევამჩნიე, როგორ გაჰაღარავებულან, როგორ დაბერებულან. დედას თავი მედგრად ეჭირა, წინასწარ დამპირდა, არ ვიტირებო. მერე კი ისეთი ტირილი ამოუშვა, რომ!.. მამას ტუჩები უკანკალებდა: „ყოჩაღად იყავი, შვილო, ვაკაცურად...“

გულისტკივილით ვფიქრობდი: „მეც ხომ მინდა ვაკაცი ვიყო, კაცი გამოვიდე, თქვენ რაღა გატირებთ? მე თუ „ფურისულა“ დავრჩი, ვერც თქვენ გაიხარებთ. სერგეი, შენ არც კი იცი, „ფურისულა“ ალიონამ შემარქვა. ექვსი წლის ვიყავი, ავად რომ გავხდი. სიკვდილს ძლივს გამომტაცეს ხელიდან. წარმოიდგინე ჩემი მშობლების სასოწარკვეთილება. მაშინ დედისერთა ვიყავი. ალიონა ჯერ არ იყო დაბადებული.

დედაჩემი ორი თვე ებრძოდა ულმობელ სიკვდილს და ბოლოს მიხსნა კიდეც. როცა საფრთხეს გაიარა, ფიცი დასდო, რომ თავის სიცოცხლეში არაფერს მაწყენინებდა. დედას ყოველთვის ამტკიცებდა, რომ მე მისთვის ბუნების მიერ ნაბოძები უძვირფასესი საჩუქარი ვიყავი.

თვითონაც მიხვდები, აქედან რა-გამოვიდოდა. დედამ ცხოვრებას მომაშორა, განმაცალკევა, ცივ ნიავს არ მაკარებდა. სახლში ყველაფერი ჩემთვის კეთდებოდა. უხერხულობა ერთხელაც არ მიგრძვნია. ალიონა იტყოდა ხოლმე. დედა დაიღალაო. მე კი ეს სრულებითაც არ მენაღვლებოდა. რის დაღლა, რა დაღლა, — არაფერი გამეგებოდა. დედის კალთაში თბილად ვიყავი შეყუჟული და ალიონამაც სწორედ იმიტომ შემარქვა „ფურისულა“. ახი იყო ჩემზე. კატის კნუტივით ვიზრდებოდი. რაც თუ არ შემომაკლდებოდა, სხვა არაფერი მედარდებოდა. ფუ, ამის გახსენებაზეც კი ტანში მაყრიალებს.

— აზვიადებ, საშა, — უთხრა სერგეიმ. მას საფონოვის ნაამბობი დაუჯერებელი და წარმოუდგენელი რაღაც ეკონა. მისი ბავშვობა და სიყმაწვილე სულ სხვაგვარად წარიმართა. „ნუთუ ასეთი მშობლებიც არსებობენ? ადამიანი იმისთვის იბადება, რომ სხვა ადამიანებს გზა გაუნათოს, გული გაუთბოს. მათ კი კაცი მხრჩოლავ ჭრაქად უქცევიათ. ალბათ ამით კმაყოფილებიც იყვნენ. არა, ასეთი რამ შეუძლებელია“.

— აზვიადებ, მეგობარო! — გაუმეორა სერგეიმ.

— სრულებითაც არა. რომ იცოდე, ყველაფერს არც გიყვები: როგორ გითხრა, მე მხოლოდ მოკლე ნარკვევი გიამბე ბრმა ცინდალის ცხოვრებაზე.

თექვსმეტი წლისას თანდათან მეხილებოდა თვალი. ეს ყველაზე მწარე და მძიმე ხანა იყო ჩემს ცხოვრებაში.

პასპორტი უნდა მიმეღო. დედა, რა თქმა უნდა, თან წამომყვა. აბა, მილიციის ლეიტენანტს საიდან უნდა სცოდნოდა, რა ხვითოც ვიყავი. მიწვდის პასპორტს და მეუბნება:

„მოგილოცავთ, მოქალაქე საფონოვ, დღეიდან თქვენ დამოუკიდებელი ადამიანი ხართ“.

დედას რატომღაც შეეშინდა: „რას ამბობთ, ჩემო ბატონო, რა დროს მაგის

დამოუკიდებლობაა, საშა ჯერ მთლად ბავშვია“.

ეცემ თითქოს თავში რაღაც ჩამარტყესო. ჩემი თავი პირველად დავინახე შორიდან. ხელში საცოდავი და უმწეო კაცი შმარრა, უმწიფარი და უნდილი.

— მერე?

— ორი წელი კიდევ ვიტანჯე. დედას ყველაფერს ვუთმენდი. მეცოდებოდა. უკანასკნელად მაშინ დავუთმე, უნივერსიტეტში შესვლას რომ დავპირდი. ტაქტიკური ეშმაკობა მოვიშველიე. წინასწარ ვიცოდი, საქმე სხვანაირად უნდა წასულიყო. არმიაში გაწვევას ველოდი. იქვე მტანჯავდა, ვაითუ დამიწუნონ-მეთქი. მოუხერხებელი ბიჭი ვიყავი. კუნთები ბებერი დედაკაცივით მოშვებული მქონდა. შიშისაგან სპორტს მიგეძალე. აი, ინებე შედეგიც...

საშამ მკლავი მოხარა.

სერგეიმ კუნთი მოუსინჯა.

— არა უშავს რა, — სიცილით სთქვა მან.

საფონოვს სახე გაებადრა.

— ხედავ, კომისიაზე ექიმებსაც მოეწონათ. წარმოიდგინე, როგორ გამეხარდებოდა. ცოტა კი დამწყდა გული: მეგონა, ფლოტში ან ავიასადესანტო ნაწილში გამამწესებდნენ. ჯანდაბას, ქვეით არმიაშიც ვიმსახურებთ.

— ვიმსახურებთ, — დაეთანხმა სერგეი, — მხოლოდ იცი რა მაფიქრებს? გაგიჭირდება, ჩემო ძმაო.

— ვიცი, გამიჭირდება.

— მაგრამ ნუ შეშინდები. მეც შენს გვერდით ვიქნები, მხარში ამოგიდგები.

ახლა კი იფეთქა საფონოვმ.

— აბა, ეგეთები არ იყოს, ბრაჟნიკოვ, გესმის? გადიები სახლშიც მომბეზრდა. თუ მეგობრობაა, ჭირიც და ლხინიც თანაბრად უნდა გავინაწილოთ... გაიგე?

— გავიგე. პირობას გაძლევ...

3

სიმართლე რომ ვთქვათ, სერგეი მაინცადამაინც არ ცდილობდა ამ დაპირების შესრულებას. მას კარგად ესმოდა, რას ესწრაფვოდა საშა საფონოვი. ამ ბიჭს რაც უფრო გაუჭირდებოდა, მით უკეთესი იქნებოდა. მაგრამ სერგეი თავს იმორჩილებდა. ყოველთვის ადამიანების, ჯერ-ჯერობით მარების სურვილი სძლევდა. აბა რა ჯანდაბად უნდოდა ბუნებისაგან მომადლებული ამხელა ღონე? საშა საფონოვს სერგეი ისე შველოდა, რომ მას არაფერი შეემჩნია. საშას აუცილებლად სჭირდებოდა დახმარება. ის მართლაც რაღაცნაირი ხელმოცარული გამოდგა. უფროსებიდან ვიღაცამ, — კარგი ხელი გაქვსო, და ცხრა თვის განმავლობაში არმიის საწყობში იჯდა საცოდავი. მისი ამხანაგები კი ამ დროს სანერგებს თხრიდნენ, სროლას სწავლობდნენ, მთებში დადიოდნენ, საშკა კი რაღაც ქვითრებს წერდა. არა, ქვითრებიც საჭიროა. არმია უზარმაზარი, რთული მექანიზმია. მას ბევრი რამ სჭირდება. მაგრამ საშა საფონოვი თავს გაუბედურებულად გრძნობდა. მას უნდოდა გამოწრთობილიყო, ჯარისკაცული მძიმე ცხოვრებით ეცხოვრა. აქ კი!.. ბედის დაცინვა თუ გინდა, ესაა, — კანცელარული მწერალი გახდა.

საშას იქაური უფროსი, გამოფიტული და მოფამფალეული მოხუციც კი ეუბნებოდა:

— შენს ადგილზე მწყობრში გასვლას ვითხოვდი. ხომ გამოიფიტე საწყობში ეს ახალგაზრდა კაცი!

— რა ვქნა, აბა? — ჰკითხა საშამ.

— მისწერე უფროსებს, ცდა ბედის მონახეგრეა.

დაუჯერა და უფროსებს მისწერა. უარი მიიღო. სასოწარკვეთილებას მიეცა. გული მოსდიოდა, ნერვიულობდა, მაგრამ იმდენი წერა, სანამ თავისი არ გაიტანა. და აი, ისევ მწყობრშია. ახლა კი ბედმა გაუღიმა. ჯერ ერთი, იმ ოცეულში მოხვდა, სადაც სერგეი ბრაჟნიკოვი ირიცხებოდა. საშას კი ამ კაცთან მეგობრობა სწყურდა. მეორეც, სამწყობრო ნაწილში დაბრუნებისთანავე მთებში მეცადინეობამ მოუწია.

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც უფრო შორდებოდა სერგეი კოცონს, მით უფრო ყრუდ ესმოდა მეგობრების ხმა. ბოლოს სიჩუმე ჩამოვარდა. სერგეი შეიჭმუხნა, — სიჩუმეს ვერ იტანდა.

სტვენით მიიკვლევდა გზას ბუჩქებში. მუსიკალურ ნიჭზე ცოტა მწყრალად ბრძანდებოდა და ცნობილი ჰანგები სულ სხვანაირი გამოუდიოდა. მაგრამ სტვენა განა სიამოვნებდა! შარშან შახტი ჩამოინგრა და შიგ მოყვა. სტვენა მას აქეთ დასჩემდა.

...ჯერ გრუხუნმა და ღრჭიალმა გააყრუა იქაურობა. მერე სიჩუმე ჩამოწვა. სერგეის არასოდეს არ უფიქრია, რომ სიჩუმე ასეთი საზარელი და გულისშემაღონებელი იქნებოდა. აუტანელი სიჩუმე იდგა. სამარესავით ვიწრო და ბნელ მახეში მარტო სიჩუმე გამეფებულიყო. ყვირილი სცადა, მერე იმღერა კიდეც. არაფერი გამოუვიდა. ალბათ შიშისაგან ხმა დაეკარგა. მაშინ სტვენა წამოიწყო. რა მელოდიაც გაახსენდა, ყველა დაუსტვინა. სიჩუმე დაამარცხა და გულზე მოეშვა.

როცა მშველელებმა მოაღწიეს და სერგეი ამოიყვანეს, ვიღაცამ იხუმრა: „ჯერ იყო და გვეგონა, შტრეკში ბუღბული დაბუდებულაო. მერე გავიხედეთ და შენა ხარ... ცოცხალ-მკვდარი ძლივსღა სუნთქავ. ტუჩები კი მოგიკუმავს და გიყვარდეს, უსტვენ ვალსებს და ფოქსტროტებს. საკვირველება თუ გინდა, ეს არის“.

„რაღაცას მიედ-მოედებით, — უილაჯოდ გაიღიმა სერგეიმ, — მიგონებთ.“ ცოტა ხანმა რომ გაიარა, თვითონვე ჯოდ გაიღიმა სერგეიმ, — მიგონებთ.“ დნენ.

ამ შემთხვევის შემდეგ კარგა ხანი გავიდა. სტვენა კი მაინც ვერ მოიშალა. ჩვეულებად ექცა.

რომელიღაც ჩიტუნა შეცდა და სტვენაზე გამოეპასუხა. სერგეის გაეცინა და გაჩუმდა. ჩიტებთან შეჯიბრების თავი სადა ჰქონდა!

უცებ სერგეის უცნაური ხმა შემოესმა. ვიღაც ტიროდა, — ბავშვი თუ ქალი. სერგეი გაოცდა. ამ მკაცრი ზვიადი ბუნების წიაღში ტირილი დაუჯერებელია და უცნაურად მოეჩვენა. ირგვლივ ქვები და ლოდები ეყარა. ქვას კი, ნათქვამია, ცრემლს ვერ გამოადენო.

და მაინც ვიღაც ტიროდა. გულამოსკვნილი მწარედ ქვითინებდა.

წამით შიშმა შეიპყრო. რა უნდა იყოს? მაშინვე გამოერკვა და მისაშველებლად გაექანა.

ლამპაშეპარული ფოთლებით მოფენილ პატარა მინდორზე, ხელებში თავჩარგული იწვა საშა საფონოგი. ვიწროვ მხრები უთრთოდა. ცოტა მოშორებით მისი ავტომატი იდო.

სერგეი ჩაცუცქდა და თავისი მოუხეშავი ხელის ზურგი მეგობარს გაუბედავად გადაუსვა გაკრეჭილ, ჯერ კიდევ ბავშვურ კეფაზე.

— რა იყო, საშა, გაწყენინა ვინმემ? სთქვი, გაწყენინა ვინმემ?

— თავი დამანებე, — სთქვა საშამ და თავი ისე გაიქნია, თითქოს აბეზარ ბუზს იშორებსო.

სერგეიმ რატომღაც ხელისგულზე დაიხედა.

— ეხ, ჩემო საშა, ნერვები ნამეტანი ინტელიგენტური გაქვს.

— გაჩუმდი, — სლოკინით თხოვა საფონოვმა, — თუ ღმერთი გწამს, გაჩუმდი.

— კარგი, გავჩუმდები, — მშვიდად დაეთანხმა სერგეი. ცოტა მოშორებით ჩამოჯდა და ხელები მუხლებზე შემოიხვია. ახლა მას მთელი საუკუნე შეეძლო ხმის ამოუღებლად მჯდარიყო. სერგეი საერთოდ მომთმენი და აუჩქარებელი კაცი იყო. ხოლო, როცა საქმე ადამიანს ეხება, აჩქარება არ გამოგადგება.

ახლა იმაზე დაიწყო მკითხაობა, საშას რა უნდა შემთხვეოდა. ვერაფერს მიხვდა. არა უშავს რა, დრო გავა და საშა თვითონ მოუყვება ყველაფერს.

იცოდა: ადამიანებს სხვადასხვანაირი სისუსტე ახასიათებთ. კაცს ბევრი რამ შეიძლება აპატიო. მაგრამ ცრემლი...

„ცრემლი რა კაცის საქმეა. ანდა სატირალი რა გაქვს, შე კაი კაცო, გაგანებივრეს და გაგაზულოქეს შენდა საუ-

ბედუროდ. ერთი ჩემს ტაფაში მოხრაკულიყავი, მაშინ კი იცოცხლე, — იტირებდი. მე... შენ გგონია, მეც შენნაირი გული არა მაქვს? მაგრამ როდის ვიტირე უკანასკნელად? დედას რომ მარხავდნენ, მაშინ. ისიც ფარულად, ჩემს თვალზე რომ ცრემლი არავის დაენახა!"

5

სერგეის თვალწინ დაუდგა წვიმიანი დღეები. ეს იყო ათას ცხრაას ორმოცდასამ წელს.

საღამო ხანი იყო, დედის წასაყვანად პოლიციელი ფეოდორ ოგრიზკოვი რომ მოვიდა. დედა ახალგაზრდა იყო, ლამაზი და ამაყი. პოლიციელისათვის ზედაც არ შეუხედია, ისე აკოცა ხუთი წლის სერიოჟას და ყურში წასჩურჩულა: — ნურაფრის შეგეშინდება, შვილიკო, მე მალე მოვალ.

შუაღამემდე სერიოჟა დედას მოთმინებით და მშვიდად ელოდა. იცოდა, დედას ამ ქვეყანაზე არაფრისა ეშინოდა და ამიტომაც არწმუნებდა თავის თავს, — მეც უშიშარი ვარო. მაგრამ უბედურების მომასწავებელი წინათგრძნობისაგან პატარა გული ნაღვლიანად ეკუშმშბოდა.

უბედურებასაც აღარ დაუხანებია.

შუაღამისას კარმა დაიხრჭიალა. სერიოჟამ სიხარულით წამოიძახა, — „დედა!" დედა არსად ჩანდა, ოთახში მეზობელი მოხუცი ქალი შემოვიდა. ბიჭს ხელი ჩაავლო, ეზო და ბოსტანი სირბილით გადაატარა. მოხუცი ქალი ბორძიკით მირბოდა, რამდენჯერმე კანაღამ დაეცა. სერიოჟა ცდილობდა ხელიდან გასხლტომოდა.

— გამიშვი, ანტონოვნა, გამიშვი. დედასთან მინდა, დედასთან!

— ჩუმად, პატარავ. ჩუმად, ღვთის გულისათვის გიგონებენ. ფედკა პოლიციელი თქვენი ქოხისკენ მოდის, გადაწვას უპირებს.

ღილით დედამისი კოლმეურნეობის მიტოვებულ ფარდულში იპოვეს: დირეზე ეკიდა, ბნელი აბლაბუდებით გამოსულ კუთხეში. ამბობდნენ, რაღაც წერილი დატოვაო. მაგრამ იმ წერილში რა ეწერა, სერიოჟასათვის არ უთქვამთ. წერილი შემდეგ სადღაც დაიკარგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ბრაჟნიკო

ბებია ანტონოვნას ბევრი რამ უნახავს, ბევრ უბედურებას მოსწრებია, მაგრამ ის ვეღარ იგრძნო, რა ცეცხლი დუღდა ამ პატარა, უმწეო გულში. ბებია იმასაც ვერ მიხვდა, რომ ამიერიდან სერიოჟას თვალში ცრემლს ვერავინ დაინახავდა. რა უბედურებაც არ უნდა შემთხვეოდა, ყველაფერს მოითმენდა. ტირილით კი მაინც არ იტირებდა, არც ბავშვურად და არც მამაკაცურად.

— რა გაცოცხლებს ასეთი გულით?— ამოიოხრა ბებიამ და სერიოჟა შინ წაიყვანა, — ღმერთმა ქნას, მამაშენი მაინც დაბრუნდეს ცოცხალი. იქნებ მაშინ მაინც გაგითბეს გული.

მაგრამ ვეღარც მამა დაბრუნდა.

ერთი წლის შემდეგ ნაწილიდან სამგლოვიარო ფურცელი მოვიდა, რიგითი ჯარისკაცი პეტრე ბრაჟნიკოვი გმირულად დაეცა.

რამდენიმე თვის შემდეგ ბებია ანტონოვნა და სერიოჟა სოფლსაბჭოში მიიწვიეს. რაიკომისარიატიდან ჩამოსულმა მაღალმა, სათვალიანმა შეჭაღარავებულმა პოდპოლკოვნიკმა სერიოჟას მომცრო წითელი კოლოფი გაუწოდა.

— ეს მამაშენის ჯილდოა, სიკვდილის შემდეგ მინიჭებული, — სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენი. შეინახე და გაუფრთხილდი, — უთხრა პოდპოლკოვნიკმა.

— გმადლობთ, — ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა სერიოჟამ; უცებ კინოში ნანახი გაახსენდა: სამხედროები ჯილდოს მიღებისას აკეთებენ. სერიოჟამ პოდპოლკოვნიკს გაბედულად შეხედა და დაუმატა: — ვემსახურები საბჭოთა კავშირს!

სამხედრო კომისარმა სათვალე მოიხსნა, ალბათ უნდოდა სერიოჟა უკეთ შეეთვალიერებინა. ტუჩებზე გრძნობამორეულმა ღიმილმა გადაურბინა. უეცრად მოუნდა ბავშვს მოფერებოდა, თავზე ხელი გადაესვა, მაგრამ იმავე წუთში გადაიფიქრა, მის წინ პატარა, სერიოზული ადამიანი იდგა. მეტისმეტად სერიოზული და მკაცრი.

— ყოჩაღ, მხედრულად პასუხობ, ამხანაგო ბრაჟნიკოვ, — უთხრა პოლკოვნიკმა, — ემსახურე საბჭოთა კავშირს ისე, როგორც მამაშენი ემსახურებოდა!

თავი მეოთხე

1

საშა საფონოვმა ერთი კიდევ ამოისლუკუნა, თავი წამოსწია და სერგეის გახედა. მერე მზერა მოარიდა, წამოჯდა და დასიებული თვალები სახელოთი ამოიწმინდა.

— გგონია, რამე გაკეთე? ტალახი გაილესე სახეზე და მეტი არაფერი, — შენიშნა სერგეიმ. საფონოვმა წაუყოლა, მაგრამ ბრაჟნიკოვმა იგრძნო, რომ საუბრის დრო დადგა.

— აიღე ავტომატი! ერთი ამ მეომარს დამიხედეთ.

საფონოვმა ავტომატი უსიტყვოდ აიღო და მუხლებზე დაიდო.

— ასე ვიჯდეთ თუ ვილაპარაკოთ? — ჰკითხა სერგეიმ.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა საფონოვმა, — თქვი რამე, სერიოჟა: ვეზიზღები რომ მიყურებ, ხომ?

— არც მაინცადამაინც მსიამოვნებს შენი ცქერა.

— მესმის, — დაეთანხმა საშა, — მე თვითონ მეზიზღება ჩემი თავი, სჯობია... სჯობია წახვიდე, რაღას უცდი?

— აურიე? ჩვენში, ჩემო ძმაო, როცა ამხანაგს უშირს, მარტო როდი ტოვებენ.

საფონოვს ბაგე გაუბედავმა ღიმილმა შეურხია.

— არ ვიცი, როგორ მოგიყვე, ღმერთმანი, არ ვიცი. ძალიან მიჭირს.

— ძველი ზღაპრებია, — მოიღუშა სერგეი, — აქაო და დახვეწილი ხალხი ვართ, სხვა ცომისაგან ვართ მოზელი-

ლიო! ჩვენ რა, ერთუჯრედიანი უმარტივესი არსებანი ვართ, არა?..

— გეყოფა, — შეეხვეწა საფონვი, — ხუმრობისთვის არ მცხელა. თუ გინდა, ყური დამიგდე. ალბათ გაგიგონია: კერპად ნურავის გაიხდიო, მე ეს არ გავითვალისწინე და მწარედაც ვიწვნიე.

საშა აჩქარებულად ლაპარაკობდა, დაულაგებლად, დროდადრო უთავბოლოდაც, მაგრამ სერგეი არ აწყვეტინებდა, არაფერს ეკითხებოდა. მისთვის ყველაფერი ნათელი იყო, ყველაფერს მიხვდა.

„აი, თურმე რა მოგსვლია, ძვირფასო საფონოგ!“

2

...იმ ღამეს საფონოგმა პირველად იგრძნო საკუთარი ძალა და სიმარჯვე. აი, რაზე ოცნებობდა, აი, როგორი უნდოდა ყოფილიყო. ეს გრძნობა მაშინვე კი არ დაუფლებია, პირიქით. ხანდახან ეჩვენებოდა, მეტი აღარ შემიძლია, ან ახლა დავენარცხები სასიკვდილოდ სიპ კლდეზე და ან ახლაო. ჯანდაბას, ასე იყოს! ვაი, რა ძალუმად უცემდა გული, თითქოს მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. ყელიც გაუშრა. პირდაღებული რა ხარბად ყლაპავდა მაღალი მთის მსუბუქ ჰაერს!..

ჰაერი, ჩვეულებრივი ჰაერი აღარ ყოფნიდა. ძალა გამოელია, არაქათი აღარ ჰქონდა. კიდევ ერთი ნაბიჯი, ერთი უკანასკნელი ამოსუნთქვა და აღსასრულიც დადგება. მაგრამ ეს უკვე აღარ აშინებდა. დადგება და დადგეს.

დაწყვეტილად აზროვნებდა. ფიქრიც საშინლად უჭირდა.

არც არაფერზე უნდოდა ეფიქრა. მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდა: დასვენება, დასვენება, თუნდაც სამუდამოდ.

ამასობაში ამხანაგების მხარდამხარ მიაბიჯებდა, უკან არ რჩებოდა. როცა სერჟანტი ფორინენკო ბრძანებას გასცემდა „სირბილით იარ!“ — საშა სულმოუთქმელად გარბოდა. როცა გაიგონებდა „ცეცხლი!“ — საშა ისროდა. თან ეჩვენებოდა, რომ ყველაფერ ამას ვიღაც სხვა აკეთებდა: ჯიუტი, ძლიერი, ამტანი კაცი. საშას იმის თავიც კი აღარ ჰქონდა, რომ ამ ვიღაცასი შეშურებოდა. და უცებ უბრალო აზრმა გონება გაუნათა: „ეს ხომ მე ვარ! ვიღაც სხვა კი არა, მე, ალექსანდრე საფონოგი! თურმე შემძლებია, სხვაზე ნაკლები არა ვყოფილვარ. სიძნელეების დაძლევის სურვილიც მაქვს და ძალაც შემწევს“.

ეს მეორედ დაბადებას ჰგავდა. თითქოს ქვეყნად ახალი ადამიანი გაჩნდა, რომლისთვისაც უცხოა სიმშვიდე. რა დროს სიმშვიდეა, იგი მთელი ძალით მიისწრაფვის ახალი, ჯერ აუღებელი სიმაღლეებისაკენ. აუცილებლად აიღებს. მე ასე მსურს და ძალაც შემწევს.

მწვერვალს რაც უფრო უახლოვდებოდა, მით უფრო ემატებოდა სიამაყე, კაცური, მხედრული სიამაყე.

და აი, სიმაღლე აღებულია. მარტო ის სიმაღლე კი არა, სამხედრო რუკაზე ციფრით 2115-ით რომ არის აღნიშნული, — საშამ ის სიმაღლეც დაიპყრო, მეტრებით და კილომეტრებით რომ არ იზომება, ვერც ერთ რუკაზე რომ ვერ იპოვნი. ეს სიმაღლე თვით საშა საფონოგშია, მის ცხოვრებაში პირველად დაპყრობილი სიმაღლე.

დილით კი, მთის მწვერვალიდან მზის სხივებით განათებული უკიდეგანო სივრცე რომ გადაეშალა, საშას ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მთელი ეს სივრცე მხოლოდ მას ეკუთვნოდა. უფრო მეტიც, ეკუთვნის კი არა, მან თვითონ აღმოაჩინა, თვითონ შექმნა ეს ყველაფერი.

განა ასე არ არის? განა დაძლევა შექმნას არ ნიშნავს? განა პირველი ხილვა აღმოჩენას არ უდრის?

საშა რომ მუსიკოსი ყოფილიყო, ჰიმს ან სიმფონიას შექმნიდა, მხატვარი რომ ყოფილიყო, ალბათ დიდებულ სურათებს დაწერდა.

აი, ქვევით ღრუბლები გაცურდნენ. ადამიანი, ვის ფერხთითაც ღრუბლები ბალახობენ, არ შეიძლება სუსტი და უნებისყოფო იყოს.

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

ღრუბლების ფარა... არა, ფარა კი არა, ლაღი, ფაფარაშლილი ცხენების ჯოგი. აი, ქარის გასასწრებად ფრთოსანმა ციურმა რაშმა ჩაიქროლა. რა ხშირი ფაფარი აქვს, რა ლამაზი, ამაყი თავი მოუღერებია. რაშის ვერცხლისფერ ზურგზე შვიდფერად ელვარებს პაწაწინა ცისარტყელა.

მზის კაშკაშა სხივები.

თითქოს ბურანშია, ისე ჩურჩულებდა საშა საფონოვი ახლადდაბადებულ სტრიქონებს, ისინიც ერთმანეთში ცისარტყელას ფერებივით გადადიოდნენ. ისინიც მზით იყვნენ დადაღულნი.

პირველი ლექსი.

ეს მოულოდნელი სასწაული იყო. მისი დამალვა და შენთვის დატოვება შეუძლებელია. დაუყოვნებლივ უნდა გასაჩუქრო, მაგრამ ვის აჩუქოს? სერგეის? ამხანაგებს? ისინი მის გვერდით არიან... და მაშინ დაინახა საშა საფონოვმა ლეიტენანტი გრომოვი.

ლეიტენანტი საშას ძლევისა და სიმაღლის ხორცშესხმად წარმოუდგა, იმ მაღალი სულის განსახიერებად, მისი პირველი სიმღერა რომ სუნთქავდა. კიდევ ვისთვის შეიძლებოდა ეძღვნა ლექსი? მხოლოდ მისთვის, მხოლოდ მას ეკუთვნის ეს ამღერებული სტრიქონები.

და უცებ ზარდამცემი, გამაყრუებელი სიტყვები: „ნეშას არ გაძლევ! ზურგისაკენ!“

ყველაფერი დაინგრა, საშასთვის არასოდეს არავის არ უყვირია. დაინგრა ყველაფერი. მას ჯერ არასოდეს უგემნია შეურაცხყოფის სიმწარე. ლეიტენანტმა კი რა უთხრა? „ბოსტნის საფრთხობელაო“. ყველაფერი დაინგრა. დარჩა მხოლოდ ნამსხვრევები, მხოლოდ ნამსხვრევები.

და საშა საფონოვი, გათელილი და განადგურებული მოჰყვა ამ ნამსხვრევების ქვეშ.

3

— გესმის, სერიოჟა, რა საშინელი ამბავი გადამხდა? სიცოცხლეც აღარ მინდა.

— სისულელეა! — სერგეი წამოდგა, — სისულელეა, — გაიმეორა მან, დიდ ამბავში ეი ხარ, ხომ იცი. ... მიწის მეუფეობა მოინდომე. ნამდვილი ადამიანები ცოტა სხვაგვარად ფიქრობენ.

— ეს ნამდვილი ადამიანები სადღა არიან? — ჩაიცინა საფონოვმა, — რაღაც ვერა ვხედავ. იქნებ შენი ლეიტენანტია ნამდვილი ადამიანის ნიმუში?

— გრომოვს მოეშვი, ჯერ კარგად არც კი ვიცნობთ. გაივლის დრო და დავინახავთ, რა შვილიცაა. შეიძლება შენნაირია, შეიძლება სხვანაირი.

— მე როგორი ვარ?

— შენ? მართალი თუ გინდა, საკუთარ თავზე ხარ შეყვარებული.

— მე?!

— ჰო, შენ!

ახლა ისინი მკერდი-მკერდს მიბჯენილები იდგნენ. ერთმანეთს გაბოროტებული მისჩერებოდნენ.

— შეურაცხყოფის მიყენებაში კაცი ვერ გაჯობებთ, — საშას ხმა გაებზარა, — ისიც ყვირის, შენც. მნახე რა თაკეკრძა! მე ვარ საკუთარ თავზე შეყვარებული, არა? შენი მშვენიერი ლეიტენანტი რაღაა... მიტინგზე ვინ ყვიროდა: ამხანაგებო, თუ საჭირო იქნება, მზადა ვარ თავი გავწიროო. ისაა მზად და მე არა? თქვენ გგონიათ, მე არ გავწირავ თავს? თუნდაც ახლავე, ამ წუთში... თუ საჭიროა... აი ასე, თვალს არ დავახამხამებ, ისე მოკვდები.

— ცარიელი სიტყვებია, — ზიზღით შეიჭმეხნა სერგეი, — ძალიან მაღალფარდოვნად ყღერს, — „მზადა ვარ თავი გავწირო“. მე კი როდი მჯერა შენი სიტყვებისა. სამხედრო სამსახური როგორ უნდა, ჯერ ის ისწავლე, დიახ, ჩვეულებრივი, უბრალო, ყოველდღიური სამსახური. თორემ სიტყვების რახარუხი ადვილია. ენას ძვალი არა აქვს და გიყვართ ლამაზი ლაპარაკი.

იყო ხალხი, რომლებსაც ასეთი სიტყვები თავის დღეში არ წამოსცდენიათ. როცა საჭირო გახდა, სიკვდილს ვაჟკაცურად შეეგებნენ. გაგიგონია ასეთები?

— გამიგონია, — საშამ ღრმად ამოიხვნეშა და თვალი დახარა, — რაც მართალია, მართალია. ძალიან ბევრს მივედ-მოვედებით. კაცი რაღაცას რომ იტყვი, რამდენიმე მაღალფარდოვანი სიტყვა მაინც გამოერევა. შენ კი ყოველთვის მართალი ხარ, სერიოჟა. ზედმეტად მართალიც კი. ხანდახან ადამიანს კი არა, გეომეტრიულ ფიგურას ჰგავხარ. აი, მაგალითად, სწორკუთხა სამკუთხედს. არ გეწყინოს, სერიოჟა, შენ ყველაფერს ამ სწორკუთხა სამკუთხედით ზომავ... თუ არ მიუდგა, იწყებ აგიტაციას. იწყებ და აღარ გაათავებ...

— მე ბერწვე აგიტაციას? ვინაა ეს ბოთე, ძალიან არ მჭირდები?...

— გამოდის, რომ გჭირდები, — მშვიდად შეეპასუხა საშა. მთელი ამ საუბრის განმავლობაში მის თვალებში პირველად გაიელვა ეშმაკურმა ნაპერწკალმა. სერგეის კი არ შეუმჩნევია.

— ფეხებზეც არ მკიდიხარ? შენთვის თითსაც არ დავანძრევ. დავიწყებ ლოლიავს! ეგდა მაკლია, აგიტაცია გაგიწიო. ვიცი, ახლა იტყვი, გულისხმიერი არა ხარო. გული არავიზე შემტკივა. შენ როგორი ხარ, მგრძნობიარე ვაჟბატონო, განა შენ კი ხარ გულისხმიერი? შენი გული კი გადამიშალე, მაგრამ აბა, ერთხელ ჩემს გულშიც თუ ჩაგიხედავს. მოგცლია? ასეთ კაცისაგან რას უნდა მოელოდე. ერთი ამას უყურეთ?! უჭირს, იტანჯება. შენ გგონია მე მილხინს? იქნებ გგონია, დედის ბუცლიდან დამყავ ჯარისკაცის ფარაჯა. ცდები, ჩემო მეგობარო. იცი რა ვიყავი აქამდე? მეშახტეთა ბრიგადირი, დამოუკიდებელი ადამიანი. პატივისცემა მე არ მაკლდა და დაფასება. კრება იქნებოდა, — პრეზიდიუმში მიწვევდნენ, დღესასწაული იქნებოდა და გაზეთებში გამომჭიმავდნენ. უფროსები ბამის სახელით მომმართავდნენ. მაღაროს საქმეებზე ჩემთან ბჭობდნენ. საოლქო კომიტეტშიც მიწვევდნენ, საქმეზე მესაუბრებოდნენ. აქ კი სერჟანტმა პირველ დღესვე ტყავი გამაძარო, ჯიბიდან ხელები ამიიღო. ხმა არ ამომიღია, ისე დავემორჩილე. მეც ვიცოდი, ცუდი ჩვეულება მქონდა, მაგრამ სხვისი მითითება მაინც გეწყინება. კაცს. მომდგა ის სერჟანტი და ამოიკითხა ფურცელი. ეს ... თქვენ საშუალება არ მომცა: „აბა, ასე არ იარო“, „ასე არ დადგე“, „ასასუხის გაცემა ასე არ უნდა“ და ვინ იცის, კიდევ რა ჯანდაბა და დოზანა. ჩემი არაფერი თვალში არ მოსდიოდა. თორმე სუნთქვაც კი არ შემძლებია წესიერად. ერთხელ გიმნასტურაზე ვიღაცა ამძვრა. არ შემიმჩნევია. სერჟანტს კი აბა რა გამოეპარებოდა!

— ჯარისკაცო ბრაჟნიკოვ, რა უყავით მესამე ღილი? — არ ვიცი-მეთქი, — ვუპასუხე მე. — ამხანაგო სერჟანტო, აქ მოსვლამდე ტანსაცმელს ცნობილ მკერავებს ვაკერინებდი, ვვარიანადაც ვუხდიდი და ღილებსაც მაგრად აკერებდნენ. ეს გიმნასტურა ალბათ ვიღაც ყალთაბანდის შეკერილია-მეთქი.

სერჟანტს კინადამ თვალები გადმოსცვივდა.

— ლაპარაკი! ჯარისკაცო ბრაჟნიკოვ, გაძლეცთ ათ წუთს ღილის მისაკერებლად და ჩვენი არმიის ძლიერებაზე დასაფიქრებლად!

ღილის მიკერებას რა უნდოდა, ორ წუთში მივაკერე. მეორე საკითხზე კი ვერაფერი მოვიფიქრე. რა შუაშია აქ ღილი? ზარბაზნები, იცოცხლე, ბევრნაირი გვაქვს. ტანკებს ისეთი ჯავშანი აქვს, ტყვია ვერაფერს დააკლებს. თვითმფრინავები ბგერაზე სწრაფად დაჰქრიან. ბომბები წყალბადისაც ბევრი გვაქვს, ატომისას ხომ ნუღარ იკითხავთ. მოკლედ, მსოფლიოში საუკეთესო იარაღი გვაქვს. ახლა რაკეტებს არ იკითხავთ? აბა, ჩემი საცოდავი ღილი რა შუაშია? ეს რა დავალება მომეცა ამხანაგმა სერჟანტმა. ხომ არ დამცინის და მაბრიყვებს-მეთქი! — სერგეის თვითონ არ შეუმჩნევია, ამ ჯარისკაცული „ხათაბალების“ მოყოლაში გული როგორ მოულბა. ის კი არა, ხმაში მსუბუქი ირონია და იუმორიც კი შეეპარა. და მართლაც, სამხედრო ცხოვრების პირველ

ემანუილ ფეიგინი

ჯარისკაცი, შვილი ჯარისკაცისა

დღეებში მომხდარი ფათერაკები ახლა სასაცილოდ ეჩვენებოდა. გაიღიმა კიდეც, სერჟანტ ფორინნკოს შარიანობა რომ მოაგონდა. თვითონ გაიღიმა, მაგრამ საშა საფონოვის ბაგეზე კი ღიმილი არ შეუმჩნევია, თუმცა საშას არც უფიქრია ღიმილის დამალვა. ან რა ჰქონდა დასამალი. სერგეისთან ცუდიც კი არ დაუმალავს. კარგის დამალვას რა აზრი ჰქონდა?!

გულზე მოეშვა და საოცრად დამშვიდდა. უცნაური არსება კია ადამიანი, — წუთის წინ ყველაფერი შავად ეჩვენებოდა, მაგრამ რაღაც შეტრიალდა, ეშმაკმა იცის რა, და ყველაფერი ნათელი და მშვენიერი გახდა.

საშა საფონოვი ჯერ ახალგაზრდაა და არ იცის, როგორ და რატომ ხდება ეს. ალბათ არც კი დაფიქრებულა ამაზე, საშაზე უფროსებიც ყოველთვის ვერ ერკვევიან ასეთ დახლართულ ამბებში. შეიძლება ეს არც ისე რთულია, როგორც გვეჩვენება. უბრალოდ რომ ვთქვათ, ადამიანში დაუძლეველია სიცოცხლის დაუშრეტელი ძალა. ესაა მთელი ამ ამბის საიდუმლოება.

თარგმნა დალი კოკაიამ

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას მანი

მოთხრობა

ბატარა, ძველ მაგიდასთან დღესაც კარგა ხანს ებრძოდა ხელნაწერს, მერე ფეხზე წამოდგა და თავჩაქინდრული გაემართა ოთახის კუთხეში სვეტივით აღმართული ღუმელისაკენ.. შორენკეცს ხელი მიადო, მაგრამ შუაღამე კარგა ხნის გადასული იყო და ღუმელი გაცივებული დახვდა. ეგონა, სითბო მცირეოდენ შვებას მაინც მოუტანდა, მაგრამ ეს იმედიც გაუცრუვდა. ღუმელს ზურგით მიეყრდნო და სული რომ მოეთქვა, ღრმად ჩაისუნთქა, — როგორც ყოველთვის, ახლაც სურდო სჭირდა.

რაღაც უცნაური, სულისშემხუთველი სურდო შეეყარა და ვერასგზით ვეღარ დააღწია თავი ამ სენს. ქუთუთოები შეუშუბდა, ნესტოები დაუსივდა, დაუსკდა; ავადმყოფობა მძიმე, მტკივნეული ბანგივით გაუჯდა სხეულში. ექიმის დაჟინებით რამდენიმე კვირა ისეგ ოთახში რომ გამოიკეტა, იქნებ ამიტომაა ასე მოწყვეტილი. ეს ტყვეობა ალბათ ქრონიკული კატარის სამკურნალოდ და მკერდისა და მუცლის არეში მწვავე ტკივილების დასაყუჩებლად არის საჭირო. თანაც რამდენიმე კვირაა, იეწში ცუდი ამინდი დაიჭირა, უღიმღამო, პირქუში და ცივი, ისეთი, სხეულის ყოველ ნერვს რომ აღიზიანებს. დეკემბრის მიუსაფარი და ეული ქარი ბუხრის საკვამურში გაბმით მოთქვამდა ღამის წყვდიადით მოცულ, უდაბურ მინდვრებში უგზოუკვლოდ ქროლვასა და სულის უკურნებელ კაეშანზე. ასეა თუ ისე, ეს უნებური პატიმრობა არც აზრებსა რგებდა რამეს და არც სისხლის იმ რიტმს, საიდანაც აზრები წარმოიშვება.

დარიბულ, მოხერხებულ და უბრალო ექვსკუთხა ოთახს კუბოკრული, ოვალური სილუეტებით მოხატული კედლები და

[1] ნოველა დაწერილია დიდ გერმანელ პოეტსა და დრამატურგზე ფრიდრიხ შილერზე (1759—1805).

შეთეთრებული ჭერი ჰქონდა. ოთახში ხუთიოდე სკამი და თამბაქოს კვამლი იდგა. საწერ მაგიდაზე, ხელნაწერის თავთან ორი სანთელი ენთო. ფანჯრებზე სიმეტრიულად აკეცილი, იაფფასიანი ჩითის მოკლე ფარდები ეკიდა. ჩითის ნაჭრები თბილი, ღია წითელი ფერისა იყო; მას უყვარდა ეს ფარდები და ვერ ელეოდა, რადგან ისინი ამ ძალზე სადად და ღარიბულად გაწყობილ ოთახში კეთილდღეობის ილუზიას ქმნიდნენ.

იგი ღუმელთან იდგა, თვალებს ახამხამებდა და დაძაბული, ტანჯული სახით მისჩერებოდა ხელნაწერს, რომელსაც ეს-ეს არის გამოექცა! უყურებდა ამ ტვირთს, ამ სიმძიმეს, ამ სინდისის ქენჯნას, ამ ზღვას, წვეთ-წვეთად რომ უნდა შეესვა, ამ საშინელ განზრახვას, რითაც თავს იწონებდა, იტანჯებოდა და რაც სამოთხედ და ჯოჯოხეთად გადაქცეოდა. საქმე ჯერ თითქმის კარგად მიდიოდა, მერე შეფერხდა, გაჭიანურდა, ახლა კი შეჩერდა. ყველაფერი ავდრის, კატარინა და დაღლილობის ბრალია. იქნებ თვით ნაწარმოებია მანკიერი, ან მასზე დახარჯული შრომა? იმთავითვე ბედუკუღმართი, დასაღუპად განწირული საქმე ხომ არ წამიწყო?

მაგიდა იმიტომ მიატოვა, რომ უნდოდა ხელნაწერს ცოტაზე მაინც გასცლოდა. იცოდა, მასთან სიგრცობრივი დაშორება დაეხმარებოდა, ნაწარმოები მთლიანობაში დაენახა, განეკუთრიტა და სიუჟეტის განვითარების ახალი გზები მოეძებნა. განა იშვიათად მომხდარა, რომ ადამიანი სწორედ მაშინ შეუპარია ბრძოლის ჭინს, როცა ბრძოლის ველს გასცლია და წუთით სული მოუთქვამს? განა ასეთნაირად თავის გაღიზიანება ლიქიორით ან მაგარი ყავით აღგზნებაზე უფრო არ მიეტევება კაცს?

მაგიდაზე პატარა ფინჯანი დგას. ის ხომ არ მოიშველიოს გაჭირვებისას? არა, არა, რაცა სვა, ისიც მეტია! მარტო ექიმს რომ დაეშალა, კიდევ არაფერი. იმ ადამიანმაც,[1] ვიამარში რომ ცხოვრობს და მას მძაფრად, მტერ-მოყვარეს სიყვარულით უყვარს, დაბეზღებული ურჩია, ასეთ რამეებს დაეხსენინ. ბრძენია, სწორედ მასზე ითქმის. კარგად იცის, როგორ უნდა ცხოვრება, წერა; დღეებს ტყუილუბრალოდ არ იმწარებს და თავს ყოველთვის დიდი სიფრთხილით ეკიდება.

სახლი სიჩუმეს მოეცვა. მხოლოდ შორიდან აღწევდა ციხის შესახვევში სტვენით შემოჭრილი ქარის ზუზუნი და ისმოდა, როგორ შხაპუნობდნენ ფანჯრის მინებზე წვიმის წვეთები. ყველას ეძინა, — ეძინათ სახლის პატრონს და მისიანებს, ლოტასა და ბავშვებს. ის ფრთხილობდა, იდგა მარტოდმარტო ცივ ღუმელთან და ტანჯული სახით უყურებდა ხელნაწერს, რომლისაც აღარაფერი სწამდა, რადგან დაუკმაყოფილებლობის ავადმყოფურმა გრძნობამ სძლია. მისი თეორია, შეხვეული კისერი ძალზე გრძელი გეჩენებოდათ. ხალათის გადასხსნილ კალთებს შორის მოღრეცილი ფეხები მოუჩანდა. მაღალი, ნატიფი შუბლიდან, ფერმკრთალი ძარღვებით დასერილი საფეთქლებიდან ქერა თმა უკან ჰქონდა გადავარცხნილი. თმაზე ოდნავ მუქი წარბები დიდ კეხიან ცხვირთან თითქმის ერთდებოდა, რაც მის ღრმად ჩამჯდარ, აღგზნებულ თვალებს რაღაც ტრაგიკულ გამომეტყველებას ანიჭებდა. რაკი ცხვირით სუნთქვა უჭირდა, დროდადრო თხელ ტუჩებსა ხსნდა. ამ დროს გამოკეტილნი ყოფნისაგან ჩაყვითლებული, ჭორფლიანი ლოყები უფრო მოდუნებული გეჩენებოდათ.

არა, ნამდვილად ხელი მოეცარა და ამაოდ ცოდვილობს! ლაშქარი! ლაშქარი უნდა გამოეყვანა ნაწარმოებში! იმ დროს ყველაფერი ლაშქარზე იყო დაფუძნებული! თუ ჯარი მართლაც ვერ დახატა, ლაპარაკიც აღარ შეიძლება იმ უჩვეულო ხელოვნებაზე, რამაც მაყურებელი უნდა დაარწმუნოს. გმირიც ხომ არაფრით არ ჭგავს გმირს, კეთილშობილება და სიცოცხლე აკლია! ჩანაფიქრი მცდარი გამოდგა. ენაც ყალბი იყო და ნაწარმოები შთაგონებას მოკ-

[1] ავტორს გერმანიის უდიდესი მწერალი ვოლფგანგ გოეთე ჰყავს მხედველობაში.

ლებული, მშრალი თხრობა გამოვიდა ისტორიისა — გაჭიანურებული, მსჯელობით გადატვირთული და სცენისათვის უვარგისი!

კეთილი, მაშ ყველაფერი დამთავრდა, მარცხი განიცადა. სამარცხვინოდ მოეცარა ხელი. ფუჭი წამოწყება ყოფილა ეს ნაწარმოები. კერნერს[1] ხომ არ მიწეროს ეს ამბავი, კეთილ კერნერს, რომელსაც სჯერა მისი, ბავშვის უსაზღვრო ნდობით სწამს მისი გენია. ის ჯერ სიცილს დაიყრის, მერე შეეგდრება, დატუქსავს სულმოკლეობისათვის. კერნერი ხომ ნამდვილი მეგობარია, ეჭვით, წვალებით და ძიებით შობილ კარლოსს[2] გაახსენებს, ისიც ხომ ესოდენი ტანჯვისა და ჯაფის მიუხედავად ბოლოს და ბოლოს ჩინებული, სასიქადულო ნაწარმოები გამოვიდა. მაშინ სულ სხვა დრო იყო! მაშინ ჯერ კიდევ შესწევდა უნარი, საქმეს ბედნიერი ხელით მოკიდებოდა და გამარჯვებით დაეგვირგვინებინა. განა მაშინ არ იყო მერყეობა და ბრძოლა? როგორ არა! განა იმ ხანად უფრო მძიმედ არ ავადმყოფობდა, გაჭირვებული, ეული, ქვეყნისაგან განდგომილი, ღატაკი და მიუსაფარი არ იყო?! სამაგიეროდ ახალგაზრდა გახლდათ, მთლად ჭაბუკი! ცხოვრებას როგორადაც არ უნდა დაეთრგუნა მისი სხეული, სული მსწრაფლ აღსდგებოდა ხოლმე და სევდისა და უიმედობის მტანჯველ საათებს რწმენისა და შინაგანი ტრიუმფის საათები მოსდევდა. საღღაც გაქრა ასეთი საათები, ძალზე იშვიათად ეწვევა ხოლმე. შემომქმედმა მთელი კვერა უნდა გაატაროს აზრთა ბურუსში, ერთი ადგილი ტკეპნოს და მხოლოდ ამის ფასად უნდა მოიპოვოს ერთი ისეთი ღამე, როდესაც უცებ იგრძნობს და მიხვდება, თუ რის გაკეთებას შეძლებდა, ასეთი ღამეები უხვად რომ ჰქონოდა მომაღლებული. საოცრად მოიქანცა, სულ რაღაც ოცდაჩვიდმეტი წლისაა და უკვე ძალა გამოელია. რწმენა დაჰკარგა, რწმენა, მომავლისათვის ბრძოლა[illegible] უმძიმეს დღეებში იმედის ვარსკვლავივით რომ უნათებდა. ჭეშმარიტად სავსე და ნაყოფიერი თურმე სწორედ ის წლები ყოფილა, ტანჯვისა და გამოცდის წლებად რომ მიაჩნდა მას. ახლა კი, როცა რამდენადმე ეწია ბედნიერებას, როცა საზოგადოების აღიარება და კანონიერი უფლებები მოიპოვა, პატივი და თანამდებობა აქვს, ცოლ-შვილი ჰყავს, სწორედ ახლა უმტყუნა ძალამ და დამარცხდა. ისიც დარჩენია, ყველაფერზე ხელი ჩაიქნიოს და სასოწარკვეთილებას მიეცეს.

ამოიკვნესა, თვალებზე ხელი აიფარა და გამწარებული მოჰყვა ოთახში სიარულს. უცებ საზარელმა ფიქრმა გაუელვა. ამ ფიქრმა ისე დაადგრთხო, რომ იმ ადგილზე, სადაც ის ფიქრი წარმოიშვა, ვეღარ გაჩერდა. კედელთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა, გადაქმდნილი ხელები მუხლებს შორის მოწყვეტით ჩაჰკიდა და დაღვრემილი დააცქერდა იატაკს .

სინდისი... რა მწარედ ქენჯნის სინდისი! ბევრს სცოდავდა. ყოველი განვლილი წელი მიუტევებელი ცოდვა იყო საკუთარი სხეულის, ამ ფაქიზი ინსტრუმენტის მიმართ. ჭაბუკურმა ენებათა ღელვამ, თეთრად გათენებულმა ღამეებმა, თამბაქოს ეკვლენთ სავსე ოთახში გატარებულმა დღეებმა, დღეებმა, როცა სული ზეიმობდა და სხეულზე აღარავინ ფიქრობდა. ათასგვარმა სასმელმა, მუშაობის დროს რომ სგამდა ხოლმე აღსაგზნებად — ყველაფერმა ახლა შეახსენა თავი, ახლა იძიებდა შურს!

თუ შურისძიებაზე მიდგა საქმე, ის არ შეეხება ღმერთებს, ჯერ დანაშაულს რომ ჩაადენინებენ ხოლმე ადამიანს და მერე სასჯელს მოუვლენენ. ისე იცხოვრა, როგორც უნდა ეცხოვრა. იმისთვის სად ეცალა, ბრძნულად მოეწყო ცხოვრება, ან წინდახედულობა გამოეჩინა.

[1] ჭრისტიან-გოთფრიდ კერნერი (1756 — 1831) გერმანელი მწერალი — შილერის მეგობარი და თაყვანისმცემელი.

[2] შილერის დრამა „დონ კარლოსი“ იგულისხმება (მთარგმნელის შენიშვნა.)

სუნთქვის, ხველებისა თუ მთქნარების დროს აი, იქ. ყოველთვის ერთსა და იმავე ადგილზე რაღაც ავის მომასწავებელ ტკივილს, ჯოჯოხეთურ ჩხვლეტას გრძნობს, თითქოს რაღაცა ღრღნის შიგნიდან. ამ ტკივილს მას აქეთ ვერ დაადწია თავი, რაც ამ ხუთი წლის წინათ ერფურტში კატარეთი ხურვება, ფილტვების ანთება გადაიტანა. მაინც რას მოასწავებს ეს ტკივილი? ექიმმა შეიძლება ძალიანაც მოიკატუნოს თავი და სინამდვილე დაუმალოს, მაგრამ უმისოდაც კარგად იცის, რითაც გათავდება ეს ტკივილი. სად ჰქონდა იმის დრო, სათუთად, კეთილგონივრულად მოჰკიდებოდა საკუთარ თავს. თუ რამის გაკეთებას აპირებს, დღესვე, ახლავე უნდა მოასწროს, უნდა აჩქარდეს. კეთილგონიერება? მაინც როგორ მოხდა, რომ სწორედ ცოდვა, სხეულის გამოფიტველი მავნე შრომა მიიჩნია ყოველგვარ სიბრძნეზე, ფხიზელი გონების კარნახით არსებობაზე უფრო ზნეობრივად? არა, ზნეობრიობის საზომი წვინდა სინდისის შენარჩუნება კი არა, ბრძოლა და ეაჭირვება, ვნება და ტკივილი?

ტკივილი! ამ სიტყვის გახსენებაზე ღრმად ამოიოხრა, წამოდგა, გულხელი დაიკრიფა. ქერა, შეერთებულ წარბებქვეშ გამომზირალ თვალებში მოახიბლავი შუქი ჩაუდგა. ადამიანს უბედური, მთლად წყალწაღებული მანამ არ ეთქმის, სანამ იმდენი ძალა კიდევ შერჩენია, რომ თავის გაჭირვებას ძლიერი და დახვეწილი სიტყვები მოუძებნოს. ძნელია იმდენი სულიერი სიმხნევე გამოიჩინო, რომ გაბედო და ამაღლებული, ლამაზი სიტყვებით ილაპარაკო საკუთარ სიცოცხლეზე: შენი ტანჯვა ჩახუთულ ჰაერს და კარგამოკეტილობას არ მიაწერო; იმდენი ჯანმრთელობა შეინარჩუნო, რამდენიც სულიერ პათოსს სჭირდება, რომ შენს ფიზიკურ არსებობაზე მაღლა დადგომა, სხვა სამყაროს გაუჭვრეტა და განკცდა მოახერხო. ყოველისმცოდნემ მხოლოდ აქ უნდა გამოიჩინო გულუბრყვილობა და იმდენი შეძლო, რომ ტკივილი ირწმუნო, და მასაც ისე ღრმად, შინაგანად სწამდა ის, რომ ამ რწმენის წყალობით სატკივარი არც ცუდს მოუტანდა და არც ამაოდ ჩაუვლიდა, როცა ხელნაწერი გახედა, მისი მკლავები უფრო მჭიდროდ შემოეჭდო გულმკერდს. რა არის ნიჭი? განა ის თავისთავად ტანჯვა არ არის? და ნუთუ კარგი ნიშანი არაა, ასე რომ სტანჯავს ის წყეული ხელნაწერი, იქ, მაგიდაზე რომ დევს? განა არის ამაში რამე უჩვეულო? სიტყვების მოზღვავება ასაბერთს უგრძნია და ოდესმე რომ ეგრძნო, სწორედ მაშინ შეეპარებოდა ეშვი საკუთარ თავში. სიტყვების უზომოდ მოზღვავება მხოლოდ გონებაშლილობებსა და დილეტანტებს სჩვევიათ, იმათ, ვინც ადვილად კმაყოფილდება მიღწეულით; უვიცთ, რომელთაც არა უწყიან, რას ნიშნავს ტალანტის უღლის წევა და კრთება მთელი სიცოცხლის მანძილზე. რადგან ტალანტი, ბატონები და ქალბატონები, მანდ ქვევით, პარტერში რომ ბრძანდებით, მსუბუქი ტვირთი, გასართობი რამ უნარი როდი გახლავთ. ტალანტი იდეალის კრიტიკული ცოდნა, დაუკმაყოფილებლობაა. ტანჯვა აწრთობს და აძლიერებს მის შემოქმედებით უნარს. დიდი ადამიანებისათვის ტალანტი უდიდესი სასჯელია.

შორს მოთქმა-ჩიგილი! არც ტრაბახია საჭირო! მოთმინებით, მოკრძალებით უნდა იფიქრო იმაზე, რისი ზიდვაც ბედმა გარგუნა! და რა უშავს, თუ კვირაში არც ერთი დღე, არც ერთი საათი არ გამოერევა ტანჯვა-წვალების გარეშე. წვალებასა და ჯაფას, ცხოვრებისეულ მოთხოვნილებებსა და დაბრკოლებებს დიდ მნიშვნელობას ნუ მიანიჭებ, ნუ მიაქცევ ნამეტან ყურადღებას. აი, რა განადიდებს ადამიანს!

დიდი ნებტოება გაუფართოვდა. წარბებქვემოდან მუქარით გამომზირალ თვალებს აცეცებდა, მარჯვენა ხელი ღამის ხალათის ჯიბეში ჩაეყო, ხოლო დამუშტული მარცხენა დაშვებული ჰქონდა. ჩაცვენილ ლოყებზე იმ ნელი ცეცხლიდან ამოჭრილმა ალმურმა გადაჭკა, რომელიც ხელოვანი ადამიანის სულის სიღრმეში საკუთარი „მეს“ ვნე-

ბიან სიყვარულად გიზგიზებს ყოველთვის.

კარგად იცის, რაც არის ამ სიყვარულით თრობა. ზოგჯერ საკუთარი თავისადმი ისეთი ფაქიზი გრძნობა დაეუფლებოდა, რომ მზად იყო ამ გრძნობისათვის მოეხმარებინა ტალანტი და ხელოვნებისაგან მინიჭებული მთელი უნარი და შეაძაღლებლობა. მას აქეს ამის უფლება, ამ საქციელში არაფერია არაკეთილშობილური, რადგან საკუთარი თავის სიყვარულზე მეტად სწამდა, რომ ყოველთვის რაღაც მაღალს ემსახურებოდა, ემსახურებოდა უანგაროდ, გარდაუვალი მოთხოვნილების კარნახით, თავს თანდათან ინადგურებდა, მსხვერპლად ეწირებოდა. ერთი ეჭვი არ ასვენებდა: ისე არაგინ დამდგარიყო უფრო მაღლა, თუ მასზე მეტად არ ეწამებოდა იმ რაღაც მაღალისათვის.

შეჩერდა, სახე ხელებში ჩარგო, ოდნავ ვვეფრდზე გადაიზნიქა, თითქოს რაღაცას გაურბისო. მაგრამ უკვე ბვინ იყო. იგრძნო, რა მწარედ შეუღაუმა გული გარდუვალმა აზრმა იმ ნათელ, მიწიერ, მგრძნობიარე, ღვთაებრივად გაუცნობიერებელ ადამიანზე, ვაიმარში რომ ცხოვრობს და მას მტერ-მოყვარის უსაზღვრო სიყვარულით უყვარს. როგორც ყოველთვის, ამ აზრმა უფრო ააფორიაქა. იგრძნო, რა სწრაფად და ბეჯითად აუმშავა გონება იმის გახსენებამ, რომ საკუთარი არსება და შემოქმედება უნდა განასხვაოს, გამოჯნოს და დაიცვას იმ ადამიანის შემოქმედებისაგან. განა ის უფრო მაღლა დგას? განა მას შეუპოვარ ბრძოლაში სისხლის ფასად მოუპოვებია გამარჯვება? განა მისი დამარცხება ტრაგიკული სანახაობა იქნებოდა? შეიძლება ის ღმერთიც იყოს, მაგრამ გმირი ვერ იქნება: უფრო ადვილია იყო ღმერთი, ვიდრე გმირი. დიახ, ადვილია... იმისთვის, ვაიმარელისათვის არის ადვილი! ალბათ შემეცნებასა და შემოქმედებას შორის მარჯვედ და ბრძნულად ზღვარის დადების უნარს მოაქვს ტანჯვისაგან ხსნა, სიხარული და ნაყოფიერება. მაგრამ თუ შემოქმედება ღვთაებრივი რამ არის, მაშინ შემეცნება გმირობაა, ხოლო ღმერთსა და გმირს თავის თავში ის აერთიანებს, ვინც შეიძლება და ისე ქმნის!

ნებისყოფა სიძნელესთან, ტვირთთან ჭიდილისს! თუ გრძნობს ვინმე, ნერვების რაოდენ დაძაბვად და საკუთარ თავთან ბრძოლად უღირს ერთი წინადადება, ერთი რიგიანი აზრი. ის თითქმის უმეცარი, მცირედ განათლებული, ბურუსით გარშემორტყმული და დაუფეგარი მეოცნებეა. საუკეთესო სცენის დაწერაზე მეტად იულიუსის ერთი წერილის შეთხზვა უჭირს და განა სწორედ ამიტომ არ უნდა იდგეს მისი შრომა სხვათა შრომაზე მაღლა? ტანჯვის რა მძიმე გზაა გასავლელი, რა მძიმე ბრძოლაა გადასატანი შინაგანი მოთხოვნილების პირველი რიტმიდან თემამდე, სიუჟეტამდე, ფორმამდე, აქედან აზრამდე, სახემდე, სიტყვამდე, თუ ბგერამდე. დიდი ვნებით გაყოფნილი მისი ყოველი ნაწარმოები ფორმის, სახის, სრულყოფილისა და ხელშესახებისადმი იქნეული სიყვარულის ნაყოფი იყო. ის მთელი არსებით ჭინიანად ილტვოდა მეორე, ოქროპირი ადამიანის ნათელ სამყაროსაკენ, მისკენ, ვინც ძალდაუტანებლად სდებდა სახელს ღვთაებრივად გასხივოსნებულ საგნებს.

მაგრამ იმ ადამიანის გასაგონად მაინც აცხადებს: ვინ არის მისი ტოლი ხელოვანი, მისი ბადალი პოეტი, არარაობისაგან ვინ ქმნის მასავით ყველაფერს საკუთარი გულიდან? განა ლექსი მის სულში ისე არ იბადება, ვით მუსიკა, ვით ყოფიერების პირველსახება — გაცილებით ადრე, ვიდრე შედარებებსა და რითმებში ჩამოყალიბდებოდეს? სიბრძნე, ენება სხვა არაფერია, თუ არა საშუალება და საბაბი სხვა რაღაცის გადმოსაცემად, რასაც ძალიან უმნიშვნელო კავშირი აქვს სიბრძნესთან და ენებასთან, და რაც სულის ორთეოსისებურ სიღრმეში იბადება. სიტყვები, ცნებები მხოლოდ კლავიშებია, რომლებსაც მისი ხელოვანებება უხილავი სიმების ასაკეფ-

---

თომას მანი
მძიმე საათი

რებლად იყენებს; სხვა ვინმე თუ ჩასწვდომია ასეთ რამეს? კეთილი ადამიანები ხოტბას ასხამენ იმ რწმენისათვის, რითაც ის სულის უხილავ სიმებს ღვთაებრივად აჟღერებს. მისი უსაყვარლესი სიტყვა, უმაღლესი პათოსი, სამრეკლოს დიდი ზარი, რომლითაც ხალხს სულთა ზეიმზე მოუხმობს და მასებს იზიდავს— თავისუფლებაა... სინამდვილეში ის მათზე მეტ ან ნაკლებ მნიშვნელობას ანჭებს ამ სიტყვას. თავისუფლება! — მაინც რას ნიშნავს ეს? მონარქიის წინაშე მოქალაქეობრივი უფლების მოპოვებას ხომ არა? თუ გიფიქრიათ მაინც, რა შეუძლია იგულისხმოს მასში ხელოვანის სულმა? თავისუფლება, განთავისუფლება. განთავისუფლება, მაგრამ რისგან? ალბათ ბედნიერებისაგან, ადამიანური ბედნიერებისაგან, ამ ოქროს ბორკილებისაგან, ამ მოქნილი და შარბათივით ტკბილი მოვალეობისაგან.

თავის დაღწევა ბედნიერებისაგან... ბაგე აუთრთოლდა, ეტყობოდა. გულისყური ისევ შინაგან სამყაროს მიაპყრო, სახე ხელებში ჩარგო — მეორე ოთახში გავიდა. ჭაღის ლურჯად მოლივლივე შუქი ანათებდა იქაურობას. ფანჯარას ამოქარგული ფარდის კალთები ფარავდა. საწოლთან მივიდა. კალმით ნახატი სახისკენ დაიხარა... ქალს შავი კულული ჩამოშლოდა ფერმკრთალ ღაწვზე; ბაგშვური ბაგე ოდნავ გახსნოდა... ჩემო მეუღლეს! ძვირფასო! იმისთვის ხომ არ აგიყოლია ჩემმა სევდამ და შენი თავი მომგვარა, რომ ბედნიერებად გადამქცეოდი? აკი იქეცი კიდეც. მშვიდობა შენდა! იძინე უშფოთველად! ნუ შეარხევ მაგ საამურ, გიშრის გრძელ წამწამებს, ნუ შემომხედავ იმ დიდი, ღამესაგით უძირო თვალებით, მაშინ რომ მიცქერიღი: როცა დამეძებდი და მიხმობდი. ღმერთმანი, ძალიან, ძალიან მიყვარხარ! ეგ არის მხოლოდ, ხშირად ისე მქანცავს ტანჯვა და ჭიდილი იმ ამოცანასთან, ჩემი არსება რომ მისახავს, ძალა-ღონე შემწევს მივაგნო ამ გრძნობას ჩემში. ამიტომ ვერ ვახერხებ მთელი არსებით შენთან ყოფნას, ბოლომდე ვერა ვარ შენით ბედნიერი, რადგან ჩემმა უზენაესმა მოვალეობამ აღმიკვეთა ეს ბედნიერება.

ქალს ეამბორა, მერე მის ნაცნობ სიტბოს გაერიდა. იქაურობას თვალი მოავლო და თავის ოთახში დაბრუნდა. სამრეკლოს ზარის ხმამ ამცნო, რომ შუაღამე უკვე კარგახნის გადასული იყო, მაგრამ ამ ხმამ მძიმე საათის კეთილად დამთავრებაც აუწყა. შეებით ამოისუნთქა, პირი მტკიცედ მოკუმა. მაგიდასთან მივიდა, კალამი აიღო. რა საჭიროა ტყუილუბრალოდ თავისტეხა! ისეთ სიღრმეებს ეჭიდება, რომ ბეგრმა ფიქრმა შეიძლება დაღუბოს კიდეც. არა, არ უნდა შეტოპოს ქაოსში, ხოლო თუ შეტოპა, რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიღწიოს თავი აზრთა ოკეანის ტალღებს. დღის სინათლეზე ის უნდა ამოიტანო, რაც უკვე მომწიფებული და ჩამოყალიბებულია, რასაც ფორმის მიღება შეუძლია. რა დროს ზედმეტი ფიქრია! შრომაა საჭირო! გამორჩეკა, გამიჯვნა, ფორმის მიცემა, დამთავრებაა საჭირო!

და ეს ტანჯვეთ შექმნილი ნაწარმოებიც დამთავრდა. იქნება კარგი არ გამოუვიდა, მაგრამ ხომ დამთავრდა! და რაკი დამთავრდა, კარგიც აღმოჩნდა. და მისი სულიდან, მუსიკიდან და იდეებიდან იბადებოდა სულ ახალ-ახალი ნაწარმოებები, ბრწყინვალე ქმნილებები, რომელთა ღვთაებრივ ფორმაში ისე საოცრად იგრძნობოდა უსაზღვრო სამყარო, როგორც ზღვიდან ამოღებულ ნიჟარაში ისმის ხოლმე ტალღების სუნთქვა.

გერმანულიდან თარგმნა პავლე ჩარკვიანმა



ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲙᲐᲜᲩᲐᲕᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

1963 წელს ჩვენს ჟურნალებში ბევრი საინტერესო ნაწარმოები დაიბეჭდა. ამ წერილში ჩვენ ვერ განვიხილავთ ყველა საყურადღებო მოთხრობასა თუ რომანს, მაგრამ შევეცდებით განვიხილოთ ის რამდენიმე ნაწარმოება, რომელთაც გასული წლის ქართული პროზის ხასიათი რამდენადმე მაინც განსაზღვრეს.

გრიგოლ აბაშიძის ისტორიული რომანი „დიდი ღამე“. „XII საუკუნის ქრონიკა“ (რომელიც ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა), პოეტის ცნობილი პატრიოტული პოეზიის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს. იგი მთლიან მხატვრულ-თემატიკურ ანსამბლს ქმნის ისეთ ცნობილ ლირიკულ ციკლებთან, როგორიცაა: „თუნდ დავიარო მთელი სამყარო“, „ძველ ტაძარში“ — („ოცნება უფლისწულისა“, „შვიდასი წელი“, „ულუ დავითის დაბრუნება“ და სხვ.). აღნიშნული ლექსები მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი ქარგით წინ უძღვის და ერთგვარ ლირიკულ წანამძღვარს წარმოადგენს გრ. აბაშიძის ისტორიული ქრონიკებისათვის. ეროვნული შემართება, რაც ჯარბად იგრძნობოდა ჯერ კიდევ ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინ დაწერილ მის ლირიკულ-პატრიოტულ ლექსებში, პროზაულ ნაწარმოებებში, კონკრეტულ მოტივებად გამოყო და ცალკეულ საკითხებად დანაწევრდა — როგორც „ლაშარელაში“, ისე „დიდ ღამეში“.

ავტორის მხატვრულ-შემოქმედებით დვრიტას „დიდ ღამეში“ სწორედ პატრიოტული შემართება და წარსულში მტკივნეული ეროვნული საკითხების გახსენება წარმოადგენს. ნაწარმოებიც სწორედ ამ მხრივ და ამდენად არის საინტერესო.

როგორც ეროვნული პათოსით ამეტყველებული ნაწარმოები, „დიდი ღამე“ ერთპლანოვანია, მაგრამ თუკი ისტორიული რომანის წარსულს ერთი წუთით თვალს გადავავლებთ და გავიხსენებთ, რომ ლიტერატურის ეს ჟანრი ეროვნული შეგნების გაღრმავების ნიადაგზე წარმოიშვა და ამავე ნიადაგზე აღორძინდა, გრ. აბაშიძის „დიდი ღამის“ მხატვრულ-თემატიკური ერთპლანიანობაც მისაღებებელი აღმოჩნდება.

ავტორი სწორია, როცა თავის არსებით სათქმელს და საკუთარ ისტორიულ-მსოფლმხედველობრივ დებულებებს ბელეტრისტულად აყალიბებს, მაგრამ ეს დებულებები მწერალს უფ-

რო ხშირად დეკლარაციულად აქვს გამოთქმული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნაწარმოების დეკლარაციული პასაჟები ავტორს შეგნებულად აქვს გამოყენებული, რათა სათქმელი პირდაპირი და უშუალო კონკრეტულობით ხასიათდებოდეს, მაგრამ ამ ფაქტს აქვს თავისი მეორე მხარე — „ქრონიკის“ მხატვრული ქსოვილი ხშირად ირღვევა და ფერმკრთალდება. ამიტომ ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულების გარკვევის მიზნით შევეცდებით გამოვყოთ ზოგი არსებითი ხასიათის ისტორიული მოსაზრება, რომელთა ერთობლიობა ავტორის ეროვნულ კონცეფციასაც წარმოადგენს, თუმცა ისინი ერგვარ დეკლარაციულობას მაინც ვერ აცდნენ.

„ქრონიკის“ ავტორისათვის დიდი სტიმულის მიმცემი უნდა გამხდარიყო (და ეს მართლაც ასეა) ის თვალსაჩინო ისტორიულ-პოლიტიკური თვალსაზრისი და პრაქტიკა, რომელიც საქართველოს წარსულში, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის სახელთან და სამეფო მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, ხოლო დავით IV შემდეგ, ვიდრე მონღოლების შემოსევამდე, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ტარდებოდა. გავიხსენოთ მოკლედ ეს ისტორიული კონცეფცია, რომელიც ზოგადი დებულების სახით „ქრონიკაშიც“ არის გატარებული. დავით აღმაშენებელს, როგორც ვიცით, სურდა მოეზიდა და საკუთარ პოლიტიკურ-კულტურულ ორბიტაში მოექცია ამიერკავკასიის ყველა ხალხი და ეროვნება. როგორც იმიერ, ისე ამიერკავკასიელი ხალხები დავითს თავისი საქმიანობით უნდა დაერწმუნებინა, რომ მათი სახელმწიფოებრივ-ისტორიული პოლიტიკა ერთიანია, რომ ისინი ერთი ინტერესით ხელმძღვანელობენ. დავითმა ეს ბრძნული პოლიტიკა ბრწყინვალედ განახორციელა კიდეც.

ცნობილია, მაგალითად, რომ როდესაც დავით IV შარვანში შეიჭრა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მას აქტიურად ეხმარებოდა თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში. შარვანში დავითი არსებითად თურქებს ებრძოდა, რომელთა პოლიტიკა ეროვნული ინტერესებისადმი ზიანი იქ საკმაოდ სუსტი იყო.

ასეთივე მდგომარეობა იყო სომხეთშიც. თბილისის განთავისუფლების შემდეგ (1122 წ.) დავითის ლაშქარი მხნედ ებრძოდა თურქთა მომთაბარე ბრბოებს სომხეთიდან და საქართველოს სამხრეთი ნაწილიდან გადასარეკად. სომხეთის განთავისუფლება შედარებით იოლი იყო: მტრის ზურგში ადგილობრივი მოსახლეობა აჯანყდა, ხოლო მტერს პირისპირ ქართველების ლაშქარი ედგა. კავკასიის ხალხთა პოლიტიკური კონსოლიდაცია და ერთი მიზნით მათი დარაზმვა საერთო მტრის წინააღმდეგ დავით მეფის დიდ პოლიტიკას წარმოადგენდა. ეს პოლიტიკა დღეგრძელი და უნარიანი აღმოჩნდა, რადგან განმათავისუფლებელი შინაარსისა იყო.

დავით IV პოლიტიკური კურსი იმარჯვებდა იმიტომ, რომ მას სურდა საერთო მტრის წინააღმდეგ საერთო ძალებით ემოქმედა. სელჯუკიანთა საერთო ძალით განდევნას ამიერკავკასიის ფარგლებიდან ამ ხალხთა პოლიტიკურ-კულტურული გაერთიანებაც უნდა მოჰყოლოდა, ხოლო გამაერთიანებლის როლში საქართველო გამოდიოდა.

გრიგოლ აბაშიძის „ქრონიკაში“ ეს თვალსაზრისი ნათლად არის გამოთქმული. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსუდანის მეფობის ხანაში ამგვარი პოლიტიკური ორიენტაცია ძლიერ შესუსტდა. ამიტომაც ავტორი კრიტიკულად წარმოგვიდგენს ამ დიდი პოლიტიკური კურსის ჩამშლელი ქართველი დიდებულების საქმიანობას. „ქრონიკის“ ცალკეული გმირები სწორედ ზემოხსენებულ თვალსაზრისს გამოთქვამენ, მაგრამ ნაწარმოებში ჩანს ისიც, რომ ცხოვრებაში მას ვერ ახორციელებენ. პავლია კუტი სწორედ ამას ესაუბრება გელათის აკადემიის წინამძღვარს (გვ. 50): **„ხისლამი დიდია და ჯერ თავად უნდა მოვლინიერდეთ, რომ მათ ვსძლიოთ. მარტო ხმალი ვერ დაიპყრობს და ვერ შემოიმტკიცებს აგარიანთა სიმრავ-**

ლეს. ქრისტეს სჯულის ქადაგებით უნდა დავიახლოვოთ და დავინათესოთ ჩვენი ურჯულო მეზობლები. ლეკნი, ჯგიენი, ალანნი და უმრავლესნი ტომნი მთიელთა უკვე ქრისტეს აღმსარებელნი და ჩვენი თანამდგომელნი არიან. ვიდრე ასევე, ჩვენს რჯულზე არ მივაქცევთ შერვანელთ, მანამ მტკიცე არ იქნება ჩვენი მეგობრობა ჩვენი კარის მეზობელთან. ასევე, ჩვენი და სომხების მეგობრობა მაშინ იქნება საბოლოოდ დაურღვეველი, როცა მიწაწყალი და ხელისუფლება კი არა, ალსარებაც საერთო გვექნება. საბედნიეროდ ჩვენი ურთიერთობა აქეოკენ მიდის და ჩვენ ყოველმხრივ ხელი უნდა შევაწყოთ ამ სულიერი ერთობის დაჩქარებას. როცა კავკასია შავი ზღვიდან კასპიამდე ერთი რწმენითა და ერთი გვირგვინით იქნება გაერთიანებული, მაშინ ჩვენი ერის ძლიერებაც მტკიცე იქნება და შეურყეველი".

ავტორი ეყრდნობა მეცნიერული ისტორიოგრაფიის მონაცემებს და გვიჩვენებს იმასაც, რომ ამგვარი გამაერთიანებელი და შემაკავშირებელი პოლიტიკა, რომლის მთავაე საქართველო უნდა ყოფილიყო, ისტორიულად განწირული აღმოჩნდა. ამგვარ შეხედულებაზეა აღმოცენებული ნაწარმოებში ის ტრაგიკული შეგრძნობა ისტორიისა, რომლის სამწუხარო ფაქტები უხვად მოიპოვება XIII საუკუნის საქართველოს წარსულში.

ამიტომ ღრმად დამაღონებელია „ქრონიკის" ერთ-ერთი მთავარი გმირის თურმან თორელის მოსაზრებები, რომელიც საქართველოს იმდროინდელ აწმყოს და უახლოეს მომავალს ეხება. ეს კარის მგოსანი და მებრძოლი რაინდი საკმაოდ აქტიურად იბრძვის საშობლოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ გონებით წვდება იმ დიდ უსამართლობას, რომელიც იმყამად საქართველოს თვითმყოფ და დამოუკიდებელ არსებობას ნამდვილ საფრთხედ მოევლინა: „თუ ერების ურთიერთობა, — წერს ის თავის „მატიანეში" — საბოლოოდ ძალმომრეობაზეა დაფუძნებული და ერთი ერის ბედნიერება მეორე ერის უბედურებას ნიშნავს, მაშინ სამართლიანობა საერთოდ არ ყოფილა და სიკეთეც არ არსებულა, ეს ქვეყანა ძლიერების საბატონოდა ყოფილა, ხოლო სუსტებისათვის თავიდანვე მიწის უფლელია გამზადებული, ერთს სამუდამო ბატონობა დაჰქონია გაჩენის დღიდან, ხოლო მეორეს — საუკუნო მონობა. ძლიერები ამქვეყნიური სიკეთით ტკბებიან, უღონონი კი გაჯახირებულ სიცოცხლეს მხოლოდ იმად ინარჩუნებენ, რომ სული ედგათ და იარსებონ.

ასე არსებობდა საქართველოც დიდხანს, თითქმის დავით აღმაშენებლის გამოჩენამდე. იმ დიდებული მეფის შემდეგ ქართველმა ხალხმაც ასწია თავი, წელში გაიმართა და ამ ცხოვრების სიკეთის გემო ა ეშნი გაიგო, სულ ახლახანს დაიწყო ქართველობამ ადამიანური ცხოვრება, ლაღი, ბედნიერი სიცოცხლე, და ნუთუ ახე ხანმოკლე უნდა იყოს მისი ბედნიერება, ნუთუ ისევ მონის უღელში უნდა გაჰყოს თავი საქართველომ, იმ უჩინარი კანონის ძალით, რომ ქვეყნად მასზე ძლიერი გამოჩნდა და იმ ძლიერის ბედნიერება აუცილებლად თხოულობს მასზე სუსტი საქართველოს კვლავ გაუბედურებას. ნუთუ ეს კანონი მართლა დაუძლეველია და საქართველოს ბედის ჩარხუკუღმა შეტრიალება კვლავ გარდუვალია და აუცილებელია?!" (გვ. 173).

რა შეიძლება დაუპირისპირდეს, ავტორის აზრით, ამგვარ მძიმე, უსიხარულო თვალსაზრისს? მხოლოდ ერთი რამ: დაჩაგრული ხალხის შვილების აქტიური, მხნე და თავისუფლებისმოყვარული სულისკვეთება თუ საქმიანობა. გამოუვალი მდგომარეობა ისტორიაში არ არსებობს, თუ ხალხს არ დაუკარგავს შინაგანი სიმართლე, შინაგანი სიმტკიცის და საკუთარი ღირსების გრძნობა. ასეთია „ქრონიკაში" გაბატონებული ეროვნული თვალსაზრისი, რომლის კარგი დადასტურებაა თუნდაც

„დიდი ღამის“ ფინალური სცენები, სადაც თურმან თორელის ვაჟის მიერ შექმნილი პარტიზანული რაზმების გმირული ბრძოლების ამბავია მოთხრობილი.

ნაკლები მნიშვნელობისაა, მაგრამ ინტერესს არ არის მოკლებული ცალკეული მოტივები და ეპიზოდები, სადაც ავტორი კვლავ ზოგად ხაზებში საჭირბოროტო ეროვნულ საკითხებს განიხილავს. „დიდი ღამის“ იდეური შინაარსში გარკვეული დგება ეუბერავს „შვილთა“ კრიტიკას, რომლებიც „მამების“ მიერ არიან განებივრებულნი, გაზულუქებულნი და ცხოვრების სიძნელეებს თავს ვეღარ ართმევენ. მაგრამ ეს, თავის მხრივ, „მამების“ კრიტიკაცაა, რომლებსაც თავიანთი მემკვიდრეები ისე ვერ აღუზრდიათ, როგორც ამას ერისა და ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა. სანამ „მამები არიან და ხმალს იქნევენ, ახეთ შვილებს არ გაუბერდებათ, ცხოვრებას ვემოს ჩაატანენ და თავს არაფრისთვის შეიწუხებენ, მაგრამ მერე... მერე, როცა მამები წავლენ (აკი ადარ არი ზაქარია ამირსასალარი), როცა მათი სისხლითი მორწყული მიწა გაშრება? მერე ვინღა ჰყოფს უზრუნველს მათ უდარდელ ცხოვრებასა და შექცევას?!

...ვაზირთა და დიდებულთა შთამომავლები ერთიმეორეს ეჯიბრებიან განცხრომასა და ფუფუნებაში, ერთმანეთს ეცილებიან და ასწრებენ ულამაზესი ხარჭებისა და ჯიშიანი ცხენების შეძენას, ფულსაც დაუფიქრებლად სწირავენ ერთი ბედნიერი წამისთვის მამულსაც და სახელსაც.

მამების ბრალია, რომ ასე განებივრდნენ და გაზულუქდნენ შვილები. დიდიხანია ამას გრძნობს და ხვდება ივანე, მაგრამ დაგვიანებულ საქმეს რაღა ეშველება. თავიანთ თავგასულ შვილებს ისინი უკვე ვეღარ გაასწორებენ, მათ მხოლოდ ცხოვრება გაასწორებს, როგორც კუზიანს ასწორებს სამარე. და ეს ახალი ცხოვრება კუზიანების გამასწორებელი სამარე, ეტყობა, არც ისე შორსაა, ქნევაში გაცვეთილი მამების ხმალი მალე ვეღარ გასჭრის და ის ცხოვრება თავისთავად მოვა ჯაჭვებითა და ბორკილებით, რკინის ულლითა და ბასრი ხბით, მოვა და გამოაფხიზლებს, იდრე თუ გვიან, ამ ცხოვრებამოყირჭებულ. სიცოცხლე მოწყენილ ნებიერებს, შანშაა და ავაგის მსგავს ვაუბატონებს“. (გვ. 107-108). „ქრონიკის“ ავტორის აზრით, საქართველოს დამარცხებასა და ჯალალედინისაგან მის აოხრებაში ბრალი მიუძღოდათ იმ ქართველ ხელისუფალთ, რომელნიც დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის და თამარ მეფის დიდ მემკვიდრეობას შესაფერისად ვერ გაუძღვნენ, საკუთარ ძალთა და მოქმედებათა სწორი შეფასება ვერ მოახერხეს. მართალია, ამგვარი შეხედულება ჩვენს ისტორიაზე არც ახალია, არც საკმარისი, მაგრამ ასეთი მოსაზრება თუ მსჯავრი ფეოდალურ საზოგადოებაზე ისტორიულ სიმართლეს შეიცავს და საფუძველს არ არის მოკლებული.

ჩვენ ვიცით, რომ ჯალალედინის ლაშქრობას საქართველოში ქართველები ნახევრად მოუმზადებელნი და სიმტკიცემოკლებულნი შეხვდნენ, ხოლო მონღოლებისათვის მათ არსებითი წინააღმდეგობა არც კი გაუწევიათ. „დიდ ღამეში“ შეიძლებოდა და მოსალოდნელი იყო ამ ისტორიული ფაქტების ბევრად უფრო რთული ისტორიულ-სოციალური ანალიზი, მაგრამ ავტორი ზემოხსენებული მიზეზის დასახელებით კმაყოფილდება. მწერალი საგანგებოდ, შეგნებულად ზღუდავს თავის ისტორიულ თვალთახედვას, მის მიერ წინასწარ მოხსნულ ჩარჩოს არ სცილდება.

სავსებით სწორად არის გააზრებული და დახატული წიგნში ჯალალედინისა და ჩინგიზ-ყაენის პოლიტიკური პორტრეტები. მწერალი ფართოდ ეყრდნობა სპარსელი, არაბი, ქართველი თუ სომეხი მემატიანეების მასალას და ისე ახასიათებს ამ ცნობიერ მხედართმთავრებსა და პოლიტიკოსებს. ზოგადად რომ ვთქვათ, ავტორი ჯალალედინის ისტორიულ-პოლიტიკურ მარცხს ხსნის იმით, რომ მამმადიანურ სამყაროს და, მეორე მხრივ, საქართველოსაც ხვარაზმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შა მოევლინა, როგორც მტაცებელი-მრბეველი, რომელსაც პოლიტიკური პატივმოყვარეობა უფრო ამოქმედებდა, ვიდრე სამაჰმადიანოს განმტაცებასა და ერთი გვირგვინის ქვეშ მისი გაერთიანების სურვილი.

ასევე უარყოფითად აფასებს მწერალი ჩინგიზ-ყაენის ბევრად უფრო ძლიერ ავრესიულ პოლიტიკასაც. ჩინგიზის სახელი სიკვდილისა და განადგურების შიშთან იყო დაკავშირებული. მის გამარჯვებებს და გაბატონების წადილს რელიგიური შიშის ჩანერგვის იდეა ჰკვებავდა: **„ჩინგიზ ყაენმა,** — წერს ავტორი — **მისი პიროვნების წინაშე შიში ღვთიერ კანონამდე აიყვანა და თავისი ქვეშევრდომების შეუმჩნევლად თანდათან მისდამი სიყვარულად აქცია“** (გვ. 227). „ქრონიკის“ შემეცნებითი ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ ქართველ თუ უცხოელ ისტორიოგრაფთა შეხედულებების თანახმად, ნაჩვენებია ის დიდი კულტურული კონტრასტი თუ წინააღმდეგობრივი ვითარება, დამპყრობმა მონღოლებსა და მათ დამხვდურ ხალხებს შორის რომ იყო. მონღოლებმა პერის ცნობა ჯერ არ იცოდნენ, რელიგია თითქმის არ ჰქონდათ და დაპყრობილი სახელმწიფოების სამართავად მომზადებული მოხელეებიც არ ჰყავდათ.

აკადემიკოსი ბარტოლდი წერს:

«Чингиз-хан работал только для себя, своих потомков и своих ближайших приверженцев: нет никаких указаний на то, чтобы ему была доступна идея труда на благо целого народа. С другой стороны, умственная культура уже сама по себе представляла силу, которую нельзя было всецело оставить в руках подчиненных. Стремление примирить несовместимые вещи — кочевой быт и умственную культуру — было самым слабым местом в системе Чингизхана и главной причиной ее падения».

როგორც ეხედავთ, ჩინგიზ-ხანს არც სამშობლოს გრძნობა და ეროვნული შეგნება ჰქონია განვითარებული.

ამგვარი ისტორიული რეალიები „ქრონიკაში“ ინტერესით იკითხება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯალალედინის და ჩინგიზ-ყაენის მხატვრულ-ისტორიულ პორტრეტებს ზოგჯერ ქრესტომატიული იერი აქვთ (მხედველობაში გვაქვს, ძირითადად, 224-229 გვერდებზე მოცემული დახასიათებები).

მხატვრული ზეგავლენის მისაღწევად საქმეს ხშირად როდი შველის ისეთი ხერხის გამოყენება, როგორიც არის ისტორიულ ფაქტთა გადანაცვლება (ისტორიული დრამატიზმის გასაზრდელად). მაგალითად, თბილისის გადაწვა რუსუდანმა მუხასძეს მონღოლთა მეორე შემოსევისას უბრძანა, როგორც ამას ქამთაღმწერელი გვამცნობს: **„ხოლო ვითარ ცნა მეფემან რუსუდან მოახლება თათართა, დაუტევა ტფილისი და წარვიდა ქუთაითს, ტფილისს მცველად დაუტევა მუხასძე, და ამცნო, რომელ უკუეთუ დმანისამდე მოვიდნენ თათარნი, რომელ მოწუას ტფილისი თვინიერ პალატისა და ისანთა, რომელ არღარა იპყრან სახლად ვითარ ხუარაზმელთა“.**

თუკი ავტორმა აქ ფაქტთა შეგნებულ გადაადგილებას მიმართა („ქრონიკაში“ თბილისს ჯალალედინის დროს გადაწვავენ, ხოლო თბილისში მონღოლთა შემოსვლისას და ქართველთაგან თბილისის გადაწვისას ჯალალედინი უკვე მოკლული იყო), ეს ალბათ იმიტომ, რომ ჯალალედინს სისხლისმსმელი თარეში კიდევ უფრო მჭეკრმეტყველი გაეხადა. ეს ხერხი გრ. აბაშიძის რომანში მომგებიანი მაინც არ აღმოჩნდა. ამ შემთხვევაში ქართველებისაგან თბილისის გადაწვა ერთ-ერთ კულმინაციას წარმოადგენს, მაგრამ განსაკუთრებული დრამატიულობით არ გამოირჩევა და აი რატომ: „ქრონიკა“ შედგება რვა თავისაგან. აქედან უკანასკნელი

ექვსი თავი დათმობილი აქვს ჯალალედინისა და მონღოლებისაგან ქართველი თუ სხვა ხალხების აოხრების სურათის დახატვას. ყოველივე ეს კი, როგორც ზევით ითქვა, დაახლოებით ერთ ტონალობაში, ან ერთპლანოვნად არის ნაჩვენები. ნაწარმოებში წარმოდგენილი ცალკეული შეტაკებები, ხანძრები, შიმშილობა, დატყვევება, ლტოლვა-გაიზიზვნა, ნგრევა და განადგურება, მტრის სისასტიკის ჩვენება და მსგავსი უბედურებანი ისე მრავალრიცხოვანია, რომ რაც უფრო მატუნობს მათი რიცხვი, მით უფრო ჭირს მათი ერთიმეორისაგან გარჩევა და აღქმა. ასე მაგალითად, თბილისის თბილისელებისაგანვე გადაწვა უფრო მძაფრი ისტორიული სურათი არაა, ვიდრე ვთქვათ, ჯალალედინის მიერ თბილისის პირველი ალება, ან სიონის თავმორღვეულ გუმბათზე ტახტის გამართვა, რომელზეც ჯალალედინი უნდა დამჯდარიყო და იქიდან თბილისელთა მწარე განკითხვისა და შეგინებისთვის ეცქირა. ხოლო ამგვარი ეპიზოდები კი ნაწარმოებში, როგორც ითქვა, არაერთია, ან თითქმის ყოველ თავშია. ამიტომ ეს კომპოზიციური მხარე ქრონიკაში ერთგვარ გადასინჯვას მოითხოვს.

გვინდა შევნიშნოთ ისიც, რომ ისეთ არეულ და აწიოკებულ ქვეყანაში, როგორიც XIII საუკუნის აღმოსავლეთი საქართველო იყო, ნაწარმოების ემბრების ერთმანეთთან მოულოდნელი შეხვედრება მეტისმეტი პირობითობითაა აღბეჭდილი. ეს თითქოსდა „მოულოდნელი“ შეხვედრები სიუჟეტური ხაზის განვითარებისა და გაგრძელებისთვის აუცილებელია, მაგრამ მათ მხატვრული სიმარილე და რეალიზმი მაინც აკლია. ეს მომენტი რომ ხშირი არ ყოფილიყო „ქრონიკაში“, ჩვენ მას არ შევეხებოდით (მაგ. 311—312 გვერდებზე ცაგოს და ვაჩეს შეხვედრა, მოთხრობის დასაწყისში თურმან თორელისა და ცაგუს დათქმულივით ურთიერთშემჩნევა, 280-ე გვერდზე, თბილისის დაწვის ეპიზოდში, გოჩი მუხასძისა და ბრმა ვაჩეს შეხვედრა და ზოგიერთი სხვა...). ასეთი პირობითობა ავტორმა შეგვლება დაუშვას ერთხელ, ვთქვათ, „ვეფხვნელიმე მწვავე სურათის ფონზე“ (ანუ მისი რიგით ლიტერატურულ ხერხად გადაქცევა მხატვრულად აუფასურებს თვით „ხერხსაც“ და სკეპსასაც.

ჩვენი ბოლო შენიშვნა ეხება გარნისის ომის წაგებას. „ქრონიკაში“ გარნისში ქართველთა დამარცხების ისტორია ერთგვარად შელამაზებულია. ავტორმა არ გაამძაფრა ისტორიული მნიშვნელობის კონფლიქტი, — ივანე ათაბაგის განპირებისა და ომისათვის თავის არიდების ფაქტი, რამაც საქართველოს ისტორიული ბედი ერთი ხელის დაკვრით უფსკრულისაკენ შეატრიალა. როგორც ქამთაადმწერელი გვიამბობს: „ვითარ დაეახლეს წინაბრძოლნი და სულტანი, აქა დაიპყრა ფერხი ივანე ათაბაგმანო“. უკვე მოხუცებული და „ფარულად მონაზონქმნილი“ ივანე ათაბაგი, რომელიც რუსუდანის თხოვნაზე დაყაბულებულა და მთავარსარდლობა უკისრია, გარნისის ბატალიაში თავისებური მოღალატის როლში გამოდის. ამ მომენტს, ჩვენთვის გასაგები მიზეზების გამო, ავტორმა გვერდი აუარა (თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ავტორის ისტორიული კონცეფცია პირველ პლანზე მაინც ხალხთა შორის ისტორიულ დამოკიდებულებას აყენებს და შემდეგ ხალხის შიდა ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებას), დიდი ივანე ათაბაგის ასეთი ქცევა მკრთალად დაგვიხატა და საკითხიც თითქმის ორაზროვანი კითხვის ნიშნით დაასრულა. ავტორის თვალსაზრისს შეიძლება თავისებური გამართლება გამოვუძებნოთ, მაგრამ მხატვრულად ეს ისტორიული მნიშვნელობის კონფლიქტი სრულფასოვნად ვერ გაშუქდა.

მხატვრულად ძლიერი ადგილებიდან „ქრონიკაში“ აღსანიშნავია თურმან თორელის შესვლა ჯალალედინის კარავში სულტნის მოსაკლავად და მისი განზრახვის ჩაფუშვა. თორელი ნახტომს ზომავდა, რომ მტარვალი ხანჯლის დაკვრით გაეგმირა, სწორედ მაშინ აქვითინდა სულტანი და დაემხო თავისი

პატარა მკვდარი ვაჟის კუბოს. ამ მყისიერმა ვითარებამ სისხლისმსმელი ჯალალედინი გადაარჩინა. ეროვნული გრძნობა აქ თვითს სოციალურ წარმოგალობას ავლენს და ადგილს უფრო პიროვნულ-ადამიანურ გრძნობას უთმობს.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია ჯალალედინის ვაზირის, შერეფ-ელ-მოლკის დახრჩობის ეპიზოდი. მოლკის სიკვდილით დასჯაში ჯალალედინის კარის ისტორიოგრაფ ნესეფის მონაწილეობა მართლაც მიუღია და შემდეგ აღუწერია. ამის გამოა ის უჩვეულოდ ამაზრზენი და კოშმარული. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს ორი ნოველა: „ამბავი ადარბადაგანის ათაბაგის უზბეგისა და დედოფალ მელიქე-ხათუნისა“ და „ამბავი ყრუმუნჯისა და მისი ლამაზი ცოლისა“. მართალია, ამ შემთხვევაშიც გრ. აბაშიძე ეყრდნობა სპარსელი ისტორიკოსის რაშიდედინის და არაბი მემატიანის — მოპამედ ენ ნესეკის ცნობებს, მაგრამ მათ მხატვრულად აფართოვებს და, რაც მთავარია, აძლევს განმაზოგადებელ ძალას, მსოფლმხედველობრივ ბაზას. ორივე ნოველა კომპოზიციური დახვეწილობით, ფერების შერჩევითა და ადმოსავლეთისთვის ჩვეული სევდიანი შეფერილობით სპარსულ მხატვრულ მინიატურას წააგავს.

ათაბაგ უზბეგის ნოველაში კარგადაა გადმოცემული ის ტრაგიკული განსხვავება, რომელიც დღეგანკალულ ილუზიასა და რეალობას, ან პოეზიასა და მკაცრ სინამდვილეს შორის არსებობს. როდესაც ჯალალედინის მეომრებმა ათაბაგი უზბეგი საბოლოოდ დაარწმუნეს სპარსეთისა და მისი ტახტის ისტორიულ უფლებაში, მაშინ ათაბაგმა რჩეულ ირანელ პოეტებს მიმართა და ისტორიის მეფეთა მართობას ომარ ხაიამის რუბაიების სტრიქონებით აქარწყლებდა თუ ამართლებდა... „წუთისოფლის ამოოებისა და ღვინით თავდავიწყების ამ რწმენაზე მტკიცედ მდგარ უზბეგს ბედის აღარავითარი დარტყმა და ნისლი აღარ აკვირვებდა და აღშფოთებდა“, — წერს მწერალი. ათაბაგი უზბეგი თითქოს ცხოვრებაზე „გამარჯვებასაც“ ეჭვ გრძნობდა, როდესაც ამაოებისა და წარმავლობის მეტს ვერაფერს ხედავდა. თავის ამ რწმენას ის არც მაშინ ღალატობს, როდესაც ატყობინებენ, სულტანმა ჯალალედინმა მთელი შენი მიწა-წყალი ხმლით დაიპყრო. ბოლოს უზბეგს გაუბედავენ და ეტყვიან, შენი ცოლი, დედოფალი მელიქე-ხათუნი გაგექცა და ხვარაზმის სულტანს ჯალალედინს შეუუღლდაო. ღვინოს დახარბებულ და სევდიან ფიქრებში ჩაფლულ უზბეგს თავისი ტურფა ცოლი თითქმის გადავიწყებული ჰყავდა, მაგრამ როდესაც სამწუხარო ამბავი მოისმინა, უმალვე გული გაუსკდა და მოკვდა. ასე, საკუთარი სიკვდილით დაარღვია მან საკუთარივე რწმენა, — ამაოების ძიებ თუ აღიარება, რასაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იცავდა.

გიორგი ქავთარაძის „ჯარისკაცის ჩანაწერები“ „ცისკრის“ გასული წლის ნომრებში დაიბეჭდა, ახლახან კი ცალკე წიგნად გამოვიდა. „ჯარისკაცის ჩანაწერები“ ამაღელვებელი წიგნია. რამდენიმე ადგილი ამ წიგნიდან შესაძლებელია მკითხველმა დიდხანს დაიმახსოვროს. მაგრამ, სანამ ამ ჩანაწერების ცალკეულ მხარეებზე ვისაუბრებდეთ, წინასწარ ერთი რამ უნდა ითქვას — „ჯარისკაცის ჩანაწერები“ არ არის პროზა, მხატვრული პროზის მასშტაბებს არ აკმაყოფილებს. ეს მოხდა არა მისი ჟანრობრივი სპეციფიკის გამო (იგი ფაქტიურად „ღრიურებია“), არამედ მხატვრული შინაარსის სპეციფიკის გამო. ავტორი, ერთი-ორი ადგილის გამოკლებით, არ ახდენს მხატვრულ განზოგადებას, არ წარმოგვიდგენს მასალას ან მოვლენას ფართო პლანში. უფრო ხშირად მწერლისათვის მთავარია თვით ფაქტი, რომლის მოწმე

თვითონ იყო, ანდა ზოგჯერ ამ ფაქტს „თვითონ წარმოადგენდა“.

კარგადაა დახატული ეპიზოდი ქალაქ ვოლოშინოში ებრაელთა წამებისა. ამ ეპიზოდში თითქმის ჩანს გიორგი ქავთარაძის წერის მანერის თავისებურება. ფაქტის მხატვრულ განზოგადებას ის არ ახდენს და ბოლოსდგე ენდობა იმ სიმძაფრეს, რომელიც თვით აღწერილ მოვლენას შინაგანად აქვს.

საინტერესოა ერთი ნაწილი თავიდან „დაუმთავრებელი სამარე“. გერმანელი ჰაუპტმანი დასახვრეტად წაიყვანს წიგნის ავტორს და საკუთარი სამარის თხრასაც დააწყებინებს, მაგრამ განაჩენს სისრულეში ვერ მოიყვანს. ამ ეპიზოდში მწერალი ნაწილობრივ აღწერს მხატვრულ-მსოფლმხედველობრივ განზოგადებას, რაც მკითხველზე ზემოქმედების მეტ ძალას ანიჭებს წიგნს.

საინტერესოა თვალი გადავაფლოთ იმ შინაგან აზრობრივ ლოგიკას, რომლის გამოც გერმანელი ჰაუპტმანი ხელს იღებს მკვლელობაზე. უპირველეს ყოვლისა, როდესაც ჰაუპტმანმა დასახვრეტად განწირულ ტყვეს ჰკითხა: — არ გეშინია, რომ უნდა მოკვდეო? — მას არავითარი ჰუმანური მოსაზრება არ ამოძრავებდა. იგი ტყვის ბედზე ნაკლებად ფიქრობდა და უფრო სიკვდილის რაობა თუ მისი საიდუმლოს ამოცნობა აფიქრებდა. დასახვრეტი ტყვის შემწეობით იგი თითქოს სიკვდილს უთვალთვალებდა და სურდა თვალი მოეკრა მისი აჩრდილისათვის. ტყვეში ის სიკვდილის შვილს ხედავდა და სწორედ სიკვდილმა გახადა ტყვე ჰაუპტმანისათვის საინტერესო: **„შენ რომ უნდა მოკვდე დღეს, გეშინია თუ არა?“** — ეკითხება გერმანელი კატეგორიული, მაგრამ საბედისწეროდ ცნობისმოყვარე ტონით.

მათი დაახლოვების შემდეგი საფეხური არის ქართველი ტყვის სიმტკიცე სიკვდილის წინაშე. ამას ემატება ქირომანტიის მოხერხებულად ჩატარებული „სეანსი“, გალანტური საუბარი ფრანგულ ენაზე და ჰაუპტმანი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მის ცხოვრებას მაღალი და გამართლებული აზრი არა აქვს: **„ყველაფერი უაზრობაა, ყველაფერი უაზრობაა, — გაიძახოდა: ამ სიტყვებს, შემომხედავდა დაფეთებული სახით, ჩამივლიდა გვერდს, მობრუნდებოდა და ისევ ამ სიტყვებს იმეორებდა“.**

საბოლოოდ გერმანელი ჰაუპტმანი „აუხსნის“ ტყვეს, თუ რატომ არ შეუძლია მას ჰუმანისტი იყოს. მისი აზრით, ჰუმანიზმი და განათლება ზშირად ერთმანეთს ვერ ეგუება: **„მეც ვიყავი რდესდაც ჰუმანისტი, მაგრამ აღარ ვარ, — თქვა სინანულით, შემდეგ უფრო მკაცრი ტონით განაგრძო: — შეუძლებელია ადამიანი ომში ჰუმანისტი იყოს; როდესაც ტყვია გავისროლე, ჰუმანიზმი მოვკალი, დანარჩენი ტყვიები კი უმიზნოდ იფანტებოდა“.** ეს უკვე ერთგვარ თავის მართლებას ჰგავდა. განათლებული გერმანელი კაპიტანი ხედავდა, რომ მთელი მისი მოქმედება და კონცეფცია ანტიჰუმანისტური იყო, ომი, საიდანაც მისი კაცმოძულეობა საარსებო წყაროს იძენდა, თითქმის წაგებული იყო და, ამდენად ის არამატერიალურ, არამედ სასტიკ ზნეობრივ კრიზისსაც განიცდიდა, ყოველივე უაზრობად და არარაობად მიაჩნდა.

მწვავე მორალური კრახი, რომელიც ჰაუპტმანს და მის გერმანიას თავს დასტეხია, აიძულებს მაღალ მატერიებზე მსჯელობის დროსაც რეალისტი იყოს. თავის მსხვერპლს ის ახლა საკუთარ ოჯახზე, ან ცაში გამოჩენილ თვითმფრინავებზე ესაუბრება... ამის შემდეგ დახვრეტაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო: ტყვე გადარჩა...

„ჯარისკაცის ჩანაწერები“ ნამდვილი პატრიოტული გრძნობით დაწერილი წიგნია. ავტორის მამულიშვილური სულისკვეთება აშკარად ჩანს სამშობლოს დანატრებული ადამიანის მიერ წარმოთქმულ თუნდაც ერთ პატარა ფრაზაში. როდესაც დატყვევებული გერმანიაში ჩაუყვანიათ, სულიერი შეშფოთებისაგან თუ სიმწრისგან თავის მოუშორებელ უბის წიგნაკში მას ერთი აზრიანი

წინადადებაც კი ვერ ჩაუწერია. „ვფიქრობდი: — წერს ავტორი — ნუთუ მშობლიური ანბანიც კი დამავიწყდა-მეთქი და როდესაც იმავე დღის ჩემი სახელი და გვარი — გიორგი ქავთარაძე დავწერე, ისე დავცქეროდი თხუთმეტ ქართულ ასოს, თითქოს თხუთმეტი რჩეული ქართველი ქალაჟი დამენახოს“.

დასამახსოვრებელია და კარგად არის დაწერილი თავი „ლუფხას თვალები“. აქაც ჩანს ომის განუსჯელი, შემზარავი და ურჩხულისებური სახე. ამ ეპიზოდში მძაფრად არის გამოხატული, თუ ომი ერთი ხელის დაკვრით როგორ არღვევს ორი შეყვარებული ადამიანის თითქოსდა მეტად ძლიერ, ბედნიერ სიყვარულს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ნაწარმოებში თხრობა ხშირად ფრაგმენტულია. ეს ფრაგმენტულობა თავს იჩენს არა მარტო მთელ წიგნში, არამედ ცალკეულ ეპიზოდებში და გვერდებზეც. წიგნში ბევრია ზედმეტი ფრაზა თუ მოკლე ლირიკული გადახვევა და მსჯელობები. ისინი მთლიან შთაბეჭდილებას აქუცმაცებენ და ფანტავენ. თუკი შემდეგში წიგნი ხელმეორედ გამოიცემა, ამ მხრივ საფუძვლიანად უნდა დაიხვეწოს.

გასულ წელს დაბეჭდილი მოთხრობებიდან საინტერესოა გურამ რჩეულიშვილის „ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“. გ. რჩეულიშვილის ეს მოთხრობა ერთგვარად გამოირჩევა ზოგიერთი ახალგაზრდა ქართველი პროზაიკოსის მოთხრობებისაგან. თავი რომ დავანებოთ ისეთ ლიტერატურულ ნიშან-თვისებებს, როგორიცაა მსოფლშეგრძნების სიმძაფრე, შინაგანი დრამატიზმი, მღელვარება და მხატვრული სიწრფელე, რაც ასე გვხიბლავს გ. რჩეულიშვილის ნაწარმოებებში, მათში არის ის „ძირითადიც“, რითაც ავტორს შეეძლო გზა გაეკვლია დიდი ლიტერატურისაკენ. ეს „ძირითადი“ მდგომარეობს, უპირველეს ყოვლისა, პრობლემის სწორ პოვნაში; ხოლო აღძრული პრობლემის სწორე გულისხმობს იმას, რომ ავტორმა საყურადღებო საკითხებიდან თავისუფლად არჩევდა უმთავრესს.

მხატვრული კონცეფციის ჩამოუყალიბებლობა, მისი უსწორმასწოროდ, ხშირად კი უწიგნურად განვითარება ახალგაზრდა ქართველი ლიტერატორების ყველაზე დიდი ნაკლია. შინაგანი თემის წამყვანი მთლიანი აზრის, მხატვრული თვალსაზრისის ლოგიკურად განვითარებისა და შეკვრის საკითხი ყველაზე ჩამორჩენილი უბანია ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაში. უამისოდ კი დიდი პროზა არ შეიქმნება, რომანი არ დაიწერება. ლიტერატურის სწორედ ეს მხარე არის განსაკუთრებით საინტერესო გ. რჩეულიშვილის მოთხრობებში.

გ. რჩეულიშვილის ყოველ მოთხრობაში მეტნაკლებად დომინირებდა ერთი გარკვეული შეხედულება ცხოვრების ამა თუ იმ მხარეზე, აშკარად გამოკვეთილი აზრი თუ თვალსაზრისი ადამიანის სულიერი ცხოვრების საინტერესო მოვლენებზე („სიკვდილი მთებში“, „ბათარეკა ჭინჭარაული“ და სხვ.).

„ახლა მე ოცდახუთი წლისა ვარ“ საინტერესოა მხატვრობის თვალსაზრისით და მსოფლმხედველობრივადაც. მიუხედავად იმისა, რომ ეს მოთხრობა არაა მისი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი, იგი მაინც დიდი მხატვრული დამაჯერებლობით და სინამდვილის ღრმა შეგრძნებით არის დაწერილი.

ჟურნალ „ცისკრის“ მეშვიდე და მერვე ნომრებში მ. ელიოზიშვილმა გამოაქვეყნა ორი მოთხრობა: „სინოს წითელი ხარები“ და „ჩიტას ჩიკვილი“. უნდა ითქვას, რომ მ. ელიოზიშვილის ნოველა მხატვრულად გამდიდრდა, უფრო მოქნილი და მრავალწახნაგოვანი გახდა, პლასტიკური კულტურა ამაღლდა. მწერალმა წერის ერთგვარ კინემა-

ტოგრაფულ მანერას მიმართა გარკვეული მონოტონურობის დასაძლევად, რომელიც მას, როგორც ნოველისტს, ახასიათებდა.

მ. ელიოზიშვილი პერსპექტივიანი, ხალასი ნიჭით დაჯილდოებული მწერალია, ამიტომ ჩვენ არ ვერიდებით შენიშვნებს და გვინდა ერთი უმთავრესი ჩვენი პრეტენზია ძალზე მოკლედ წავუყენოთ. დღევანდელ მწერლობაში ბევრად უფრო გამახვილდა ყურადღება ლიტერატურის იმ ნაწილზე, რომელსაც მხატვრის ცხოვრებისადმი და გარესამყაროსადმი დამოკიდებულება ეწოდება. რაღა თქმა უნდა, ცხოვრების სურათების გადმოცემა, საგნის აღწერა, ფაქტის ზუსტად დახატვა ლიტერატურის არსებითი ბაზაა, მაგრამ დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ადამიანის შინაგან ფსიქიკურ დამოკიდებულებას მთელ გარესამყაროსთან, ცხოვრების როგორც „უმთავრეს“, ისე „უფაქიზეს“ გამოვლინებებთან. ავტორსა და აღსაწერ ფაქტსა თუ მოვლენას შორის რჩება ის დიდი, ლიტერატურულ-ფილოსოფიური „სიღრმით“ შევსებული „შემფასებელი“ მანძილი, სადაც დახატული ხასიათის, მოქმედების განვითარების ან მოთხრობილი ამბის იქით ჩანს ავტორის სუბიექტური თვალსაზრისი, მისი პოზიცია, მხატვრულ-მსოფლმხედველობრივი დამოკიდებულება მათდამი. მწერლობის ამ ნაწილს, ერთი სტაყვით, ლიტერატურული კონცეფცია ეწოდება. მწერალი რაც უფრო არსებით, ყოველსმომცველ მნიშვნელობას ანიჭებს თავის შეხედულებებს გადმოცემას, მით უფრო სერიოზულ ნაწარმოებს ქმნის იგი.

ამ მხრივ მ. ელიოზიშვილს ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი. როგორც შეიმჩნევა, იგი აღსაწერ სურათს, ემპირიულ მასალას, ყოფით ნაწილს ასახავს მთელი მონდომებით, ოსტატობითა და ფერადოვნებით; მას ძირითადად თვით საგანი აინტერესებს, ფაქტი, ცალკეული მოვლენა, ხოლო განმაზოგადებელი ნაწილი თითქმის მუდამ მეორეხარისხოვანი რჩება — „მეორე პლანზე“ დგას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა ქართველ პროზაიკოსებს უნდა მოვუწოდოთ, რომ ისინი, ერთი მხრივ, უფრო პროდუქტიულნი იყვნენ და მეორე მხრივ, უნდა იფიქრონ, რომ გაფართოვონ და გამდიდრონ ქართული რომანის ტრადიციები. მათ ახლო მომავალში დიდ მხატვრულ ტილოებზე მუშაობა მოუხდებათ, მაგრამ იმ დიდი აზრობრივი დატვირთვის გარეშე, რომელზეც ახლა გაკვრით ვისაუბრეთ, რომანი არ შეიქმნება. ნიჭიერი ქართველი პროზაიკოსების შესანიშნავი მხატვრული მონაცემები და ტექნიკურ-ოსტატური გაწაფვა კიდევ უფრო მეტად მოითხოვს მხატვრულ-მსოფლმხედველობითი, კონცეფციური ნაწილის შესამჩნევად გაფართოებას და გაღრმავებას, დახვეწას და ზოგჯერ გართულებას. ასე რომ, ეს პრეტენზია თუ რეპლიკა მხოლოდ მერაბ ელიოზიშვილს არ ეკუთვნის...

დავით ჯავახიშვილმა გასულ წელს ორი მოთხრობა გამოაქვეყნა: „მშვიდი დილა“ და „გიგი“. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ორივე მოთხრობა ავტორის შესაძლებლობებზე დაბლა დგას. თვით საკმარისად სასიამოვნოდ საკითხავ მოთხრობაში „გიგი“ ავტორი ყოველთვის თავს ვერ ართმევს ემპირიულ მასალას და ზოგი ეპიზოდი ტაქტ მარტივი გამოუდის. ეს მით უფრო დასანანია, რომ ამ მოთხრობაში ასეთი ნატურალისტური შეფერილობისაა ის ადგილი, სადაც ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს, ნანას გულწრფელად სურს ახსნას თავისი ლტოლვა მოთხრობის გმირისადმი და ამით გამოაშკარავოს ამ ლტოლვის „უსაფუძვლობა“ თუ უმიზნობა.

მოთხრობაში ორი ქართველი პალეონთოლოგი ბაზალეთის ტბის მიდამოებში გათხრებს აწარმოებს. მთავარი გმირი, გიგი ახალგაზრდა სტუდენტი — პალეონთოლოგია და სწორედ ამ გათხრებზე გაიცნობს მისივე ასაკის ქალი-

შვილს, ნანას. მათი მეგობრობა-დაახლოება გვირგვინდება ბაზალეთის ტბაზე რომანტიკული გასეირნებით. სწორედ აქ მომწიფდება იმგვარი ვითარება, როდესაც ორივე მზადაა გაარკვიოს მათ შორის შექმნილი დამოკიდებულება და ბოლომდე გულწრფელად სთქვას თავისი სათქმელი. გათხრებზე ნანა ხშირად ხვდებოდა გიგის, სიამოვნებდა მასთან ერთად ყოფნა, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ნანას დიდი ხანია სხვა უყვარს.

„— ნანა, შენ რაღაცამ დაგაღლინა. — ვეღარ აიტანა დუმილი გიგამ.

— მართალი ხარ... — თქვა ნანამ.

— რა მოგივიდა?

— მეც არ ვიცი, რა მომივიდა. — მღელვარება უშლიდა ლაპარაკს. — რაღაც ეგვეცა საერთოდ, ან აქ რატომ მოგყვები ხოლმე! არ ვიცი... არაფერი არ ვიცი! ეს ჩემდაუნებურად მოხდა“.

ამის შემდეგ ნანა მთელი პირდაპირობით ეუბნება გიგის, რომ ის, ვინც მას უყვარს, ახლა პამირზეა. სურათი ნათელი ხდება და ამ პატარა დრამის გმირებიც ერთმანეთს შორდებიან.

მართლაც, რატომ ხვდებოდნენ ნანა და გიგი, უფრო სწორად, რატომ მოდიოდა ნანა და მიჰყვებოდა გიგის ახლო-მახლო ადგილებში სასეირნოდ? ჰქონდა თუ არა ამ შეხვედრებს „ქალური თვალთმაქცობის“ ეერი, ანდა მიზანი? რა თქმა უნდა, არა. ნანა არ ცდილობს თავი შეაყვაროს გიგის, ანდა გაიჩინოს კიდევ ერთი „თაყვანისმცემელი“, თუმცა არც გაურბის მასთან ურთიერთობას. საკითხი აშკარაა: ნანას უმძიმს თავის ნამდვილ სატრფოსთან დროებით დაშორება და ეს სიშორე თუ მისკენ შინაგანი ლტოლვა სურს მისდაუნებურად „აანალიზაროს“. ერთგვარად დაუახლოვდება კეთილშობილებით აღსავსე ახალგაზრდა პალეონთოლოგს, რომელიც მოსწონს კიდეც (ფსიქოლოგიურად გიგი თავისებური რომანტიკული „ერუსციაა“ ნანას სატრფოსი). მაგრამ დგება გადამწყვეტი მომენტი და ნანა არ კარგავს ნებისყოფასა და თავმოყვარეობას.

ეს მეტად საინტერესო ფსიქოლოგიური მიგნება დავით ჯავახიშვილის, რომგორც მწერლის, მხატვრული მიღწევაა. ეს მით უფრო გასახარია, რომ ამგვარი მოტივი თუ თემა ჩვენი ლიტერატურისათვის არც თუ მთლად ნაცნობი და დამუშავებული სფეროა. მაგრამ უნდა აღენიშნოთ, რომ სწორედ ამ საკულმინაციო მომენტში ავტორი საკმაოდ „ძუნწი“ აღმოჩნდა, რათა მთელი სისავსით წარმოედგინა როგორც ახალგაზრდა ქალის, ისე ვაჟის შეგნების ზნეობრივი შეძვრა თუ ფაქიზი ფსიქოლოგიური განცდები. ყველაზე რთულად გადასაწყვეტი სურათი მოთხრობაში ყველაზე მარტივად, ორიოდე ფაქტორის მიშველეიებით მთავრდება. თუ მოთხრობაში ეს ყველაზე დრამატული მომენტია, ავტორს მართებდა ფსიქოლოგიურად საინტერესო სცენა მეტი სირთულით დამუშავებინა, ფსიქოლოგიური მოტივაცია გაეფრმავებინა და მკითხველი ფაქტის წინაშე „ერთი ხელის დაკვრით“ არ დაეყენებინა.

ყურადღებას იმსახურებს გურამ დოჩანაშვილის მოთხრობა „მთის გადაღმა“. ავტორი ლიტერატურული განვითარების იმ ეტაპზეა, როდესაც გამოსახულებითი ხერხებიდან ძირითადად სტილიზაციას ეყრდნობიან. ამიტომ სერიოზული, გაშლილი ეპიკური თხრობის დასაუფლებლად შემდეგში მას დიდი და ხანგრძლივი მუშაობა მოუხდება.

გასულ წელს კიდევ ბევრი საინტერესო ნაწარმოები დაიბეჭდა, ყველა მათგანს ჩვენ ამ წერილში არ შევხებივართ, ზემოთ განხილულ ნაწარმოებებზე კი ჩვენი შენიშვნები ამით ამოიწურება.

გურამ კანკავა
ლიტერატურული შენიშვნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი ბაქრაძე

რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო

კარგა ხანია, რაც ქართული წიგნის ბაზარზე ლადო მრელაშვილის რომანი „ყაბახი“ (გამომცემლობა „ნაკადული“, 1964 წელი) გამოჩნდა, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ჯერჯერობით იგი ლიტერატურული კრიტიკის მსჯელობის საგნად არ ქცეულა. შეიძლება ამის მიზეზი რომანს დართული ანოტაციაც იყოს: „წინამდებარე წიგნი წარმოადგენს რომანის პირველ ნაწილს“. ალბათ ზოგიერთმა ამის გამო ნაადრევად მიიჩნია „ყაბახზე“ მსჯელობა, მაგრამ პირველი ნაწილი მაინც ჩამოყალიბებული ნაწარმოებია და თავისუფლად შეიძლება გარკვეული აზრის შემუშავებაცა და ავტორთან პოლემიკაც.

როგორც ცნობილია, ყოველგვარი პოლემიკა ერთდროულად სასიამოვნოც არის და უსიამოვნოც. და რადგან ვფიქრობ, რომ „ყაბახის“ გამო ავტორთან გამართული პოლემიკით გამოწვეული სიამოვნებაცა და უსიამოვნებაც საინტერესოა, გადავწყვიტე გულახდილად გავუზიარო მკითხველს ის ფიქრები, რომელიც რომანის კითხვისას დამებადა. მე ამ წერილში არ განვიხილავ ნაწარმოების მხატვრულ, ენობრივ ან სტილისტურ თავისებურებებს, შევეხები მხოლოდ რომანში წამოჭრილი პრობლემის ერთ მხარეს — გმირთა ხასიათების განვითარებასა და ზოგიერთ პერსონაჟთა ურთიერთობას.

ავტორის პერსონაჟებისადმი დამოკიდებულებას თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება ისინი ორ ჯგუფად დავყოთ. პირველ ჯგუფში მოიყრიან თავს შავლეგო, რევაზი, რუსუდანი და რაიკომის მესამე მდივანი თეიმურაზი. მეორე ჯგუფში — რაიკომის პირველი მდივანი ლუარსაბი, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო, ყოფილი თავმჯდომარე თედო და სხვა პერსონაჟებიც. გამფლანგველები და ქურდებაცაცები—საწყობის გამგე ლეო, სასადილოს გამგე სიმონი — კუპრაჯან წოდებული, ნასპეკულანტარი ვახტანგი და ა. შ. ამ ჯგუფთა წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან და ქმნიან უარყოფით და დადებით პოლუსებს.

რაიკომის მესამე მდივანს პირველთან აქვს კონფლიქტი

რევაზი ნიკოს „ებრძვის“ (სიტყვა წინწკლებში იმიტომ ჩავსვით, რომ მათ შორის უფრო შინაურული დაეაა, ვიდრე პრინციპული ბრძოლა, თუმცა

ავტორს სურს დაგვარწმუნოს, რომ რევაზს ეს დავა დაპატიმრებადაც კი დაუჯდაო).

ხანდახან რუსუდანიც ედავება ნიკოს. სხვათა შორის აქვე უნდა ითქვას, რომ ერთი შეხედვით თითქოსდა საერთო პოზიციისა, რუსუდანი რევაზის მოკავშირე არ ხდება. პირიქით, რევაზი და რუსუდანი ისე ჰყავს ავტორს ერთმანეთისაგან დაშორებული, რომ ისინი თითქოს არც კი არიან ერთი სოფლის მკვიდრნი, ერთი კოლმეურნეობის წევრნი, ერთ საქმეს არ ემსახურებიან და ერთი საზოგადოებრივი ცხოვრებით არ ცხოვრობენ.

შავლეგო კი საერთოდ ყოველგვარი უარყოფითი მოვლენის მტერია და ზოგჯერ ეს ოლიათივით ყოველთვის იქ გამოჩნდება, სადაც სიკეთის გამოქმაგებაა აუცილებელი.

რაც შეეხება წვრილ გამფლანგველებს, ბრაკონიერებს, ან ქურდაცაცებს, რომანის პირველ ნაწილში ისინი არც არავის ებრძვიან და არც მათ ებრძვის ვინმე (ცხადია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შავლეგოს მიერ ზოგიერთის გალახვას).

ახლა კვალდაკვალ მივყვეთ დაპირისპირებულ წყვილთა თავგადასავალს და გასაგები გახდება, თუ როგორ აგებს ავტორი რომანის კონფლიქტებს.

„ყაბახის“ 143—157 გვერდებზე აღწერილია რაიკომის ბიუროს სხდომა, რომელზეც რაიონული მილიციის მუშაობის საკითხი უნდა განიხილონ. რაიკომის პირველი მდივნის ლუარსაბის გადაწყვეტილება, რომელიც რატომღაც ბიურომ ერთხმად მიიღო, გახდა პირველი და მესამე მდივნების პაექრობის საგანი. როგორც თანდათანობით ირკვევა, ლუარსაბი თუმცა მომზრეა, რომ მილიციის უფროსის უდანაშაულო მოადგილე ჯაშიაშვილი დაისაჯოს, ხოლო მილიციის დამნაშავე უფროსი ღალანაშვილი დაუსჯელი დარჩეს.

რომანში მოთხრობილი ამ კონკრეტული ფაქტის გაანალიზებისას ბუნებრივად დაისმის კითხვა — რა ამოძრავებს პირველ მდივანს, რატომ ცდილობს დაფაროს აშკარა დამნაშავე და დასაჯოს უდანაშაულო? ყოველი ადამიანის მოქმედება — საქციელი გაპირობებულია ან ობიექტური, ან სუბიექტური მიზეზით. გარდა ამისა, ხელისუფალი აშკარა უკანონობას ვერ მოიმოქმედებს, თუ არ არსებობს ამის გამამართლებელი გარეგანი ან შინაგანი ფაქტორები. სხვანაირად ლუარსაბის გადაწყვეტილება მოკლებულია კეთილგონიერებას. მართალია, რომანის ავტორი მესამე მდივნის თეიმურაზის რეპლიკით ქარაგმულად მიუთითებს, რომ ღალანაშვილს ვიღაც მფარველი ჰყავსო, რომლისაც თურმე პირველ მდივანსაც კი ერიდება, მაგრამ ეს ქარაგმა ზემოთ დასმულ კითხვას მაინც ვერ ახსნის, რადგან მეეხუთველისათვის სრულიად უცნობია, თუ ვინ არის მილიციის უფროსის მფარველი და რა დამოკიდებულება აქვს მასთან ლუარსაბს. ამის ცოდნა აუცილებელია პირველი მდივნის საქციელის დასაჯერებლად და თეიმურაზისა და ლუარსაბის ხასიათთა განსასხვავებლადაც. რისიც კი ვისაც პირველ მდივანს ეშინია თუ ერიდება, იმისი არც ეშინია და არც ერიდება მესამე მდივანს. მაგრამ ერთის უპირნაკობა რომ შეფასდეს, ამისთვის აუცილებელია ნათლად წარმოვიდგინოთ ის, რის წინაშეც ლუარსაბმა უკან დაიხია და თეიმურაზმა კი არა. დიდი ფიქრი არ სჭირდება ელემენტარული დასკვნის გაკეთებას — ვინც უდანაშაულო კაცის დასჯას და დამნაშავის გამართლებას მოითხოვს — ცუდი კაცია; ხოლო, ვინც დამნაშავეს ებრძვის და უდანაშაულს ექომაგება — კარგი კაცი. ასე იოლად დაპირისპირა ავტორმა რაიკომის ორი ხელმძღვანელი მუშაკი და შექმნა მათ შორის კონფლიქტი. ამ დაპირისპირებისა და კონფლიქტისათვის მეტი დამაჯერებლობა რომ მიეცა, ლ. მრელაშვილმა რომანის 388—392 გვერდებზე კიდევ ერთი საი-

---

აკაკი ბაქრაძე

რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო

ლუსტრაციო ფაქტი მიაწოდა მკითხველს.

რაიკომის პირველმა მდივანმა დააპატიმრებინა გოშაძის ბიჭი, რომელიც მისი აზრით ხულიგანი და მძარცველი. მესამე მდივანთან კამათში კვლავ ირკვევა, რომ გოშაძის ბიჭი უდანაშაულო, წესიერი და კეთილშობილი ყმაწვილი ყოფილა. პირველი მდივანი იძულებულია გაანთავისუფლოს იგი და თავიი შეცდომა აღიაროს: ამ ფაქტის ანალიზის დროსაც ბუნებრივად დაისმის კითხვა: ის, რაც ეგზომ ნათელი და იოლი გასაგები იყო მესამე მდივნისათვის, რატომ აღმოჩნდა ბნელით მოცული პირველი მდივნისთვის? აქაც ავტორი ამჯობინებს კონფლიქტი ბურუსში გახვიოს და ხელოვნურად გაართულოს. შეიძლებმა კაცმა იფიქროს, რომ ლ. მრელაშვილი ლუარსაბის სახით უყურადღებო, გულგრილი და თავნება ბიუროკრატის დახატვას ცდილობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ყველგან, როგორც კი ლუარსაბის კონკრეტული საქციელის ანალიზს შეუდგებით, პირველი მდივანი გონებასუსტ კაცად გამოიყურება. მისი მოქმედება მოკლებულია როგორც ლოგიკურ, ისე ემოციურ მოტივირებას. ამავე დროს ავტორი გვარწმუნებს, ლუარსაბი არაა გონებანაკლული კაცი. ამას ადასტურებენ მისი ფიქრები ოჯახზე, გლეხის მდგომარეობაზე, ან თუნდაც თავათ თეიმურაზის გამო (გვ. 498: **„თეიმურაზი? აი, ვინ უნდა ყოფილიყო ჩემი სიძე, რას ავაწყობდით!.. მტკიცე ხასიათის ჯელილია, შორს წავა მამაძალლი!“**).

ლუარსაბი გრძნობს (ყოველ შემთხვევაში ლ. მრელაშვილი ასე ხატავს) თეიმურაზის სიმართლეს. გარდა ამისა, ხედავს კიდეც, რომ მასთან კამათში ყოველთვის წაგებული გამოდის და მაინც აგრძელებს თავის მცდარ გზას. აი, ლუარსაბის ულოგიკობის კიდევ ერთი ილუსტრაცია. თეიმურაზი აღშფოთებული ლაპარაკობს კუპრაკაზე (გვ. 385) და ემუქრება კიდეც. თეიმურაზი აქაც მართალია. თითქოსდა მოსაღლოდნელია პირველი მდივნის აღელვებაც, მაგრამ იგი შემარიგებლურად ტონით აძლევს პასუხს მესამე მდივანს: **„ეშმაკსაც წაუღია კუპრაკას თავტანი“** და საუბარი სხვა თემაზე გადაადგს. საკითხავია, კუპრაკასთან რაღა აქვს პირველ მდივანს მოსაარიდებელი? ან რატომ ცდილობს იგი ყოველგვარ ბოროტებაზე თვალი დახუჭოს? (**„ბარემ ასოოდენ დაგიბლავდება ენა და კალამი, სანამ მაგ კულტს მოსპობ“**, — უპასუხებს იგი თეიმურაზს, რომელიც მოიითხოვს მხოლოდ ანგარებას. გვ. 386-387). რით არის გამოწეველი ლუარსაბის ეს ოდენ ინერტულობა, შემარიგებლობა-შეგუება? უფრო მეტიც, თვითონ რატომ მიდის ყოველთვის აშკარა დანაშაულზე? ბოლოს და ბოლოს იგი თავისთავის მტერიც ხომ არ არის? ჯერჯერობით, პირველი წიგნის მიხედვით, ძნელია პასუხი გასცეთ წამოუჭრილ კითხვებს და ლუარსაბი რჩება რებუსად, რომლის ამოსახსნელადაც წინაპირობები არ არსებობს.

პერსონაჟის მოქმედების ულოგიკობით ხასიათის მრავალფეროვნება არ იქმნება. თუ ლ. მრელაშვილი ფიქრობდა ლუარსაბის სახით მერყეები და წინააღმდეგობებით სავსე ხასიათი დაეხატა, მაშინ აუცილებელი იყო როგორც რაიკომის პირველი მდივნის პირადი თვისებების გამოკვეთა, ისე იმ სოციალური სინამდვილის სურათის შექმნაც, სადაც სიკეთისათვის მებრძოლი წაგებული გამოდის. მაშინ შეიძლებოდა მკითხველი დარწმუნებულიყო, რომ ლუარსაბი ბოროტებასთან ბრძოლაში გაჭაღარავდა, მაგრამ სასუფევლ შედეგს ვერ მიაღწია და ახლა ფარხმალდაყრილს ყველაფრისადმი შეგუების პოლიტიკა აურჩევია. სამწუხაროდ, რომანში არაა დახატული არც ერთი უარყოფითი მოვლენა, რომლის გადაწყვეტაც რაიკომის მდივანს არ შეეძლოს. ამდენად ლუარსაბის პესიმისტური ტონი უფრო კოკეტობაა, ვიდრე რეალური სინამდვილით ნაკარნახევი განწყობილება. ამიტომაც ვუსაყვედუ-

რებთ ავტორს ლუარსაბის გარშემო შექმნილი ატმოსფეროს ხელოვნურობასა და სიყალბეს.

კიდევ ერთი მომენტით არის საინტერესო რაიკომის ბიუროს ერთხელ უკვე მოხსენებული სხდომა. როგორც ითქვა, პირველმა მდივანმა უდანაშაულო ჯაშიაშვილის დასჯა მოითხოვა, ხოლო დამნაშავე ღალანაშვილი დაუსჯელი დატოვა. აქ საინტერესო ის არის, რომ რაიკომის მეორე და მესამე მდივნებმა იციან, რომ ჯაშიაშვილი უდანაშაულოა და ღალანაშვილი დამნაშავეა, მაგრამ რატომღაც ბიუროს სხდომაზე ორივემ პირში წყალი ჩაიგუბა და გაჩუმდა. მხოლოდ ბიუროს დამთავრების შემდეგ წაილუღლუღა მეორე მდივანმა — **„მე მგონია, ლუარსაბ სოლომონის, რაიონიდან მილიციის უფროსი უნდა წასულიყო“** (გვ. 152). მაგრამ ეს შენიშვნა არც არავის გაუგონია და არც არავის მოუქცევია მისთვის ყურადღება, თავათ მეორე მდივნის პროტესტი კი ამ გაუბედავი რეპლიკით ამოწურა. უფრო მეტი აქტიურობა მესამე მდივანმა გამოიჩინა, მაგრამ მხოლოდ ბიუროს სხდომის დამთავრების შემდეგ, მაშინ, როცა ლუარსაბი და თეიმურაზი მარტონი დარჩნენ. რატომ არ მოახსენეს ბიუროს თავისი აზრი მესამე და მეორე მდივნებმა? რატომ ამჯობინეს გაჩუმება და ამით ხელი შეუწყვეს, ბიუროს მცდარი გადაწყვეტილება მიეღო? აკი ღრმად არის დარწმუნებული მესამე მდივანი, რომ ჯაშიაშვილი მართალია, ხოლო ღალანაშვილი მტყუანი? საქმე ისაა, რომ ბიუროს სხდომა ავტორს გაახრებული აქვს როგორც უბრალო ილუსტრაცია ლუარსაბისა და თეიმურაზის დასახასიათებლად და არა როგორც რომანის სიუჟეტური ქარგის ორგანული ნაწილი, რომლის განვითარებაც გარკვეულ ამბავს შექმნის და რითაც რაიონის ყოფის სურათი დაიხატება. ამიტომაც ლ. მრელაშვილი არ ცდილობს ბიუროზე მეორე და მესამე მდივნების საქციელის მოტივირებას. ავტორი არც ბიუროზე წამოჭრილ საკონფლიქტო საკითხების განვითარება-დამუშავებას ცდილობს. თუმცა დაპირებით გვპირდება თეიმურაზის პირით: **„ვერც იმას შეხლებთ, რაიონში ვიყო და იქ რაიმე უკუღმართობა ხდებოდეს. ღალანაშვილი წავა თელავიდან და არა ჯაშიაშვილი!“** (გვ. 155). მაგრამ შემდგომ მთელი რომანის მანძილზე არცერთხელ არც ავტორი და ცხადია, არც ლუარსაბი და თეიმურაზი, მიუხედავად მრავალგზისი კამათისა სხვადასხვა საკითხზე, ბიუროზე წამოჭრილ პრობლემებს აღარ შეხებიან და მკითხველმა არ იცის, როგორ განვითარდა კონფლიქტი, როგორ დასრულდა იგი ან დასრულდა თუ არა იგი საერთოდ. შეიძლება ავტორმა გვითხრას — ამ თემას რომანის მეორე ნაწილში მივუბრუნდებიო, მაგრამ ბიუროზე წამოჭრილი საკითხები მეტისმეტად რთული და საყურადღებო იყო და მათთვის გულგრილად გვერდის ავლა არც რაიკომის მდივანს ეპატიება და არც მწერალს. საქმე ისაა, რომ რაიონში, სადაც შეიძლება მილიციამ უდანაშაულო კაცი დაეპატიმროს, სცემოს და ნეკნებიც ჩაულეწოს, უნებართვოდ და უსაბუთოდ მოქალაქის ოჯახში შეიჭრას და ჩხრეკა მოაწყოს და სხვა ამგვარი დანაშაული ჩაიდინოს, ზედმეტია ლაპარაკი რაიმე **კანონიერებაზე.** ასეთ პირობებში სასაცილოდ ეღერს თეიმურაზის განცხადებაც: **„ვერც იმას შეხლებთ, რაიონში ვიყო და იქ რაიმე უკუღმართობა ხდებოდესო“.** იმაზე მეტი უკუღმართობა რაღა შეიძლება იყოს, რაც თავათ ლ. მრელაშვილს აქვს აღწერილი და რაც თავათ თეიმურაზმაც იცის? ის, რაც ბიუროზე ილაპარაკეს, უკვე ერთი დიდი მოთხრობის თემა არის. კონფლიქტის სირთულეს და მრავალპლანიანობას ფაქტების სიმრავლე კი არ ქმნის, არამედ ფაქტის მხატვრული ანალიზის სიღრმე-სიფართოვე, გარდა ამისა, ხელოვნება და მწერლობა ფაქტის აღნუსხვა-დასახელება კი არაა,

---

აკაკი ბაქრაძე

არამედ ფაქტისადმი (მოვლენისადმი) მკითხველის ემოციური დამოკიდებულების შექმნა. მკითხველი კი ბიუროზე მოხსენიებული ამბების მიმართ გულგრილი რჩება, რადგან ლ. მრელაშვილი ფაქტის აღნუსხვის იქით აღარ მიდის.

საერთოდ, რაიკომის მდივნებთან დაკავშირებული სიუჟეტური ხაზი რომანის პირველ ნაწილში ცალკე არსებობს და ორგანული კავშირი არა აქვს რომანში მოთხრობილ ძირითად ამბებთან. ჭალისპირის კოლმეურნეობა თავისი **ცხოვრებით** ცხოვრობს და მისი მდგომარეობით რაიკომში არ დაინტერესებულან, არც ჭალისპირელებს სჭირდებათ რაიონული ხელმძღვანელობა. მათ შორის არც უთანხმოებაა და არც თანხმობა. რა თქმა უნდა, მდგომარეობის არ ცვლის თედო ბრიგადირის ლუარსაბთან მისვლა და ენის მიტანა, ან რაიკომის ინსტრუქტორის ვარდენის ჭალისპირში ყოფნა. ჯერ ერთი, თედოს ენატანობას არავითარი შედეგი არ მოყოლია. აღნუსხული ფაქტი, რომ რაიკომის მდივანს ენა მიუტანეს, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, ამაზე არაფერი ნათქვამი: დაიჯერა თუ არა ლუარსაბმა მოტანილი ამბავი, მიაქცია თუ არა ყურადღება, ისარგებლა თუ არა ამ ამბით. ყველაფერი ეს გაურკვეველია. აქაც საქციელი პერსონაჟის ბუნების საჩვენებლად არის გამოყენებული, მაგრამ იგი არ არის გადაქცეული ისეთ მოქმედებად, რომელიც განვითარდება, გამოიწვევს კონტრმოქმედებას, რაღაცას ახსნის და გარკვეულ შედეგს გამოიღებს. მეორეც, ვარდენი ჭალისპირში პირადი საქმის მოსაგვარებლად იმყოფება და არა რაიმე საზოგადო საქმის გასაკეთებლად. იგი ცდილობს აგრონომი რუსუდანი მოხიბლოს და შეაცდინოს. ამ განზრახვაში ხელი შავლეგომ შეუშალა. მაგრამ ჭყანტობში რუსუდანის, ვარდენისა და შავლეგოს შეტაკებაც დამთავრდა და მკითხველმა არ იცის, გააგრძელებს თუ არა ვარდენი ბრძოლას რუსუდანის დასაუფლებლად, გადაუხდის თუ არა შავლეგოს სამგიეროს, ჰყავს ვარდენის სანდო რუსუდანსა და შავლეგოს მტერი თუ იგი შემთხვევითი გამვლელი კაცი იყო, გაიარა და წავიდა? თუ მთელი ისტორია ავტორს იმისათვის დასჭირდა, რომ რუსუდანისა და შავლეგოს პირველი შეხვედრა განსაკუთრებულ პირობებში აღეწერა და თან შავლეგოს ვაჟკაცობა ეჩვენებინა? ეს საკითხებიც ბუნდოვანი და გაურკვეველია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკი სიტყვა მოიტანა და შავლეგოს ვახსენეთ, მოდით უფრო ახლო გავეცნოთ ამ პერსონაჟს. შავლეგო ახალგაზრდა კაცია. იგი, ავტორის თქმით, განათლებული პიროვნებაა, რომელიც მეცნიერული მოღვაწეობისათვის ემზადება ფილოლოგია-ფოლკლორისტიკის დარგში. მაგრამ რომანის პირველი ნაწილის ბიხდვით ყველა ზემოთქმული მხოლოდ დეკლარაციული განცხადებაა. ამ განცხადებას მხატვრულ სისხლსა და ხორცს ვერ ანაჭებს ავტორის ერთადერთი ფრაზა: **„შავლეგო პატარა ოთახში შევიდა, წიგნების თაროდან შანიძის „ხეკსურული პოეზია“ გადმოიღო, გადაშალა დანიშნულ ადგილზე და ახლოს მოდგმული ლამპა ვვერდზე ვასწია“** (გვ. 99) ინტელიგენტის თვისებები შავლეგოს არ ახასიათებს. ინტელიგენტობა უხერხულობას ან მომეტებულ ფიზიკურ სინაზეს როდი ნიშნავს. ასე რომ, როცა შავლეგოს არაინტელიგენტობაზე ვლაპარაკობთ, უპირველეს ყოვლისა იმას ვგულისხმობთ, რომ რომანში „შამრელაანთ თედოს ბიჭის“ ინტელექტუალურ ცხოვრებაზე არაფერია ნათქვამი. ინტელიგენტობა კი უსათუოდ გულისხმობს აზროვნების უნარს და გონების პრიმატს. სამწუხაროდ ეს აკლია შავლეგოს. მისი „დისკუსიები“ ექიმთან არ სცილდება ზერელე ჭეშმარიტებების დონეს. არ ჩანს კაცი, რომელმაც ცხოვრება შეისწავლა, გააანალიზა, თავისი სიმართლე იპოვა და ახლა სხვასთან კამათში საკუთარი დასკვნებია და ფიქრების სისწორეს ამოწმებს. თუ მკითხველი დააკვირდება შავლეგოს სენტენციებს, ადვილად მიხვდება, რა-

გონებრივი სიმდიდრის მატარებელიც არის იგი.

„ავადმყოფობა საერთო გვაქვს, მაგრამ აზრი სხვადასხვა“ (გვ. 74).

„ხალხი ახლა ნებას არ მისცემს არავის, კვლავ მოაწყოს მსოფლიო სასაკლაო“ (გვ. 75).

„ჩვენი საზღვარი ყოველთვის ხსნილია მათთვის, ვინც იბრძვის თავისუფლებისათვის, მსოფლიოს ყველა დევნილი აქეთ მოილტვის“ (გვ. 494).

„სულერთია, უბრძოლველად მშვიდობა არ იქნება, ხოლო უიდეოდ — ადამიანი“ (გვ. 484).

„ჩვენ ძალით არავის არ ვახვევთ ჩვენს იდეებს“ (გვ. 485).

ასეთი ჭეშმარიტებების ქადაგება, ცხადია, ვერ აღძრავენ ინტერესს პერსონაჟის ინტელექტის მიმართ და შავლეგოც ვერ გახდება მოაზროვნე კაცი. საქმეს არც პირნენის, იბერიისა და კავკასიის იბერიის შესახებ ლაპარაკი შველის (გვ. 292-293), რადგან აქაც ექიმი და შავლეგო ისტორიის სახელმძღვანელოში აღნიშნული ელემენტარული ცნობებით კმაყოფილდებიან. როცა რომაწში ამა თუ იმ მეცნიერული საკითხის შესახებ ვალაპარაკებთ პერსონაჟებს, მაშინ სახელმძღვანელოებში ამოკითხული დებულებით არ უნდა განვისაზღვროთ, მწერალს საკუთარი დასკვნებიც უნდა მოეპოვებოდეს. მაშინ იქნება პერსონაჟების ე. წ. ინტელექტუალური საუბარი მკითხველისათვის საინტერესო და საყურადღებო.

ექიმი და შავლეგო სხვადასხვა თაობის ადამიანები არიან. მათ ბევრი საერთოც შეიძლება ჰქონდეთ და ბევრი სადავოც. ყოველი ახალი თაობა წინა თაობასთან შედარებით კაცობრიობის განვითარების გზაზე ერთ ნაბიჯს დგამს წინ. ეს ისტორიის კანონიც არის და მისი ოპტიმიზმიც. ამიტომ შავლეგოსა და ექიმის საუბარში ზოგად „თეორიულ მასლაათს“ კი არ უნდა ეთმობოდეს პირველი ადგილი, არამედ სოფლის კონკრეტული ცხოვრების ანალიზს. სოფელია მათი მოქმედების ასპარეზი და მათი გონიერებაც აქ სჭირდება ხალხს. ახალგაზრდასა და ხანდახმულს ერთად შეეძლოთ ეპოვნათ სოფლის ჭირ-ვარამის სამკურნალო წამალი და მაშინ მკითხველისათვის ნათელი გახდებოდა, რა მისცა ერთს ან მეორეს განათლებამ და მდიდარმა ბიოგრაფიამ, სამწუხაროდ, პირველ წიგნში ავტორს ეს მხედველობიდან გამორჩა.

საერთოდ კი ავტორი შავლეგოს მომეტებული ყურადღებით ექცევა. მკითხველის ინტერესი რომ გააცხოველოს ამ პერსონაჟისადმი, რომანის დასაწყისში ავტორი შავლეგოს პიროვნებას ერთობ საიდუმლო სამოსელით მოსავს.

„ვიღაც წამოდგა და ხალის შვიდაირი ტალღა გაარღვია“ (გვ. 5).

„ვიღაც ორი ნახტომით მისწვდა ცხენს ლაგამში და მძლავრად მოზიდა“ (გვ. 9)

„...ვიღაცის რკინის ხელმა ასწია ზევით, მოაშორა ორთვალას“ (გვ. 25).

„ვიღაცის უზარმაზარი ზურგი ჩაფლული ორთვალის ქვეშ დაიმალა“ (გვ. 25).

და ეს „ვიღაც“ ყოველთვის შავლეგოა.

იგი უცნობი რჩება თითქმის ყოველთვის, როცა ვაქაცურად მოიქცევა, უცნობია მაშინაც, როცა სპეკულანტებს სცემს მოსკოვში (გვ. 206) და მაშინაც, როცა ბავშვობისას რუსუდანს გადაარჩენს ტყეში (გვ. 322). ლ. მრეულაშვილს შავლეგო ყოველთვის მოულოდნელად, იდუმალებით მოცული შემოჰყავს თხრობაში.

მიმდინარეობს ცხენოსანთა ასპარეზობა. გადარეულმა ცხენმა გამოუცდელი მხედარი გადმოაგდო. ახლა თვით ავტორს დავუგდოთ ყური (გვ. 9-10):

„თვალებზე ბინდგადაკრული და გაგიეებული ულაყი უზარმაზარი კამარებით პირდაპირ ხალხზე წავიდა.

შიშისაგან სახედაცრეცილი წინა რიგები აიშალა და უწესრიგოდ და მოურიდებლად მიაწყდა უკანებს.

გაჩნდა ხელისკვრა და ბღაუკი, სკამებსა და ერთიმეორის მხრებზე უბო-

---

აკაკი ბაქრაძე

რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო

დიშო გადალაჯვება, გინება და წივილი“.

ამ დროს „ვიღაც ორი ნახტომით მისწვდა ცხენს ლაგამში და მძლავრად მოზიდა.

იძალა ცხენმა და დამჭერიც თან გაიყოლია. მაგრამ თვალის დახამხამებაში უნაგირზე მოექცა უცნობი მხედარი და მოედანზე გაენთო ულაყი: ფაფარზე გადაწვა ზედმეჯდომი, ვეება და გრძელი მარჯვენა გაიწოდა, ცხვირზე მოავლო და ღონივრად მოსწია. სული შეუჯუბდა ნესტორდახურული ცხენს და კისერი მოღრიჟა. ახლა უფრო მაგრად მოსწია მხედარმა და კინაღამ კისერი მოამტვრია.

ტარაბუასავით დატრიალდა გადარეული ცხენი“.

შემდეგ მხედარმა ძირსდაგდებული მშვილი აიღო, ლატანზე დადებული ბურთიც ჩამოაგდო. ამით მაყურებელს აღტაცებაც მოჰგვარა და მხურვალე ტაშიც დაიმსახურა. მერე კი „აღტაცებულ მაყურებელთა გალავანი გაიარა, წაქცეულ მესერს დადაბიჯა და ბაღში დაიკარგა“.

სეირთოდ, მთელ რომანში აშკარად შეიმჩნევა, რომ შავლეგოს სახის ხატვისას ლ. მრელაშვილს ერთი მანერა (უმეტესად რაინდული რომანისათვის დამახასიათებელი) აქვს არჩეული, ხოლო დანარჩენ პერსონაჟებისათვის კი მეორე — ყოფითი ხასიათის რომანიდან მომდინარე. ამისი დამადასტურებელია ისიც, რომ შავლეგოს სოფელში გამოჩენა საერთო გაკვირვებას და შეშფოთების საგანიც კი გახდა.

„მძიმედ დაიხარა ზაქრო და ყრუდ იკითხა:

— ვინ არის, ილო პაპავ?

— შავლეგოა, შამრელაანთ თედოს უმცროსი ბიჭი.

— შავლეგოო? — გააგრძელა ბიჭმა და ელდანაკრავივით ნეკერჩხლის გრილ ტანს მიეყუდა“ (გვ. 69).

რატომ, რა მოხდა? სოფელში დაბრუნდა ფილოლოგი კაცი, მშვიდი და წყნარი პროფესიის ინტელიგენტი. რატომ შეშფოთდა ზაქრო? ხომ შეუძლებელია წინასწარ სცოდნოდა ზაქროს, რომ რუსუდანი შავლეგოს შეიყვარებდა და მას უარს ეტყოდა? ასეთი ეჭვიანობის ერთადერთი მიზეზი ავტორის ფენებული სურვილია: რაც არ უნდა დაუჯდეს, მკითხველი დაარწმუნოს, რომ შავლეგო განსაკუთრებული პიროვნებაა.

ასე შეშფოთებული მისჩერებია რუსუდანიც შავლეგოს:

„— ვინ არის ეს ახალგაზრდა, ძია ნიკო? — მოჭანცულად იკითხა ქალმა, როცა გარეთ გასული უცნობის მძიმე ნაბიჯების ქვეშ აჭრიალებული კიბე მიეყუჩდა.

— აქაურია. შენ რა დაგემართა?

ქალი უცებ წამოდგა სკამიდან.

— აქაური? როგორ თუ აქაური?

— ჰო, აქაური. ნინოს მაზლია.

— ნინოს მაზლია? ეგ არის ნინოს მაზლი?

— ჰო, ეგ არი, რა მოხდა მერე?

აგრონომი ისევ სკამზე დაეშვა“ (გვ. 127).

რუსუდანის ამ ძრწოლვის ახსნა არ შეიძლება ჭყანტობში შავლეგოსა და აგრონომის პირველი შეხვედრით. იქ პატიოსანმა მამაკაცმა პატიოსანი ქალი დაიცვა მოძალადისაგან. ეაქის ამ საქციელს ბუნებრივად ქალი მადლიერების გრძნობით უნდა განეცადა და არა შიშითა და ძრწოლვით. მაგრამ ერთხელ უკვე ვთქვით და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ ავტორს სურვილი აქვს შამრელაანთ თედოს ბიჭი ხალხს შიშის ზარს სცემდეს. აბა, ნახეთ, როგორ უყურებს შავლეგოს რაიკომის საალრიცხვო სექტორის გამგე: „კაცმა უცებ, თითქოს ლითუურგიული ძილისაგან ფხიზლდებაო, მძიმე-მძიმედ აახამხამა თვალები. გაფართოებული გუგებით მიაჩერდა შემოსულს. შუბლის ნაოჭები რამდენჯერმე შეკრიბა და გაშალა. სახე რაღაც შინაგანი ტკივილისაგან დაემანჭა და თითქოს ქვევიდან დომკრატივით ეწევიანო, ნელ-ნელა წამოდგა სკამიდან. „დალახვროს ეშმაკმა, თითქოს სადღაც ერთხელ უკვე უნახავს ეს სიშინელი ღიმილი!..“ (გვ. 514).

ასეთ შთაბეჭდილებას მეფისტოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ახდენდა ადამიანებზე, მაგრამ ლ. მრეულაშვილმა უჩვეულო გმირის დახატვა მოიწადინა და ძალ-ღონესაც აღარ იშურებს, რომ თავისი სურვილი მატვრულ ფაქტად აქციოს. მაგრამ ყოველივე ამის გამო შავლეგრო თანდათანობით სცილდება ჩვენს წარმოდგენას თანამედროვე ადამიანზე და უფრო ზღაპრულ, ოჩოფეხებზე შემდგარ გოლიათს ემსგავსება.

სიკეთისა და სიმართლის გასამარჯვებლად შავლეგოს ბრძოლაც არა ჰგავს თანამედროვე ადამიანის მოქმედებას. იგი უფრო არსენა მარაბდელს ჰბაძავს, ვიდრე ჩვენი ეპოქის პარტიულ ინტელიგენტს.

საწყობის გამგე ლეო ხორცს ჰყიდის, მაგრამ თაღლითობს და მეფიდველებს ატყუებს. ამ დროს ლეოსთვის მოულოდნელად შავლეგო გამოჩნდება, ვაჭრობაში ჩაერევა, ხელებს დაიკაპიწებს და ლეოს მიერ გადამალულ საუკეთესო ნაჭრებს ხალხს დაურიგებს. გაოგნებული საწყობის გამგე იძულებულია შავლეგოს აპყეს. ოტაცებული ხალხი შავლეგოს ლოცავს („შენ გაიხარე, შვილო, და გაუმრავლდი შენ პატრონს", გვ. 335). ამ ეპიზოდის წაკითხვისას არ შეიძლება არსენა ოძელაშვილი არ მოაგონდეს მკითხველს და არა მარტო მკითხველს. თავათ რომანის პერსონაჟებსაც მარაბდელი გმირის საქციელი ახსენდებათ: „დადგა არსენასავით და ყველას თანაბრად გაუნაწილა კარგიცა და უვარგისიც" (გვ. 359). ასოციაციები შემთხვევითი არაა. შავლეგომ თუ ვინმეს სცემა, აუცილებლად ოთხი-ხუთი კაცი უნდა გალახოს. ასე მოხდა მოსკოვში, როცა სპეკულანტებს სცემა (გვ. 205-206) და ასევე მოხდა ჭალისპირშიც, როცა ბრაკონიერებს ცხვირ-პირი დაამტვრია (გვ. 295-298).

სიკეთისათვის ბრძოლის შავლეგოსეულ მეთოდებზე შეიძლებოდა ასე დაწვრილებით არ გველაპარაკა, რომ ავტორს „შამრელაანთ თედოს ბიჭის" წინაშე დიდი და სერიოზული ამოცანა არ დაესვა — შავლეგომ უნდა შეიცნოს, გაიგოს, აწონ-დაწონოს, თუ რა ხდება ჭალისპირში, ებრძოლოს ავს, ბოროტსა და ცუდისმქნელს, დაიბრუნოს ქალაქ ფელში სიმართლე და სიკეთე. ეს რომ ასეა, ამაში შავლეგოს ფიქრები გვარწმუნებენ: „როგორ გამოცვლილა ჭალისპირი, როგორ გადასხვაფერებულა. ნუთუ უეცრად მოხდა ეს ცვლილება?.. რატომ უცქერის ზიზღით ბევრ რამეს და რატომ ჩაუქნევია ახალგაზრდობას ხელი ბევრ რამეზე? სად წავიდა ის ამაყი, პირდაპირი, გულმართალი და გამრჯე თაობა, რომლითაც თავი ასე მოჰქონდა ჭალისპირის?.. რას აკეთებს ახლა ახალგაზრდობა?.. რა მიზნები და ვინ წარმართავს მათ მოქმედებას? ვინ პატრონობს და ხელმძღვანელობს მათ ამ მერყეე ასაკში? თითქოს მზრუნველი ხელი არსად არა ჩანს და თვითდინებაზეა მიშვებული მათი ძალა და ფანტაზია... ახალგაზრდობა კი აშენებულს ამტვრევს, ანგრევს და ქვას უშენს... არა, სადღაც რაღაცაა გაფუმებული, სადღაც რაღაცაა მოშლილი, სადღაც რაღაცაა საჭირო, ჭარი რომ არ უბერავდეს, ტოტიც არ გადაიხრებოდა" (გვ. 262-263). შავლეგომ ყველა ამ კითხვას პასუხი უნდა გასცეს, ნაკლის გამოსწორების გზა მონახოს და მერე ცვლილებათა განსახორციელებლად იბრძოლოს.

შეუძლია კი მერე შავლეგოს ამ ამოცანის გადაწყვეტა? არის იგი ესოდენ დიდი პოტენციის მქონე მხატვრული სახე? მკითხველს აქვს უფლება დაეჭვდეს ან კითხვას უარყოფითად უპასუხოს, რადგან რომანის პირველ ნაწილში მას (მკითხველს) ფიზიკური ძალის მეტი შავლეგოს სხვა თვისება ლოგიკურად და ემოციურად დამაჯერებლად დახატული არ უნახავს. მარტო ფიზიკური ძალა კი შავლეგოს მიერ დასახული ამოცანის გადასაწყვეტად არამცდაარამც არ გამოდგება.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა იოლად აქვს წარმოდგენილი ავტორს (და, ცხადია, მასთან ერთად მის პერსონაჟ-

საც) ზოგიერთი რთული პრობლემის გადაწყვეტა, განვიხილოთ ერთი საკითხი.

რომანში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ახალგაზრდობაზე. თუმცა ახალგაზრდობა ტოვებს სოფელს (გვ. 18, 212), გაურბის სამუშაოს, მცონარობს, ლოთობს, ფუჭ გართობასა და ლაზღანდარობაში ატარებს დროს (გვ. 91, 79-81, 227-228 და სხვ.). გამოდის, რომ მთელ თაობას რაღაცაზე გული გაუტყდა, საქმეს, აქტიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ზურგი შეაქცია და ყველაფერი ნორმალურის და ადამიანური მიმართ ცინიკური დამოკიდებულება გაუჩნდა. როცა ერთი კაცი იქცევა ასე, შეიძლება მისი საქციელი და მდგომარეობა სუბიექტური მიზეზებით ახსნა. მაგრამ, როცა ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ცხოვრობს ასეთი ცხოვრებით, მაშინ სუბიექტურ მიზეზებზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ უსათუოდ ობიექტური მიზეზები უნდა მოქმედებდნენ. რომანში ჭალისპირელი ახალგაზრდების უმრავლესობა სწორედ პასიურია, გამოთიშული სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობასა და ცხოვრებას. ავტორი მოვალე იყო შაქრია-ჩასაბერისა და მისი კომპანიის უმოქმედობისა და მცონარობის ობიექტური მიზეზები ეთქვა, რათა მკითხველს არა მარტო უარყოფითი მოვლენის გარეგნული მხარე დაენახა, არამედ მის არსსაც ჩასწვდომოდა, მაგრამ რატომ უნდა ეძებოს ლ. მრელაშვილმა მოვლენის ობიექტური მიზეზები, როცა თურმე ახალგაზრდობის უსაქმურობას ძალიან ოოლად მოეკლება. ამისათვის საკმარისი ყოფილა მათთვის ფეხბურთელის ფორმის მიცემა. მიიღეს თუ თუ არა ფორმა, „ჩასაბერი“ და მისი ძმაბიჭები საოცრად საქმიანი და ენერგიული გახდნენ.

ოცნების, იდეალის, მისწრაფებათა გარეშე ახალგაზრდა კაცი წარმოუდგენელია (ცხადია, იგულისხმება ნორმალური ადამიანები და არა გონებანაკლულნი). ოცნება-იდეალის მასშტაბურობა და შინაარსი განასხვავებთ ადამიანებს ერთმანეთისაგან, თორემ უიდეალოდ ცხოვრება შეუძლებელია (ლუარსაბ თათქარიძესაც აქვს „ოდესღა ილი“ — რა ჭამოს ხვალ!). რა სურვილები, მისწრაფებები და იდეალები აქვთ შაქრია-ჩასაბერსა და მის ამხანაგებს? ამისი დადგენა აუცილებელია, რომ მკითხველმა იცოდეს — მათი უსაქმურობა თანამედროვე ობლომოვშჩინაა, ახლებური თათქარიძეობაა თუ პასიური პროტესტი? დიახ, პროტესტიც, რადგან ზოგჯერ საქმის უარყოფა, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ხელის აღება არსებული სინამდვილის წინააღმდეგ მიმართული პროტესტია. მაგრამ, სამწუხაროდ, რომანის მიხედვით, ძნელია დაადგინოთ და წარმოიდგინოთ — ვინ არიან ჭალისპირელი ახალგაზრდები, რას წარმოადგენენ ისინი, რა უნდათ მათ, რა სურვილები ვერ დაიკმაყოფილეს, რა ოცნებები ვერ განახორციელეს, რა უშლის ხელს მათ მისწრაფებათა ხორცშესხმას.

ნუთუ ფეხბურთის ფორმა ან კლუბის აშენება უშველის საქმეს? ასე რომ იყოს, იქ, სადაც ფეხბურთის ფორმა და კლუბი აქვთ, ერთ უსაქმურ კაცსაც ვერ უნდა შევხვდეთ.

იქნება ლ. მრელაშვილს კონკრეტული შემთხვევა აქვს აღებული და აქ არავითარი განზოგადოება არ იგულისხმება: კონკრეტული შემთხვევის თვალსაზრისითაც შეიძლება ამ ფაქტის განხილვა და აქაც ავტორი მართალი არ აღმოჩნდება. საქმე ისაა, რომ შაქრია-ჩასაბერი მარტო უწყინარი უქნარა კი არ არის, იგი ქურდია.

ავტორი რომანის 197-204 გვერდებზე შემდეგ ამბავს მოგვითხრობს:

ჭალისპირიდან რიიოწში „ზაგოტზერნოში“ ჩასაბარებლად შოფერ ლექსოს, მტვირთავებს — დათასა და შოთას მანქანით ხორბალი მიაქვთ. გზად მათ შაქრია-ჩასაბერი, ნოდარი და სოსო შეხვდებიან. ბიჭები შოფერს შეეხვეწებიან — გვიჩქარება და მანქანით წაგვიყვანეო. შოფერის წინააღმდეგობის მიუხედავად, შაქრია, სოსო და ნოდარი მაინც დასხდებიან მანქანაზე. „ჩასაბერი“ შოფერს პურ-მარილსაც შე-

პირდება. დანაპირით გახარებული ლექსო მანქანას დასძრავს. მართლაც, გზად სასადილოს წინ შეჩერდებიან და ჩარია-ჩასაბერის რჩევით, ლექსო მანქანას გზიდანაც გადაიყვანს და ხეებში მიმალავს — აქაო და ავტოინსპექტორმა არ შეამჩნიოსო. როგორც კი სასადილოში ბიჭები სუფრას შემოუსხდნენ, შაქრია-ჩასაბერი ოფიციანტთან მივიდა და ტომარა გამოართვა. მერე კი სადღაც გაქრა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნებულმა თავი იმართლა — იმიტომ დამაგვიანდა, რომ სანამ მზარეულს მწვადი ჩემს გემოზე არ შეეფუფქვინე, არ მოვეშვიო. ბიჭებმა ზორბად იქეიფეს. მერე კი რაიონში გასწიეს. სადგურთან „ჩასაბერი“, ნოდარი და სოსო მანქანიდან ჩამოხტნენ, დანარჩენებს გამოეშვიდობნენ და თავისი გზით გასწიეს. ლექსომ კი მანქანა „ზაგოტზერნოში“ მოიყვანა. მაგრამ როცა იქ ხორბალი აწონეს, 63 კილო აკლდა. გაოგნებული ლექსო, დათა და შოთა ვერ მიმხვდარან რა მოხდა, რატომ დააკლდა ხორბალი. მაგრამ ის, რასაც ღვინით გამომტყვარალი ლექსო, დათა და შოთა ვერ მიხვდნენ, კარგად გაიგო მკითხველმა — ერთი ტომარა ხორბალი შაქრია-ჩასაბერმა მოიპარა. და მოიპარა შეგნებულად, წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით.

განა შეიძლება ქურდის სიკეთის გზაზე დაყენება ფეიზბურთის ფორმის მეცემით? ეს არც თუ ისე დამაჯერებელია.

ერთი სიტყვით, როგორც ვხედავთ, შავლეგო არა მარტო მოგლეწათა არსს უნდა ჩაწვდეს, მან ადამიანებთან დაესაბლოვებელი ფსიქოლოგიურად სწორი გზაც უნდა გამონახოს. ზემოთ მოტანილი ფაქტი იმის საბუთია, რომ ჯერჯერობით (ვგულისხმობთ, რომ რომანის მეორე ნაწილში შეიძლება საქმე სხვანირად წარიმართოს) შავლეგომ ვერც მოგლეწათა არსი ახსნა და ვერც სწორი გზა გამონახა.

შავლეგომ კიდევ ერთი დიდი ხარჯნელე უნდა გადალახოს. მოსალოდნელია, რომ აქტიური მოქმედების დაწყებისას მას ახალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკო. მართალია, რომანის პირველ ნაწილში შავლეგო და ნიკო მხოლოდ ზვერავენ ერთმანეთს, მაგრამ რომანის ექსპოზიცია გვაფიქრებინებს, რომ მომავალში ისინი აუცილებლად დადგებიან ერთმანეთის პირისპირ, როგორც მტრები. ამის საბუთად პირველი ნაწილის ფინალიც გამოდგება, მკითხველისთვის ცხადია, რომ რევაზის დაპატიმრება ნიკოს მოწყობილი საქმეა, ხოლო შავლეგო ამ უსამართლო აქტის წინააღმდეგ საბრძოლველად შეიმართა. რომანის საერთო, უკვე აშკარად გამოკვეთილი ტენდენციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათელია, რომ გამარჯვება შავლეგოს დარჩება. მაგრამ იქნება კი ეს ფსიქოლოგიურად და ემოციურად მართალი და დამაჯერებელი? წინასწარი დასკვნების გაკეთება ძნელია, თუმცა ერთი რამ ახლავე უნდა ითქვას: რომანის პირველი ნაწილის შავლეგო, ნიკოსთან შედარებით, ძალზე გამოუცდელ, გულუბრყვილო, უნიათო და ერთპლანიან სახედ გამოიყურება.

ავტორს კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცოცხლად და კოლორატულად ჰყავს დახატული. იგი რომანში ყველაზე უფრო საინტერესო კაცია ხასიათით, ჭკუით, ძალით და მოხერხებულობით. ერთი სიტყვით, ამ სახეში ადამიანის ბუნება არაა წარმოდგენილი ერთი პლანით, ნიკოს შეუძლია ისეთი იყოს, როგორც ამას შექმნილი მდგომარეობა უკარნახებს.

ამ გონიერ და ღონიერ კაცს რომანში სამი პიროვნება უპირისპირდება: შავლეგო, რევაზი და რუსუდანი. ამ სამიდან პირველ ნაწილში ყველაზე აქტიურად ნიკოს რევაზი ებრძვის. სხვათა შორის, აქვე უნდა ითქვას, რომ სამივე პერსონაჟს ნიკოსადმი დამოკიდებულების თავთავიანი ხაზი აქვთ. სადავო კი ბევრია: ახალგაზრდობის უსაქმურობისა თუ შრომადღეების დაკლე-

---

აკაკი ბაქრაძე
რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო

ბის საკითხი, მექანიზაციის მოუგვარებლობა თუ სნერგგების განადგურება, უკანონო გადასახადებისა თუ კერძომესაკუთრული ინტერესების გამოვლენის წინააღმდეგ ბრძოლა და ასე შემდეგ. სოფლის გასაჭირს სამივე ხედავს, მაგრამ სამივე ინდივიდუალური პოზიციიდან იბრძვის. ისინი არც ერთმანეთთან და არც ხალხთან დაკავშირებას არ ფიქრობენ. საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს სოფლის კეთილდღეობისათვის ბრძოლა ყველას საერთო საქმე კი არ იყოს, არამედ რევაზის, რუსუდანის ან შავლეგოს ინდივიდუალური ამოცანა. პერსონაჟთა ურთიერთდამოკიდებულება პარალელიზმის პრინციპით ვითარდება და ჯერჯერობით ერთმანეთს არსად არ ჰკვეთს: შავლეგო-ნიკო, რევაზი-ნიკო, რუსუდანი-ნიკო პარალელური სიუჟეტური წყვილებია, რომელიც ჯერჯერობით რომანის ერთ საერთო სიუჟეტურ ამბავში ვერ მოექცა. ამ პარალელური წყვილებიდან შეიძლებოდა ნიკო-რევაზის ხაზი გამოგვეყო, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, რევაზი ყველაზე აქტიურად ებრძვის თავმჯდომარეს და ამასთანავე იგი ნიკოსთან პირადი ცხოვრებითაც არის დაკავშირებული: რევაზს ნიკოს ქალი თამარი უყვარს. ნიკო-რევაზის ურთიერთობასთან დაკავშირებით რომაწში ერთი უცნაური რამ ხდება: მათი ამა თუ იმ კონკრეტული ქამათის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლოგიკურად მართალი ყოველთვის რევაზია, მაგრამ ემოციურად არასოდეს არა ხართ მის მხარეზ. პირიქით, ემოციურად ნიკოს ემხრობით. ეს იმის ბრალია, რომ რევაზს, როგორც მხატვრულ სახეს, ინდივიდუალური მომხიბვლელობა და ეში აკლია. თუ შავლეგოს შესახებ ის მაინც ვიცით, რომ ფიზიკურად ღონიერია, რევაზი სრულიად უცნობია, მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ცდილობს მევენახე ბრიგადირის მუშაობასთან დაკავშირებული დეტალებიც კი გაგვაცნოს. მაგალითად, რევაზს დიდი, უხეში, დაშაშრული ხელები აქვს. რომლის „უთანაბრო ხაზებში შაბიამანი ჩამკვდარიყო ღია-ლურჯად“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანის პირველი წიგნი გვაუწყებს, რომ ლ. მოელაშვილს სტატიკური პორტრეტის ხატვა უფრო ემარჯვება, ვიდრე სახის მოძრაობა-განვითარებით წარმოდგენა. ალბათ ამისი ბრალია, რომ რომანში არც ამბის განვითარება ხდება და არც ხასიათებისა. ზაქროს უყვარს რუსუდანი, რუსუდანს არ უყვარს ვაჟი. მათ დამოკიდებულებაში 540 გვერდის მანძილზე არაფერი არ იცვლება. ნიკო და რუსუდანი მრავალი საკირბოროტო საკითხის გამო კამათობენ. არც აქ ხდება რაიმე ცვლილება: კამათობენ, მათი დამოკიდებულება კი მაინც იგივეა. რევაზი და ნიკო მტრები არიან. თამარი ერთის საყვარელია და მეორის შვილი. მაგრამ ამ მტრობას არაფერი შეუძლია შეცვალოს არც თამარის რევაზისადმი დამოკიდებულებაში და არც მამისადმი დამოკიდებულებაში. რევაზი და შავლეგო ერთი სოფლის მკვიდრნი არიან, ხანდახან დამოუკიდებლად ერთნაირი შეხედულებანიც აქვთ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ არც მათი ურთიერთობა იცვლება: არც დამეგობრდნენ და არც დაშორდნენ ერთმანეთს. რაიკომის პირველი მდივნისა და თემიურაზის ურთიერთდამოკიდებულებაში არ ხდება ცვლილება, კონფლიქტის ან გაღრმავება, ან შენელება. შალიკო, ლეო, ზაქრო, ვალერიანი, სერგო და ვარლამი განუწყვეტლივ ქეიფობენ და ბრაკონიერობენ. გინდა სცემე და გინდა არა—სულ ერთია: უდრტვინველად აგრძელებენ თავიანთ საქმეს. რომანის ერთერთმა პერსონაჟმა, სასადილოს გამგე სიმონ-კუპრაჯამ კარგად იცის, რა ავ საქმესაც სჩადის, მაგრამ ცხოვრების გზის შეცვლას არც ფიქრობს და ამას არც არავინ ურჩევს. პირიქით, კუპრაჯას თავისებური, შემოგებული „ფილოსოფია“ აქვს და ამ „ფილოსოფიას“ გულმშვიდად უზიარებს შავლეგოს რომანის 506—507 გვერდებზე. კუპრაჯა ღრმად არის დარწმუნებული, რომ ამქვეყნად არაფერი არ იცვლება და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითონაც დაუსჯელი იცხოვრებს. შაელეგოს სიტყვებს — „მე თუ ჭალისპირში დავრჩი, უეჭველად ვერ მოვრიგდებით“, — სასაღილოს გამგე მშვიდად პასუხობს: „— შენ კარგად იყავი და მე ნურა მეტკინება რა. ქვეყანა დიდია, საითაც ქარი დაუბერავს, მეც იქით წავალო“ (გვ. 508). თვითკმაყოფილება, უტიფრობა, დაუსჯელობის გრძნობა ამაზე შორს ვერ წავა. მაგრამ საკითხავია, რამ ჩაუნერგა ასეთი თვითდაჯერებულობა — „ყელამდე დასვრილ“ კაცს? (აკი თვითონვე ამბობს კუპრაჭა — „მე კი ყელამდე ვარ დასვრილი“. გვ. 509). რა სინამდვილე უნერგავს სიმონს რწმენას, რომ სადაც არ უნდა იყოს, თავის ბნელ საქმიანობას გაგრძელებს და დაუსჯელად იცხოვრებს? შეიძლება ერთი პასუხი გაიცეს: რომანში დახატული სინამდვილე, სოფელ ჭალისპირის ცხოვრება მთვლემარე და უძრავია. რაკი არავითარი ცვლილება არაა მოსალოდნელი, ცხადია, კუპრაჭა და მისთანები თვითდაჯერებულნი და კმაყოფილნი არიან. საერთოდ, ცხოვრება, რომელსაც განვითარების პერსპექტივა დაუკარგავს, თავისთავად ბადებს თათქარიძეებისა და სტაროსვეტსკელ მემამულეთა განწყობილებას და ცხოვრების ფორმას. და რამდენადაც ლ. მრელაშვილი ყოფის სტატიკურ სურათებს მსუყედ და კოლორიტულად ხატავს, იმდენად იზრდება უმოძრაობის შთაბეჭდილება-განწყობილება.

ეს განსაკუთრებით ნათლად იგრძნობა ქეიფებისა და ჭამა-სმის ამსახველ სურათებში (გვ. 26-28, 32, 58-59, 157-160, 171, 201-203, 234-240, 288-370). ამ სურათებს ავტორი მომეტებულად ლაზათიანად ხატავს. სწორედ აქ იჩენენ რომანის პერსონაჟები გარგანტუასა და პანტაგრუელის მადასა და უნარს. „რაკი ერთბაშად ვერ მოიკლა ყანწზით წყურვილი, ზაქრომ კასრი მოითხოვა და თანამესუფრეებმაც დიდი ზარ-ზეიმით მიაწოდეს. ოცდახუთლიტრიანი კასრი ორივე ხელით ჩაბღუჯა და იმათი სადღეგრძელო ასწია, ვისი გულიც გულთან იყოს, უყვარდეს და აქ არ იყოს“. ზაქრომ ღვინო შეგვიანებლად და „მეთევზეებმა ვაშას ღრიალით შესასხეს ქება თანამესუფრეს“ (გვ. 171-172). ოღონდ ღვინო სვან და ალის დაგიდევენ: არც მოტყუებას, არც სხვისი უბედურებით სარგებლობას და არც თვალთმაქცობას. განა ასე არ შეიპარნენ საბედას მარაწში პაპა ილო-ხატილეწია, მონადირე კაკო, მღვდელი ვანკა და მოჭიდავე ზაქრო? ქვრივისა და მარტოხელა ქალის ღვინით გამოტყვრნენ და შინ მხიარული სიმღერით დაბრუნდნენ. შოფერი ლექსო პურმარილისთვის მზად არის მანქანაც მიატოვოს და ხორბალიც. „ეს იქნება?—ყანყრატაზე წკიპურტი მიირტყა. — აბა, უმაგისოდ რა მადლი ექნება პურის ჭამას, — გაიოცა ზაქრომ. ლექსო ეცა მანქანას. აამუშავა და ჩაადგა სიჩქარეში“ (გვ. 200). კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნიკოს სჯერა, რომ ღვინო ღმერთზე უფრო ძლიერია (გვ. 288). მაგალითების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია რომანის პერსონაჟებში თათქარიძის კომპლექსის არსებობის დასადასტურებლად. და ისიც ცხადია, რომ საზოგადოება, რომელიც ქეიფსა და პურ-მარილზე ასეა თავდადებული, თავის წაიდიან ვერ გარიყავს სასადილოს გამგეს. აქედან მოდის მისი თვითდაჯერებაც და ცინიკური გულახდილობაც, რასაც იგი ჯერ კორესპონდენტთან საუბარში იჩენს და მერე შაელეგოსთან.

რა გრიგალმა უნდა შეარყიოს და შეესცვალოს ჭალისპირელთა ცხოვრება? ამაზე ალბათ რომანის მეორე ნაწილი გვიპასუხებს. ჯერჯჯეობითი კი შაელეგოს, რევაზის ან რუსუდანის მიერ აქრილებული წყნარი ნიავი ჭალისპირის საზოგადოებრივ ცხოვრებას არაფრით არ ცვლის.

ლადო მრელაშვილს შესწევს უნარი უაღრესად კოლორიტულად დახატოს თავისი გმირების სამოქმედო არე, გა-

---

აკაკი ბაქრაძე

რამდენიმე სიტყვა „ყაბახის“ გამო

რემო და ყოფის სურათები. თუ რომაწში წამოჭრილ ბევრ საკითხზე ნაწარმოები ჯერ კიდევ ვერ პასუხობს, ალბათ იმის გამო, რომ ლადო მრელაშვილის „ყაბახის“ პირველი წიგნი ფაქტიურად ექსპოზიციაა, მაგრამ ასეთი ვრცელი ექსპოზიცია ხასიათების უფრო ღრმად გახსნას მოითხოვდა. გმირთა ხასიათები, მათი ურთიერთობა და დამოკიდებულება ჯერ კიდევ სტატიკურია, მათ აკლია მოქმედებაში განვითარება. ყოველივე ეს — გმირთა ხასიათებისა და ურთიერთობის ევოლუცია ჩვენ რომანის გაგრძელებაში უნდა წავიკითხოთ.

ამ წერილში კი ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ რომანის პრობლემატურ მხარეზე, რადგან იგი დიდი პასუხისმგებლობით დამუშავებას საჭიროებს. რაც რომანის პირველ ნაწილში ჯერ-ჯერობით მხოლოდ მინიშნებულია ან იგულისხმება, ის შემდგომ მხატვრულად უნდა განხორციელდეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ემზარ კვიტაიშვილი

ბლოკი ქართულად

ამ რამდენიმე წლის წინათ გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებამ“ ქართულ ენაზე გამოსცა ბლოკის ლექსები, თარგმნილი რევაზ თვარაძის მიერ. მთარგმნელს დიდი გულმოდგინებით შეურჩევია და ჩვეული ოსტატობით უთარგმნია ბლოკის პოეზიის საეტაპო ნაწარმოებები, რითაც ჩვენს მკითხველს დიდი რუსი პოეტის შემოქმედებაზე ნათელ წარმოდგენას უქმნის.

როგორც ცნობილია, რუსი სიმბოლისტებიდან მხოლოდ ვალერი ბრიუსოვმა და ალექსანდრ ბლოკმა მიიღეს ოქტომბრის რევოლუცია. მხოლოდ მათ შეაქციეს ზურგი დაობლებულ, ძველ სამყაროს, პოეტის უტყუარი ალღოთი იგრძნეს მისი ნგრევა და კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაინახეს.

XX საუკუნის რუსულ პოეზიას განსაკუთრებული ამაგი დასდო ბლოკმა. ძველად მოიძებნება სხვა პოეტი, ვისაც ასე მძაფრად და დრამატულად გადმოეცეს ეპოქის სულისკვეთება. ბლოკმა შემოქმედების უაღრესად რთული გზა განვლო, ვიდრე იგი ნამდვილი სახალხო პოეტი გახდებოდა და მთელი ერის სახელით ალაპარაკდებოდა („კულიკოვოს ველზე“, „სკვითები“), მანამდე მის ლირიკას უკიდურესად ინდივიდუალისტური ელფერი დაჰკრავდა.

ისეთი მართალი შემოქმედი, როგორიც ბლოკი იყო, გულგრილი ვერ დარჩებოდა მისი თანამედროვე მძელვარე ეპოქის მიმართ. მის შემოქმედებაში უნდა ასახულიყო და კიდეც აისახა ის დიდი ისტორიული პროცესები და გარდატეხა, რისი მოწმეც პოეტი გახდა. ბლოკმა ადრევე იგრძნო სახალხო რევოლუციის მოახლოებული ქარტეხილი. მიხვდა, რომ ახალი საუკუნის, ახალი ენებების ადამიანი მონობის ხუნდის დასამსხვრევად, მანამდე არნახული მომავლის გამოსაჭედად ემზადებოდა.

Что ж человек? — За ревом стали,
В огне, в пороховом дыму,
Какие огненные дали
Открылись взору твоему?

ამ ცეცხლოვანი სტრიქონების ავტორმა კარგად იცოდა, რა ჰორიზონტებიც ესახებოდა თავისუფლებას მოწყურებული ადამიანის თვალს.

როგორც სამშობლოს ღვიძლი შვილი, პოეტი თავის ბედსა თუ უბედობას მთლიანად რუსეთს უკავშირებდა. მისი დიდი მასწავლებლის პუშკინის მსგავსად, ბლოკი ისწრაფოდა პოეზიაში აესახა რუსეთის ისტორიული გზა, განეკვრიტა მისი უახლოესი და შორეული მომავალი. ბლოკმა ბრწყინვალედ განა-

ვრძო და ეპოქის შესაბამისად განავითარა პუშკინის ტრადიციები. რუსი პოეტებიდან ყველაზე მეტ სულიერ ნათესაობას პუშკინთან სწორედ იგი ვრძნობდა. ეს სულიერი ნათესაობა და თაყვანისცემა ბლოკმა დიდი გზნებით გამოხატა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაწერილ ლექსში („Пушкинскому дому"), სადაც ჩვენ ვხედავთ, თუ რა უსაზღვრო სიყვარულითა და მოწიწებით უხრის თავს იგი გენიოს წინაპარს.

ახლა, როცა ორმოც წელიწადზე მეტია გასული ბლოკის გარდაცვალებიდან, რევოლუციის დაუვიწყარი და ცეცხლიანი წლების ფონზე განსაკუთრებით დიდებულად წარმოგვიდგება პოეზიის ამ ბრწყინვალე რაინდის სახე.

ბლოკის თარგმანს ჩვენში ადრევე მოჰკიდეს ხელი, მაგრამ ამ ცდებს იშვიათად თუ მოჰყოლია წარმატება. ერთი მხრივ მარცხის მიზეზი ცალკეულ მთარგმნელთა სისუსტე იყო, ხოლო მეორეს მხრივ ამას სხვა მიზეზიც ჰქონდა; ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ქართული ლექსი ჯერ კიდევ დახვეწა-განსალების პროცესს განიცდიდა.

ანდრეი ბელი 1909 წელს წერდა: „ყველაზე ნაკლებად ბოდლერზე შეიძლება ითქვას, რომ ის და მისი ლირიკის ფორმა ერთია. ამიტომაც ბოდლერის თარგმნა შეუძლებელია ან, ყოველ შემთხვევაში, შორეულ მომავალშია შესაძლებელი". ამით ა. ბელი ხაზს უსვამდა ამ სირთულეს, რაც სხვა ერის დიდი პოეტის რომელიმე ენაზე თარგმნასთან არის დაკავშირებული. ზემოთ მოყვანილი ბზრის სისწორეს ისიც ადასტურებს, რომ თარგმანის უდიდესი ტრადიციების მქონე რუსულ ლიტერატურას, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, დღემდე არ მოეპოვება ბოდლერის ლექსების სრულყოფილი თარგმანი.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართულ ენაზე გამოცემულ ამ პატარა კრებულში ბლოკის საეტაპო ნაწარმოებებია მოთავსებული. წიგნში რამდენიმე ადრინდელი ლექსია შეტანილი, მაგრამ ნაწარმოებთა უმეტესობა პოეტის შემოქმედების ბოლო პერიოდს გვწვევთან, როცა ბლოკმა ყველაზე მძლავრად გამოავლინა თავისი ნიჭი და სახე. კარგად შერჩეული მასალას თარგმნაც შესაფერისი ესაჭიროებოდა. რევაზ თვარაძემ ამ მთავარ სიძნელეს წარმატებით გაართვა თავი.

კრებული იხსნება რუსული პატრიოტული ლირიკის შედეგრით — „კულიკოვოს ველზე". ლექსების ამ რკალში ბლოკმა მხატვრული წარმოსახვის დიდი უნარით გააცოცხლა რუსეთის ისტორიის სისხლიანი დღეები, თვალწინ გადაგვიშალა რუსი ხალხის გმირული ბრძოლის სურათები თათრის ურდოებთან. „კულიკოვოს ველზე" მძაფრი რიტმითა და ენერგიით სავსე ნაწარმოებია. მისი სტროფონებიდან თითქოს ველზე გრიგალივით გაჭრილი ურაცხენების ჭიხვინი და აბჯარასხმული მეომრების ყიჟინა ჩაგვესმის. თუ რამდენად შესძლო მთარგმნელმა ავტორის ჩანაფიქრის, ნაწარმოების რიტმისა და განწყობილების გადმოტანა, ამას ეს ნაწყვეტი ნათელყოფს:

ყვითელ ფლატეებს უტლაშენებს მდინარე
მდორე,
მოდის, მოტბორვით მოედინები.
გაღმა მხარეზე, ტრამალებში, შორეთს და
შორეთს
დამწუხრებულან თვიის ზვინები.

რუსეთო ჩემო, სძალო ჩემო, ფარულ
ტკივილად
ჩვენ შეგვიგრძნია გზა შორეული,
გულს გაგიმარავს ეს გზა თათრულ ისრის
წივილით,
როგორც ისარი—გულსა ხეული.

გზა ტრამალების, უსასრულო სევდით
მზარალი,
რუსეთო ჩემო, შენი ხვედრია!
ჩამოდგეს ღამე — უცხოური და გამწარველი,
წყვდიადის მზერით რომ შეგხვედრია!

იყოს წყვდიადი! გავიჭრებით,
გავაჩირაღდნებთ
ტიალ ტრამალებს კოკინოთა ალით.
იელვებს ჩვენი წმინდა დროშა მიწის
პირამდე,
იელვებს დროშა და ხანის ხმალი.

და ბრძოლა მარად! ბრძოლა შმაგი და
სისხლიანი!

სიმშვიდე ჩვენთვის იქცა ზმანებად.
ტრამალ და ტრამალ ურაკვიცი მიჰკრის
ფრთიანი,

ტრამალ და ტრამალ მიეძანება.

რევაზ თვარაძე სიტყვასიტყვით არ მისდევს ტექსტს, მაგრამ არასოდეს არ კარგავს ნაწარმოების მთავარ აზრს, თითქმის ყოველთვის ახერხებს დედნის შესატყვისი ფორმისა და გამოთქმის მონახვას.

ზოგჯერ იგი სტრიქონთა თანმიმდევრობას ცვლის, მაგრამ ამით ნაწარმოებს არაფერი არ აკლდება. ზოგჯერ ერთი გამოთქმის ნაცვლად მეორეს ხმაროს, ვინაიდან ის, რაც რუსული ენისთვის ბუნებრივია, ქართულს არ უხდება. მაგალითად, თავისი სიყვარულით რომ გამოხატოს, ბლოკი რუსეთს ასე მიმართავს: „О, Русь моя! жена моя!“ ვფიქრობთ, სწორედ მოიქცა რევაზ თვარაძე, რომ ეს მიმართვა სიტყვასიტყვით არ გადმოიტანა და „ცოლის“ მაგივრად „სძალი“ იხმარა.

ამ და ზოგიერთ სხვა ლექსშიაც რევაზ თვარაძე მოზომილად, დიდი ტაქტით ურთავს ხელმე ჩვენი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე ქართველ პოეტთა ფრაზებს. ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზები ტექსტში ისე ორგანულად ზის, რომ თუ კარგად არ დააკვირდებით, შეიძლება ვერც კი შეამჩნიოთ. ეს მთარგმნელის ნაცადი და გამომდგარი ხერხია და მას იგი ყოველთვის ზომიერად იყენებს.

კრებულს ნამდვილად ამშვენებს ბლოკის ცნობილი ლექსის „შემოდგომის დღის“ თარგმანი. აქ სრულად და ნათლად გამოვლინდა რევაზ თვარაძის პოეტური კულტურა. „შემოდგომის დღე“ იმდენად ოსტატურად არის თარგმნილი, რომ ქართული ენაზე დაწერილი ეგონება კაცს. აი, ასე ლაღად იკითხება და ასეთი მუსიკალურია მთელი ლექსი:

ჩვენ გაეყვეთო მომკილ ყანას
გზა და ველი წინ არი,
მეგობარო, გიხმობს თანა
გული ჩემი ბინარი.

დღე მშვიდია შემოდგომის,
დღე მაღალი, კეკრავალი,
ისმის მხოლოდ ყორანთ. ტომის,
მოთქმა გასაკვირველი.

ძნებს აშრობენ, ღერობებით
ბოლი დაბლა ბრუნდება.
და ლაკვარში წერობები
გადამწყარიდნენ გუნდებად.

მიფრინავენ ირიბ რკალად,
მისტირიან არეთა...
ეგალს, სული დაიღალა
შემოდგომის ზარითა...

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ ამ თარგმანში გალაკტიონ ტაბიძის ზოგიერთი ლექსის ინტონაცია ისმის, მაგრამ ეს თარგმანის ღირსებაა და არა ნაკლი.

მთარგმნელის მხატვრულ ალღოსა და ოსტატობაზე მეტყველებს აგრეთვე ლექსები: „რუსეთი“, „სიზმრები“, „ქალაქის შფოთი დაუცხრომელი“ და სხვ. სხვებთან შედარებით მკრთალად გამოიყურება „უცნობი ბანოვანის“ თარგმანი.

განსაკუთრებულ დაძაბვას და დიდ სალექსო ტექნიკას მოითხოვდა მთარგმნელისაგან „თორმეტნის“ თარგმნა. რევაზ თვარაძემ ძალა და გამოცდილება არ დაიშურა, რომ მის მიერ შესრულებულს თარგმანებში ეს თარგმანი ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო; გარდა იმისა, რომ ზუსტად გადმოიღო ნაწარმოების ტონი, დედანს რიტმისა და მეტრის ნაირობაც შეუნარჩუნა. განსაკუთრებით ძნელი იყო ქალაქური ყარგონისა და დიალოგების გადმოტანა, რაც პოემაში უხვად არის. დიდი ექსპრესიით გადმოუცია მთარგმნელს ის მომენტი, როცა რევოლუციური სულისკვეთებით ანთებული ჯარისკაცები ქარბუქიანი ზამთრის ღამეში მტრის შესაფუსრად მიისწრაფიან:

...და ამ ფიქრით ეშურება
თორმეტივე შორეთს,
დაუნდობელ ბრძოლის მცნებას
გულში იმეორებს...

ემზარ კვიტაიშვილი
ბლოკი ქართულად

მიზანში ჰყავთ აღებული
უჩინარი მტერი...
ბნელ შუკებში მიმოდაჰკრის
მხოლოდ თოვლის მტვერი...

და დგას გროვად ნამქერები
თეთრად დანაფერი...

დასასრულ, კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ რევაზ თვარაძემ ზედმიწევნით კარგად იცის თანამედროვე ქართული ლექსი; გარდა ამისა, მუდამ შეუცდომლად ირჩევს სათარგმნ მასალას. სწორედ ამის გამოა, რომ მისი თარგმანები — პოეზია იქნება ეს თუ პროზა — ყოველთვის დიდი პროფესიონალიზმით, ოსტატობითა და ინდივიდუალობით გამოირჩევა.

ორიოდე სიტყვა წიგნის გაფორმებაზე. იგი ნიჭიერ მხატვარს თენგიზ სამსონაძეს ეკუთვნის, მიუხედავად ამისა, მეტად ძნელი გასარჩევია, თუ რა არის გამოსახული ყდაზე. ჩვენ არ გვინდა ამ ყდის ავტორს უგემოვნობა დავწამოთ, მაგრამ ბლოკის წიგნს ასეთი მხატვრობა ნამდვილად არ შეეფერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ეგანოიძე

მეცნიერი, მოღვაწე, პოეტი...

ცნობილ ქართველ მოღვაწეთა შორის სავსებით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გიორგი ნიკოლაძეს. იგი იყო ბრწყინვალე გეომეტრი, გამოჩენილი ინჟინერი-მეტალურგი, მაღალნიჭიერი გამომგონებელი, ჩინებული ტანმოვარჯიშე, უშიშარი მთამსვლელი, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (ტერმინები „ტანვარჯიში" და „მთამსვლელობაც" გიორგი ნიკოლაძემ შემოიღო).

ბევრი თქმულა და დაწერილა გიორგი ნიკოლაძეზე. მან წარუშლელი კვალი დატოვა მეცნიერებისა თუ საზოგადო მოღვაწეობის ყველა სფეროში, სადაც კი მუშაობა უხდებოდა. იგი მრავალმხრივი ინტერესებისა და გატაცების კაცი იყო და ძლიერი ნიჭისა და მტკიცე ხასიათის წყალობით ადვილად ახერხებდა ყოფილიყო ყველგან პირველი, ნოვატორი, წინამძღოლი და თავკაცი. როცა მის შემოქმედებას ეცნობი, გაოცებს მასშტაბების სიფართოვე, წამოჭრილი პრობლემების სიუხვე და მათი გადაწყვეტის მახვილგონიერება. პატარა წერილში შეუძლებელია უბრალო ჩამოთვლაც კი ყველა იმ საქმისა, რასაც გატაცებით ემსახურებოდა გიორგი ნიკოლაძე. აქ გვინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვა ვთქვათ მის დიდ სიყვარულზე ლიტერატურისადმი. იმ მცირე მასალის საფუძველზე, რომელიც ჩვენს ხელთ აღმოჩნდა, გვინდა ფართო მკითხველს გავაცნოთ მისი პიროვნების კიდევ ერთი, ნაკლებად ცნობილი მხარე.

დავიწყოთ იმით, რომ გიორგიმ ზეპირად იცოდა თითქმის მთელი „ვეფხისტყაოსანი". მშვენიერად იცნობდა შავთელსა და ჩახრუხაძეს, ძველ ქართულ ზღაპრებსა და თქმულებებს. გატაცებული იყო აღმოსავლური პოეზიით, განსაკუთრებით აფასებდა ქართულსა და ინდურს. რუსი მწერლებიდან უყვარდა პუშკინი, ლერმონტოვი და გოგოლი.

გიორგის სულიერ ცხოვრებაში დიდი ადგილი ეჭირა პოეზიას. ლექსი მისი განუყრელი თანამგზავრი იყო. გავარვარებულ ბრძმედებთან თუ გეომეტრიის პრობლემებზე გათენებულ ღამეებში, მიუვალ მწვერვალებზე თუ შორეულ საფრანგეთში, გიორგი ნიკოლაძე თავის ყოველდღიურ და მრავალმხრივ საინტერესო ცხოვრებას აფერადებდა და ავსებდა ლექსებით.

მოუსმინეთ სახელგანთქმულ რუს მეტალურგს, აწ განსვენებულ ი-

ბარდინს, ვისთანაც მხარდამხარ მუშაობდა გიორგი სამი წლის განმავლობაში დონბასის მეტალურგიულ ქარხნებში: „...რაც შეეხება ლექსების კითხვასა და თხზვას, მან ისე შეაჩინა ამას ჩვენი ახალგაზრდა კოლექტივის ზოგიერთი წევრი, რომ მისი წასვლის შემდეგ ჩვენ გამოვცემდით ქარხნის ჟურნალს, რომელშიც ვთავსებდით ლექსებს სხვადასხვა ყოველდღიურ თემაზე. გიორგის ლექსები ჩვენს ცხოვრებას ეხებოდა და ყველას ძალზე მოგვწონდა. ამ ლექსებში იყო შრომის პოეზიაც და იუმორიც, როცა ეს საჭირო იყო. ყველგან, სადაც მუშაობდა გიორგი, ირგვლივ ქმნიდა ისეთ ატმოსფეროს, რომელიც აკეთილშობილებდა ცხოვრებას და მეტ შინაარსსა და ფასს აძლევდა“ (აკადემიკოსი ი. პ. ბარდინი, მოგონებანი გ. ნ. ნიკოლაძეზე. ა. რაზმაძის სახელობის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. 15, 1947).

გიორგის შეხედულებანი მწერლობაზე საერთოდ და კერძოდ რომელიმე მწერალზე, საოცრად გონებამახვილური და ორიგინალურია. ამ მხრივ ფრიად საგულისხმოა, მაგალითად, შენიშვნები ცნობილ რუს პოეტ იგორ სევერიანინზე. ეი, რას სწერს გიორგი დონბასიდან დედას — ოლგა გურამიშვილს, ზედმიწევნით განათლებულ ქალს: **„სევერიანინი უკვე ზავიკითხე. მართალია, უმეტესი ლექსი პრანჭვით დაუწერია, მაგრამ ენა და ახალი სიტყვები**[1] **მე დიდად მომეწონა. ჩემის აზრით, იგორი მერთალს ამბობს, რომ სხვებთან შედარებით წინ წაუნიფია და რუსული ენა განუვითარებია. მაგრამ თუ პუშკინმა ხალხურს დაუახლოვა მწერლური ენა, სევერიანინმა კი დააშორა და ვინ იცის, რამდენი ხანი გაივლის, სანამ ხალხი შეითვისებს სევერიანინისეულ ენას. ერთიც საინტერესოა, რომ სევერიანინის ახალი სიტყვები და სიტყვების თხზვა ქართულს ემსგავსება. მეტადრე ბარათაშვილის ენას. მაგალითად, „одебренный овраг“ ბარათაშვილისას: „ზვიერთები მობიბინებენ, ჭალები ბუჩქნარეობენ“, ან „поэта путь осветозарь“ ბარათაშვილისას: „მგოსნისა შავ ბედს (მგოსნი ასეა) ესხივმფენარე“**[2] **და ბევრი სხვა. განსხვავება ის არის, რომ ქართულად ეს ხალხური გამოთქმა არის და რუსულად კი უმეტესი ამგვარი სიტყვები უცნაურად ჭრეენებიან კაცს. ოდესმე კი მოვა დრო და ამ სიტყვებს სალაპარაკო რუსული ენაც შეითვისებს“.**

ასე წერდა გიორგი 1913 წელს. ახლა ვნახოთ, რას ამბობს გამოჩენილი რუსი პოეტი, მთარგმნელი და მკვლევარი ვალერი ბრიუსოვი 1915 წელს დაწერილ სტატიაში «Игорь Северянин»: «Среди новых словообразований, введенных Игорем Северянином, есть несколько удачных, которые могут сохраниться в языке... Кое-какие права на звание новатора дают Игорю Северянину лишь его неологизмы» (В. Брюсов, Избранные сочинения, т. 2, 1955).

დაუკვირდით, რა ახლოს დგას ერთმანეთთან სრულიად ახალგაზრდა ინეინრისა და გამოჩენილი ლიტერატორის შეხედულებანი ი. სევერიანინის მიერ შემოტანილ ახალ სიტყვებზე და მათს მნიშვნელობაზე.

სხვათა შორის, გიორგის აზრი, რომ ი. სევერიანინს „უმეტესი ლექსი პრანჭვით დაუწერია,“ მართებულია და ადვილად გამოდის ვ. ბრიუსოვის იმავე სტატიიდან.

---

[1] 1910 წელს 22 წლის ჭაბუკი გიორგი შვიდ სხვა ტანმოვარჯიშესთან ერთად ბულგარეთში გაემგზავრა სჩეკნენელი გამოსცემებისათვის. ის განკეფრებული დარჩა იმ ყურადღებით და მზრუნველობით, რომლითაც ბულგარელები ეკიდებოდნენ მშობლიურ ენაზე საჭირო ტერმინებისა და ახალი სიტყვების შექმნას. აქედან იწყება ტერმინოლოგიით ჭ. ნიკოლაძის დაინტერესება.

[2] ხაზგასმა გიორგისაა. ნაწყვეტი ლექსიდან „თავადის ჭ... ძის ასულს, ეკ... ნას“ (1839): „მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე“ (ბარათაშვილი, თხზულებანი, 1954). მცირე უზუსტობანი („მობიბინებენ“, ნაცვლად „მოდღეფენებენ“-ისა და „მგოსნისა შავ ბედს“, ნაცვლად „მგოსნის ყარიბს გულს“), ეტყობა, ზეპირად ციტრების ბრალია (აკი თითონვე შენიშნავს, მგოსნი ასეა).

განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას ის ახდენს, რომ გიორგი ნ. ბარათაშვილის შემოქმედებიდან შესანიშნავ პარალელებს პოულობს და მათს ზუსტ შეფასებასაც იძლევა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი მუდამ იყო გიორგის უსაყვარლესი პოეტი. 1918 წელს დაწერილ ერთ კერძო წერილში ის ასე მიმართავს რუს კორესპონდენტ ქალს: „...**თქვენთვის უცხოა სულიერი სიმარტოვის შავი ტანჯვა და არ გესმით, რაოდენ ბედნიერი უნდა იყოთ ამის გამო. პოეტებს შორს არის ერთი, რომელმაც განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ეს გრძნობა და განსაკუთრებული ძალით გადაშალა ლექსებში; და ის, ქართველი თავადი ნიკოლოზ ბარათაშვილი, უდიდესი პოეტია ჩემს თვალში... აი მისი ლექსი „მერანი“, თარგმანში, რა თქმა უნდა, ძლიერ დაზიანებული...**“

მოგვაქვს პირველი ტაეპი „მერანის“ გიორგისეული თარგმანიდან. აქვე შევნიშნავთ, რომ ეს იყო „მერანის“ რუსულად თარგმნის ერთ-ერთი პირველი ცდა საერთოდ (რამდენადაც ვიცით, ეს თარგმანი გიორგის არ დაუსრულებია):

Летит и мчит меня пегас, в безумном
диком рвеньи;
Зловещий крик свой шлет в догонку
черный вран;
Лети, пегас, вперед, вперед лети полетом
беспредельным.
И бурю черных дум моих отдай ветрам...

1945 წელს ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 100 წლისთავზე თბილისს ჩამოვიდა გამოჩენილი რუსი პოეტი ბორის პასტერნაკი, რომელიც გიორგის უფროსი დის — პროფესორ რუსუდან ნიკოლაძის მეშვეობით გაეცნო „მერანის“ თარგმანს და აღტაცებული დარჩა.

„მერანის“ გარდა გიორგის გამორჩევით უყვარდა აკაკის „განთიადი“.

გიორგი უმეტესად რუსულად წერდა ლექსებს. ქართულად სულ ორი-სამი ლექსი თუ ექნება.

გიორგი იყო მგზნებარე პატრიოტი, თავის ქვეყანასა და ხალხზე თავდავიწყებით შეყვარებული, მისი ერთგული შვილი და მოქალაქე. რამდენჯერ მეგულებინა პირადი მისწრაფებანი და ინტერესები ამ მოვალეობის სამსხვერპლოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის ჭაბუკობიდანვე ყველაზე მეტად წმინდა მათემატიკა იტაცებდა და აინტერესებდა, მაგრამ მაინც პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შევიდა, რადგან თვლიდა, რომ მისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის უწინარესად ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია იყო საჭირო. ჯერ უნდა ტექნიკურ დარგს დავეუფლო და მხოლოდ მერე მეცნება უფლება განყენებულ მეცნიერებას მოვკიდო ხელიო, — ხშირად იმეორებდა თურმე გ. ნიკოლაძე.

1918 წელს, როცა ბათუმს საფრთხე ელოდა თურქეთის მხრიდან, გიორგიმ მიატოვა სამუშაო დონბასში და საქართველოსაკენ გამოეშურა, რომ ბაათუმის დასაცავად მოხალისედ წასულიყო!

გიორგის პოეტურ ბუნებაზე მეტყველებს მწვერვალებისაკენ მისი მძლავრი ლტოლვაც. გაგახსენებთ, 1923 წელს მყინვარწვერამ, ხოლო 1925 წელს იალბუზმა თავიანთ სიცოცხლეში პირველად დახარეს ზაღარა თავები საბჭოთა თმამსვლელების წინაშე და ორივე ამ ასვლას გიორგი ხელმძღვანელობდა. მაგრამ საქმე მარტო პოეტურ ბუნებაში როდი გახლავთ: გიორგი თმამსვლელობას უყურებდა, როგორც თავისი ქვეყნის ბუნებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების კომპლექსური შესწავლის საუკეთესო საშუალებას.

...1954 წლის ზაფხულში დასავლეთ პამირის შახდარის ქედზე დაპყრობილ მწვერვალებს შორის უმაღლესს (6200 მ) ქართველმა თმამსვლელებმა გიორგი ნიკოლაძის სახელი მიაკუთვნეს. მე სავსებით ვენდობი ჩვენი თმამსვლელების გემოვნებას და მწამს, რომ ეს მწვერვალიც გიორგი ნიკოლაძესავით დიდებული და პოეტური იქნება...

თამაზ ებანოიძე

მეცნიერი, მოღვაწე, პოეტი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოჯე ჯავრიშვილი



ნარკვევი

იყო მაისი. პატარძეულის განაპირას ჰყვაოდნენ სოსნები. ისინი მოსდებოდნენ მინდორს. შესეოდნენ ხის ძირებს, დაეფარათ მთელი არემარე. ღელავდა სოსნის ტბა. გურამი უყურებდა ბუნების ჯადოქრულ სილამაზეს ფართოდ გახელილი თვალებით, გაცინებული, გაბრწყინებული სახით. მერე მოსწყდა ადგილიდან და მინდვრის კიდისაკენ გაეშურა, თვალთან ფოტოაპარატი მიიტანა და სწრაფად, შეუჩერებლად, ზედიზედ იწყო გადაღება. ერთჯერ, ხუთჯერ, ათჯერ დაიტაცუნა აპარატმა. მერე ფირი გაუთავდა და მეორე აპარატს დასწვდა. ახლა სხვა მხრიდან დაურბინა მინდორს. ისევ ატაცუნდა აპარატი. მერე სოსნების ტალღებში შეიჭრა და ირგვლივ მოავლო ობიექტივის თვალი.

გზაზე გაჩერებული მანქანიდან ვუცქეროდით, თუ როგორ ხარბად და მოუსვენრად დაცურავდა გურამი სოსნების ზღვაში, როგორ იმარჯვებდა ფოტოაპარატს, და ჩვენ ორნი, არც თუ ისე ახალგაზრდები, შეგვიპყრო ამ ღელვამ, ღელვამ ადამიანისა, ვისაც უნდა ყოველივე კარგი და კეთილი სხვას გაუზიაროს, დაანახოს და აგრძნობინოს.

ისევ მაისია. ისევ ჰყვავიან პატარძეულის განაპირას მინდვრის სოსნები. ისინი მოსდებიან ველს, შესევიან ხის ძირებს...

მე ვდგავარ ცინკოგრაფიის საბეჭდ სამქროში და ვუყურებ, როგორ მოისწრაფიან მანქანებიდან მინდვრის სოსნებით დაფარული ქაღალდის ფურცლები. მე უკვე აღარ აღვიქვამ მათ ქაღალდის სოსნისფერ ფურცლებად — ჩემს თვალწინ ყვავილებს წაულეკია პატარძეულის მინდორი, სოსნები ღელავენ ქარის სულ მცირე წამობერვაზე და ცისფერხალათიანი ბიჭი მოწყურებულივით ეწაფება ბუნების ამ საოცრებას.

ისევ მაისია. ისევ ჰყვავიან სოსნები პატარძეულის განაპირას, მაგრამ ახლა მისი თვალით დანახული და ათასობით გამრავლებული, ისინი ჰყვავიან ყველა-საოვის, ვინც გადაშლის წიგნს „საქართველოს მთა და ბარი". აქ სხვა ფოტოსურათებს შორის არის ერთი სურათი. მას აწერია „გურამ თიკანაძე — სოსნები". იქნება თქვენც გადაფურცლოთ ეს წიგნი, შეხედოთ ამ სურათს და შეშოგანათოთ მაისის იმ დილამ, პატარძეულის სოსნებით მოფენილ ველზე რომ მოაჯადოვა გურამ თიკანაძე.

*

„მხედველობა უხილავის განცხადებაა".

ანაქსაგორე

დიდი ხანია ფოტოპარატმა დაპკარგა ის თვისება, გამოგონების პირველ ხანებში რომ მიაწერდნენ მას. ახლა უკვე იგი გულცივად აღარ იმეორებს დანახულს, ადამიანმა შეიცნო ობტიკის კანონები და ფოტოპარატი მისი შემოქმედებითი ფანტაზიის თანაზიარი გახადა.

ფოტოპარატი ურთულეს ობტიკურ იარაღად იქცა და ადამიანმა სამყაროს მხატვრული ასახვის ძლიერი და მნიშვნელოვანი ტექნიკური საშუალება შეიძინა. თანამედროვე ფოტოპარატების ობტიკური შესაძლებლობანი მეტად დიდია, მაგრამ ადამიანის უნარს ვერც ერთი აპარატი ვერ მიაღწევს, რადგანაც მას შეუძლია გააანალიზოს, შეაფასოს დანახული და სათანადო კორექტივი შეიტანოს მასში. ადამიანის მხედველობითი ანალიზი სრულყოფილია, იგი თვისობრივად განსხვავდება ყველაზე სრულყოფილი ობტიკისაგან. კარგი მხედველობის ადამიანზე იტყვიან: „ეს წიგნი თვალი აქვსო", მაგრამ ეს მხოლოდ რაოდენობითი შეფასებაა. ფრიდრიხ ენგელსი წერდა: „არწივი გაცილებით უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ ადამიანის თვალი არჩევს საგნებში გაცილებით მეტს, ვიდრე არწივის თვალი". ფოტოპარატი „ხედავს" იმას, რასაც ადამიანი მოისურვებს, ასახავს და გადმოსცემს, რაც მხოლოდ ადამიანს შეუძლია განიცადოს, ასახოს და სხვას განაცდევინოს.

ჩვეულებრივ ამბობენ: „ფოტოპარატის ობიექტივით დანახული სამყარო". ასეთი სამყარო არ არსებობს. არსებობს ადამიანის თვალით, ადამიანის გონებით დანახული სამყარო. ფოტობიექტივი მხოლოდ ეხმარება ადამიანს, იგი მისი „მესამე თვალია" და ფოტოგრაფიც სამი თვალით უცქერის სამყაროს.

*

„ჩუბინი ესე არს კაცი—ისართა, თოფთა, ქვითა უცთენელად ისროდეს".

საბა

ფოტოგრაფის ხელოვნება მისი თვალის სიზუსტეა, და როგორც ჩუბინი უცდენელად მსროლელი ადამიანია, ასევე ფოტოგრაფიც უცდენელად მხედველი და დანახულის უცდენელად ამსახველია. თანამედროვე ობტიკის ტექნიკური შესაძლებლობანი მეტად დიდია. საშუალო ღირსების სურათის გადაღება ყველას შეუძლია. ფოტოტექნიკის განვითარებამ გააადვილა და საყოველთაოდ მისაწვდომი გახადა ფოტოგადაღება, მაგრამ მეტად გაძნელა ფოტოგადაღების სრული დაუფლება, ფოტოაპარატის დამორჩილება. ფოტოპარატი „ყოვლისმხედველი" გახდა.

გურამ თიკანაძის ადრინდელი ფოტოსურათები ოციანი წლების მემარცხენე ფოტოხელოვანთა ნამუშევრებს გვაგონებენ (უჩვეულო რაკურსები, უჩვეულო კადრირება), მაგრამ მან ეს მალე დაძლია და უკანასკნელი ორა-

---

სამი წლის ნამუშევრებში აშკარად გამოჩნდა ის, რაც საკუთარი გულისტკივილით იყო ნაკარნახევი: სამშობლოს ბუნების გამახვილებული ხედვა და ადამიანის სულიერი ცხოვრების გარეგნულ გამოვლინებათა ასახვის გაღრმავებული ძიება.

აფხაზეთში, გუდაუთის მახლობლად არის ახალსოფლის დიდი კოლმეურნეობა, მას დავით გოგიბერიშვილი ხელმძღვანელობს. გურამმა დავითს რამდენიმე თეთული სურათი გადაუღო. გადაუღო ისე, როგორც სჩვევოდა — მოულოდნელად, უცად, თითქოს სასხვათაშორისოდ (პპარატი ხომ მუდამ მომარჯვებული ჰქონდა). ჩვენ მთელი დღე ერთად გავატარეთ, მოვიარეთ სოფელი, შავი ზღვის პირას გაშლილი ჩხავერის ყველაზე დიდი ზვრები საქართველოში, ბაღები და მინდვრები. ყველგან — ვენახში თუ ზღვის პირას, მინდორში თუ ბინაში, სუფრასთანაც კი, გურამი ილებდა დავითის სურათებს. ვხედავდი, რომ გურამს უნდოდა „დაეჭირა“ ის, რაც თავმჯდომარისათვის ყველაზე დამახასიათებელი იყო. ამ კაცს საოცრად საინტერესო და მიმზიდველი გარეგნობა აქვს და ძნელია მისი ისე გადაღება, რომ პორტრეტში ხასიათი არ დაიკარგოს, — მითხრა წინაღამეს გურამმა და დაუმატა: სწორედ იმის გადაღებაა საინტერესო, რაც ძნელი გადასაღებია, თორემ კოლმეურნეობის თავმჯდომარის იკონოგრაფია საკმაოდ გაკვლეული და ოიონ ამბავიაო. და გურამიც სწორედ მაშინ უღებდა სურათს, როდესაც დავითი არ მოელოდა, არ იყო საამისოდ მომზადებული. მერე კი ისე შეეჩვია ამას, რომ სულაც არ აქცევდა ყურადღებას. გურამსაც ეს უნდოდა. ერთხელ ვენახში დავითს რაღაცა არ მოეწონა და გაჯავრებულმა მიმართა კოლმეურნეს, იმავე წამს გურამის აპარატიც ატკაცუნდა, ხან გვერდიდან დაუარა, ხან წინიდან ჩაუდგა, მაგრამ დავითს მისთვის არც შეუხედავს, ისე იყო გაჯავრებული.

გოგიბერიშვილის იმ დღეს გადაღებული სურათებიდან სწორედ ეს სურათი გამოვიდა საინტერესო. აქ ჩანს თავშეკავებული და დინჯი კაცის ძალიან ხასიათი. იგი დარწმუნებულია ეროვნულ სიმართლეში, მაგრამ ამავე დროს უშფოთველია თავისი მოქმედებით, არა იმიტომ რომ თავი ვერ შეიკავა, არამედ თავშეუკავებლობის საბაბი რომ მიეცა.

ფოტოგრაფიაში ყველაზე ძნელი ადამიანის პორტრეტის შექმნაა. გურამის ფოტოპორტრეტების გალერეაში განსაკუთრებით მოხუცებისა და ახალგაზრდების სურათები იქცევენ ყურადღებას.

ერთხელ ფიზიოლოგიის ინსტიტუტზე ნარკვევი უნდა დაგვწერა. თითქმის მთელი დღე იქ გავატარეთ. დავეწერით ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ივანე ბერიტაშვილის მუშაობას. იგი ცდას ატარებდა და გურამმაც მრავალი სურათი გადაუღო. მუშაობა დავამთავრეთ, დავტოვეთ ინსტიტუტი და აღმართს შევუყვავით საბურთალოკენ. გზაზე ივანე ბერიტაშვილი წამოგვეწია, ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა:

— რა მოგიგიდათ, როგორ მიიზლაზნებიოთ, — შემოგვძახა, გაგვისწრო და ნიშნის მოგვბით გვითხრა: — თუ გინდათ შეეეჯიბრებით, ალპინისტებო! მხცოვანი მეცნიერის თვალებსა და მოძრაობაში იმდენი ახალგაზრდული ენერგია და სიცოცხლე იყო, რომ ძალაუნებურად გურამს წავკარი ხელი, მაგრამ მას რა ჩემი გახსენება უნდოდა, უკვე მომარჯვებული ჰქონდა აპარატი და განუწყვეტლივ ატკაცუნებდა. ივანე ბერიტაშვილის ასე ნაუცბათევად გადაღებულ სურათში გაცილებით მეტი დამახასიათებელი შტრიხია, ვიდრე მის მრავალ სხვა პორტრეტში.

ხევსურეთში გურამ თიკანაძემ გადაიღო მოხუცი ქალის პორტრეტი. ამ პორტრეტში გურამ თიკანაძემ გამოავლინა განზოგადების, კონკრეტულში ზოგადის დანახვის უნარი.

თითქოს წარმოუდგენელია ხევსურ ქალს ისე გადაუღო სურათი, რომ უარი თქვა მის დამახასიათებელ გარეგნულ მორთულობაზე — ფარაგიან კაბაზე, მძივებით დახიდულ სათაურაზე და გადაიღო უბრალოდ, თავშალმოხვეული

მოხუცი ქალის პორტრეტი. მაგრამ როდესაც ამ სურათს შეხედავ, მხოლოდ სახის ნაკვთებს მიაქცევ ყურადღებას და ყოველგვარი მორთულობა მეორეხარისხოვანი და შეუმჩნეველი გახდება. თქვენს წინ მრავალჭირგამოვლილი და მრავალნაჯაფი, ცხოვრებისაგან გატეხილი, ხალისიანი სახეა წლების სიმძიმით დატვირთული მოხუცისა. მის დაღლილ, ჭკვიან თვალებში სიბრძნე და სიკეთე გამოსჭვივის.

გურამმა გადაიღო ხევსური დედის სურათი, მაგრამ დიდი შემოქმედებითი ნიჭისა და ოსტატობის წყალობით ეს პორტრეტი დედის ზოგად სახედ იქცა, თუმცა მასში მაინცაა რაღაც ხელშეუხები და გამოუთქმელი, რაც მოხუცის ეროვნებას ამკვიდრებს.

სამი პორტრეტი ვახსენეთ — კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სახელგანთქმული მეცნიერის და მოხუცი ქალის. სამი სამყარო, სამი განუმეორებელი სახე... მაგრამ გურამმა სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ბიოგრაფიის ახალგაზრდა და ხნიერი ადამიანების ასობით პორტრეტი შექმნა. გურამი ჟურნალისტი იყო და სამსახურებრივი მოვალეობაც — ჟურნალ „დროშის“ ფოტორეპორტიორობა ავალებდა ათას სხვადასხვა ადამიანს შეხვედროდა, ათას ბიოგრაფიულ დეტალს გასცნობოდა, ათასი სურათი გადაეღო. ამ ათასი სურათიდან შექმნა მან ჩვენი თანამედროვე ადამიანების შესანიშნავი პორტრეტების გალერეა.

ყოველთვის გვაკვირვებდა, როგორ ადვილად, ბუნებრივად ეცნობოდა და უახლოვდებოდა გურამი ადამიანებს, ეთვისებოდა, გულღიად ეხმაურებოდა მათს სიხარულს, მტკივნეულად განიცდიდა მათს ჭირ-ვარამს. ცდილობდა თანაგრძნო და მხარი დაეჭირა კეთილი საქმისათვის, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა.

გურამ თიკანაძე პროფესიით გეოლოგი იყო. მან ამ მეცნიერების ერთი ყველაზე ნაკლებად დამუშავებული და მკვლევარისათვის მეტად ძნელი დარგი — სპელეოლოგია ანუ მღვიმეთმცოდნეობა გაიხადა სპეციალობად. შეიძლება სწორედ იმიტომ, რომ სპელეოლოგიაში ბევრი რამ ჯერ ამოუცნობი, საიდუმლოებითა და ხიფათით სავსე არის.

გურამს ყოველთვის იზიდავდა სპორტი — ცურვა და კრივი, თხილამურები და მძლეოსნობა, მაგრამ ყველაფერ ამას საბოლოოდ თამამსელობა ამჯობინებ. კავკასიონისა და შიდა აზიის მრავალ მწვერვალზე ავიდა, ბევრი იმოგზაურა; მას გატაცებით უყვარდა ხელოვნება, ყველაზე მეტად კი გული მაინც ფოტოგრაფიისაკენ მიუწევდა და თავისი შემოქმედების სარბიელად ბუნებისა და ადამიანთა ფოტოგამოსახვა გაიხადა.

საქართველოს მთა და ბარი, ხევსურეთის ჭიუხები და ალაზნის ზვრები, შავი ზღვის ტალღები და ხევის ორწოხები, ჰიდროელსადგურის გეომეტრიული ფორმები და სვანეთის მწვერვალებზე შუქ-ჩრდილთა ციალი, მოხუცის ბრძნული ღიმილი და გოგონას მხიარული სიცილი, აბრეშუმის მქსოველი ქალის სწრაფი თითები და ხოსბის უეცარი აფრენა, ძველი ქართული ჩუქურთმა, ცაში აჭრილი თვითმფრინავი და მიწისქვეშა სამყაროს იღუმალება — ყველაფერი ეს უნდა დაენახა, ხელით მოესინჯა, ეგრძნო, შეეთვისებინა და მერე ადამიანებისათვის ფოტოპარატით დაენახვებინა, გაეზიარებინა, შეეყვარებინა.

გურამ თიკანაძე ნამდვილი ფოტოხელოვანი იყო. საგნებისა და მოვლენებისადმი მისი მიდგომა არასოდეს ყოფილა გულცივად ობიექტური, იგი არასოდეს არ ყოფილა დანახულის უბრალოდ გადამღები, უმტკივნეულო ამსახველი.

მის შავ-თეთრ და ფერად ფოტოგრაფიებში ყოველთვის ჩანს ხელოვნის აღელვება — ბუმბერაზი მთების ეპოსს გადმოგვცემს თუ ადამიანის სულის უფაქიზეს მოძრაობას.

გეოლოგი — სპელეოლოგი; სპორტ-

სმენი — მთამსვლელი; ხელოვანი — ფოტოგრაფი. ამ სამი თვალთახედვით, სამი ასპექტით უყურებდა იგი ქვეყანას, ამ სამი მხრიდან უდგებოდა იგი სამყაროს მრავალფეროვნებას. თითქოს სამი თვალით უმზერდა იგი ქვეყანას, მაგრამ სამივე მიპყრობილი იყო ერთისაკენ. ეს ერთი კი მისი სამშობლო ქვეყანა და მისი ხალხი იყო.

საქართველოს მთა და ბარი, თითქოს არც თუ ისე ვრცელი, — თვალის ერთი გადავლებით მოიხილავ საზღვრიდან საზღვრამდე, მაგრამ ერთი ადამიანის სიცოცხლე არ ყმარა იმისათვის, რომ გაიცნო და შეისწავლო, შეიცნო შენი ქვეყანა.

და აი, ამ ხუთიოდე წლის წინათ, ჩვენ დავიწყეთ მოგზაურობა საქართველოში. ჩვენს წინ გადაიშალა ქვეყანა — უსასრულოდ დიდი და განუზომელი. მისი საზღვრები ჩვენი სიყვარულის ძლიერებითა და ჩვენი გულის სიღრმით თუ განიზომებოდა. ადამიანი მთელი სიცოცხლის მანძილზე მოგზაურობს ამ ქვეყანაში და მაინც მოუვლელი რჩება მისი მრავალი მხარე და კუთხე.

ყოველი გამგზავრება, თუნდაც ხანმოკლე, ყოველი კუთხის გაცნობა, ახალი და ჯერ უნახავის აღმოჩენაა.

1959 წელს გურამთან ერთად მოგვიხდა მთელი საქართველოს შემოვლა: კახეთში მოვინახულეთ მოწინავე მევენახეთა ბრიგადები, გურჯაანის, ახმეტისა და ყვარლის რაიონებში გავეცანით სოფლის აფთიაქების მუშაობას; მერე ბოლნისის რაიონში დაიწყო ახალი სამთამადნო კომბინატის მშენებლობა და იქ ჩავედით; ვიყავით სამეგრელოს მთიანეთში, სადაც ქართული ფილტრის საჯიშე მეურნეობის სანახავად ხობისწყლის სათავეებში ვიმოგზაურეთ, რამდენიმეჯერ ეეწვივეთ ლაჯანურჰესის მშენებლობას. ჟურნალისტის დაუდეგარმა ცხოვრებამ მალე სვანეთის სტუმრები გავვიხადა, სულხან-საბა ორბელიანის იუბილეზე რამდენიმე დღით ტანძიაში დავრჩით, ხოლო გვიან შემოდგომაზე ზესტაფონის კაბელის ქარხანა მოვინახულეთ და ახლად დაფუძნებული წარმოების ისტორიის პირველი ფურცლები შევავსეთ. და ასე, ხუთი წლის განმავლობაში, ყოველ წელს ერთად ვიყავით და ვმუშაობდით.

ერთად მუშაობამ დაგვაახლოვა. დაგვაახლოვა იმდენად, რამდენადაც შეიძლება ერთმანეთის დაუახლოვდნენ ადამიანები, რომელთა ასაკში თითქმის ოცი წლის განსხვავებაა. მაგრამ ალბათ ორივეს ბევრი რამ გვქონდა საზიარო და საერთო და ორი ათეული წლის მანძილი უფსკრულად კი არა, ხიდად დაედო ამ სიახლოვეს.

ასაკში განსხვავება ორი ადამიანისათვის ზშირად სიახლოვის საწინდარია. ალბათ იმიტომ, რომ ორივესთვის — ახალგაზრდისა და ხნიერისთვის საინტერესოა, თუ როგორ, რანაირად აღიქვამს სხვა თაობის ადამიანი იმავე მოვლენას, იმავე საგანს, რომელსაც შენ შენებურად ხედავ.

1962 წლის შემოდგომაზე ვიმოგზაურეთ შავი ზღვის სანაპიროებზე — აფხაზეთის შესახებ წიგნი უნდა დაგვიწერა და აფხაზეთი ფოტოსურათებში აგვესახა.

თითქოს ეს ადვილი იყო: ფერადოვანი, აყვავებული ქვეყანა, ლურჯი ზღვა და თოვლიანი მთები, სწრაფი მდინარეები და ხალხმრავალი კურორტები, ტყვარჩელის ქვანახშირის მადაროები და ფიცაკვარის მარმარილოს საბადოები, მებადურები და მეჩაიეები, ზურმუხტოვანი პლანტაციები ზღვისპირად და ზურმუხტოვანი საძოვრები ცისპირად, ფერადი, თვალისმომჭრელი მოზაიკა, მცხუნვარე მზე და ბრიაღი ფერები. თითქოს ადვილია ამდენი რამიდან ყველაზე დამახასიათებლის, ყველაზე მთავარის ამორჩევა. მაგრამ ეს ერთის შეხედვით...

ზღვისპირეთის კოლორიტი თითქოს გარკვეულია — ჩაი, ტუნგო, ეკალიპტი, პალმები, ჭილისქუდებიანი ქალები ლარიევით გაჭიმული ჩაის ბუჩქების რიგებში, სავსე კალათები, ცისფერი „ქოლგები“, პლაჟზე გაშლილი მოაგარაკეები და საცურაო კოსტუმში გამოწყობილი მზემოკიდებული გოგონა... მაგრამ ყო-

ველივე ამის ნახვა სხვა ქვეყანაშიაც ხომ შეიძლება. ჩვენ კი გვინდა საქართველოს შავიზღვისპირეთისათვის დამახასიათებელი შტრიხები მოვძებნოთ, მისი განუმეორებლობა გადმოვცეთ.

გურამის „ვოლგას“ იმ დღეებში მოსვენება არ ჰქონდა. იგი ხან ხეობებში შეიჭრებოდა და დიდხანს უცდიდა თავის პატრონს ავადჰარას სამოვრებზე; ხან ზღვის პირას გავიდოდა და პლაჟის პირას ათენებდა ღამეს. ჩვენ კი ცეცხლთან ვიჯექით და დღის განმავლობაში ნახულის გამო ვკამათობდით.

მაინც რა არის დამახასიათებელი ამ კუთხისათვის? ეს უშველებელი ჩხავერის ზვავი — ვენახი ზღვისპირას? თითქოს რაღაცას მივაგენით. ვაზის სამშობლო ხომ საქართველოა. ვაზი ზღვისპირას! — ალბათ, ასე აღიქვამდნენ კოლხიდას უცხოელი მოგზაურები, და აი, ჩნდება ზღვისპირეთის ვენახების ასეული ფოტოსურათები. მთელი დღის განმავლობაში გურამი შფოთავს და რაღაცას ეძებს. უკვე მოღლილები და მოქანცულები შევედით საღამო ხანს დაწყნარებულ ზღვაში. უკან რომ გამოვბრუნდით, მცირე აღმართს შევუდექით. მზე ჩასული იყო. გურამი არაფრის გადაღებას არ აპირებდა და არც ფოტოაპარატი ჰქონდა თან. უცებ იგი შეჩერდა, მკლავში ხელი ჩამკიდა და მომატრიალა — შეხედე, ნამდვილად ეს არის!

მოვიხედე. ბაღის კიდეზე, იქ, სადაც ნაპირი თავდებოდა და სანაპირო ფლატე იყო ჩარღვეული, ტყრუშული ღობე მიჰყვებოდა ფლატის პირს. ღობის იქით მხოლოდ ზღვა ჩანდა. ბინდით მოცული ზღვის ზედაპირი, მკვეთრად მოხაზული ჰორიზონტი, უბრალო ტყრუშული ღობე, შქერის ტოტებისაგან მოწნული, ისეთი, როგორიც საქართველოს ყველა კუთხეში მინახავს... გრაფიკული სისადავე, ძუნწად მოხაზული სილამაზე იყო ამ სურათში. მივაგენით იმას, რაც გვინდოდა. გურამი ფოტოაპარატს ეცა, მაგრამ მზის შუქი აღარ იყო და ბინდში მხოლოდ ღობის სილუეტიღა ჩანდა შორი ნათელის ფონზე.

მეორე დილას გურამი უთენია ამდგარიყო და სადღაც წასულიყო. კარგა ხნის მერე გამოჩნდა — ფირი გათავებულა და და ახლისათვის მოაკითხა მანქანაში.

ასე მიდიოდა დღეები, გროვდებოდა შთაბეჭდილებები და ასეული მეტრობით გადაღებული ფირი, მაგრამ ჩვენს მიერ ჩაფიქრებული წიგნი მაინც არ დაიწერა. არ დაიწერა იმიტომ, რომ ძალიან ბევრი რამ ვნახეთ, განვიცადეთ, უბის წიგნაკებში ჩავინიშნეთ და ფირზე აღვბეჭდეთ, მაგრამ უფრო მეტი დაგვრჩა სანახავი, განსაცდელი და გადასაღები.

ჟურნალისტებს ხშირად უსაყვედურებენ ზერელობას. უსაყვედურებენ, რომ ერთი შთაბეჭდილების შედეგად წერენ ნარკვევს, წიგნსაც კი. ამ შემთხვევაში წიგნი არ დაიწერა, მაგრამ დარჩა მოგონება შესანიშნავ ადამიანზე, საკუთარი თავისადმი სასტიკ მომთხოვნ ფოტოხელოვანზე. იმ შემოდგომით გადაღებული ასეული ფირიდან მხოლოდ რამდენიმემ იხილა ჟურნალ-გაზეთების ფურცლები.

ვიხსენებ იმ დაუწერელი წიგნის ამბავს და ვფიქრობ თვით გურამის ცხოვრების დაუწერელ წიგნზე. რამდენი განზრახვა, ჩანაფიქრი და ოცნება დარჩა განუხორციელებელი.

გურამი ორმოცდაათამდე მწვერვალზე იყო ასული. მან დაიპყრო ხეკსურეთისა და ხევის, ყარაჩაისა და სვანეთის მთები, მონაწილეობდა პამირის ექსპედიციაში, მოიარა მყინვარწვერისა და ჭაუხის, შტავლერისა და დოპახის, ფასის მთისა და ცალგმილას, უშბისა და ზხელდის, სულ ბოლოს — თეთნულდისა და ზხარის კლდოვანი და ყინულოვანი სიმაღლეები და არა მარტო მოიარა, ფოტოაპარატის თვალით გამომცდელად მოსინჯა და ფოტოფირზე ასახა მთები და მასთან შერკინებული ადამიანები.

გურამი შესანიშნავი მთამსვლელი იყო და ამიტომ მისი ფოტოსურათები დიდებულად ასახავენ მთამსვლელის

განცდებს. მრავალ სურათს შორის, ალპინისტურ სუიტას რომ ქმნიან, ორი სურათი ყოველთვის გვაკვირვებდა:

...მთამსვლელი უახლოვდება მწვერვალს. ქვევით ბურუსით მოცული მთების პანორამა ჩანთქმულია საღამოს ბინდში. მთამსვლელის წინ მხოლოდ ჩამავალი მზით გაშუქებული თოვლიანი მწვერვალის უკანასკნელი შეფერადებაა. მთამსვლელის ყოველ ნაკვთში დაღლილობა, მაგრამ ამავე დროს ძალა გამოსჭვივის... ხელში აკრეფილი გაყინული, მოუქნელი თოკის გორგალი განვლილი გზის სიძნელეზე მოგვითხრობს. მთამსვლელის თვალებს მუქი სათვალე ფარავს, მაგრამ სახე მწვერვალისაკენ, თვალუწვდენელი ლაჟვარდისაკენ — გაბარჯვებისაკენ აქვს მიპყრობილი. კიდევ ერთი, სულ უბრალო, ფრაფიკულ სისადავემდე ამაღლებული სურათი: პიტალო ყინულის კედელი, ცივი, ულმობელი, განუზომლად ვრცელი, პირქუში და მიუკარებელი. მას სერავს ლარიათ გაჭიმული თოკი და თოკის ბოლოზე წერაყინამდართული ადამიანის პატარა ფიგურა. პატარა, მაგრამ ზამბარასავით დაჭიმული, ქედუხრელი, დაუძლეველი. უყურებ და გაჯერა, რომ იგი ყველა სიძნელეს დასძლევს, მწვერვალს დაიპყრობს.

გურამ თიკანაძის ალპინისტური სუიტა ჩვენი სპორტის მადიდებელი და ამაღლებული სიმღერაა, ახალი მიღწევებისაკენ, ახალი მწვერვალებისაკენ რომ გვეძახის.

და საკვირველია, რომ მზისკენ, მაღალი მწვერვალებისაკენ, შუქისა და სინათლისაკენ მისწრაფებულმა ადამიანმა, ვისი ხელოვნება შუქწერა, ფოტოგრაფია იყო, მიაშურა ჩვენი ბუნების ყველაზე ჩაქუფრულ, ყველაზე ბნელსა და უმზეო სამყაროს — მიწისქვეშეთს და საქართველოს მღვიმეებისა და გამოქვაბულების შესწავლა დაისახა მიზნად. 1957—1962 წლებში გურამი ხან ქობოთავის ძნელად შესაღწევ გამოქვაბულებში, ხან ლეგენდარულ ბეთლემსა და საარაკო ვარძიაში, ხან სახელოვან თქმულ სათაფლიასა და აბლასკირაშია, ხან წებელდის მიდამოების კარსტული მღვიმეების სიღრმეში იღება მიწისქვეშეთის უცნაური ჩუქურთმების სურათებს, ხან კიდევ ქციის ხეობის გამოქვაბულთა პანორამას.

ახალი ამოცანა დადგა გურამის წინაშე: თუ აქამდე მზით განათებული სამყაროს ათასი ფერებიდან უნდა შეერჩია ყველაზე საღი და გამომსახველი ფერი, ახლა უმზეო სამყაროში თვითონ უნდა შეეტანა შუქი და ბნელეთიდან გამოეტანა მისი საიდუმლოებანი.

როდესაც ძალ-ღონით, ენერგიით აღსავსე, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ბრძა, უაზრო შემთხვევის მსხვერპლი ხდება, ძალაუნებურად ვფიქრობთ არა იმაზე, თუ რა გააკეთა მან, არამედ — რისი გაკეთება შეეძლო კიდევ. გურამსაც ხომ ძმმავალი წინ ჰქონდა, ახლა ვაკკაცდებოდა მისი ნიჭი, ხორცს ისხმედა მისი ოცნებები... მე ახლაც ვხედავ გურამს ისეთს, როგორიც ბევრჯერ მინახავს: მოცინარს, თვალებგაბრწყინებულს.

...მთელი დღე მთაში ვიყავით. დავიღალეთ, მაგრამ მაინც კმაყოფილები დავრჩით. გურამმა ხის ძირას მოიკალთა, სამგზავრო შავი ტომარა გახსნა, ხელები შიგ შეყო და ფირის გადახვევას შეუდგა. ტუჩებზე ღიმი უკრთოდა და ჩუმად ღიღინებდა აკვიატებულ სიმღერას:

> თეთრი ლობიო დავთესე,
> ხანდახან გაშავდება;
> ბიჭმა გოგოს რომ აკოცოს,
> განა რა დაშავდება?

და უცებ:

— იცით, ისევ უნდა დავბრუნდეთ შელეთში, ის წიფლები რომ არ გადავიღო, ნამდვილად ცოდვაა!

ასეთი დარჩა გურამ თიკანაძე ჩვენს ხსოვნაში — დაუდეგარი, მუდამ ახალსა და შეუცნობელს რომ ეძებდა და ფეხდაუდგმელ სიმაღლეებისაკენ მიისწრაფოდა.

რევაზ ოსეფაიშვილი

ძეგლის მეგობარი. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების მოამბე. რედაქტორი თენგიზ ბუაჩი-ძე, მორიგე რედაქტორი ლევან გოთუა, პასუხისმგებელი მდივანი ზაირა სტურუა; ყდა მერაბ ბერძენიშვილისა, ტიტული გ. ნადირაძისა. № 1, იანვარი-თებერვალი-მარტი, 1964 წ., თბილისი, ტირაჟი 300.

ახალი ჟურნალი

შენ, ფრთამოღუღუნეს
ჟამთა სიმაღლეზე,
ჩვენი საუკუნე
ვიცავს უაბლესი:
მძლავრი ხელოვნება,
ხალხის ხელოვნება
ბრწყინავს საქართველოს
ქებად ნიკორწმინდა!

ასეთ მშვენიერ სტრიქონებს უძღვნის გალაკტიონ ტაბიძე ქართული ხუროთმოძღვრების დიდებულ ძეგლს, ნიკორწმინდის ტაძარს.

საქართველო მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. ჩვენი მიწა-წყალი მოფენილია ხელოვნების ისეთი იშვიათი შედევრებით, როგორიცაა სვეტიცხოველი და გელათი, ვარძია და ნიკორწმინდა, ჯვრისა და ბოლნისის, სამთავისისა და ბაგრატის ტაძრები... კულტურის ძეგლების დაცვა, შენახვა, მოვლა-პატრონობა, შესწავლა დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

ნებაყოფლობითი სახალხო ორგანიზაცია — კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება ჩვენს რესპუბლიკაში 1959 წელს შეიქმნა. შედარებით მოკლე დროში ამ საზოგადოებამ ნაყოფიერი მუშაობა გაშალა ჩვენი ეროვნული კულტურის მატერიალური ძეგლების დაცვის, მათი მოვლა-პატრონობისა და მეცნიერული შესწავლის მიმართულებით.

„ძეგლის მეგობარი“ — ასე ჰქვია საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ახლადდაარსებულ მოამბეს. იგი გამოდის წელიწადში ოთხჯერ, საზოგადოებრივ საწყისებზე, ხელნაწერის უფლებით და კულტურის ძეგლთა დაცვის, აღდგენის, გამაგრებისა და გამოვლინების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. „მოამბე“

გააშუქებს, თუ რა სამუშაოები ტარდება ჩვენს რესპუბლიკაში კულტურის ძეგლთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის მხრივ, პროპაგანდას გაუწევს მოწინავეთა გამოცდილებას, მიუთითებს ნაკლოვანებებზე, გააცნობს მკითხველებს საზოგადოების საქმიანობას, მის მიზნებსა და ამოცანებს. ჟურნალში დაიბეჭდება როგორც მეცნიერულ-პოპულარული, ასევე საინფორმაციო მასალები, ილუსტრაციები, სამუშაო სქემები და სხვა სახის მასალა, რაც კი კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების წევრებს თავიანთ საქმიანობაში გამოადგებათ.

„ძეგლის მეგობრის“ პირველი ნომერი იხსნება საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის, კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარის თენგიზ ბუაჩიძის წერილით — „ჩვენი მოამბე“, სადაც ნათქვამია: „ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ზრუნვითაა გარემოცული მთელი ის დიდებული მემკვიდრეობა, რაც წარსულისაგან დაგვრჩა და საბჭოთა ადამიანის ყოფისა და შრომის ინტერესებს ემსახურება, რაც ხელს უწყობს მის შემდგომ კულტურულ ზრდასა და განვითარებას. საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების „მოამბის“ გამოცემა ამ ზრუნვის დადასტურებაა“.

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია თხოვნით მიმართავს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყველა წევრს, აგრეთვე დაინტერესებულ პირებს, მიაწოდონ მასალები — ინფორმაციები, სხვადასხვა ხასიათის წერილები, ფოტოსურათები.

აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი თავის წერილში „დიდსახსოვარი თარიღი“ მიესალმება „ძეგლის მეგობრის“ დაარსებას. „ეს არის,—წერს ავტორი— წინწადგმული დიდი ნაბიჯი კულტურის ძეგლთა მოვლა-დაცვის საქმეში. „ძეგლის მეგობარი“ იმის მოწმობაა, რომ კულტურის ძეგლთა დაცვა ჭეშმარიტად ხალხო საქმედ იქცა და სავსებით ზუნებრივია, რომ ეს საქმე სწორედ ჩვენს დროში ხდება. კულტურის ძეგლთა დაცვა კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების ღვიძლი საქმეა. ეს შეგლები ხომ ჩვენი კულტურული ცხოვრების ნაკვალევია, საზოგადოების შრომისა და შემოქმედების ნაყოფია და საბჭოური მეცნიერება ამ ძეგლების შესწავლით წარმოაჩენს ჩვენს სახელოვან წარსულს, ხალხის შრომას, ბრძოლას და მიღწევებს.“

ინტერესით იკითხება აკადემიკოს გიორგი ჩუბინიშვილის სტატია „სვეტიცხოვლის გალავანში XI საუკუნის კარიბჭის გახსნა“.

დავით გარეჯის უდაბნოს ფრესკების აღწერა და მათი მეცნიერული ანალიზია მოცემული აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წერილში „დავით-გარეჯის უდაბნოს ფრესკები“. „დავით-გარეჯის ფრესკებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ კედლის მხატვრობაში. ამჟამად ბევრი რამ მოუველლობის გამო ზიანდება. ჩვენ გვეკალება დაუყოვნებლივ მივიღოთ სათანადო ზომები, დავიცვათ ქართული კულტურის უძვირფასესი ძეგლი. ჩვენ მოვალენი ვართ გადავარჩინოთ ჩვენი მხატვრული კულტურის შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც წარმოადგენენ მსოფლიო კულტურის საგანძურს“, — დაასკვნის ავტორი.

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ანღრო აფაქიძე თავის წერილში „ქართული კულტურის ძეგლები — სახელოვან მემკვიდრეობას“ მოგვითხრობს იმ დიდ წარმატებებზე, ქართველმა არქეოლოგებმა რომ მოიპოვეს საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. ფართოდ გაშლილ სავლე-არქეოლოგიურ კვლევა-ძიებებს შედეგად მოჰყვა ჩვენი ერის ნივთიერი კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლთა აღმოჩენა. კულტურის ახალ-ახალ ძეგლთა აღმოჩენით დაინტერესებულია მოსახლეობის ფართო ფენები. ავტორს მოჰყავს კულტურის ძეგლებისადმი ზოგიერთი პირისა თუ დაწესებულების არამაფლიშვილური დამოკიდებულების ფაქტები (აღმოჩენილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძების გატაცება, ტაძრის ქვების საშენ მასალად გამოყენება და სხვ.).

მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ ხალხური არქიტექტურის ძეგლებს — საცხოვრებელ, სამეურნეო, თავდაცვისა და საკულტო ნაგებობებს, რადგანაც ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული ხალხის ყოფასა და ყოველდღიურ ცხოვრებასთან, მათში ჩაქსოვილია ხალხის შემოქმედებითი გენია, აზრი და გონება, ოსტატობა, სილამაზის გრძნობა. ამ დიდმნიშვნელოვან საკითხს ეხება პროფ. გ. ჩიტაიას წერილი „ხალხური არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი.“ ავტორი გვაცნობს, რომ საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინიციატივით ვაკის პარკის მიდამოებში, 30 ჰექტარ ფართობზე, ღია ცის ქვეშ მოეწყობა ხალხური ძეგლების მუდმივი მუზეუმი, სადაც ძეგლები მათთვის დამახასიათებელი ლანდშაფტის გარემოში იქნებიან წარმოდგენილნი. სოფლური არქიტექტურისა და ყოფის ამსახველი მუზეუმი ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი იქნება თავისი მრავალფეროვანი ძეგლების კომპლექსებით. მუზეუმი მოემსახურება არა მარტო ხალხური ძეგლების დაცვას, არამედ მნახველები პავილიონში წინასწარ გაეცნობიან საგამოფენო გეგმას, ნახავენ შესაფერის კინო-სურათებს, ხალხური შემოქმედების ახალ ნიმუშებს, მოაწყობენ ძველ და ახალ ხალხურ დღესასწაულებს, ფესტივალებსა და მრავალ სხვა სანახაობებს.

მწერალი ლევან გოთუა მიესალმება „ძეგლის მეგობრის“ გამოსვლას. „ძეგლის მეგობარი ხალხის მეგობარია!“ — წერს იგი. მწერლის აზრით, კარგი იქნება, თუ დავაწესებთ ე. წ. „ძეგლის დღეს“ და აღვნიშნავთ ჩვენი დიდებული ძეგლების საიუბილეო თარიღებს ადგილზე მასობრივი მისვლით, სათანადო მეცნიერული სესიისა და პრაქტიკული შაბათობების მოწყობით. ეს ხელს შეუწყობს ძეგლების მოვლა-მფარველობას და ახალი მონაპოვარი იქნება ძეგლების დაცვის უკეთილშობილეს საქმეში.

წერილში „ბაგრატის ტაძრის ნანგრევებთან“ ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ვახტანგ ცინცაძე მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ გაანადგურა შემოსეულმა მტრებმა და ჟამთა სიავემ ბაგრატის ტაძარი და რა ღონისძიებები ტარდება ამჟამად მის აღსადგენად.

სპეციალური სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნოს დირექტორი ლევან ხიმშიაშვილი მკითხველს აცნობს იმ სამუშაოებს, რასაც აღნიშნული სახელოსნო ეწევა კულტურის ძეგლების აღსადგენად.

ჟურნალში დაბეჭდილია ხელოვნებათმცოდნე ანღრო ჯავახიშვილის წერილი „ჩვენი საზოგადოების ამოცანები, მისი წესდება და წევრების მოვალეობა“, აგრეთვე კულტურის ძეგლთა დაცვის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის იულონ კორძახიას წერილი „ჩვენი საზოგადოების გასული წლების საქმიანობის მოკლე მიმოხილვა“.

„მოამბეს“ დართული აქვს ქრონიკა და რეზიუმე რუსულ ენაზე. „ძეგლის მეგობარი“ უხვადაა დასურათებული ფერადი ფოტოებით, ქართული ჩუქურთმებით, ფრესკების ფრაგმენტებით, ნახატებითა და სქემებით.

მოწონებას იმსახურებს მხატვარ თეიმურაზ ყუბანეიშვილის ორი პლაკატი.

„ძეგლის მეგობარი“ გემოვნებით გაუფორმებიათ მხატვრებს მ. ბერძენიშვილსა და გ. ნადირაძეს.

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ თავისი ბეჭდვითი ორგანოს „მოამბის“ დაარსებით ნამდვილად კარგი და სასარგებლო საქმე გააკეთა.

რევაზ ოსეფაიშვილი
ახალი ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარეკლი

ვახტანგ ერისთავი

მოჭადრაკის მოგონებანი

ჩვენი საუკუნის ოციან წლებში ძლიერ ქართველ მოჭადრაკეთა რიცხვი თითებზე დაითვლებოდა. პირველი კვალიფიცირებული ოსტატი, ვ. ვოგლიძის სახით მხოლოდ 1930 წ. შეგვეძინა. დღეს კი ჩვენი პატარა რესპუბლიკა ქართველ კვალიფიცირებულ მოჭადრაკეებს ასობით ითვლის, ხოლო ქართველ მოჭადრაკე ქალთა გუნდი, მსოფლიოს ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მეთაურობით, უძლიერესია საბჭოთა კავშირში.

იმ შორეულ წლებში საძირკველი ეყრებოდა ქართველ მოჭადრაკეთა კადრების შექმნას და მათ გაერთიანებას ორგანიზებულ კოლექტივებში. ვიფიქრე, იმ დავიწყებულ დროის თუნდაც სუსტი გამოძახილი ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს-მეთქი. ამ აზრმა, ჭადრაკის ენთუზიასტის თ. გიორგაძის წახალისებით ეს „მოგონებანი“ დამაწერინა. ბუნებრივია, თუ ალაგ-ალაგ ამ ფურცლებს ჩემი ცხოვრების პირადი შთაბეჭდილებები და შემთხვევები გამოერია, რაც, ასე თუ ისე, ჭადრაკთან იყო დაკავშირებული.

ჭადრაკის თამაში პირველად ჩემმა ნათესავმა ლადო ერისთავმა მასწავლა და შემაყვარა. მაშინ 13 წლისა ვიყავი. ლადო ერისთავი ცნობილი მეფუტკრე იყო. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი ერთ-ერთი სასოფლო-სამეურნეო სკოლის გამგედ დანიშნეს. მის კალმს ეკუთვნის მეფუტკრეობის შესანიშნავი სახელმძღვანელო. ლადო ჭადრაკის დიდი მოტრფიალე იყო.

შემდეგ მამაჩემის ბიბლიოთეკაში ჭადრაკის თამაშის სახელმძღვანელო აღმოვაჩინე, — ძველისძველი, ყდამორღვეული წიგნი. ზედ ქართულად ეწერა: „ფრანდ სასარგებლო რამ არის“. შესავალში გადმოცემული იყო ჭადრაკის მოკლე ისტორია, შემდეგ თამაშის წესები, ანდერსენის დროინდელი სახელგანთქმული მოჭადრაკეების, ბოლოში კი ცნობილი ძველი რუსი მოჭადრაკეების: პეტროვის, შუმოვის, იანი-

შის და სხვ. პარტიები იყო დაბეჭდილი. წიგნის შესწავლას ბეჯითად ჩავუჯექი. მან პირველად მაგემა ჭადრაკში ჩამალული სილამაზის სიტკბო. განსაკუთრებით მიმიზიდა პაულ მორფის შემოქმედებამ. მალე მისი პარტიები ზეპირად ვიცოდი. პაულ მორფი ჩემი სათაყვანებელი გმირი გახდა.

შემდეგ უფრო თანამეგზეროვნე და სასარგებლო წიგნი ვიყიდე: შიფერსის სახელმძღვანელო. შიფერსი და პლატოვების ეტიუდების კრებული ჩემი გაწყურეული თანამგზავრები შეიქნენ. 1916 წელს, როცა ჯარში გამიწვიეს და კავკასიის ფრონტზე გამისტუმრეს „საინ-ჟირო-სამშენებლო დრუჟინაში“ სამუშაოდ, შიფერსმა და პლატოვებმა ჩემთან ერთად გადასცურეს თურქეთის გაერანებული მთა-გორები და ტრამალები, ნანგრევებად ქცეული არზრუმი და ქ. ერზინჯანს მიაღწიეს. ჩვენი რაზმი აჭ ქალაქის მახლობლად დაადგა-ნაკუს. „საინ-ჟირო-სამშენებლო დრუჟინები“ მეტწილად სტუდენტებისაგან შესდგებოდა. მათ უფროსთა შემადგენლობაში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შედიოდნენ. ამ რაზმებს დავალებული ჰქონდათ სტრატეგიული გზებისა და სანგრების გაყვანა. მე ერთ პოლონელ სტუდენტს, გვარად ბრანდს, და ნიჭიერ მოსკოველ ვიოლინისტს ალექსეევს დავუმეგობრდი. ჩვენ ერთი საცხოვრებელი ოთახი გვქონდა შედარებით ნაკლებად დაზიანებულ სახლში.

ალექსეევი იყო დაბალი, ჩაფსკვნილი. მკვირცხლი და მხიარული კაცი. შავი, ბრიალა თვალები ჰქონდა. მოსწრებული სიტყვა-პასუხით და გულკეთილობით ყველა ამხანაგის გული მოინადირა.

დიდი დრო არ გასულა, რომ გასართობად შაშსა და ჭადრაკს მივმართეთ. გავიჩაღეთ შეჯიბრებები. ჩემი რაზმის ჩემპიონად გამომაცხადეს.

ბევრი ვეხეთქე ალექსეევს, ჭადრაკს გასწავლი-მეთქი. ვერას გზით ვერ დავიყოლიე. მაგისთვის არ მცალიაო. სამაგიეროდ ახლა მე ჩამაცივდა, გინდა თუ არა, ვიოლინოზე დაკვრა უნდა გასწავლოო. ჯერ უარზე დავდექი, ბოლოს დავთანხმდი და მისი რჩევით მოსკოვიდან ვიოლინო გამოვიწერე, თუმცა საეჭვო იყო, რომ ამ სიშორეზე მოსკოვიდან ჩვენს მიყრუებულ თურქულ სოფლამდე მოეღწია. მაგრამ დახე საკვირველებას! არც თუ ისე დიდი დაგვიანებით, ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს კოხტად შეფუთული ამანათი ჩამბარეს. შიგ ჩემი ვიოლინო იდო. რა გაეწყობოდა! ორი კვირის განმავლობაში ვაწრიპინე ვიოლინო. ბოლოს სავარჯიშოებმა თავი მომაბეზრეს და ჩემი ვიოლინოც ერთ სათვალიან რუს ამხანაგს გადავუღლიეე. თვითონ ალექსეევი კი მთელ დღეებს ვიოლინოზე ვარჯიშს ანდომებდა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის აბობოქრებულმა ზღვამ 1917—1919 წლებში სხვადასხვა ჯურისა და ეროვნების ხალხი თბილისშიც გამოსტყორცნა. მათ შორის მოსწავლე ახალგაზრდობაც იყო. 1919 წელს ჭადრაკის მოყვარულთა ჯგუფის თაოსნობით თბილისში სტუდენტების საჭადრაკო ტურნირი გაიმართა. გარდა რამდენიმე ქართველი სტუდენტისა ტურნირში მონაწილეობა მიიღეს რუსეთის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმაც, სულ დაახლოებით 15 მოჭადრაკემ. თამაში ყოველ საღამოს იმართებოდა ლენინის მოედნისა და გ. ტაბიძის ქუჩის კუთხეზე იმ სახლში, სადაც ამჟამად მოთავსებულია საფოთიაქო მაღაზია. ამავე შენობაში იყო სასადილო, სადაც სტუდენტებს სადილი ეძლეოდა დაკლებულ ფასებში. სატურნირო საათების უქონლობის გამო შეჯიბრებამ კარგა დიდ ხანს გასტანა. პირველი ჯილდო მე მერგო. მეორე ადგილი დაიკავა ა. გერბსტმანმა, შემდეგში საჭადრაკო ეტიუდის გამოჩენილმა საბჭოთა თეორეტიკოსმა და კომპოზიტორმა. მესამე ადგილზე გამოვიდა მიშა ტარსაიძე, თვალის ექიმის შვილი. იმ დროს ტარსაიძე უდავოდ ძლიერი მოჭადრაკე იყო.

ვახტანგ ერისთავი
მოჭადრაკის მოგონებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებით აღფრთოვანებულმა, მამაჩემს გავუგზავნე გაზეთი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ჩატარებული ტურნირის შედეგები. მამაჩემი, გურიაში პოპულარული ექიმი, საზოგადო მოღვაწე და მწერალი, დმიტრი (შინაურობაში ტატიკო) ერისთავი მაშინ სოფელ გორა-ბერეეფოულში ცხოვრობდა. ამ მოგონებამ გამახსენა ერთი მოხუცი გურული მოჭადრაკის სიტყვები, ჩემს ყმაწვილობაში გაგონილი: „როკიროვკა“-ს ქართველად „ზანდრაბეგული“ ჰქვიაო. ეს საყურადღებო ცნობაა. ქართულ ლექსიკონებში და საჭადრაკო ლიტერატურაში სიტყვა „ზანდრაბეგული“ არ გვხვდება. სასურველია, ჩვენმა ორიენტალისტებმა მისი ეტიმოლოგია გამოარკვიონ. ხომ არ იხმარებოდა ის დასავლეთ საქართველოში? როცა შემატყო, რომ პოეზიითაც ვიყავი დაინტერესებული, ა. გერხმანმა საკუთარი ლექსები წამიკითხა: „სონეტების ვგრიგვინი“. მანვე წამიყვანა ერთხელ „პოეტების საამქროში“ (Цех поэтов). ასე ეწოდებოდა რუსეთიდან ჩამოსული პოეტების წრეს, სადაც განსაზღვრულ დღეებში, საღამოობით, თავს იყრიდნენ პოეზიის მოყვარულნი, კითხულობდნენ და არჩევდნენ ლექსებს. იმ საღამოს, ჩვენ რომ დავესწარით, საუცხოო ლექსებით მოგვხიბლეს პოეტებმა გოროდეცკემ, კოლუბიაკინმა და სხვ. დ. გორდეევმა, შემდეგ ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილმა მკვლევარმა, წაიკითხა ქართული „ზმის“ მინაგვარი სახუმარო ლექსი, რომელშიც მან ალაზანი გაჰკრა მის მეგობრებს პოეტ ზდანევიჩს და ტერენტიევს. მახსოვს ტიციან ტაბიძის გამოსვლაც. მან ენამოსწრებულად და მოურიდებლად გააკრიტიკა ზოგიერთი პოეტის ნაწარმოები.

1918—1920 წლებში მოჭადრაკეების შესაკრები ადგილი იყო „ქართული კლუბი“ (ამჟამად ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის შენობა) და კაფე „ფინჯანი ჩაი“ (რუსთაველის პროსპექტზე). მაშინ ჩვენში პირველობდა უძლეველი ფალავანი, მოხუცი ხარლამპი სირბილაძე, სასამართლოს მოხელე. განცვიფრებას იწვევდა მისი თამაშის სტილი. იგი საკვირველი სისწრაფით ადგილად ეჭკვეოდა ურთულეს პოზიციებში. თავის მოპირდაპირეებს იშვიათად აძლევდა ნებას პარტია ენდშპილამდე მიეყვანათ. პარტიის ბედი ღრმად გაანრბებული იერიშის შედეგად უკვე შუა თამაშში წყდებოდა. მის თამაშში შერწყმული იყო პოზიციის ღრმა გაგება და ეფექტიანი კომბინაციის ნიჭი. არაერთხელ დავსწრებივარ მის თამაშს და ახლა ძალიან ვნანობ, რომ არც ერთი მისი პარტია არ ჩამიწერია. რამდენადაც ვიცი, მისი საჭადრაკო შემოქმედების არც ერთი ნიმუში არ შემორჩენილა. 1920 წლის ტურნირში მან ბრწყინვალედ დაამტკიცა თავისი პირველობა, როცა მას, 58 წლის მოხუცს, 25 მოჭადრაკე შეებრძოლა. ეს ტურნირი მოწყობილი იყო „ქართული კლუბის“ გამგეობის მიერ კლუბის შენობაში. პირველი ადგილი დაიკავა ხარლამპი სირბილაძემ, მეორე — მკტტუმოვმა. ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიმიღია.

„ქართული კლუბის“ საჭადრაკო ოთახში ხშირი სტუმარი იყო ჩვენი სახელოვანი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე. იგი მთელი საათობით ჩაჰკირკიტებდა ხოლმე საჭადრაკო დაფას. ამასთან დაკავშირებით ერთმა ქართულმა გაზეთმა ი. ნიკოლაძის სურათი მოათავსა წარწერით: „მე ვარ და ჩემი ჭადრაკი, გამთენებელი ღამისა. მოქანდაკობა არ გადის, ვარ მიმდევარი ამისა“.

ხ. სირბილაძე ხშირად კაფე „ფინჯანი ჩაიში“ თამაშობდა. აქ ვრცელი დარბაზის ერთი კუთხე 10 საჭადრაკო მაგიდას ეკავა. მაგიდები მუდამ დაკავებული იყო. კაფეში სხვადასხვა ჯგუფის ხალხი ბუზივით იროკოდა. უკრავდა სიმებიანი ორკესტრი, იყო ყრიამული და ყაყანი და ამ ყურთასმენის წამლებს ხმაურში მოჭადრაკეები თავდავიწყებით ებრძოდნენ ერთმანეთს. ხშირად ფულზე თამაშობდნენ. ხშირად მომხდარა, რომ სხვა ქალაქებიდან ჩამოსულ მოჭადრაკეებს, რომლებიც ხ. სირბილაძეს პირადად არ იცნობდნენ, მასთან

ფულზე თამაში მოუნდომებიათ, ალბათ იოლი მოგების იმედით. ის, რა თქმა უნდა, უარს არ ეუბნებოდა, მეკი, ამის შემხედვარეს, სერის მოლოდინში გულში მეცინებოდა. ბევრი, ძალიან ბევრი ქედმაღალი მოარჯულა ჩვენმა ჭაღარა ფალავანმა. ხ. სირბილაძე დარბაისელი, სიტყვაძვირი კაცი იყო. არ მახსოვს დამარცხებული მოპირდაპირე გაეკენწლოს, როგორც ეს ზოგიერთებს სჩვევიათ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საჭადრაკო ხელოვნების ცხოვრებასაც, ისევე როგორც კულტურის ყველა დანარჩენ დარგს, იულშემატივარ ორგანიზატორად, წამახალისებლად, უანგარო ქომაგად მოევლინა. ჭადრაკის პოპულარიზაციის, ახალი კადრების შექმნისა და ხელმძღვანელობის საქმეს ფართო ასპარეზი გაეხსნა. ერთ-ერთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს 1923 წ. თბილისში საჭადრაკო კლუბის დაარსება. გარდა იმ პირებისა, რომლებიც ჩამოთვლილი ჰყავს გ. ნადარეიშვილს მის წიგნში („საჭადრაკო ეტიუდები"), საჭადრაკო კლუბის და შემდეგ სხვა საჭადრაკო კოლექტივების საქმიანობაში დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ მკრტუმოვი, ზავადოვსკი და სიტკოვსკი. ამათგან პირველი ორი ძლიერი მოჭადრაკეები იყვნენ.

1925 წ. შემოდგომაზე ფიზკულტურის საბჭოს საჭადრაკო სექციის პრეზიდიუმში შემოყვანეს. სხვადასხვა დავალებებე ვასრულებდი: ვხელმძღვანელობდი საჭადრაკო წრეს, მდნაწილეობას ვიღებდი სხვადასხვა პროფკავშირთა კლუბების გუნდურ შეჯიბრებებში. აღსანიშნავია, რომ თბილისაბჭოს თაოსნობით 1925 წლიდან ფართოდ გაიშალა სხვადასხვა საჭადრაკო კოლექტივების ჩამოყალიბება, ე. ი. საჭადრაკო ცხოვრებაში მშრომელთა ახალი მასების ჩაბმა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ 1924 წ. თბილისში, გარდა საჭადრაკო კლუბისა, ერთადერთი საჭადრაკო წრე, „ერკოოპში" არსებობდა. ორი საჭადრაკო გუნდის შეჯიბრება თბილისში პირველად 1925 წლის აგვისტოში მოეწყო ცენტრალური მუშათა და საბჭოთა სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის კლუბებს შორის. ხოლო თბილისში პირველი გუნდური შეჯიბრება პროფკავშირთა საჭადრაკო წრეების პირველობაზე 1926 წლის შემოდგომაზე გაიმართა. ამ შეჯიბრებაში მე ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის გუნდში ვთამაშობდი პირველ დაფაზე. ამ შეჯიბრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია.

თავდაპირველად, სანამ სხვა, უფრო შესაფერ სადგომს დაგვითმობდნენ, კლუბის წევრების სხდომები და შეჯიბრებები იმართებოდა ყოფილ „სამხედრო სობოროში" (რუსთაველის პრ., იქ, სადაც ახლა მთავრობის სახლია). შიგ ოთხოიდე ოთახი იყო ბაღდადით გადატიხრული და შელესილი. ჭერის მაგივრობას თვალშეუდგამ სიმაღლეზე გადმოკიდებული ჩაბნელებული გუმბათი ასრულებდა. საეკლესიო საგალობლებს ჩვეულ თაღებქვეშ უცნაურად გაისმოდა მოჭადრაკეების შეძახილები, რასაც ყრუ გუგუნს აყოლებდა ტაძრის უზარმაზარი გუმბათი.

ჭადრაკის თამაში ხშირად იმ შენობაში იმართებოდა, სადაც ახლა უნივერმაღია (კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრის პირდაპირ), აგრეთვე ცენტრალურ მუშათა კლუბში (პლეხანოვის პრ.). აქ ტარდებოდა ძლიერი მოჭადრაკეების ერთდროული თამაშის სეანსებიც, მაგ., იოგანის, გოგლიძის, ლევენფიშის, სმოროდსკის, სოროკინის, ლოპატნიკოვის და სხვ.

იოგანი, თბილისის ყოფილი ჩემპიონი, ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკე იყო. თბილისის 1926 წ. ჩემპიონატში მან მესამე ადგილი დაიკავა. ლაპარაკში ვერმანული წარმოშობა ეტყობოდა. ის იყო ფერმკრთალი, გამხდარი, სუსტი აგებულების, მაგრამ ჯანმრთელი კაცი. საჭადრაკო ასპარეზს ადრე ჩამოშორდა.

მახსოვს, ერთხელ ლოპატნიკოვთან

ვახტანგ ერისთავი
მოჭადრაკის მოგონებანი

ერთდროული თამაშის სეანსში მეც ჩავეწერე. თანდათან დაფაზე მისთვის უიმედო მდგომარეობა შეიქნა. როცა ჩემს დაფას მოუახლოვდა, უნებლიეთ წამომცდა: „გამოსავალი არ არის“. მან იუკადრისა ჩემი შენიშვნა, აიმრიზა და გამშორდა.

მაგონდება გამოჩენილი პრაღელი ოსტატის კოსტიჩის ერთდროული თამაშის სეანსი „საზაფხულო კლუბში“, იმ ბაღში მტკვრის პირას, სადაც შემდეგ „წიგნის სასახლე“. ააშენეს. სეანსი დაღამებამდე გაგრძელდა. კოსტიჩმა ყველა მოწინააღმდეგე დაამარცხა. მის პირისპირ მხოლოდ მე დავრჩი. მე ეტლი მქონდა, მას — ეტლი და ერთი პაიკი. გარშემო ხალხი შეჯგუფებულიყო და ხმაგაკმენდილი ჩვენს ბრძოლას თვალს ადევნებდა. მაყურებელთა შორის გიორგი ნიკოლაძეც შევნიშნე. კოსტიჩი ელვისებურ სვლებს აკეთებდა და მით მოფიქრების შესაძლებლობას არ მაძლევდა. ოხუნჯი კაცი იყო, ჯმუხი, პირმოგვალი, წვეროულვაშმოპარსული. ეს პარტია წავაგე, თუმცა თეორიულად ფრე იყო. მერე კოსტიჩმაც ასე სთქვა.

გამახსენდა ა. ალიოხინის ერთდროული თამაშის სეანსი 1915 წლის ზაფხულში ლენინგრადში. მე, 19 წლის ჭაბუკი, პეტროგრადში გავემგზავრე უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად. ჩემი ჩამოსვლიდან მეორე თუ მესამე დღისვე საჭადრაკო კლუბს მივაშურე, სადაც ა. ალიოხინს ერთდროული სეანსი უნდა ჩაეტარებინა. კლუბში უკვე 40 მოჭადრაკეს მოეყარა თავი. შემოვუსხედით საჭადრაკო მაგიდების ვეებერთელა წრეს, დავაწყეთ ფიგურები და თამაშნი დაიწყო. ა. ალიოხინი მაშინ უკვე სახელგანთქმული ოსტატი იყო; ქერათმიანი, სანდომიანი სახის, ტანწერწეტა ყმაწვილი, ლაზარევის სახ. ინსტიტუტის მუნდირში გამოწყობილი. მოჭადრაკეების წრეს შუაში უვლიდა, დაუყოვნებლივ აკეთებდა სვლებს, ზოგჯერ იღიმებოდა და თავს აქნევდა. მან ყველას მუსრი გაავლო. მე თავიდანვე ცუდ გუნებაზე დავდექი. საკუთარი ჭადრაკარი მომიტანია და რაღაც არაჩვეულებრივად პაწწინა ფიგურები მოგვეცა. პაიკები ლობიოს მარცვლის ოდენა იყო. ა. ალიოხინის მოულოდნელმა სვლებმა ხომ სულ მთლად ამირია დავთრები. უკვე მე-7-ე სვლაზე ლაზიერი გამოახტუნა. და მე დავნებდი.

მთელი მსოფლიოს და კერძოდ თბილისელი მოჭადრაკეების ყურადღების ცენტრში იყო საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მოსკოვში 1925 წლის ნოემბერში გაიხსნა. ეს იყო პირველი საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირში, თერთმეტი უძლიერესი უცხოელი ოსტატის მონაწილეობით. ტურნირში 10 რუსი ოსტატი მონაწილეობდა, მათ შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ე. ბოგოლიუბოვი. მოსკოვში ჩამოვიდნენ მსოფლიოს ჩემპიონი კაპაბლანკა, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ე. ლასკერი, ამერიკის ჩემპიონი მარშალი, რეტი და სხვ. უდიდესი ინტერესით ველოდით ცნობებს ტურნირის მსვლელობის შესახებ, რასაც თითქმის ყოველდღე გვაწვდიდა გაზ. „ზარია ვოსტოკას“ საჭადრაკო განყოფილება გ. ლევენფიშის რედაქციით. თითქმის ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ პირველ ადგილს უძლეველი კაპაბლანკა დაიპყრობდა. სინამდვილეშ ყინულზე გაგვაცურა. ტურნირის თავში მოექცა შესანიშნავი რუსი ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ე. ბოგოლიუბოვი, ხოლო კაპაბლანკა, რომელმაც 2 პარტია რუს ოსტატებთან წააგო (ილინ-ჟენევსკისთან და ვერლინსკისთან), იძულებული გახდა მესამე ადგილით დაკმაყოფილებულიყო. მეორე ადგილზე გამოვიდა მხცოვანი ე. ლასკერი. კაპაბლანკას უკვე ერთი წლის შემდეგ, 1927 წელს, საბედისწერო მარცხი მოუვიდა, — მსოფლიოს ჩემპიონის გვირგვინი მას ალიოხინმა წართმაცა. ამ ტურნირმა კიდევ უფრო გააღვივა თბილისელების ინტერესი ჭადრაკისადმი.

1926 წელს თბილისში საცხოვრებლად ჩამოვიდა უკრაინის ერთ-ერთი

უძლიერესი მოჭადრაკე ნ. სოროკინი, რომელიც საბჭოთა კავშირში ჭადრაკის „თვალხუჭულა“ თამაშის საუკეთესო ოსტატად ითვლებოდა. ამგვარი თამაში თბილისში უცხო სანახაობა იყო და მის პირველ სეანსს ბევრი ხალხი დაესწრო. მეორე სეანსს, როცა სოროკინმა სრულიად საკავშირო რეკორდი დაამყარა, მეც დავესწარი. ის ერთდროულად 16 ზოწინაალმდეგეს ეთამაშებოდა დაფაზე დაუხედავად. ამას ხუთი საათი დასჭირდა. ნ. სოროკინმა 7 პარტია მოიგო, 4 — წააგო და 5 ფრედ დამთავრა. აღსანიშნავია, რომ 1925 წ. პარიზში ა. ალიოხინმა მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 13 საათის განმავლობაში ის ერთდროულად „თვალხუჭულა“ ებრძოდა 28 მოჭადრაკეს.

6. ხოროკინი აქტიურად ჩაება ჩვენი ქალაქის საჭადრაკო საქმიანობაში და ხელი შეუწყო ჭადრაკის მიმართ ინტერესის გაძლიერებას.

ვიქტორ გოგლიძის თბილისში გადმოსახლება ჩვენთვის დიდად სასიხარულო ამბავი იყო. მისი სახით თბილისს და საერთოდ საქართველოს მკურნალებოვან და დაქსაქსულ ქართველ მოჭადრაკეებს სათავეში ჩაუდგა დიდი ნიჭით და ენერგიით აღჭურვილი მოჭადრაკე. იმედით შევყურებდით მას, როგორც მომავალ პირველ ქართველ ოსტატს. მან ბრწყინვალედ გაამართლა ჩვენი იმედები, როცა 1930 წლის საკავალფიკაციო მატჩი მოუგო ოსტატ ნენაროკოვს. თავისი ძლიერება ვ. გოგლიძემ გამოავლინა უკვე 1926 წლის თბილისის ჩემპიონატში. ის მხოლოდ ½ ქულით ჩამორჩა ოსტატ სმოროდსკის და მეორე ადგილი დაიკავა. თბილისს 1926 წლის ჩემპიონატი იყო პირველი ნამდვილად სერიოზული ტურნირი იმ მხრივ, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდა საქალაქო ჩემპიონატის ტურნირის ყველა საჭადრაკო მოთხოვნილებებსა და წესებს. პირველ 8 ადგილზე გამოსულთათვის გამოყოფილი იყო ფულადი პრიზები. სულ ამ ტურნირში თბილისის 18 უძლიერესმა მოჭადრაკემ მიიღო მონაწილეობა, მათ შორის მხოლოდ ოთხმა ქართველმა: გოგლიძემ, ნაკაშიძემ, კავკასიძემ და ... მე. რა შედარებაა დღევანდელ დღეს-თან, როცა ჩვენი საქალაქო და რეს-პუბლიკური ჩემპიონატების შემადგენლობის უმეტესობას ახლა ქართველები შეადგენენ და ასობით კვალიფიცირებული მოჭადრაკე გვეგულება!

ლევან ნაკაშიძე, ცნობილ ქართველ ჟურნალისტ ილია ნაკაშიძის ძმა, კარგი მოჭადრაკე იყო, მაგრამ მაშინ უკვე ხანში შესულმა, ვერ გაუძლო ტურნირის დაძაბულ თამაშს. იწყებდა კარგად, მაგრამ ბოლოს იღლებოდა და აგებდა. ექვსი ტურის შემდეგ მან უარი განაცხადა თამაშის გაგრძელებაზე.

კავკასიძემ, უდავოდ კარგმა მოთამაშემ, ამ შეჯიბრებაში მოისუსტა: 17 ქულიდან 4 მოაგროვა და პრიზიორების რიცხვში ვერ შევიდა.

მე და ხაინაცკის მერვე პრიზი გვერგო. ამის შესახებ გაზეთი „ზარია ვოსტოკა“ წერდა (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1926 წლის 23 ივნისი): „ხაინაცკის და ერისთავს შეეძლოთ სრული უფლებით უფრო მაღალი ადგილი დაეკავებიათ. ამასთანავე ისინი აქაური მოჭადრაკეებს შორის კომბინაციური მიმართულების ყველაზე უფრო საინტერესო მოთამაშეები არიან“.

დებიუტების არასაკმაო ცოდნამ და განსაკუთრებით გაუფრთხილებელმა თამაშმა ჩემს შედეგებზე, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედა. ასე მაგალითად, ეტლის უმართებულო შეწირვის გამო წავაგე აგამალიანთან, ამგვარადვე დაუდევრად ვეკვეთე დანილოვს.

აგამალიანი, 1925 წელს თბილისის ჩემპიონი, საინტერესო პიროვნება იყო. ახოვანი, კარგი მოლაპარაკე, ნაკითხი.

პირველი ადგილი თბილისის 1926 წლის ჩემპიონატის ტურნირში ოსტატმა სმოროდსკიმ დაიკავა, თბილისის მოჭადრაკეების მრისხანე მეტოქემ. ის წითელ არმიაში მსახურობდა. მის ლაპარაკს პოლონური კილო ემჩნეოდა.

პირსმელი, დინჯი, მუდამ აუღელვებელი, ზოგჯერ ირონიულად განწყობილი, ის შიშის ზარსა გვცემდა. ა. სმოროდსკის დიდი ამაგი მოუძღვის ბილისელთა წინაშე. ხშირად ატარებდა ერთდროული თამაშის სეანსებს. მახსოვს მისი საინტერესო ლექციები 1925 წელს, სადაც ის ჭადრაკის თეორიის საკითხებს არკვევდა და სხვა ოსტატებთან გათამაშებულ საკუთარ პარტიებს არჩევდა.

1926 წლის ჩემპიონატის ტურნირის სანუგეშო მოსაგონრად დამრჩა ის, რომ ჩემს მიერ მოგებული პარტია პოპოვთან, რომელმაც მეხუთე ადგილი დაიკავა, აღიარებულ იქნა „ერთ-ერთ ულამაზეს პარტიად ამ ტურნირში“ (გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, 1926 წ. 1 ივნისი). საინტერესოდ მამდინარეობდა აგრეთვე ჩემი პარტია კასპარიანთან, ჭადრაკის მომავალ ოსტატთან და ეტიუდების ცნობილ კომპოზიტორთან. მან ჩემს წინააღმდეგ თავისი ლაზიერი ნაადრევად გამოიყენა და მით შესაძლებლობა მომეცა თანდათან ქსელი გამება მისი ლაზიერის დასაჭერად. ჩემგან დაგებულ მახეს ვერ გაექცა და იძულებული გახდა იარაღი დაეყარა.

1927 წლის ტურნირისათვის მე უკეთ მომზადებული ვიყავი და უფრო ფრთხილად ვთამაშობდი. კარგ შედეგებსაც მივაღწიე.

1927 წლის გაზაფხულზე თბილისში ყველა პროფკავშირთა კლუბებისა და საჭადრაკო წრეების ფრიად საინტერესო მასობრივი ტურნირი მოეწყო, რომელშიაც 89 მოჭადრაკე ჩაება. ერთი წაგება მონაწილეს შეეჯიბრებებიდან მექანიკურად რიცხავდა. მარტის მიწურულში დაიწყო პროფკავშირთა ფინალური ტურნირი, რომელშიაც ფინალში გასულ 11 მოთამაშის გარდა პერსონალურად მიგვიწვიეს 1926 წლის ჩემპიონატის პრიზიორები: ვეიზერი, დანილოვი, მარტიროსოვი და მე, სულ 15 კაცი. პროფკავშირთა ფინალური ტურნირი დამთავრდა 1927 წლის აპრილში. პირველი პრიზი ერგო ასოსკკის (10 ქულა), მეორე ადგილი მე დავიკავე, ჩამოვრჩი რა ასოსკკის ½ ქულით. მე-3, 4 და 5 ადგილები გაიყვეს დანილოვმა, იცკოვიჩმა და ტარაიანმა, მე-6 და მე-7 ადგილებზე გამოვიდნენ ა. ებრალიძე და მარტიროსოვი.

მახსოვს ტურნირის დამთავრების აღსანიშნავად მოწყობილი საზეიმო საღამო ცენტრალური საჭადრაკო კლუბში. ჯილდოები და სიგელები დაგვირიგეს და ტურნირის ყველა მონაწილის ფოტოსურათი გადაიღეს. ეს სურათი ამას წინათ გია ნადარეიშვილმა გამომართვა საჭადრაკო კლუბისათვის გადასაცემად.

ჩემთვის სასიამოვნო მოსაგონებელია 1927 წლის აგვისტოში „საზაფხულო კლუბში“ ჩატარებული დიდი საჭადრაკო საღამო, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს თბილისში ჩამოსულმა მოსკოველმა ოსტატმა დუზ-ხოტიმირსკიმ და თბილისელმა მოჭადრაკეებმა. დუზ-ხოტიმირსკი ოთ კონსულტანტს შეებრძოლა: ასოსკკის, ებრალიძეს, მირზოევს და მე, რამაც დამსწრე საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. ცალკე დფაზე გაიმართა გოგლიძის და ტალვიკის ორთაბრძოლა, რომელიც ფრედ დამთავრდა. ჩვენი საკონსულტაციო პარტია (ესპანური) დუზ-ხოტიმირსკის უპირატესობით წარიმართა. ოსტატმა სქმე გაგვიჭირა. „ციატნტში“ ჩავვარდით და ბოლოს ჩვენთვის განკუთვნილ დროს გადავაცილეთ, ასე რომ, ფორმალურად პარტია წავაგეთ, მაგრამ დუზ-ხოტიმირსკიმ სულგრძელობა გამოიჩინა და თამაში არ შეუწყვეტია, ალბათ საბოლოო გამარჯვებაში დარწმუნებულმა. ეს სულგრძელობა ოსტატს ძვირად დაუჯდა. 28-ე სვლაზე მან ფიგურა დაკარგა, ხოლო 39 სვლაზე დამარცხების სიმწარე იგემა.

1927 წლის შემდეგ სეროიზულ ტურნირებში მონაწილეობა აღარ მიმიღია. პალამდის ხელოვნებაში დოსტატების სურვილმა ჩემმა თანდათან ადგილი დაუთმო ინგლისური ფილოლოგიით გატაცებას. მართალია, ჭადრაკს ვუღალატე, მაგრამ თავს ახლა იმით ვინუგეშებ, რომ ჩემმა ახალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიყვარულმა კეთილი ნაყოფი გამოიყო: ვგულისხმობ 1959 წელს უცხო ენების ლიტერატურის მოსკოვის გამომცემლობის შეკვეთით ჩემს მიერ ინგლისურ ენაზე თარგმნილს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენას“. ეს არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წიგნი, რომელმაც ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნებს თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის შესანიშნავი ნიმუში გააცნო.

თუ არ ვცდები, 1929 წელს გიორგი ნიკოლაძემ, რომელიც, როგორც ცნობილია, ჭადრაკის მოყვარული იყო და კარგადაც თამაშობდა, თავის ბინაზე პატარა შინაურული ტურნირი მოაწყო. გ. ნიკოლაძე და მე მაშინ ერთ სახლში ვცხოვრობდით (გ. ტაბიძის ქ. № 21). მისი ოთახის ფანჯარა პირდაპირ ჩემი ბინის აივანს დაჰყურებდა. ერთხელ ფანჯრიდან გადმომძახა: „ბატონო ვახტანგ, გთხოვთ ჩვენთან ამობრძანდეთ!“. გიორგის ომახიანი, სულში ჩამწვდენი ხმა ჰქონდა. გ. ნიკოლაძის ოთახში ათიოდე ახალგაზრდა კაცი დამხვდა, მეტწილად მისი სტუდენტები. გამონაკლისს შეადგენდნენ ა. ებრალიძე, მაშინ მგონი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი და მ. სიდამონ-ერისთავი, იუსტიციის სამინისტროს მუშაკი. „პატარა შეჯიბრებას ვაწყობთ—მითხრა გ. ნიკოლაძემ—ხომ არ ინებებთ მონაწილეობა მიიღოთ“. სიამოვნებით დავთანხმდი. თვითონ გიორგი ტურნირში არ მონაწილეობდა, მაგრამ თავს დაგვტრიალებდა. პირველი ადგილი მე დავიკავე, მეორე არჩილ ებრალიძემ. მ. სიდამონ-ერისთავი 1915 წელს მოსკოვში გამაცნეს, სადაც ის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა. ჭადრაკის მოყვარული იყო და მოსკოვში მცხოვრები რამდენიმე ქართველი სტუდენტის მონაწილეობით შინაურული შეჯიბრება მოაწყო. მახსოვს, რომ მათ შორის ყველაზე კარგად თბილისელი აბროსიმოვი თამაშობდა. იმ შეჯიბრებაში მე გავიმარჯვე. მ. სიდამონ-ერისთავმა ტურნირის დამთავრებისას, ალბათ გულის მოსაფხანად, ნისკარტი ჩამკრა: „დიდხანს ფიქრობთ“. ახლაც, გ. ნიკოლაძის და მისი სტუდენტების გასაგონად მისაყვედურა: „შენ ძალიან დიდხანს ფიქრობ, აბა, მოდი, ერთი ელვისებური პარტია გავითამაშოთო“. მისი გამოწვევა უყოყმანოდ მივიღე, მალე მოვუგე და ამით დიდი ხნის ჯავრი ამოვიყარე.

ა. ებრალიძე პირველად 1927 წლის ტურნირში გავიცანი. ჭადრაკის დიდი ნიჭის მქონემ, მან შემდეგ ძალიან გვაახელა, როცა მეორე ქართველი ოსტატის მადალი წოდება დაიმსახურა. ჩვენდა სავლალოდ ნერვების დაავადებამ საბოლოოდ დაუხშო გზა ბრწყინვალე მომავლისკენ. სიკვდილამდე ორი თვით ადრე ლენინის მოედნის კუთხეზე შემხვდა. გამაჩერა და მუსაიფი დამიწყო. გამოთხოვებისას მითხრა: „ვახტანგ, მაკოცეო“. უბედური არჩილი თითქოს გრძნობდა რომ დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა. მისმა ნაღვლიანმა კილომ გული ამიჩქროლა, ხელი დავაჭვიე და ვაკოცე. გამვლელ-გამოვლელები ცნობისმოყვარეობით შემოგვცქეროდნენ.

ვახტანგ ერისთავი
მოჭადრაკის მოგონებანი

დ. ცუკერნიკი

ამასწინათ ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა ცნობა კუბის პირველი რუკის შესახებ, რომელიც შედგენილია მანამდე, სანამ ქრისტეფორე კოლუმბი ამერიკას აღმოაჩენდა.

იქვე ნათქვამი იყო, რომ ალმა-ატაში მცხოვრებმა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილმა წევრმა დ. ი. ცუკერნიკმა ისტორიული დოკუმენტის ახლებურად წაკითხვის შედეგად წამოაყენა ვარაუდი, რომ „ინდოეთის გზის“ საძებნელად გამგზავრებისას კოლუმბს ხელთ ჰქონდა რუკები და ლოციები, რასაც ის ფრიად საიდუმლოდ ინახავდა. ეს რუკები შედგენილი ყოფილა იმ ზღვაოსანთა მიერ, რომლებმაც კოლუმბამდე განვლეს იგივე გზა, მაგრამ უცნობებად დარჩნენ.

ვფიქრობთ, დ. ი. ცუკერნიკის ჰიპოთეზები და დასკვნები სადავო გახდება, მაგრამ იგი იმდენად საყურადღებოდ მივიჩნიეთ, რომ ჩვენი ჟურნალის ფურცლები დავუთმეთ.

როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ესპანელმა მემატიანეებმა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში მიაქციეს ყურადღება, რომ დოკუმენტებში, რომლებიც ქრისტეფორე კოლუმბის პიროვნებას და მის მოგზაურობას შეეხება, არის ბუნდოვანება, უზუსტობა და აშკარა წინააღმდეგობანი. ამან მკვლევართა შორის დიდი დავა გამოიწვია. იმაზედაც კი დავობდნენ, თუ როდის დაიბადა სახელგანთქმული გენუელი მეზღვაური.

XX საუკუნის დასაწყისში გაჩაღდა დისკუსია კოლუმბისა და ტოსკანელის მომოწერის უეჭველობის თაობაზე, რასაც ადრე თითქმის გადამწყვეტი როლი ეკუთვნოდა კოლუმბის ნაოსნობის ისტორიაში.

ჩვენს გამოკვლევაში დადგენილია, რომ ზემოხსენებულ დოკუმენტებში არსებული წინააღმდეგობანი მართლაც ქმნიან გარკვეულ სისტემას. შეუსაბამობათა ამ სისტემის იქით ამერიკის აღმოჩენის სულ სხვაგვარი სურათი ჩანს.

1

გავიხსენოთ საყოველთაოდ მიღებული ვერსია კოლუმბის მოგზაურობისა და ახალი ქვეყნის აღმოჩენის შესახებ. ეს ვერსია ამგვარია: ევროპელები დაჟინებით ცდილობდნენ დაემყარებინათ პირდაპირი სავაჭრო კავშირი ინდოეთ-

[1] სტატია გადმობეჭდილია ჟურნალ „ნოვი მირიდან“

თან, ჩინეთთან და „სანელებელთა კუნძულებთან“. XV საუკუნეში პორტუგალიამ აღმოაჩინა კიდეც გზა ინდოეთისკენ აფრიკის შემოვლით (აღმოსავლეთის გზა).

ესპანელებმა, როლებიც მეტოქეობას უწევდნენ პორტუგალიელებს, მიიღეს კოლუმბის გეგმა — მიეღწიანთ ინდოეთისათვის დასავლეთიდან, ატლანტის ოკეანის გადაცურვით. დასავლეთის მიმართულებით ცურვის შედეგად კოლუმბმა აღმოაჩინა კუნძულები და შემდეგ ახალი მატერიკი, რომელიც, კოლუმბის მსგავსად, ესპანელებმა შეცდომით მიიჩნიეს ინდოეთის ნაწილად ანუ აზიის უკიდურეს მხარედ, რომელიც ღრმადაა შეჭრილი დასავლეთის ნახევარსფეროში. ამ შეცდომიდან გამომდინარეობს სახელწოდებანი „ვესტ-ინდოეთი“, „ინდიელები“ და ა. შ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამერიკა შემთხვევით აღმოაჩინეს.

ამგვარად, ტრადიციული შეხედულება ორ ურთიერთდაკავშირებულ დებულებას ემყარება:

1. კოლუმბის მოგზაურობის გეოგრაფიული მიზანი — აღმოსავლეთი აზია.

2. ამავე მისწრაფების კომერციული მიზანი — სანელებლის, ნელსურნელების, ძვირფასი ქვების, ძვირფასი მეტალებისა და ევროპელთათვის საყურადღებო სხვა აღმოსავლური საქონლის მოპოვება.

ორივე თეზისი გვხვდება იმ ეპოქის დოკუმენტებში: კოლუმბის წერილებში, ესპანეთის სამეფო კარის ოფიციალურ ბრძანებებში და სხვ.

ამავე დროს, იმავე ეპოქის დოკუმენტებში, თვით ხსენებულ პირთა-დოკუმენტებში გვხვდება ცნობები, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ დებულებებს.

მივმართოთ ფაქტებს. მართლაც, კოლუმბის პირველი მოგზაურობის შესახებ მეფის 1493 წლის სიგელში ნათქვამია: „ჩვენ გაგგზავნეთ თქვენ, დონ ქრისტეფორე კოლუმბი, რათა აღმოაჩინოთ კუნძულები და მატერიკი, რომელნიც ინდოეთის მახლობლად მდებარეობენ.“

ამასვე ვკითხულობთ კოლუმბის მეორე ექსპედიციის მომზადებასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

ესპანეთის სამეფო კარი მესამე ექსპედიციის მზადების შესახებ 1497 წლის 22 ივნისის ბრძანებით იტყობინებოდა: „იცოდეთ, რომ ჩვენ დავავალეთ დონ ქრისტეფორე კოლუმბს, ჩვენს ადმირალს, რათა დაბრუნდეს კუნძულ ესპანიოლაზე და სხვა კუნძულებსა და მატერიკზე, რომელნიც ინდოეთის მახლობლად მდებარეობენ“. ანალოგიური გამონათქვამები გვხვდება სამეფო კანცელარიის მომდევნო წლების დოკუმენტებში.

არანაკლები გარკვეულობით იმავე აზრს გამოთქვამს თვითონ კოლუმბი. პირველი ნაოსნობის დღიურში ექსპედიციის მიზანი შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „მე შევატყობინე თქვენს უმაღლესობას ინდოეთის[1] მიწებისა და ერთი ხელმწიფის შესახებ, რომელსაც „დიდ ხანს“[2] ეძახიან, რაც ჩვენებურად „მეფეთა მეფეს“ ნიშნავს. ამ ხელმწიფეს და მის წინამორბედებს არაერთხელ გამოუგზავნიათ რომში ელჩები და უთხოვნიათ, რომ მათთან რჯულის საქმეში ჩახედული ხალხი გაეგზავნათ. რახან ისინი დაკინებით ითხოვდნენ, ხოლო წმიდა მამას კი ეს თხოვნა არც ერთხელ არ დაუმაყოფილებია... და ამისათვის თქვენმა უდიდესობა ბულებამ გადაწყვიტა გამგზავნოს მე, ქრისტეფორე კოლუმბი, ინდოეთის ხსენებულ მიწაზე, რათა ვნახო ეს ხელმწიფე და ეს ხალხები... და ინება (თქვენმა უმაღლესობამ), რომ გავემგზავრო არა ხმელეთით, აღმოსავლეთის მიმართულებით, როგორც ჩვეულებრივ მიდიან იმ მხარეში, არამედ დასავლეთის გზით, რომლითაც, რამდენადაც

[1] კოლუმბის დროს ინდოეთად იწოდებოდა აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიწები.

[2] დასავლეთ ევროპაში ჩინეთის იმპერატორს „დიდ ხანს“ უწოდებდნენ.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, ჯერ არავის უკლია. მე... გავემგზავრე თქვენი უმაღლესობის კუთვნილი კანარის კუნძულებისაკენ, რომლებიც იმავე ზღვაოკეანეში მდებარეობენ, რათა იქიდან გავემგზავრო ჩემი გეზით და ვიცურო მანამ, სანამ ინდოეთს მივაღწევდე, ხოლო ადგილზე მისვლისას თქვენი უმაღლესობის სახელით გავგზავნო ელჩები იმ ხელმწიფესთან და აღვასრულო ყველაფერი, რაც მიბრძანეთ“.

მოგვიანებით, 1498 წლის 22 თებერვლის ანდერძში კოლუმბი იფიცება: „წმინდა სამების სახელით, რომელმაც შთამაგონა (ის, რომ), ჩემთვის სავსებით ნათელი გახდა (სახელდობრ), რომ მე შევძლებ ესპანეთიდან საზღვაო გზით მივაღწიო ინდოეთს დასავლეთის მხრიდან ზღვათა და ოკეანეთა გადაცურვით და ასევე ვიუწყე მეფეს დონ ფერდინანდს და დედოფალს დონა იზაბელას“.

კოლუმბის ამგვარი განცხადებების მოყვანა მრავლად შეიძლება.

ოღონდ ეგაა, ეს მტკიცებანი შეუწყნარებელ წინააღმდეგობებშია იმავე კოლუმბის მოქმედებასთან. ზემოთ მოვიყვანეთ კოლუმბის სიტყვები მისი პირველი ნაოსნობის დღიურიდან, რომ მისი მიზანია მიაღწიოს ჩინეთამდე და კავშირი დაამყაროს ამ ქვეყნის მმართველებთან.

კოლუმბის ფლოტილია კი ოკეანეზე დასავლეთისაკენ კანარის კუნძულების განედზე მიემართებოდა; გზაში ხომალდებმა ოდნავ გადაუხვიეს სამხრეთისაკენ და პირველ კუნძულს დაახლოებით ოცდამეხუთე განედზე მიაღწიეს. ამავე დროს შუასაუკუნეების რუკებზე სამხრეთი ჩინეთი მოთავსებული იყო დაახლოებით ხმელთაშუა ზღვის განედზე.

თუ პირველი მოგზაურობისას კოლუმბს მართლა ჩინეთამდე მიღწევა ჰქონდა განზრახული, როგორც მოხსენებულია დღიურის შესავალში, მაშინ მოსალოდნელი იყო, რომ პირველი კუნძულის შეხვედრისთანავე ხომალდს ჩრდილო-დასავლეთისაკენ წაიყვანდა, რათა აზიის მატერიკისთვის მიეღწია. მაგრამ კოლუმბი სწორედ საწინააღმდეგოდ მოქმედებდა: ბაგამის კუნძულებიდან ხომალდებმა კურსი აიღეს სამხრეთის, სამხრეთ-აღმოსავლეთ-ისა და შემდეგ აღმოსავლეთის მიმართულებით.

ხომალდების ასეთი მარშრუტი არ ეთანხმებოდა ნაოსნობის იმ მიზანს, რომელიც ჩამოყალიბებულია ნაოსნობის დღიურის შესავალში. კიდევ მეტი, როცა ხომალდები კუბის ჩრდილო ნაპირს მიადგნენ, დღიურში გაჩნდა ჩანაწერი. ვითომც კოლუმბი ვარაუდობდა, რომ იმ მომენტში იგი ჩინეთის ცნობილი პორტებიდან „სიატი და კისაი“ ასი ლიგის (600 კმ-მდე) დაშორებით იმყოფებოდა. თითქოს დადგა დრო, როცა კოლუმბი შეეცდებოდა შეესრულებინა ის ამოცანები, რაც დღიურის შესავალშია მოხსენებული. მოსალოდნელი იყო, რომ იგი დაუყოვნებლივ გაემართებოდა დასავლეთისაკენ (უფრო ზუსტად — ჩრდილო-დასავლეთისაკენ), რათა ზურგ-ქარის შემწეობით გაეცურა ასი ლიგი. რაც, მისივე სიტყვით, აშორებდა ჩინეთიდან. მაგრამ კოლუმბი ასე არ მოქცეულა. ამის სანაცვლოდ მან ხომალდები წაიყვანა საწინააღმდეგო მიმართულებით, ე. ი. ზუსტად აღმოსავლეთის კურსით. რატომ?

შესაძლოა, სანავიგაციო პირობები აფერხებდნენ მის მოძრაობას ჩრდილო-დასავლეთით, „ჩინეთისაკენ“, და ამისათვის კოლუმბმა განიზრახა საწინააღმდეგო, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით მდებარე კუნძულების გამოსაკვლევად გამოეყენებინა დრო? მაგრამ ცნობილია (ესეც აღნიშნული იყო კოლუმბის დღიურში), რომ იმ განედზე, სადაც იმ დროს კოლუმბის ფლოტილია იმყოფებოდა, გამუდმებით ჰქრის აღმოსავლეთის ქარები და იქვეა მუდმივი აღმოსავლეთის დინება — ორი ფაქტორი, რაც დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთისაკენ მოძრაობისათვის ძალზე ხელსაყრელია და უკიდურესად ხელისშემშლელი იმ კურსისათვის, რომელიც კოლუმბმა ირჩია.

მაინც მთელი თვის განმავლობაში

აღმოსავლეთის ქარის წინააღმდეგ ხომალდები ძლივძლივობით იძვროდნენ აღმოსავლეთის კურსით კუბიდან ესპანიოლასაკენ (ჰაიტი). მერე კოლუმბი ერთი თვის განმავლობაში ისევ აღმოსავლეთისაკენ მიდიოდა, ესპანიოლას ჩრდილო ნაპირის გასწვრივ; გამუდმებით უხდებოდა აღმოსავლეთის ქარისა და შემხვედრი დინების დაძლევა.

ამრიგად, ხომალდების მთელი მარშრუტი, განსაკუთრებით პირველ კუნძულზე მიდგომის მომენტიდან, სავსებით ეწინააღმდეგება იმ მიზანს, რომელიც ნაჩვენებია დღიურის შესავალში.

და ბოლოს, უკან დაბრუნების წინა დღეს, 1493 წლის 9 იანვარს დღიურში გაკეთებულია ჩანაწერი, სადაც ნათქვამია, რომ კოლუმბმა გადაწყვიტა ესპანეთში დაბრუნება, „რადგან მან იპოვა, რასაც ეძებდა“.

შეეცადეთ პასუხი გასცეთ კითხვას: თუ ნაოსნობის დღიურის მიხედვით ვიმსჯელებთ, როგორი იყო კოლუმბის პირველი მოგზაურობის გეოგრაფიული მიზანი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია.

ახლა გადავხედოთ ტრადიციული ვერსიის მეორე პუნქტს — კოლუმბის ცურვის კომერციულ მიზანს. ჩვეულებრივ მიღებულია, რომ განზრახული იყო მოეპოვებინათ საქონელი, რომელიც ადრე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან შემოჰქონდათ ევროპაში: სანელებელი, ნელსურნელება, ძვირფასი მეტალები და ძვირფასი ქვები.

მართლაც, კოლუმბისა და ესპანეთის ხელისუფალთა მრავალრიცხოვანი გამონთქვამები ადასტურებს, რომ მათ აღმოაჩინეს აზიის უმდიდრესი ქვეყნები და რომ მეზღვაურები იძენენ და აგროვებენ ამ ძვირფას საქონელს ევროპაში გასაზიდად. ამის შესახებ, მაგალითად, კოლუმბი 1493 წელს, პირველი ნაოსნობიდან მობრუნებისთანავე, წერს: „ესპანიოლა — სასწაულია: იქ... მრავალი განიერი მდინარეა. წყალი გემრიელია, თანაც უმეტეს მათგანს თან მოაქვს ოქრო. ამ კუნძულზე ბევრია სანელებელი, აგრეთვე ოქროსა და სხვა მეტალების საბადოები... ესპანიოლას ყველზე ხელსაყრელ პუნქტზე და ოქროს მფლ[illegible]ბელად ყველაზე მოსახერხებელ ალაგას, სადაც ხელსაყრელია ვაჭრობის გაჩაღება როგორც ამ მატერიკის მიწა-წყალზე, ისე იმასთან, რომელიც იქითა მხარეს მდებარეობს, დიდი ხანის მიწებთან (ე. ი. ჩინეთთან — დ. ც.), რომელიც აღგვთქვამს ბაზარსა და მოგებას, მე სამფლობელოდ მივიღე ერთი ძოწრდელი სოფელი...

მე მივცემ მათ (მათ უმაღლესობას) იმდენ ოქროს, რამდენიც მათ ჭირდებათ... გარდა ამისა, სანელებელსა და ბამბას, რამდენსაც მათი უმაღლესობა ინებებს. მე მივცემ აგრეთვე ნელსაკმეველს, ალოეს და მონებს, რამდენიც მოესურვებათ და რამდენს გაგზავნასაც მიბრძანებენ... მე მჯერა, რომ მივაკვლიე აგრეთვე რეკვნდს და დარიჩინს და ათას სხვა ფასეულ საგნებს, რომელსაც აღმოაჩენს ჩემს მიერ იქ (ესპანიოლაზე — დ. ც.) დატოვებული ხალხი“.

უამრავი ამგვარი საბუთი შემონახულა. მათი კითხვისას შეუძლებელია არ ირწმუნო, რომ კოლუმბი და მისი ხელქვეითნი გატაცებული არიან ოქროს, სანელებლის, ნელსურნელების და ა. შ. შეგროვებითა და ესპანეთში გასაგზავნი ხომალდების დატვირთვით.

თუმცა ამ საბუთების საგულდაგულოდ შესწავლა დაგვანახებს, რომ ტრიუმფი ხომალდებისა, რომლებიც კოლუმბმა ესპანეთში გაისტუმრა, სავსე იყო მხოლოდ... მონებით.

ამგვარად, 1493 წლის სექტემბერში პირველი, არსებითად საცდელი ნაოსნობის შემდეგ ესპანეთიდან ახალი მიწებისაკენ გაემგზავრა მოზრდილი ფლოტილია ჩვიდმეტი ხომალდის შემადგენლობით. გემები მიადგნენ ესპანიოლას და ზღვაოსნებმა გადმოსხეს ხალხი და გადმოზიდეს ქონება. 1494 წლის თებერვლის დამდეგს თორმეტი ხომალდი ესპანეთს დაბრუნდა. რა ძვირფასი ტვირთი

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰქონდა ფლოტილიას? თანამედროვეთა წერილებში ნათქვამია, რომ ესპანეთს მოადგა მონებით დატვირთული ხომალდები. თვითონ კოლუმბიც 1494 წლის 30 იანვრის საიდუმლო მემორიალში წერს, რომ თორმეტი ხომალდით გაგზავნილია ინდიელები იმ ტყვეთა რიცხვიდან, რომლებიც შეიპყრეს კარიბის (მცირე ანტილი) კუნძულებსა და ესპანიოლაზე.

მემორიალში კოლუმბი სახავს მის მიერ დაარსებული ფაქტორიის მოქმედების გაფართოებულ გეგმას. პირველ ადგილზე აყენებს მონათვაჭრობის საქმეში ახალი მიწების გამოყენებას. იგი წერს: „ჩემი აზრით, კარგი იქნება ამა თუ იმ კუნძულიდან მათი წამოყვანა და კასტილიაში გაგზავნა.“ შემდგომ კი „რაც მეტს გაიყვანენ მათ იქ, მით უფრო კარგი (იქნება)“. იქვეა გადმოცემული მონათვაჭრობის გაფართოებული გეგმა.

ყურადღებას იპყრობს, რომ მემორიალში მოხსენებული ერთადერთი რეალური გეგმა მონათვაჭრობაა. ოქროზე ლაპარაკია, როგორც შეუმოწმებელ ვარაუდზე. სანელებელზე, ნელსაკმეველსა და ა. შ. მემორიალში საერთოდ არაფერია თქმული.

1495 წლის იანვრის დამდეგს ესპანეთიდან მოვიდნენ გემები. კოლუმბს ეგალებოდა მათი უკან გაგზავნა. კუნეო, ერთ-ერთი იტალიური საკაჭრო სახლის წარმომადგენელი, რომელიც თან ახლდა ადმირალს მეორე ნაოსნობის დროს, თავის პატრონს წერილობით ამცნობს შემდეგს: „როცა კარაველები, რომელთაც მე უნდა გამოვყოლოდი სამშობლოში, მზად იყო გამოსამგზავრებლად, შევიმწყვდიეთ ჩვენს სოფელში 1550 კაცი და ქალი, ინდიელები. მათგან შევარჩიეთ საუკეთესონი და 1495 წლის 17 თებერვალს ხსენებულ კარაველებში ჩავსხით 550 სული“.

უნდა ითქვას, რომ მონათვაჭრობის გეგმის განხორციელებაში კოლუმბი და ესპანეთის მთავრობა წაწყდნენ გადაულახავ სიძნელეებს. ახალი მიწებიდან წამოყვანილი მონების მეტი წილი გზაში იხოცებოდა, ხოლო ვინც ესპანეთს აღწევდა, შრომის უნარი აღარ ჰქონდა და მალე იღუპებოდა. მაგალითად, მონების პირველი დიდი პარტიის მიწოდების შემდეგ, 1494 წლის აპრილში ესპანელი ვაჭრები წერდნენ, ინდიელები ძალზე სუსტნი და მუშაობისათვის უვარგისნი არიანო. ისინი არც კი გაჰყავდათ მონათა ბაზარზე.

უკეთესად გამოიყურებოდნენ მეორე გზობაზე ჩამოყვანილი მონები, რადგან ისინი განსაკუთრებული გულმოდგინებით შეარჩიეს. ხომალდებმა გზაში დაახლოებით ორმოცდაათი დღე დაჰყვეს. ნაოსნობის მონაწილე წერს: „როგორც კი მოვადწიეთ ესპანეთის ზღვას (იმ ხანად ესპანეთის ანუ იბერიის ზღვას უწოდებდნენ ატლანტის ოკეანის წყლებს, პირენეის ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროს რომ აკრავს და ხმელთაშუა ზღვის იმ ნაწილს, რომელიც ესპანეთის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს ერტყმის. — დ. ც.), ორასამდე ინდიელი მოკვდა. ისინი ზღვაში გადაყარეთ. როცა ხომალდები კადისს მიადგნენ, ცოცხლად დარჩენილი მონები „ნახევრად ავადმყოფი“ აღმოჩნდნენ“. შემდგომ კუნეო თავის პატრონს პირადპირ წერს: „თქვენნა საყურადღებოდ, ისინი არ არიან ამტანნი და ძალიან მგრძნობიარენი არიან სიცივის მიმართ. ამასთან დღემოკლენი არიან“.

ცოცხლად დარჩენილი ინდიელების შემდგომი ბედის შესახებ ცნობილია, რომ როგორც კი შეიტყვეს მონათა ახალი პარტიის ამბავი, ესპანეთის მეფე-დედოფალმა უბრალ გასცეს მათი გაყიდვის განკარგულება. ეპისკოპოს ფონსეკოს სახელზე გაგზავნილ სედულში ისინი წერენ: „თქვენნ უსამღვდელოესობავ მამაო ეპისკოპოსო... რაც შეეხება იმას, რაც თქვენ შეგვატყობინეთ ხომალდებით ჩამოყვანილი ინდიელების შესახებ, ჩვენ გვგონია, რომ მათი გაყიდვა ანდალუზიაში უფრო ძვირად შეიძლება, ვიდრე სადმე სხვაგან. თქვენ ეგალებათ თქვენი შეხედულებისამებრ გაპყიდოთ ისინი“.

იქვე სამეფო კარი აჩქარებს ფონსეკოს, ხელახლა გაგზავნოს გემები ესპანი-

ოლაზე. ჩანს, ამჯერად მონები უკეთესად გამოიყურებოდნენ, ვიდრე პირველ პარტიაში.

ოღონდ არც ამ მონებს ჰყოლია მუშტარი. მონები მალე იხოცებოდნენ; ესპანეთში ხომალდების მოსვლიდან ორი თვის შემდეგ ცოცხალი იყო მხოლოდ სამოცდათორმეტი კაცი. ტყუილუბრალოდ რომ არ ეკმიათ პური, გადაწყვეტეს გაეგზავნათ გალერებზე მენიჩბეებად.

ჩამოყვანილ მონათა შორის კოლოსალური სიკვდილიანობას ადასტურებენ თანამედროვენიც. ბერნალდესი წერს: „ვან (კოლუმბმა — დ. ც.) დაიკავა ქვეყანა და შეიპყრო მრავალი (ინდიელი)... მათგან სარგებლობა მცირე იყო, რადგან თითქმის ყველანი დაიხოცნენ. ახლადაღმოჩენილი მიწებიდან ესპანეთში ჩამოყვანილ ტყვეებზე მეორე თანამედროვე ამბობს, რომ უცხო მხარეში ერთი წლის მონობის შემდეგ იხოცებოდა მონათა 90%-ზე მეტი ჩამოყვანილთა საერთო რიცხვიდან.

მონათა პირველი პარტიის დაღუპვის ცნობას არ შეუცვლია კოლუმბის გეგმები. 1496 წელს ესპანეთის მეფეებისადმი გაგზავნილ პატაკში იგი მიუთითებს, რომ კასტილიაში, არაგონში, სიცილიაში, კანარის კუნძულებზე, სადაც ფართოდ იყენებენ მონების შრომას, მათი რიცხვი მცირდება. ამრიგად, ასკვნის კოლუმბი, წამოყვანილი ინდიელების გასაღება უზრუნველყოფილია. და კოლუმბი ხელახლა შეუდგა მონებზე ნადირობას. მალე ევროპელებმა ფაქტორიაში შეიმწყვდიეს ექვსასი ინდიელი. მონები გემებში ჩასხეს. ვერც კი მოასწრეს ოკეანეში გასვლა, რომ მოულოდნელად ამოვარდნილმა ქარიშხალმა ჩაძირა გემები.

1496 წელს კოლუმბი დაბრუნდა კადისში, სადაც ესპანიოლაზე გასამგზავრებლად გამზადებული სამი გემი იდგა. კოლუმბმა მითითება მისცა თავის ძმას, ბართლომე კოლუმბს, რომელიც კუნძულზე მის შემცველად დარჩა, გემების მოსვლისთანავე ჩაესხა მონები და გაეცუმრებინა ესპანეთში. მატრიროს ჟამთააღმწერლის ცნობით, ამ ბრძანების შესასრულებლად „შეიპყრეს სამასი კუნძულელი თავიანთი უხუცესებიანად და გაგზავნეს ესპანეთს“. მონათა ამ ჯგუფიანობა ისეთივე ბედი ეწია, როგორც წინამორბედებს.

1498 წლის ოტქომბერში კოლუმბი ესპანიოლაზე დაბრუნდა. სანამ ხომალდებს უკან, ესპანეთში გაგზავნიდნენ, კონკისტადორებმა ახალი ნადირობა მოაწყვეს ინდიელებზე. თავის მოხსენებაში კოლუმბი ამტკიცებს, რომ მონათა ვაჭრობას დიდი პერსპექტივები აქვს, „რადგან კასტილიაში, პორტუგალიაში, არაგონში, იტალიაში, სიცილიაში და პორტუგალიისა და არაგონის კუნძულებსა (კოლუმბს, ალბათ, მხედველობაში ბალეარის და პითიუს კუნძულები აქვს — დ. ც.) და კანარის კუნძულებზე მრავლად იყენებენ მონებს... და მეც ვფიქრობ, გვინეადან არასაკმარისად მოჰყავთ და თუნდაც საკმაოდ მოიყვანონ, ერთი აქაური აშკარად ჯობნის სამ იქაურს“.

ამგვარად, 1498 წლის ბოლოსაც კი კოლუმბი მონათვაჭრობაში შემდგომისათვის შემოსავლის წყაროს ხედავს. თავის პატაკებში მთელ ყურადღებას ამ საკითხს უთმობს. რაც შეეხება ოქროს მოპოვების იმედს, კოლუმბი, როგორც თვითონ ამბობს, ელოდება, „თუ როდის გაუღიმებს ბედი.“

კოლუმბის მიერ ტრიუმბში მოთავსებული ტვირთის შესახებ ცნობების სისწორე ეჭვს არ იწვევს, რადგან ისინი ამოკრებილია სულ სხვადასხვა წყაროებიდან: კოლუმბის საბუთებიდან, ოფიციალური სედულებიდან, ვაჭრებისა და სხვა ესპანელ, იტალიელ და პორტუგალიელ თანამედროვეთა წერილებიდან.

მხოლოდ ერთხელ, სახელდობრ 1494 წელს, გაგზავნა კოლუმბმა ახალი მიწებიდან ბამბის ნიმუშები. „მხოლოდ ლეიბში თუ გამოდგება“ — ასე ახასიათებდნენ ამ ბამბის ხარისხს ვაჭრები წერილებში. ცხადია, ასეთი ბამბა არ გამოდგებოდა საექსპორტოდ. რაც შეეხება

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

კოლუმბისა და ესპანეთის ხელისუფალთა საბუთებში არაერთხელ ნახსენებ ოქროს, თანამედროვეთა ცნობით, ეს მეტალი კუნძულებზე სულ მცირე რაოდენობით აღმოჩნდა. ხოლო სანელებელი, ნელსაკმეველი და ა. შ. ამ კუნძულებზე სულაც არ ყოფილა.

ამ შემთხვევაში წამოიჭრება კითხვა: მაშ რაღაც ამტკიცებდნენ კოლუმბი და ესპანელი ჩინოვნიკები, ახალ მიწებზე ეს საქონელი უხვად მოიპოვებაო? რა არის ეს — გულწრფელი დაბნეულობა თუ შეგნებული სიცრუე? ამ კითხვაზე მხოლოდ დოკუმენტების ანალიზი ვერ გაგვცემს პასუხს.

იმ ეპოქის გეოგრაფიული შეხედულებების გაცნობა შესაძლებლობას მოგვცემს ავხსნათ ის წინააღმდეგობანი, რაც შეინიშნება პირველწყაროებში. თუ იმ დროს მართლა მიაჩნდათ, რომ აღმოსავლეთი აზია ახლო მდებარეობს ევროპის დასავლეთით, მაშინ, ბუნებრივია, ესპანეთის სამეფო კარი და კოლუმბი მიზნად ისახავდნენ დიამყარებინათ სავაჭრო კავშირი აღმოსავლეთის ქვეყნებთან და ამიტომ ახალი კუნძულები და მატერიკი მიიღეს აზიის მომიჯნავე მიწებად. ამ შემთხვევაში, იმ ეპოქის შეხედულებათა შესაბამისად, მათ შეეძლოთ ეფიქრათ, რომ ეს ქვეყნები მდიდარია სანელებლით, ნელსაკმეველთა და ა. შ. და ა. შ., გამოუცდელობის და ენის უცოდნირობის გამო ვერ შესძლეს დაედგინათ ნაყოფის შემოსვლის სეზონი და ძვირფასი პროდუქტების დამზადების პროცესი. შუასაუკუნეების ევროპაში საყოველთაოდ მიღებულ აზრს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის ქვეყნების ძვირფასი ქვებითა და მეტალებით სიმდიდრის შესახებ შეეძლო გავლენა მოეხდინა კოლუმბისა და ესპანეთის ხელისუფალთა დასკვნებზე, რომ ახალ ქვეყნებში უხვად მოიპოვება ეს განძი. რაც შეეხება კოლუმბის მოქმედებაში ზემოაღნიშნულ ულოგიკობას, ამ შემთხვევაში შეიძლება ის განპირობებული იყო თანამედროვე მკვლევარისათვის უცნობი გარემოებით.

ხოლო თუ კოლუმბის დროინდელ ეპოქის გეოგრაფიული შეხედულებანი არ იყო ამდენად მცდარი, მაშინ [illegible] ჯიოებით შეიძლება ითქვას, რომ კოლუმბისა და ესპანეთის ხელისუფალთა დაჟინებული მტკიცება, რომ ახალი მიწები აზია არის, შეგნებული სიცრუეა.

2

თანამედროვე ისტორიულ და გეოგრაფიულ ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ იმ ათწლეულში, რომელიც წინ უძღოდა კოლუმბის ნოსტონას, არსებობდა მცდარი გეოგრაფიული თვალთახედვა, რამაც განაპირობა აღმოსავლეთი აზიის ძებნა სწორედ დასავლეთის მხრიდან (ავიღოთ თუნდაც მცდარი შეხედულება ძველი სამყაროს სიდიდის შესახებ).

საყოველთაოდ მიღებულია აგრეთვე, რომ ამ შეხედულებას იზიარებდა კოლუმბი; აქედან მომდინარეობს აზიისკენ დასავლეთის გზით ცურვის გეგმა, შეცდომები ახალ მიწებთან დაკავშირებით და ა. შ. იმ ეპოქის გეოგრაფიული თვალსაზრისის შესახებ ასეთი აზრი საფუძვლად უდევს კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის ტრადიციულ კონცეფციას.

მაგრამ ზემოაღნიშნულმა „ულოგიკობამ“ და კოლუმბისა და ესპანელების მოქმედების არათანმიმდევრობამ და იმან, რომ მათ ვერ შეძლეს მოეცათ განმარტება, დაგვაეჭვა კოლუმბისდროინდელი ეპოქის გეოგრაფიული მეცნიერების შეფასების სამართლიანობაში. ამ გარემოებამ გვაფიქრებინა მიგვემართა დოკუმენტებისათვის, რათა შეგვეჯერებინა ფაქტები, რაზედაც აფუძნებს თანამედროვე მეცნიერება თავის დასკვნებს იმდროინდელი გეოგრაფიული თვალსაზრისის შესახებ. უპირატესობას ჩვენ გეოგრაფიულ რუკებს ვაძლევთ, რადგან ის გაცილებით უკეთ ასახავს პრაქტიკას, ყოველდღიური გამოცდილების შედეგს, ვიდრე შუასაუკუნეების მეცნიერთა ტრაქტატები. სამარჯვეოსათვის კარტოგრაფიულ ძეგლებს დავყოფთ ორ ეტა-

პად, პირობით გამყოფად მივიჩნევთ XV საუკუნის სამოცდაათიან წლებს.

პირველი ეტაპის კარტოგრაფიული მასალა მოიცავს რამდენიმე ასწლეულს და დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ შუასაუკუნეების გეოგრაფიულ მეცნიერებას საერთოდ სწორი წარმოდგენა ჰქონდა ძველი ქვეყნის სიდიდეზე გრძედებში და ამის კვალობაზე, იმ სივრცეზე, რომელიც აშორებდა დასავლეთ ევროპას აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისაგან.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ეგრეთ წოდებული მაკრობის რუკები (X—XVI საუკუნის დასაწყისი), რომელთაგან მრავალმა ათეულმა ჩვენამდეც მოაღწია. ამ რუკებზე აღდგენილია ის ჰიპოტეზა, რომელიც პერგამელმა მეცნიერმა კრატეს მალოსელმა გამოთქვა ჯერ კიდევ II საუკუნეში ჩვენს ერამდე. ამ კონცეფციის მიხედვით დედამიწაზე არის ოთხი უზარმაზარი ხმელეთი, რომლებიც ერთმანეთისაგან ოკეანეებითაა გამოყოფილი. ძველი ქვეყანა (ოიკუმენა) — მხოლოდ ერთი იმათგანია და უჭირავს აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ჩრდილო ნაწილი. კიდევ ერთი ხმელეთი, დაახლოებით ოიკუმენის ტოლი, მდებარეობს იმავე ნახევარსფეროს სამხრეთ ნაწილში. ამ ორი ხმელეთის სიმეტრიულად დასავლეთ ნახევარსფეროში მდებარეობს კიდევ ორი ანალოგიური ხმელეთი. ამრიგად, ამ კონცეფციის მიხედვით, დედამიწის ზედაპირი შედგება ოთხი უზარმაზარი ხმელეთისაგან, რომლებსაც ერთიმეორისაგან წყლის დიდი სივრცე ჰყოფს. თითოეულ ხმელეთს უჭირავს არა უმეტეს 180° გრძედში, რადგან დედამიწის ზედაპირს თითოეულ მეოთხედზე, გარდა ხმელეთისა, ერტყმის აგრეთვე ერთიანი მსოფლიო ოკეანის ფართო სარტყელი.

იმ საუკუნეებში ცნობილ ძველი ქვეყნის მხარეებს ამ რუკებზე უჭირავთ დაახლოებით 130°—140° (ახლანდელი გამოთვლის მიხედვით ევრაზიის მატერიკს, მაგალითად, ლისაბონის განედზე უჭირავს 131°).

კიდევ უფრო საყურადღებო შედეგებს იძლევა XIV — XVI საუკუნის ეგრეთ წოდებული ოიკუმენის რუკების გაცნობა, რომლებზედაც გამოსახული იყო მხოლოდ ძველი ქვეყანა. ამგვარი რუკები მრავლად დგებოდა იმ დროს ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში.

უპირველესად ეს რუკები გვაცნობენ არა მარტო ძველი ქვეყნის დასავლეთი ნაწილის სწორი გამოსახვით, არამედ აგრეთვე აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის[1] შესახებ სწორი შედარების ცნობებით.

რუკის წარწერები ადასტურებს, რომ დასავლეთ ევროპაში ცნობილი იყო აღმოსავლეთის ქვეყნების მდებარეობა, მცხოვრებთა ზნე-ჩვეულებანი, მცენარეულთა და ცხოველთა სამყარო, იქაური ნაწარმი საქონელი. ამ რუკებს არ გააჩნიათ გრადუსთა ბადე, მაგრამ არსებობს საიმედო საშუალება, რომელიც იძლევა იმის განსაზღვრის შესაძლებლობას, თუ რა შეხედულება ჰქონდათ ამ რუკის შემდგენელთ გრძედებში ოიკუმენის სიდიდის შესახებ. ინგლისელი მკვლევარის რავენსტეინის გამოთვლის მიხედვით 1375 წლის კატალონის რუკაზე ძველი ქვეყნის ზომა 38°-ე პარალელის (ლისაბონი) გასწვრივ შეადგენს 116° (ნამდვილი ზომა — 131°), ხოლო 1457 წლის გენუის რუკაზე — 136°. ამ ძეგლების სხვა შემსწავლელნიც ანალოგიურ დასკვნამდე მივიდნენ.

ზემოჩამოთვლილი რუკები ჩვენამდე მოღწეულ იმდროინდელ ოიკუმენის რუკებს შორის ყველაზე სრული და ზუსტია. XIV—XV საუკუნეების სხვა ამგვარი ტიპის ძეგლები ჩამორჩებიან ევროპიდან დაშორებული ქვეყნების შესახებ ცნობებს სიზუსტის მხრივ. ასეთია მაგალითად, დალორტე-დულ-

[1] ცხადია, არა მხლიანად აღმოსავლეთი აზია. ცენტრალური აზიისა და მონღოლეთიდან ჩრდილოეთით მდებარე ტერიტორია დასავლეთ ევროპისათვის უცნობი იყო. ამ პრეკელი მიზეზის გამოკვლევა რუს მოგზაურთა და სწავლულთა დამსახურებაა.

დ. ცუკერნიკი

ჩერტის ორი, 1325 და 1329 წლების რუკა, ეგრეთწოდებული ლავრენტის რუკა 1351 წლისა, ძმების პიეტროგანების 1361 და 1363 წლების რუკები, ანდრია ბიანკოს 1436 წლის პლანისფერო. ამ რუკებზე ძველი ქვეყნის სიდიდე გრძედებში დაახლოებით ისეთივეა, როგორიც ზემოხსენებულ რუკაზე.

ამ რუკებზე ასახული ძველი სამყაროს სიდიდეზე წარმოდგენა გამომდინარეობს, ერთი მხრივ, ანტიკური (ნაწილობრივ, რომაელი მენციერების) ხანის გეოგრაფიული თვალსაზრისისდან, მეორე მხრივ აღმოსავლეთთან შუა საუკუნეების ევროპის ვაჭრობისას დაგროვილი გამოცდილების წყალობით.

ცნობილია, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, დასავლეთ ევროპელ ვაჭრებს, განსაკუთრებით იტალიელებს, გაცხოველებული ვაჭრობა ჰქონდათ ჩინეთთან, ამასთან დაკავშირებით ისინი მოინახულებდნენ ხოლმე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასაც.

XIV საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ ევროპასა და ჩინეთს შორის კავშირი წყდება, მაგრამ XV საუკუნის კარტოგრაფიის ძეგლებში დაცულია ტრადიცია და აღმოსავლეთ აზიის აღნიშვნა უცვლელადაა დატოვებული. მაინც სწორი გეოგრაფიული წარმოდგენები არ ყოფილა ერთადერთი გაბატონებული აზრი იმდროინდელ მეცნიერებაში. XV საუკუნეში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელდა ანტიკური ხანის გამოჩენილი მეცნიერის პტოლემეოსის გეოგრაფიული ნაშრომი, რომელშიაც მიჩნეულია, რომ ოიკუმენა (ძველი სამყარო) შეადგენს დაახლოებით 180°.

მაგრამ კარტოგრაფებმა, რომლებიც, როგორც ცნობილია, უფრო მეტად პრაქტიკულ გამოცდილებას ეყრდნობიან, არ მიიღეს პტოლემეოსის კონცეფცია. ამას ადასტურებს, პირველ რიგში, თვით რუკები და, გარდა ამისა, XV საუკუნის შუა წლების გამოჩენილი კარტოგრაფის ფრა-მაურის გამონათქვამი.

მოყვანილი ფაქტები ნებას გვაძლევს დავასკვნათ: მოგზაურები, ზღვაოსნები, ვაჭრები სარგებლობდნენ რუკებით, რომლებიც დაფუძნებული იყო გამოცდილებაზე, ხოლო პტოლემეოსის და სხვა ანტიკური ავტორიტეტების გეოგრაფიული წარმოდგენები გაიზიარეს შუა საუკუნეების მეცნიერებმა, რომლებიც პრაქტიკულ გამოცდილებას მხედველობაში არ იღებდნენ.

შეიძლებოდა თუ არა იმ ეპოქის გეოგრაფიული თვალსაზრისის შუქზე დასავლეთის გზა აზიისაკენ მიზანშეწონილად მიეჩნიათ?

სავსებით ცხადია, რომ გეოგრაფებმა და ზღვაოსნებმა იცოდნენ, რომ დასავლეთიდან აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებამდე ცურვით უნდა დაეფარათ დიდი მანძილი, დაახლოებით 230°, ესე იგი დედამიწის გარშემოწერილობის თითქმის ორი მესამედი.

იყო თუ არა საერთოდ რეალური იმ დროს აღმოსავლეთ აზიასთან სავაჭრო კავშირის დამყარება დასავლეთის გზით? იძლეოდა თუ არა იმ დროის არსებული გემმშენებლობისა და ხომალდმართვის ტექნიკა ამგვარი გეგმის განხორციელების საშუალებას?

ამ ამოცანის გადასაწყვეტად არაა აუცილებელი მივმართოთ დაწვრილებით კვლევას. საკმარისია ითქვას, რომ პირველმა ფლოტილიამ, რომელმაც მიაღწია აღმოსავლეთ აზიას დასავლეთის გზით—მაგელანის ექსპედიციამ (1519—1521) მართალია შეასრულა თავისი ამოცანა, მაგრამ გზად დაჰკარგა თითქმის მთელი პირადი შემადგენლობა. მაგელანის ექსპედიცია ხომ გზას მხოლოდ მას შემდეგ გაუდგა, როცა უკვე ცნობილი იყო მიწები, რომლებსაც ახლა ამერიკას უწოდებენ, სადაც ზღვაოსნებს შეეძლოთ შეევსოთ სასმელი წყლისა და სურსათის მარაგი.

მაგელანის ექსპედიციის შედეგები დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ იმ დროს მარტოოდენ წყლის იმხელა სიერცის დაძლევა, როგორიცაა წყნარი ოკეანე, განსაკუთრებით ძნელი საქმე იყო. მეორეც, მექსიკის დაპყრობის შემდეგაც კი, ესპანელთა ძრავალმა

ცდამ, — დაემყარებინათ რეგულარული ურთიერთობა მექსიკის დასავლეთ ნაპირებსა და აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს შორის, წარუმატებლად ჩაიარა. შეიძლებოდა თუ არა XV საუკუნეში, ჯერ კიდევ შუალედური ბაზების უქონლობის დროს, სერიოზული ლაპარაკი ამგვარი ნაოსნობის რეალობაზე?

ბუნებრივია დასკვნა, რომ როცა არსებობდა სწორი შეხედულებები ძველი ქვეყნის სიდიდის შესახებ, რასაც ადასტურებს XIV—XV საუკუნის რუკები (XV საუკუნის 50-იანი წლების ჩათვლით), ევროპასა და აღმოსავლეთ აზიას შორის დასავლეთის გზით სავაჭრო ურთიერთობის დამყარება უსათუოდ უტოპიად მოეჩვენებოდათ.

მაგრამ გეოგრაფიის, ისტორიკოსთა და კარტოგრაფის მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, XV საუკუნის 70—80-იან წლებში, ესე იგი იმ ათწლეულში, რომელიც წინ უსწრებს კოლუმბის მოგზაურობას, გეოგრაფიულმა თვალსაზრისმა განიცადა სერიოზული ცვლილებები, უეცრად მოხდა სწორი შეხედულებიდან მცდარ შეხედულებებზე გადასვლა. გეოგრაფიულ რუკებზე შეინიშნება განსაცვიფრებელი სახეცვლილებანი: აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები რუკებზე უზომოდ გადიდებულია და გადატანილია სულ უფრო და უფრო შორს, აღმოსავლეთისაკენ, სულ უფრო უახლოვდება დასავლეთ ევროპის ნაპირებს. აზიის ქვეყნების კონფიგურაციის ამ საოცარ ცვლილებებთან ერთად იცვლება ცნობილი მდინარეების კალაპოტი, იღებენ უზარმაზარ და ზიგზაგისებურ ფორმას. რუკებზე გაჩნდა სრულიად არარსებული მდინარეები, ტბები, მთები, და რაღაც ჯადოსნური ქვეყნები.

ყველა ამ ცვლილებამ, ბუნებრივია, გამოიწვია ძველი ქვეყნის ზომის გადიდება გრძედებში. საშუალო ციფრის 130°-ის ნაცვლად, მაგალითად ლისაბონის განედზე, რაც დამახასიათებელია წინანდელი რუკებისათვის, კარტოგრაფიის უფრო გვიანდელი ძეგლები აჩვენებენ 225° — 230°-ს, ხოლო მოგვიანებით 250°-საც კი. რახან ერთხელვე დაიწყო, ეს პროცესი გრძელდება თითქმის XVI საუკუნის ნახევრამდე.

„დედამიწის შესახებ ადამიანის შეხედულებათა განვითარების საოცარი თავი“ — ასე უწოდა ამ უცნაურ მოვლენას ინგლისელმა ბიზნელმ. პოლონელმა მეცნიერმა ლელეველმა კარგად დაანასიათა კაცობრიობის გეოგრაფიული თვალსაზრისის „სამწუხარო დეგრადაციის“ მოვლენა.

რაშია საქმე? რა არის მიზეზი გეოგრაფიული თვალსაზრისის კატასტროფული გარდატეხისა?

ამ უცნაურმა ამბავმა მიიპყრო XIX—XX საუკუნეების მკვლევართა ყურადღება. შეხედულებები გაიყო. ერთნი ანტიკური მეცნიერის პტოლემეოსის გაელენას მიაწერდნენ ყველაფერს, მეორენი — მეორე ანტიკური გეოგრაფის მარინ ტირსკის კონცეფციას. ორივე შეხედულება, ჩვენი აზრით, არადამაჯერებელია.

მართლაც, აქ რომ პტოლემეოსის ავტორიტეტის გავლენას ჰქონდეს ადგილი, მაშინ ძველი ქვეყნის სიდიდისათვის უნდა მიეღოთ მისი ციფრი — 180°, მაგრამ, როგორც ვნახეთ, გეოგრაფიულ თვალსაზრისთა გარდატეხის დროს ლაპარაკი იყო 225° — 230°-ზე, შემდგომ 250°-ზე. ერთი შეხედვით შეიძლება სწორი მოგვეჩვენოს განმარტება, რომ ყველაფერში დამნაშავეა მარინ ტირსკი. ბოლოს და ბოლოს აკი მას მიაჩნდა, რომ ევროპა-აზია-ფრიკას უკავია განედებში 225°, ციფრი, რომელიც ზოგჯერ მართლაც გვხვდება გეოგრაფიული თვალსაზრისის გარდატეხის პირველ ეტაპზე.

მაგრამ ფაქტების უფრო ახლო გაცნობა გვაიძულებს უკუვაგდოთ მსგავსი დაშვება. საქმე ისაა, რომ მარინის თხზულებებს არ მოუღწევია შუა საუკუნეებამდე. ზუსტად ცნობილია, რომ მისი კონცეფციის შესახებ ცნობები შე-

---

დ. ცუკერნიკი
როგორ აღმოაჩინეს ამერიკა

მოგვენახა მხოლოდ პტოლემეოსის „გეოგრაფიის“ წყალობით, რომელმაც იქვე დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მარინმა მცდარად ახსნა მოგზაურთა ცნობები, რაც საფუძვლად დაედო მის შეხედულებებს და, გარდა ამისა, გამოთვლისას უხეში შეცდომები დაუშვა. საკითხავია, შეიძლება თუ არა გაეზიარებინან კონცეფცია, თუ მან მოაღწია მხოლოდ სხვა ავტორის გადმოცემით, რომელიც იქვე ამტკიცებს ამ კონცეფციის მცდარობას? რა თქმა უნდა, არა. მერე კიდევ — შეიძლება თუ არა გეოგრაფიულ შეხედულებათა დამახინჯება მარინის გავლენით, თუ ის თვლდა, რომ ოიკუმენა მოიცავს 225°, ხოლო შემდგომ ჩვენ ვპოულობთ სულ სხვა ციფრებს — 230°, 250°, 260°?

თუმცა ძირითად მოსაზრებას, რამაც გვაიძულა არ გაგვეზიარებინა ისტორიკოსების განმარტება შუა საუკუნეების გეოგრაფიასა და კარტოგრაფიაზე, მეთოდოლოგიური ხასიათი აქვს, კარტოგრაფიის ისტორიაზე დაკვირვებას მივყავართ უეცლობელ დასკვნამდე: კარტოგრაფია პრაქტიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული მეცნიერებაა, იგი ორიენტაციას იღებდა უშუალო გამოცდილებაზე და არა ძველი ავტორიტეტების კონცეფციაზე. ამიტომ გეოგრაფიული თვალსაზრისის გარდატეხის მიზეზი უნდა ვეძიოთ მოგზაურთა ცნობებში. ერთი ლაშქრობის შედეგი ვერ სძლევდა მტკიცედ დამკვიდრებულ ტრადიციას.

მაგრამ ყველა ცდა, რომ აღმოგვეჩინა ცნობები მოგზაურობათა შესახებ, რასაც შეეძლო განეპირობებია გეოგრაფიული თვალსაზრისის გარდატეხა 70—80-იან წლებზე ადრე, ამაო გამოდგა.

დაუჯერებელია, რომ ჩვენამდე არ მოუღწევია არავითარ ცნობას იმ მოგზაურობათა შესახებ, რომელმაც აიძულა ყველა კარტოგრაფი რადიკალურად შეეცვალა თავისი შეხედულებანი.

ეს გვაიძულებს ეჭვი შევიტანოთ მეცნიერული აზრის სამართლიანობაში, რომ თითქოს იმ პერიოდში, რომელიც წინ უსწრებს კოლუმბის ნაოსნობას, მართლაც შეიძლებოდა გეოგრაფიულ წარმოდგენათა მოულოდნელი და აუხსნელი გარდატეხა. ისღა დაგვჩენია, რომ ახლებურ ანალიზს დავუქვემდებაროთ ის ფაქტები, რომელთა საფუძველზედაც გეოგრაფები ასაბუთებდნენ, რომ გეოგრაფიულ წარმოდგენათა დეგრადაცია მოხდა XV საუკუნეში.

ქრონოლოგიურ წყობაში ეს ფაქტები ამგვარად განლაგდებიან: ტოსკანელის წერილი და რუკა — 1474 წელი, ბეგარმის გლობუსი — 1492 წელი, შემდეგ მოდის კოლუმბის გეოგრაფიული თვალსაზრისი.

3

ტოსკანელის რუკა, ჩვეულებრივ, დათარიღებულია 1474 წლით. ამ რუკას ჩვენამდე არ მოუღწევია; მის შესახებ ყველაზე ადრეულმა ცნობებმა მოაღწია XVI საუკუნის ესპანელი მემატიანეების წყალობით. მათ იგი უნახავთ კოლუმბის ქაღალდებში. თანამედროვე მეცნიერებას ხელთა აქვს ტოსკანელის წერილი პორტუგალიელი მარტინესისადმი, აგრეთვე ქრისტეფორე კოლუმბისადმი. წერილს საილუსტრაციოდ ახლდა ჩვენთვის საინტერესო რუკა. წერილში არსებული ცნობები საშუალებას იძლევა აღვადგინოთ რუკა. ეს მუშაობა განხორციელდა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში და მის უარსაყოფად საფუძველი არ არსებობს.

წერილში ნათქვამია, რომ დასავლეთის გზით მანძილი ლისაბონსა და აზიის აღმოსავლეთ ნაპირებს შორის უდრის დაახლოებით დედამიწის ერთ მესამედს. ეს მანძილი გრადუსებში არაა გამოხატული. მაგრამ წერილის ავტორის მტკიცების საფუძველზე, რომ რუკაზე მანძილი — ლისაბონი — ჩინეთი აღნიშნულია 26 სპაციაზე, მკვლევარები მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ თითოეული სპაცია უდრის 5°. ამის კვალობაზე, მანძილი ლისაბონიდან აზიის აღმოსავლეთ ნაპირებამდე (დასავლეთის გზით) რუკაზე უდრის 130°. ეს ნიშნავს, რომ ძველ ქვეყანას ლისაბონის განედზე ეჭირა 230° (ნაცვლად 130°-ისა, რაც აღინიშნებოდა მსოფლიო რუ-

კებზე გეოგრაფიული შეხედულებების „დეგრადაციამდე“). ამიტომ წერილის ავტორი დაკინებით ურჩევდა არა აღმოსავლეთის, არამედ დასავლეთის გზას აღმოსავლეთ აზიისაკენ, რომელიც გაცილებით მოკლე და იოლია.

წერილში აღტაცებული ტონით აღწერილია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სიმდიდრენი. ნათქვამია, რომ ეს სიმდიდრე ხელუხლებლად ძევს მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპელებმა არ იციან ამ ქვეყნებისკენ გზა, თუმცა „იქ მოხვედრა სულ იოლია.“ გარდა ამისა, ავტორი ირწმუნება, რომ ადგილობრივი მკვიდრნი ევროპელებს სულში ჩაიძვრენენ.

საყოველთაოდ მიღებული ვერსიის მიხედვით, ტოსკანელის რუკამ და წერილმა კოლუმბზე უდიდესი გავლენა მოახდინა და განსაზღვრა მისი გადაწყვეტილება—წასულიყო აზიაში დასავლეთის გზით, რამაც მიიყვანა ამერიკის აღმოჩენამდე. სწორედ ამიტომ XIX საუკუნის ბოლოს ფლორენციაში ტოსკანელის ძეგლი აუგეს — „ამერიკის აღმოჩენის შთამაგონებელს“ — ასე ეძღვნა წარწერა კვარცხლბეკზე.

გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ტოსკანელის წერილი (ბერეთვე რუკაც) არაავთენტურია, სანდო არაა. პირველ ყოვლისა, წერილში გვხვდება ფრაზა, რომელიც შეიძლებოდა თქმულიყო წერილის დაწერიდან (1474 წელი) სულ ცოტა ოცდახუთი წლის შემდეგ და სახელგანთქმული მეცნიერის გარდაცვალებიდან (ტოსკანელი გარდაიცვალა 1482 წელს) 17 წლის შემდეგ. შემდგომ ტოსკანელის პირადი საბუთები მაცნობებენ, რომ ფლორენციელი მეცნიერი ყბადაღებულ „ტოსკანელის წერილში“ გამოთქმულ მცდარ შეხედულებებს დედამიწის სიდიდის შესახებ მხარს არ უჭერდა. გარდა ამისა, ჩვენ გავარკვიეთ, რომ ტოსკანელის წერილის შედგენით დაინტერესებულნი იყვნენ და რომ პირველი წერილი შედგენილია XVI საუკუნის დასაწყისში, ფლორენციელი მეცნიერის გარდაცვალებიდან სულ ცოტა, ორი ათეული წლის შემდეგ.

რაც შეეხება მეორე ძეგლს, სადაც ჩანს ზემოხსენებული შეხედულება ძველი ქვეყნის სიდიდის შესახებ — ბეგაიმის გლობუსს — საბუთების მიხედვით დადასტურებულია, რომ გლობუსი მართლაც 1492 წელს დაუმზადებიათ. ოღონდ გამოსახულება, რომელიც გლობუსზეა, გვამცნობს, რომ შემდგომ ძირფესვიანად გადაუკეთებიათ. ასე მაგალითად, გლობუსზეა თარიღიანი წარწერა—1106. შემდეგ: მდინარეებს, რომლებიც კასპიის ზღვას ერთვიან, გლობუსზე ჰქვიათ ემბა, სირ, ამუ. ეს მაშინ, როცა ცნობილია, რომ დასავლეთ ევროპაში XV საუკუნეში და XVI საუკუნის დასაწყისში ამ მდინარეებს ერქვათ დაიკს, იაკსარტეს, ოკსუს. ბოლოს, ამ გლობუსის ნიურნბერგელი ქამთაღმწერლის გარტამან შედილის აღწერა ნათელს ჰფენს, რომ ძეგლის შედგენის დროს გამოხატული იყო არა მარინის, არამედ მაკრობის კონცეფცია.

თარგმნა ნათელა ყელენტმა

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუკური გოგიაშვილი

იგავები

ციყვი და ტურა

— ტურავ, რასა სწერ?
— რაღა რას,
სიმართლეს ვემსახურები,
მგელი ახალ სახლს რომ იგებს,
საიდანა აქვს ფულები?!
ციყვმა მიუგო: — ხვალ ნახავ
და გაუცინებ სახეში,
თუ წამგლეჯია მგელუკა,
თვით გაებმება მახეში.
სხვებმა თქვან, მესმის! შენც იტყვი
მგლის მეზობელი მეც ვარო,
შენ ვისზე რა გაქვს სათქმელი,
შე ქვეყნის დამაქცევარო?!
შენს თავს მიხედო, სჯობია,
თუ გსურს, ეგ არის სისწორე,
სხვებზე როგ ზრუნავ, ბიძია,
ჯერ თავი გამოისწორე!

☆

მამალი

— შენი ჭირიმე, მამალო,
მამალო, გენაცვალები,
რისთვის იკეთებ სათვალეს,
ხომ არა გტკივა თვალები?!
— რისთვის და ჩემო ცუგრია,
პროფესორს დავემგვანები!

☆

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუკური ბოხიავილი ☆ ☆ ☆

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავსტრია

ბურგტეატრის იუბილე

ამას წინათ ვენის თეატრმა ბურგტეატრმა იზეიმა თავისი 75 წლის იუბილეი. საიუბილეოდ ალადგინეს ბერლაპარტერის პიესა „ესთერი", რომლითაც დაიწყო ამ თეატრმა თავისი მოღვაწეობა. საიუბილეო საღამოზე წარმოდგენილი იქნა აგრეთვე პირველი პიესა თეატრის მიერ განზრახული სერიიდან — „მსოფლიო დრამატურგიის ციკლი". ამ ციკლში შევა დოსტოევსკის რომანების ინსცენირება, პაუპტმანის „მზის ჩასვლის წინ", უნგრელი დრამატურგის მადაჩის „ადამიანური ტრაგედია", შლერის „მარია სტიუარტი", დიფრენმატის „ფიზიკოსები" და მსოფლიო დრამატურგიის სხვა შედევრები. იუბილესთან დაკავშირებით თეატრმა გამოსცა „ბურგტეატერის ალმანახი", რომლის ტექსტი და ფოტოები გვაცნობენ თეატრის განვითარების გზას. ალმანახში დაბეჭდილია თეატრის ერთ-ერთი უხუცესი წევრის, ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის ოტო ტრესლერის მოგონებები სცენაზე თავისი 6540 გამოსვლის შესახებ. თეატრი რაღა ვენური თეატრი იქნებოდა, თუ ალმანახში არ შეიტანდა ყველა ანეგდოტს, რომელიც ამ შეთხზულ ბურგტეატერის შესახებ.

აშშ

როგორების იუბილე

უკვე ერთი წელი შესრულდა, რაც ბალტიმორის უნივერსიტეტის შენობაში დადის ავტომატი, რომელიც საგანგებით დამოუკიდებელ არსებობას ეწევა. ის ღამრის მსგავსად აჯრი რადარის მეშვეობით პოულობს ორიენტაციას, არავის არ უშლის და მარჯვენედ უფლის გვერდს ყოველგვარ დაბრკოლებას. როცა რობოტი გრძნობს, რომ საცაა ენერგია გაუთავდება, ის მანამდე შინჯავს ფაოფერით კედელს, ვიდრე არ იპოვნის ელექტროჩამრთველს. წინათ ის დღისითა და ღამით მოგზაურობდა უნივერსიტეტის შენობაში, მერე კი მის ელექტრულ „ტვინს" დაუმატეს დაღლილობის ცენტრი და ახლა 8 საათის სეირნობის შემდეგ ის თვითონვე წვება ხოლმე დასასვენებლად. მისი უმთავრესი მტერია კიბე: კისერი რომ არ მოიტეხოს კიბეზე, ის ალეგურვეს მოწყობილობით, რომელიც უკან მოატრიალებს ხოლმე, თუკი თუნდაც ექვსი ფეხიდან ერთ-ერთი ჰაერში დაეკიდება. ამ რობოტს ბენებრივი დონე, მისი შემმქნელი ინჟინერის დალტონის აზრით, ჭიანჭველას ინტელექტის დონეზე დგას. ამ ტიპის რობოტი უნდა მოემსახუროს უცნობი პლანეტების გამოკვლევის საქმეს და მეცნიერები არ თვლიან საჭიროდ, რომ ის ადამიანს დაამგავსონ. რობოტი წაადგას შლაპის კოლოფს, კისერი ერაფინაქვს, ხოლო თავის ნაცვლად პატარა კასრი ადგას.

გარდაიცვალა კიბერნეტიკის მამამთავარი

შვეიცარი სალექციო ტურნეს დროს ს.ტოკჰოლმში გარდაიცვალა კიბერნეტიკის მამამთავარი პროფესორი ნორბერტ ვინერი. როგორც ალრძინებენს ეპოქის მოაზროვნეთა უმრავლესობა, ვინერი აერთიანებდა ფართო მათემატიკურ აზროვნებას და ინტუიტური ფანტაზიის მეთოდს. თავისი პირველი წიგნით კიბერნეტიკის შესახებ მან საფუძველი ჩაუყარა თეორიას, რომ ადამიანი არის სისტემა, დაფუძნებული მართვისა და ინფორმაციის პრინციპებზე. თავის მომდევნო წიგნში — „კიბერნეტიკა და საზოგადოება", სხვა შესანიშნავ იდეებთან ერთად, მან წამოაყენა ფანტასტიური აზრი იმის შესახებ, რომ თეორიულად შესაძლებელია ადამიანის გადაგზავნა ტელეგრაფით, ამასთან მიუთითა ცოცხალი არსების მათემატიკურ ალგორიტმად გადაყვანის პრობლემებზე. ვინერმა საფუძველი ჩაუყარა კიბერნეტიკას, რომლის ცნებებია — მართვა, ინფორმაცია, ენთროპია და სხვ. კიბერნეტიკა იქცა თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვან, საკმაოდ უნიკალურ ელემენტად. კიბერნეტიკა არის მეცნიერება, რომელმაც ეხ-ესაა დაიწყო განვითარება, მაგრამ უკვე გადაგვიშალა უფლიდრესი პერსპექტივები. ვინერის აზროვნების მეთოდი, რომელიც

ავერთიანებს სიზუსტესა და ფანტაზიას, სპეციალიზაციას და უნივერსალურობას, ვეველინე-ბა მნიშვნელოვან მეჩვიდრეობად, რომელიც დაუტოვა კაცობრიობას ამ დიდმა მეცნიერმა.

რომანი პრეზიდენტის არჩევნების შესახებ

იუჯინ ბარდიმა, რომლის კალამს ეკუთვნის პოლიტიკური რომანები — „საზიზღარი ამერიკელი" და „ნაღდი ჩაფლავება", დაწერა ახალი რომანი — „480". ესაა ფანტასტიკური ამბავი იმისა, თუ ელექტრული საათელვი მაქანინის მეოხებით როგორ ხდება ამერიკის პრეზიდენტის არჩევა.

პრაგრესული აპტი

რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ამერიკელი მუსიკოსების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა არ გამოვიდნენ იმ ქალაქებში, სადაც ნაგბეს აკრძალული აქვთ კონცერტებზე დასწრება. ეს მუსიკოსები არიან ვლადიმირ ჰოროვიცი, ლეონარდ ბერნსტაინი, იაშა ხეიფეცი, ისაკ სტერნი, ანრეთე მოშელესი და ულიანა ფორფელდი და ლეონტინა პრაისი.

უხეირო ფილმებიც სასეირო

თურმე ყოველად უხეირო ფილმებსაც შეუქნია სარგებლობის მოტანა. ამერიკის სამხედრო ფლოტმა შეისყიდა ჰოლივუდის ყველაზე სუსტი ფილმები და იყენებს მას, როგორც „ფსიქოლოგიურ მცველ სარქველს" ატომური წყალქვეშა ნავების ეკიპაჟებისათვის. ეს არაჩვეულებრივად ბრიყვული ფილმები სამხედრო მეზღვაურებს ისე ადაშფოთებს ხოლმე, რომ ისინი იგიჟებიან, უსაგვენენ, ყვირიან, იმუქრებიან და ა. შ.; ამის წყალობით ისე იქცევებიან, რომ მერე შეეგახაც კი გრძნობენ, როცა ახრულებენ თავიანთ ძმიმე სამსახურს, ხოლო ხანდახან სარისკო დავალებებსაც ზღვის სიღრმეში.

ამერიკული სიკვდილის წესი

ახე ეწოდება ამას წინათ გამოსულ ამერიკელ მეხეტყველის — ჯ. მიტფორდის წიგნს, რომელიც ამხილებს ამერიკის ტრაბუთაგან ყველაზე საზიზღარს—დამკრძალავი ცერემონიების ტრაგეს. ოსკარ უაილდის ხუმრობა — დასამარხი ფული არა მაქვსო, ახლა ამერიკელებისთვის აღარაა ხუმრობა. მათ ქვეყანაში დამკრძალავ საქმეთა მაგნატებმა ეს პროფესია აქციეს მრეველობად, რომელიც დღითიდღე იფურჩქნება. დაკრძალვის საშუალო ღირებულება 1935 წლის 350 დოლარიდან გაიზარდა დღეანდელ 1.400 დოლარამდე. დასაკრძალავი ხარჯები მთელი ქვეყნის მასშტაბით გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე პოლიციის ბიუჯეტი და მნიშვნელოვნად სჭარბობს სახანძრო დაცვის ხარჯებს. მიტფორდის წიგნის გამოქვეყნებამ დიდად შეაშფოთა ისინი, ვინც სიკვდილით დიდრდებიან. დავა-გაპარტეხტბის პროცესში „დაკრძალვათა ამერიკულ მომბეგში" განნდა შემდეგი სიტყვები: „ეომუნისტები ძირს უთხრიან დაკრძალვის ამერიკულ წესჩვეულებებს, რათა უყეთ გამოუთხარონ ძირი ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობას!"

ბელგია

უნებლიე რეკლამა

ბელგიის ტელევიზიამ კამოაცხადა, რომ ნაჩვენები იქნება ფრანგი კინორეჟისორის ჟანლიუკ გოდარის ტელეფილმი— „უკანასკნელ ამოსუთქვამდე", მაგრამ რამდენიმე თვე გავიდა, ფილმი კი ვერ ჩაჩვენს ტელემაყურებლებს, ვინაიდან ბელგიის კათოლიკურმა პრესამ გაიჩაღა გაფთრებული კამპანია ფილმის წინააღმდეგ. არაკეთილსიანურმა წრეებმა პროტესტი განაცხადეს ამ დიქტატურაზე წინააღმდეგ და ფილმს, როგორც იქნა, ეღირსა გამოსვლა ცისფერ ეკრანზე; ეკრანს უამრავი ტელემაყურებელი მიეტანა. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მათ ენახათ ათასჯერ უფრო ამორალური სცენები, ხოლო თვით ფილმი საკმაოდ ბანალური გამოდგა: უხეირო დეტექტური ინტრიგა, ცინიკოს ახალგაზრდა განსაცტრისა და გარყვნილი ახალგაზრდა ქალის მოყირავებული ტიპები — აი რა ნახეს მათ. ამრიგად, „მორალის დამცველებმა" საკმაოდ საშუალო ფილმს შეუქნეს დაუსახურებელი სენსაციური რეკლამა.

გ. ფ. რ.

ასალი სპანდალი

ისტორიკოსთა ასოციაციამ, რომლის თავარი მიზანია ჰიტლერიზმის რეაქციონაცია და ქმების შესახებ, ახალი შესაზარი ეტაკი მოიმოქმედა. „ისტორიის მკვლევართა საზოგადოებამ", როგორც უწოდებენ თავის თავს ნაციზმს დანატრებული ეს „მეცნიერები", პრემია მიანება ამერიკელ პროფესორს დეკენ ბოგასს წიგნისათვის — „იმუელნი ომი". ამ „საათოლშში" ავტორი ცდილობს, თავიდან აშოროს ჰიტლერსა და ნაციისტებს მეორე მსოფლიო ომის წამოწყების პასუხისმგებლობა. ეერშნინ ი ი ს პ ო ზ ი ტ ი ვ ი ს ა ფ ე დ ე რ ა ც ი ა ვ ა ა ა

ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნედ, მიუნაწილი და ერთდროულად 13 სხვა ქვეყანაში გამოსცა წიგნი — „საკვადილი ტეხასში". როგორც ამბობენ, ესაა ამაღელვებელი რეპორტაჟი ამერიკის პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების შესახებ.

იაპონია

ვენერა მილოსელი სტუმრად

ერთ თვეზე მეტი ხნის მოგზაურობის შემდეგ ვენერა მილოსელის სახელგანოქმულმა ქანდაკებამ ლუვრიდან იაპონიაში ჩაიღნა. იაკოგამას ნავსადგურში მას, წესისამებრ, დახვდა იაპონელი სილამაზის დედოფალი. გადატანისას ვენერა მილოსელის ტანსაცმელს ჩამოეტყარა რამდენიმე ნატები, რომელსაც სპეციალისტები ალადგენენ. ეს მოგვაგონებს ამ მშვენიერი ქანდაკების სხვა, უფრო დიდ დაზიანებას — ორივე ხელის დაკარგვას. ეს ამბავი ახე მოხდა: საფრანგეთის ელჩმა სტამბოლში მარკიზ დე-რივიერმა 1820 წელს შეიტყო, საბერძნეთის კუნძულ მილოსზე ვლეხმა ძველბერძნული ქანდაკება იპოვნო. ის გამემგზავრა, რათა საფრანგეთისთვის შეეძინა ეს იშვიათი ნაპოვნი. როცა ყიდვისა ვერაფერი გაახერხა, ძალით წაართვა ქანდაკება და ამ შეტაკების დროს ღვთაებრივ ვენერას ორივე ხელი მოტეხდა. მას უკან ვინ არ ეძება ღმერთქალის დაკარგული ხელები, მაგრამ დღემდე ვერაფერს მიაკვლიეს. ხოლო ისინი, ვისაც ეს ქანდაკება მთლიანი სახით უნახავს, ამბობენენ, რომ აწეული მარცხენა ხელში მას ჰჭირდა ვაშლი, მარჯვენასი კი ტანსაცმლის კალთა ეჭირა.

ინგლისი

90 წლის სოფერსეტ მოემი

ულიანამ სომერსეტ მოემმა ამას წინათ იზეიმა თავისი 90-ე წლისთავი. ის კარგა ხანია საფრანგეთის რივიერაზე ცხოვრობს, კაპ ფერატაში. თუმცა მოემი ცუდად ხედავს, თითქმის არ ესმის და ბევრი რამ აღარ ახსოვს, მაგრამ წერა არ დავიწყებია. თავისი 90 წლისთავისთვის მან დაწერა, თუ 1847 წელს როგორ იქმნებოდა მისი პირველი რომანი—„ლამბეტელი ლიზა". მაშინ ის ექიმად მუშაობდა. მოემს ბევრი ახალგაზრდა მწერალი მიმართავს რჩევისათვის, როგორ ვწეროთო, მაგრამ მოემი მათ ურჩევს მხოლოდ ერთადერთ რამეს — შეიხეკვლონ მედიცინა, ვინაიდან ხალიერაციო მაგიდაზე თუ ავადმყოფის სწოლში ადამიანები შაშით არიან შეპყრობილნი, იხსნიან ნიღაბს და მათი ცხოვრება ჩანს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია — არავითარი სიყალბე და თვალთმაქცობა. მოემმა თქვა, მეგობრები არ მივიწყებენ, ხშირად მნახულობენ. ხშირად ჩადიოდა მისი უახლესი მეგობარი ჟან კოკტიც, რომელზეც მოემმა თქვა: არ მეგონა, თუ მის სიკვდილს მე მოვესწრებოდი. ხშირად ჩადიოდან ჟურნალისტებიც. ამას წინათ მასთან ინტერვიუსთვის გამოცხადდა ერთი ლონდონელი ჟურნალისტი, რომელიც არწმუნებდა მწერალს: პორთფელში მიწყვია ყოველნაირი ცნობა თქვენი ცხოვრებისა და გარემოს შესახებ. მოემი დაეჭვდა, ამას ჩემი ნეკროლოგიც მზად ექნებიო და არ მოეშვა, ვიდრე ჟურნალისტმა მარილაც არ წაკითხა ნეკროლოგი. მწერალმა თხოვა ცოტა უფრო თბილად დაწერეთ, ეს ძალზე გულცივადაა დაწერილი. მოემმა განაცხადა, რომ სიბერეს აქვს უპირატესობანიც, ვინაიდან მის ცხოვრებას გარკვეული მხრით ჩამოშორდა ადამიანური წვრილმანობა, შური, სიმხდალე და შინაგანი შეშფოთება. ადამიანს თვალები ღია აქვს, ის აკვირდება გარემოს და გულიანად ეროთა, როცა ხედავს სხვათა ადამიანურ სისუსტეს. რაც მთავარია, ის შეეხარის ცხოვრების უკანასკნელ ჯელდოლს — ნათელ სიმშვიდეს.

ჩაალინგა მემუარები დასასრულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩარლზ სპენსერ ჩაპლინმა, როგორც იქნა დასასრულა თავისი მემუარები და ბალე გამოვა ლონდონში. წიგნი მოიცავს 570 გვერდს. სახელმოვეწოდა მსახიობმა განაცხადა: „ვცდილობდი, რაც შეიძლება გულწრფელი ვეოფილიყავი. მე სრული სიმართლე დავწერე ჩემს შესახებაც და იმათ შესახებაც, ვისთან შეხვედრაც მხვდა ცხოვრებაში, არაფერი არ დამიმალავს". წიგნის გამოცემას ამ წლის ბოლოსთვის ვარაუდობენ.

უმაღლესი ჯილდო

ინგლისის კინემატოგრაფიის ინსტიტუტმა ფრანგი კინორეჟისორის ალენ რენეს ფილმს „მიურიელ" მიანიჭა „ამ წლის მსატვრულად ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ორიგინალური ფილმის" ზოდება. სიგელი და ამ ზოდების მინიჭება ყველაზე მაღალი ჯილდოა, რომელიც კი შეუძლია მიიღოს კინორეჟისორმა ინგლისში.

რიჩარდსონის ახალი ფილმის წარმატება

ახალგაზრდა ინგლისელმა კინორეჟისორმა, მარავალი მოსწონი ფილმის ავტორმა ტონი რიჩარდსონმა (ზვენი მაყურებელი იცნობს მის ფილმს — „ეზო მაღალი საზოგადოებისაკენ"), კვლავ მოიპოვა დიდი წარმატება. მან გადაიღო XVII საუკუნის რომანის ინსცენირება — ჰენრი ფილდინგის „ტომ ჯონსი". ჟოლეეფდნენ ამ ფილმმა ერთდროულად მიიღო ოსკარის ოთხი პრემია — საუკეთესო ფილმისათვის, საუკეთესო სცენარისათვის, საუკეთესო მიზანსცენებისათვის და საუკეთესო მუსიკისათვის. დასალეთის ეკრანებზე ფილმის დემონსტრაციას მუდამ თან ახლავს კრიტიკოსების მოწონება და კინომაყურებელთა ინტერესი.

„ამერიკული სიბინძურე“ ინგლისში

ინგლისის უმაღლესმა საეკლესიო პირებმა შექმნეს სპეციალური „უშვაწურობასთან ბრძოლის კომიტეტი“, რომელიც იბრძოლებს ამერიკული პორნოგრაფიული ლიტერატურის შემოტანის აკრძალვისათვის. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ინგლისის საბაჟიმ დააკავა 1.155.000 პატარ-პატარა წიგნი და ჟურნალი, აღსავსე „ამერიკული სიბინძურით“, როგორც უწოდებენ ამ ამერიკელ გამომცემელთა გამოყენელ, უშვაწურ პროდუქციას. კომიტეტმა, რომელიც შედგება კათოლიკეთა, პროტესტანტეთა და ებრაელთა ეკლესიების უმაღლეს სასულიერო პირთაგან, გადაწყვიტა მიაღწიოს პორნოგრაფიული „ლიტერატურისა“ და ფოტოსურათების შემომტანთა სასამართლოზე გადაცემას.

მნათობების პროტესტი

ინგლისელი მნათობების კავშირმა, რომელიც 40.000 წევრს მოიცავს, თავის ამასწინანდელ კონფერენციაზე გამოთქვა სასტიკი პროტესტი ინგლისის ეკლესიების მოდერნიზაციის წინააღმდეგ. მათს პროფესიას სერიოზული საფრთხეს უქმნის ტექნიკური სიახლის — ეკლესიის ზარების რეკვის მაგნეტოფონური ჩანაწერების შეოფლება. მნათობის პროტესტს, ცხადია, მხარი დაუჭერს ზარის ფაბრიკების მეპატრონეებმა.

იტალია

პროგრესული გამომცემლობის იუბილე

წელს იტალიის პროგრესული გამომცემლობა „ენინადი“ აღნიშნავს თავის 80 წლისთავს. დაარსების დღიდანვე ამ გამომცემლობას მჭიდრო კავშირი ჰქონდა მარქსისტულად მოაზროვნე ადამიანებთან. მისი დამაარსებლის, ცნობილი ეკონომისტის ლუიჯი ეინადის, ჟურნალ „რიფორმა სოციალის“ რედაქტორის ირგვლივ თავი მოიყარეს ინტელიგენციის პროგრესულთა წარმომადგენლებმა, მათ შორის მარქსისტებმაც. ფაშიზმის დროს ბევრი მათგანი დაიპატიმრეს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის დროს მრავალი მეთაურობდა წინააღმდეგობის მოძრაობის ჩრდილოეთ იტალიაში.

გამომცემლობის ახლანდელი დირექტორი ჯულიო ეინადიც იტალიის საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესული წარმომადგენელია. „უსაბუთოს წინააღმდეგობის დროინდელი ახალი სიმღერების“ გამოცემის გამო ფრანკისტულმა მთავრობამ მას აუკრძალა ჩასვლა ესპანეთში, სადაც მიწვეული იყო ფორმენტარის საერთაშორისო პრემიის ყიოლის წევრად.

ამჟამად ეს გამომცემლობა იტალიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და ავტორიტეტული გამომცემლობაა. ამ გამოდის უწინარეს ყოვლისა მხატვრული ლიტერატურა; აგრეთვე ფილოსოფიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივ-მეცნიერული ნაშრომები. მათ მიერ გამოცემული სხვადასხვა სერიაში დაბეჭდილია მსოფლიო კულტურის თვალსაჩინო ნაწარმოებები, ამასთან ავტორია სია ძალზე მრავალფეროვანია. მაგალითად, გამოვიღეთ იტალიის კომპარტიის დამაარსებლის ანტონი გრამშის ნაშრომები, ხოლო წელს გამოვა ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სტატიების კრებული, სადაც საბჭოთა მთავრობის მეთაური ლაპარაკობს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის შესახებ.

ჯინას ფოტოგრაფიკრტიორობა უნდა

ჯინა ლოლობრიჯიდა გატაცებული ფოტომოყვარულია. ის ფოტოსურათებს ხშირად ბეჭდავდა იტალიისა და საფრანგეთის მრავალი ჟურნალი. მაგრამ, ჯინას აზრით, ამას იმიტომ ჩაეიოდნენ, რომ ის კინოვარსკვლავია. ახლა მას განზრახული აქვს მიიღოს „კვალიფიკაცია, ჩაამაროს ბამოცდები და იმუშაოს, როგორც ფოტოციალურმა ფოტორეპორტიორმა.

კანადა

„პირდაპირი ფილმი“

ახალმა მომპოლულმა კინემატოგრაფიამ — „პირდაპირმა ფილმმა“, ე. ი. დოკუმენტურმა ფილმმა, რომელიც ადგენდავს რეალურ ადამიანთა კერძო ცხოვრებას, თავის შესაძლებლობათა დადასტურება ჰპოვა რეეისორ მიშელ ბროს ფილმში; მან საფრანგეთის კანადაში გადაიღო ფილმი კანადელი ბლეჩაკო

ლი მიმართულებისა. სროტის რომანში არ არიან რომანისათვის ჩვეული გმირები ან მოქმედი პირები და არსებითად არც რაიმე მოქმედება ხდება. მაგალითად, „ოქროს ნაყოფში“ უცნობი და უსახელო პიროვნებები კამათობენ ამავე სახელწოდების რომანზე, მაგრამ მათი ლაპარაკიდან მკითხველი თითქმის ვერაფერს ტყობილობს ამ რომანის შესახებ. მოუხედავად ეკვმოუტანელი ლიტერატურული ნიჭიერებისა, მიუხედავად იმისა, რომ მწერალს საუცხოოდ ეხერხება პერსონაჟთა რთული, გადახლართული ფსიქიკური ბრძნობების ანალიზი, სროტის წიგნები ახასლურ ტურად არაფერს მატებს მკითხველს.

ახალი ფილმი ახალგაზრდობის შესახებ

ამას წინათ საერთაშორისო ეკრანებზე ეამონნდა რეჟისორ ბერთრან ბლიეს (მსახიობ ბერნარ ბლიეს ვაჟის) ფილმი — „თანატოლები“. მის პირველ, მწვავე და პოლემიკურ ფილმს — „ჰიტლერი?.. მე მას არ ვიცნობ!“ — კრიტიკამ საუკეთესო შეფასება მისცა. ახალი ფილმიც ეძღვნება თანამედროვე ახალგაზრდობას. 800 ეაბუკსა და ქალიშვილში რეჟისორმა შეარჩია 11 კაცი, რომლებიც ფილმში საკუთარ თავს თამაშობენ. ისინი ძალზე განსხვავებულნი არიან — აქ შეხვდებით მანეკენად მომზადებულ ქალებს, ღამის დაწესებულებების ატმოსფეროთი გაბრწყინებულ, თავის პროფესიაში შეყვარებულ მუშას, ემანსიპირებულ ქალიშვილს, რომელიც წამდაუწუმ იცვლის საყვარლებს.

ფილმი ორიგინალურადაა ჩაფიქრებული და ეგებულია იმ ადამიანთა დიალოგზე, რომლებიც მანამდე არასოდეს შეხვედრიან ერთმანეთს. ხოლო ფილმის სიუჟეტური ქარგა მოიცავს გმირთა მოქმედებას, მათს დამოკიდებულებას მშობლებისადმი, მუშობისადმი, ოჯახის მიტოვებას, გატაცებებს, სიყვარულს, ეგოიზმს. ფილმი საინტერესოა, როგორც „კოლექტიური პორტრეტი“ ხარონეკეთის იმ ახალგაზრდობისა, რომელსაც შეუძლია თქვას „პოლიტიკა?.. მე მას არ ვიცნობ!“

ძხატვრული რედაქტორი ტიტე შეყილაძე

ტექნიკური რედაქტორი მედეა ფონია

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 5-08-75, 3/მგ მდივნის — 5-80-86, განყოფილებების: კრიტიკისა და პუბლიცისტიკის — 5-08-85, პოეზიისა და პროზის — 5-08-85.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/VIII-54 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობითი ფორმათა რაოდენობა 13,7. შეკვ. № 824. უე 08317. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8 000.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат печати. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტის ოსტატი საპარაშუტო
სპორტში ლარისა ერემაშვილი

საავიაციო დღესასწაული
თბილისში

ფოტო ო. თურქიანი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისის ზღვაზე

ფასი 60 კაპ.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ИЗДАТЕЛЬСТВО
„ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“

ИНДЕКС 76236